

„მოსამართლეთა
ქცევის
ბანგალორის
პრინციპები“
და მისი
კომენტარები



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

„მოსამართლეთა ქცევის
ბანგალორის პრინციპები“
და
მისი კომენტარები

თბილისი
2015

პუბლიკაცია წარმოადგენს მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის (Judicial Integrity Group) ავტორობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ხელშეწყობით 2007 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული ნაშრომის თარგმანს, შევსებულს დამატებითი ინფორმაციით.

კომენტარი მომზადდა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, რომლებიც, ამავედროულად, მისი შექმნის შთაგონების წყაროდ იქცა. აღნიშნული წყაროები მოიცავს საერთაშორისო ინსტრუმენტებს, მოსამართლეთა ქცევის ეროვნულ კოდექსებს და მათ კომენტარებს, საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს და ეთიკის კომისიის მოსაზრებებს. ტექსტში მოცემული ციტატების წყაროები მოცემულია სქოლიოებში. იქ სადაც მოსაზრებები და კომენტარები ამოღებულია ეროვნული ან რეგიონალური კონტექსტიდან და განზოგადებულია ისეთი ხარისხით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია ყველა სამართლებრივი სისტემისათვის, პირველადი წყარო ტექსტში მითითებული აღარ არის. თუმცა, ყველა წყარო რომლის გამოყენებაც მოხდა შეტანილია იმ თავებში, რომლებიც ეხება კომენტარზე მუშაობის პროცესს და ბიბლიოგრაფიას და შესაბამისად გაცხადებულია მათი ფასდაუდებელი მნიშვნელობა.

პუბლიკაციის ქართული ვერსია მომზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამის მიერ.

წიგნის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
lawlibrary.info ან www.facebook.com/giz.law.ge

წიგნის ინგლისური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
www.judicialintegritygroup.org

წიგნი გაიცემა უფასოდ



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2015

ISBN 978-9941-9422-3-5

სარჩევი

წინასიტყვაობა	4
ბანგალორის პრინციპების კომენტარებზე მუშაობის პროცესი	6
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) 2006/23	23
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) 2007/22	28
მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები. პრემამბულა	33
პირველი ღირებულება – დამოუკიდებლობა	34
მეორე ღირებულება – მიუკერძოებლობა	35
მესამე ღირებულება – პატიოსნება	37
მეოთხე ღირებულება – ეთიკური ნორმების დაცვა	37
მეხუთე ღირებულება – თანასწორობა	40
მეექვსე ღირებულება – კომპეტენტურობა და გულმოდგინება	41
ამოქმედება	42
განმარტებები	42
„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები	43
მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები	45
ამოქმედება	199
ტერმინები	200
დანართი: კულტურული და რელიგიური ტრადიციები	201
რჩეული ბიბლიოგრაფია	215
„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები	218

წინასიტყვაობა

სასამართლო ხელისუფლების სისტემა, რომელიც საზოგადოებაში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს, დემოკრატიული სისტემისა და სამართლის უზენაესობის საფუძველთა საფუძველია. იმ პირობებშიც კი, როცა ყველა სხვა დამცავი მექანიზმი წყვეტს მოქმედებას, სასამართლო ხელისუფლება არის ბასტიონი, რომელიც მონოღებულია, დაიცვას მოქალაქეები მათი კანონით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან. ეს სამართლიანია როგორც ყოველი ცალკე აღებული ქვეყნის მიმართ, ისე გლობალურ კონტექსტში, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება მთელ მსოფლიოში სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის საიმედო საყრდენია. ამდენად, სასამართლო ხელისუფლების მაღალი ავტორიტეტის უზრუნველყოფა მთელი მსოფლიოს მასშტაბით – ეს არის ამოცანა, რომელსაც დიდი ენერჯია, ძალა და გამოცდილება უნდა მოხმარდეს.

სწორედ ასეთ ამოცანას ისახავს მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფი, რომელიც 2000 წლიდან ფუნქციონირებს. იგი ჩამოყალიბდა როგორც არაფორმალური ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავარი და უფროსი მოსამართლეებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს, ამ კეთილშობილური მიზნის მსახურებისათვის გაეერთიანებინათ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. იმ დროის განმავლობაში, რაც ამ ჯგუფის შექმნის მომენტიდან გავიდა, მან შეასრულა უზარმაზარი სამუშაო, რომლის შედეგებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მართლმსაჯულებაზე.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებმა“ დამსახურებული აღიარება მოიპოვა როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მოსამართლეებისა და სასამართლოს, ასევე იმ საერთაშორისო ორგანოების მხრიდან, რომლებიც დაინტერესებული არიან მართლმსაჯულების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფით. ამის შედეგად „ბანგალორის პრინციპები“ სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დოკუმენტი, რომლითაც ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია, უპირობოდ იხელმძღვანელოს. ამ „პრინციპებში“ აისახა სხვადასხვა კულტურისა და სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული ყველაზე ფასეული ტრადიციები. ყოველთვის ადვილი არ იყო ძირითად ფასეულობებსა და პრინციპებთან დაკავშირებით ერთსულოვნების მიღწევა, მაგრამ ისეთი შედეგის მიღების განუხრელი სურვილი, რომელიც საყოველთაო აღიარებას მოიპოვებდა, დაეხმარა სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე ჯგუფს ამ გზაზე წარმოქმნილი ყველა წინააღმდეგობის დაძლევაში.

ზოგიერთ ქვეყანაში „ბანგალორის პრინციპები“ ოფიციალურად იქნა მიღებული, სხვაგან კი მათ საფუძველზე მოსამართლეთა ქცევის საკუთარი პრინციპები

შეიმუშავეს. საერთაშორისო ორგანოებმა ასევე მოიწონეს „ბანგალორის პრინციპები“ და განაცხადეს მათი სრული მახარდაჭერის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 2006 წლის 27 ივლისს 2006/23 რეზოლუციით წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა, მათი შინაგანი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა პროფესიული კოდექსისა და ქცევის ეთიკის ნორმების განხილვისა თუ შემუშავების პროცესში რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ სასამართლო ორგანოებს, გაითვალისწინონ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“. „ბანგალორის პრინციპებმა“ ასევე დაიმსახურა ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და იურისტთა საერთაშორისო კომისიის იურისტების აღიარება და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მოსამართლეთა მაღალი შეფასება.

„ბანგალორის პრინციპებიდან“ თითოეულისათვის მომზადდა კომენტარები, რომლებიც პრინციპებთან ერთად დეტალურად იქნა განხილული მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების განმტკიცების სამთავრობათაშორისო ჯგუფის ღია შემადგენლობის ექსპერტთა თათბირზე, რომელიც 2007 წლის 1-2 მარტს გაიმართა ვენაში. თათბირში მონაწილეობა მიიღეს 35 ქვეყნის ექსპერტებმა. კომენტარების პროექტები და შემოთავაზებული ცვლილებები ასევე დაწვრილებით იქნა განხილული მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მეხუთე თათბირზე და მიღებული თათბირის მონაწილეთა მიერ. კომენტარი დაწვრილებით განმარტავს დოკუმენტში მოცემულ თითოეულ პრინციპს და ხელს უწყობს „ბანგალორის პრინციპების“, როგორც მოსამართლეთა ქცევის ეთიკური ნორმების, საყოველთაო დეკლარაციის ყველა სახელმწიფოს მიერ აღიარების ხელშეწყობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა ზნეობისა და პატიოსნების მაღალი სტანდარტები აღიარებულია ფუძემდებლურად არა მარტო ყველა ტრადიციულ სამართლებრივ სისტემაში, არამედ ყველა ძირითად რელიგიაშიც. ამის გათვალისწინებით, კომენტარებს ახლავს დანართი, რომელშიც მიმოხილულია სხვადასხვა რელიგიაში მოსამართლეთა პატიოსნების განმსაზღვრელი წესები.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ არის პოტენციურად ძალზე მაღალი ფასეულობის ინსტრუმენტი არა მხოლოდ ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოს, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, აგრეთვე ყველასათვის, ვისაც აღუვებს მაღალი მორალური პრინციპების განუხრელად დამცველი სასამართლო ხელისუფლების არსებობისათვის მყარი ფუნდამენტის შექმნის საკითხი.

*კ.კ. ვეერამანტრი
მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე
მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის თავმჯდომარე*

ბანგალორის პრინციპების კომენტარებზე მუშაობის პროცესი

I. საკითხის ისტორიისათვის

2000 წლის აპრილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობის თავიდან აცილების საერთაშორისო ღონისძიებათა ცენტრის ინიციატივითა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის ფარგლებში, ვენაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეათე კონგრესთან თანამშრომლობით შედგა მთავარ მოსამართლეთა ჯგუფის მოსამზადებელი თათბირი. შეხვედრის მიზანი იყო მსჯელობა პრობლემის შესახებ, რომლის არსიც, მიღებული ცნობებით, არის ის, რომ მრავალ ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე, ადამიანები კარგავენ სასამართლო სისტემისადმი ნდობას, რადგან მათ იგი კორუმპირებულად ან სხვაგვარად მიკერძოებულად მიაჩნიათ. ეს ცნობები მიღებულ იქნა იმ გამოკითხვათა შედეგების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც განეული მომსახურების ხარისხისა და საზოგადოების სასამართლოსადმი დამოკიდებულების შესწავლას ისახავდა მიზნად, ასევე იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მრავალი ქვეყნის მთავრობის მიერ შექმნილმა კვლევითმა ჯგუფებმა მოიპოვეს. პრობლემის გადასაწყვეტად სხვადასხვა გზა იქნა შემოთავაზებული, გატარდა სასამართლოს რეფორმის ღონისძიებები, თათბირი მოწვეული იყო იმ მიზნით, რომ განეხილათ ახალი მიდგომის გამომუშავების შესაძლებლობა. გაეროს ეგიდით პირველად გადაწყდა, თავად მოსამართლეთათვის შეეთავაზებინათ სისტემაში წესრიგის დამყარება – მოსამართლეთა პასუხისმგებლობისა და დაქვემდებარების კონცეფციის შემუშავება, რაც დაემატებოდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს და ხელს შეუწყობდა მართლწესრიგის უზრუნველყოფის სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას. საწყის ეტაპზე გაცნობიერებულ იქნა მსოფლიოში არსებული სამართლებრივი ტრადიციების მრავალგვარობა და გადაწყდა საერთო სამართლის სისტემით შემოფარგვლა. შესაბამისად, თავდაპირველად მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზიის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ცხრა ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებსაც, ძალზე განსხვავებული კანონმდებლობების მიუხედავად, საერთოსამართლებრივი ტრადიცია აახლოებდათ.

II. სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფი

სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის პირველი თათბირი შედგა 2000 წლის 15-16 აპრილს ვენაში, გაეროს სამსახურის შტაბ-ბინაში. თათბირში მონაწილეობდნენ: მთავარი მოსამართლე ლატიფურ რახმანი, ბანგლადეშიდან; მთავარი მოსამართლე ბჰასკარ რაო, ინდოეთის კარნატაკის შტატიდან; მთავარი მოსამართლის წარმომადგენელი, მოსამართლე გოვინდ ბაჰადურ შრეხსტა, ნეპალიდან; მთავარი მოსამართლე მ. ლ. უვაისი, ნიგერიიდან; სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე პიუს ლანგა; მთავარი მოსამართლე ფ.ლ. ნიალალი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკიდან; მოსამართლე ბ.ჯ. ოდოკი, უგანდიდან. ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტ მოსამართლე ქრისტოფერ ვეერამანტრის თავმჯდომარეობით შეიკრიბნენ; მომხსენებელი კი იყო ავსტრიის მაღალი სასამართლოს მოსამართლე მაიკლ კირბი. თათბირში დამკვერვებლის სახით მონაწილეობდნენ: დატო პარამა კუმარასვამი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის საკითხებში; მოსამართლე ერნსტ მარკელი, მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; და დოქტორი ჯუზეპე დი ჯენარო.

თათბირის მსვლელობისას სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფმა ორი გადწყვეტილება მიიღო: პირველი, ჯგუფი შეთანხმდა იმის თაობაზე, რომ მოსამართლეთა დაქვემდებარებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი მოითხოვს, ნაციონალური სასამართლო ორგანოები აქტიურად ჩაერთონ მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების ღონისძიებებში და ამ მიმართულებით შეუდგნენ საკუთარი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში სისტემური რეფორმების გატარებას; მეორე, ჯგუფმა აღიარა, რომ აუცილებელი იყო მოსამართლეთა ქცევის ისეთი სტანდარტების შესახებ უნივერსალურად მისაღები განცხადების შემუშავება, რომლებიც მიესადაგებოდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს და მოსამართლეთა თანამეგობრობის პატივისცემას დაიმსახურებდა, საბოლოო ჯამში კი, დაინერგებოდა ეროვნულ დონეზე თავად სასამართლოს მიერ აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თათბირის მონაწილე მოსამართლეებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იმას, რომ მოსამართლეთა ქცევის შესაბამისი სტანდარტების მიღება და დაცვის უზრუნველყოფა მოსამართლეთა კორპუსის სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და შენარ-

ჩუნების საქმეში. მათ შესთავაზეს დოქტორ ნიხარ დჯაიავიკრამას, სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის კოორდინატორს, ზოგიერთ იურისდიქციაში მიღებული მოსამართლეთა ქცევის კოდექსების ანალიზის ჩატარება და მოხსენების მომზადება: (ა) ყველა ამ კოდექსისათვის საერთო დებულებებისა და (ბ) იმ დამატებითი თუ არასავალდებულო დებულებების შესახებ, რომლებიც ზოგიერთ კოდექსში გვხვდება, და რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი ან შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყანაში.

III. გამოყენებული მასალები

მოსამართლეთა ქცევის კოდექსის პროექტის ზემოხსენებული პრინციპების შესაბამისად მომზადებისას სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფმა მიმართა ისეთ არსებულ კოდექსებსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორებიცაა:

ეროვნული კოდექსები:

- მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, მიღებული ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის დელეგატთა პალატის მიერ, 1972 წლის აგვისტო.
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების დეკლარაცია, გამოცემული ავსტრალიის მთავარი მოსამართლეების მიერ, 1997 წლის აპრილი.
- ბანგლადეშის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, შემოღებული მოსამართლეთა უმაღლესი საბჭოს მიერ უფლებამოსილებათა აღსასრულებლად, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 96-ე(4)(a) მუხლის შესაბამისად.
- ეთნიკური პრინციპები მოსამართლეებისათვის, მომზადებული კანადის მოსამართლეთა კონფერენციასთან ერთობლივად და დამტკიცებული კანადის მოსამართლეთა საბჭოს მიერ, 1998 წელი.
- აიდაჰოს შტატის მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, 1976 წელი.
- მოსამართლეთა ქცევის ნორმების ნუსხა, მიღებული ინდოეთის მთავარი მოსამართლეების კონფედერაციის მიერ, 1999 წელი.
- აიოვის შტატის მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, 1976 წელი.
- მალაიზიის მოსამართლეთა ქცევის ნორმების კოდექსი, შემოღებული იანგ დი პერტუან აგონგის მიერ, მთავარი მოსამართლის, სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტისა და მაღალი სასამართლოების მთავარი მოსამართლეების რეკომენდაციით, მალაიზიის ფედერალური კონსტიტუ-

ციის 125-ე(3A) მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა აღსასრულებლად.

- მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ნამიბიაში.
- მოსამართლეთა ქცევის განმსაზღვრელი წესები, ნიუ-იორკის შტატი, აშშ.
- ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის სასამართლო თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი.
- ქცევის კოდექსი, რომელიც უნდა დაიცვან პაკისტანის უზენაესი და მაღალი სასამართლოების მოსამართლეებმა.
- ფილიპინების მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, 1989 წლის სექტემბერი.
- ფილიპინების სასამართლო ეთიკის კანონები, შემოთავაზებული ფილიპინების ადვოკატთა ასოციაციის მიერ, დამტკიცებული მანილის პირველი ინსტანციის მოსამართლეების მიერ სახელმძღვანელოდ და უზენაესი სასამართლოს ზედამხედველობით მოსამართლეთა, მათ შორის, მუნიციპალური საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ დასაცავად მიღებული.
- ინსტრუქციები სამხრეთ აფრიკის მოსამართლეებისათვის, გამოცემული საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარი მოსამართლისა და პრეზიდენტის, მაღალი სასამართლოების, შრომითი დავების სააპელაციო სასამართლოსა და მიწის თაობაზე პრეტენზიების სასამართლოს პრეზიდენტების მიერ, 2000 წლის მარტი.
- ტანზანიის სასამართლო თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, მიღებული მოსამართლეთა და მაგისტრატების კონფერენციაზე, 1984 წელი.
- ტეხასის შტატის მოსამართლეთა ქცევის კოდექსი.
- უგანდის მოსამართლეების, მაგისტრატებისა და სხვა სასამართლო თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, 1989 წლის ივლისი.
- ქცევის კოდექსი, მომზადებული აშშ-ის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ.
- ვირჯინიის შტატის მოსამართლეთა ქცევის წესები, მიღებული და გამოქვეყნებული ვირჯინიის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ, 1998 წელი.
- მოსამართლეთა ქცევის წესები, დამტკიცებული ვაშინგტონის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ, აშშ, 1995 წლის ოქტომბერი.
- „სასამართლო სისტემის შესახებ“ კანონი (ქცევის კოდექსი), მიღებული ზამბიის პარლამენტის მიერ, 1999 წლის დეკემბერი.

რეგიონალური და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტი („სირაკუზის პრინციპები“), მომზადებული სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის, იურისტთა საერთაშორისო კომისიის და მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის ცენტრის მიერ მოწვეულ ექსპერტთა კომიტეტის მიერ, 1981 წელი.
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მინიმალური სტანდარტები, მიღებული იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ, 1982 წელი.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას, მოწონებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1985 წელი.
- მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საყოველთაო დეკლარაციის პროექტი („სინგხვის დეკლარაცია“), მომზადებული სასამართლოს დამოუკიდებლობის კვლევის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის, ბ-ნ ლ.ვ. სინგხვის მიერ, 1989 წელი.
- ATP-ის სამართლებრივი ასოციაციის მოქმედების ზონაში სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების შესახებ პეკინის განცხადება (*lawazia* – აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების იურისტთა ასოციაცია), მიღებული მთავარი მოსამართლეების მეექვსე კონფერენციის მიერ, 1997 წლის აგვისტო.
- ინსტრუქციები თანამეგობრობის ქვეყნებისათვის იმ ოპტიმალური პრაქტიკის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს აღმასრულებელი, საპარლამენტო და სასამართლო ურთიერთობებს ეფექტიანი მართვის, სამართლის უზენაესობის პრინციპისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით „ხერარეს პრინციპების“ ქმედითი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, 1998 წელი.
- მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტია, ევროპის საბჭო, 1998 წლის ივლისი.
- კორუფციის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის პოლიტიკური საფუძველი, შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ და მიღებული მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის ცენტრის მიერ, 2000 წლის თებერვალი.

IV. მოსამართლეთა ქცევის კოდექსის „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი

სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მეორე თათბირი გაიმართა ბანგალორში, ინდოეთში, 2001 წლის 24-26 თებერვალს. თათბირი მოწვეულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ხელშეწყობითა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველოს ფინანსური მხარდაჭერით. მასპინძელი იყო კარნატაკის შტატის (ინდოეთი) მაღალი სასამართლო და მთავრობა. თათბირის ფარგლებში ჯგუფმა მისთვის წარდგენილი პროექტის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა ძირითადი მაჩვენებლები, ჩამოაყალიბა უმთავრესი პრინციპები და შეთანხმდა მოსამართლეთა ქცევის კოდექსის პროექტის თაობაზე. ამასთანავე, ჯგუფმა აღიარა, რომ, ვინაიდან „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი, ძირითადად, შეიმუშავეს საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების მოსამართლეებმა, მნიშვნელოვანია, რომ ის დანვრილებით შეისწავლონ სხვაგვარი სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნების მოსამართლეებმა, რაც მათთვის სათანადოდ დამონმებული მოსამართლეთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის სტატუსის მინიჭების საფუძველი იქნება.

თათბირში მონაწილეობდნენ: მთავარი მოსამართლე მაინურ რეზა ჩოუდხური, ბანგლადეშიდან; მოსამართლე კლერ ლერო დიუბი, კანადიდან; მთავარი მოსამართლე პ.ვ. რედი, ინდოეთის კარნატაკის შტატიდან; მთავარი მოსამართლე კეშავ პრასად უპადჰაი, ნეპალიდან; მთავარი მოსამართლე მ. ლ. უვაისი, ნიგერიიდან; მთავარი მოსამართლის მოადგილე პიუს ლანგა, სამხრეთ აფრიკიდან; მთავარი მოსამართლე ს. ნ. სილვა, შრილანკიდან; მთავარი მოსამართლე ბ. ა. სამატა, ტანზანიიდან; და მთავარი მოსამართლე ბ.ჯ. ოჯოკი, უგანდიდან. თავმჯდომარე იყო მოსამართლე ვერამანტრი. თანამომხსენებლები იყვნენ: მოსამართლე კირბი; დატო პარამა კუმარასვამი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის საკითხებში; და მოსამართლე პ. ნ. ბჰაგვატი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი.

V. კონსულტაციების პროცესი

შემდეგი ოცი თვის განმავლობაში „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი ფართოდ გავრცელდა საერთო და კონტინენტური ევროპის სამართლის სის-

ტემათა ქვეყნების მოსამართლეებს შორის და განიხილებოდა მოსამართლეთა კონფერენციებსა და თათბირებზე, რომელთა მუშაობაშიც ყველა სამართლებრივი სისტემის 75-ზე მეტი ქვეყნის მთავარი და უფროსი მოსამართლეები მონაწილეობდნენ. ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით, „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი ითარგმნა სხვადასხვა ენაზე და განიხილეს მოსამართლეებმა, მოსამართლეთა ასოციაციებმა, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის საკონსტიტუციო და უზენაესმა სასამართლოებმა, კერძოდ: ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, კოსოვოში, რუმინეთში, სერბიასა და ხორვატიაში. მიღებული კომენტარების შესაბამისად, „ბანგალორის პრინციპების“ პროექტის ტექსტში შეტანილ იქნა შესწორებები.

2002 წლის ივნისში სტრასბურგის (საფრანგეთი) თათბირზე „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მოსამართლეთა პოზიციიდან განიხილა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფმა (CCJE-GT). თათბირის ფარგლებში შედგა ვრცელი და გულახდილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თათბირში მონაწილეობდნენ: ავსტრიის მოსამართლეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გერჰარდ რაისნერი, ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რობერტ ფრემერი, პარიზის სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი ალენ ლაკაბარატი, გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლე ოტო მალმანი, მაგისტრატი რაფაელე საბატო, იტალიიდან, ლიტვის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვირგილიუსი, ლუქსემბურგის სააპელაციო სასამართლოს მთავარი მრჩეველი ჟან-კლოდ ვივინიუსი, პორტუგალიის სააპელაციო სასამართლოს მრჩეველი ორლანდო აფონსო, სლოვენის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დუზან ოტრიზეკი, შვედეთის სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი იოჰან გირშფელდტი და ლორდი მოსამართლე მენსი, დიდი ბრიტანეთიდან.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულმა კომენტარებმა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (ემსს) სხვა დასკვნებთან ერთად, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს ეხება, კერძოდ, N1-მა დასკვნამ „სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა უცვლელობის სტანდარტების შესახებ“, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს „ბანგალორის პრინციპების“ პროექტზე შემდგომი მუშაობის პროცესში.

„ბანგალორის პრინციპების“ პროექტში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, შეტანილ იქნა შესწორებები, რომლებიც ეხებოდა მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ: ეთიკურ ნორმებს, თანამდებობასთან შეუთავსებელ ქცევასა და მიუკერძოებლობას, ასევე მოსამართლეთა ქცევის სხვა კოდექსებს, მათ შორის: ავსტრალიის მთავარი მოსამართლეების საბჭოს

მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ მოსამართლეთა ქცევის სახელმძღვანელოს, ბალტიის ქვეყნების მოსამართლეთა ქცევის ტიპობრივ კოდექსს, სასამართლო ეთიკის კოდექსს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსამართლეებისათვის, ასევე მაკედონიის მოსამართლეთა ასოციაციის მიერ მომზადებულ სასამართლო ეთიკის კოდექსს.

VI. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“

შესწორებული „ბანგალორის პრინციპების“ პროექტი გამოტანილ იქნა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების მთავარი მოსამართლეების (ან მათი წარმომადგენლების) „მრგვალი მაგიდის“ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2002 წლის 25-26 ნოემბერს ჰააგის მშვიდობის სასახლის იაპონურ დარბაზში (ნიდერლანდი), სადაც გაეროს საერთაშორისო სასამართლოს შტაბ-ბინაა განლაგებული. შეხვედრა მოწვეულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ხელშეწყობითა და გაეროს დამნაშავეობის თავიდან აცილების საერთაშორისო ღონისძიებათა ცენტრისა და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველოს ფინანსური მხარდაჭერით, მის ორგანიზებას კი ხელი შეუწყო ჰააგაში კარნეგის ფონდის გენერალურმა დირექტორმა.

შეხვედრას თავმჯდომარეობდა მოსამართლე ვერამანტრი. მონაწილეობდნენ: მოსამართლე ვლადიმირ დე ფრეიტასი, ბრაზილიის ფედერალური სააპელაციო სასამართლოდან; მთავარი მოსამართლე ივა ბროზოვა, ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოდან; უზენაესი მოსამართლე მოჰამად ფახტი ნაგიბი, ეგვიპტის უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოდან; მრჩეველი კრისტინ შანე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოდან; პრეზიდენტი ჯენარო დავიდ გონგორა პიმენტელი, მექსიკის ეროვნული უზენაესი სასამართლოდან; პრეზიდენტი მარიო მანგაზე, მოზამბიკის უზენაესი სასამართლოდან; პრეზიდენტი პიმ ჰააკი, ნიდერლანდის უმაღლესი საბჭოდან; მოსამართლე ტრონდ დოლვა, ნორვეგიის უზენაესი სასამართლოდან; და მოსამართლე ჰილარიო დავიდი, ფილიპინების უზენაესი სასამართლოდან. გარდა ამისა, ერთ-ერთ სხდომას ესწრებოდნენ ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები: მოსამართლე რაიმონდ რანჯევა (მადაგასკარი), მოსამართლე ჰეზ ჰერჩეტი (უნგრეთი), მოსამართლე კარლ-ავგუსტ ფლაიშჰაუერი (გერმანია), მოსამართლე აბდულ გ. კორომა (სიერა-ლიონე), მოსამართლე როზალინ ჰიგინსი (გაერთიანებული სამეფო), მოსამართლე ფრანსისკო რეზეკი (ბრაზილია), მოსამართლე ნაბილ ელარაბი (ეგვიპტე) და მოსა-

მართლე თომა ფრანკი (აშშ). შეხვედრას ესწრებოდა დატო პარამ კუმარასვამი, გაეროს სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის საკითხებში.

საერთო და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემების მოსამართლეები, ძირითადად, შეთანხმდნენ „ბანგალორის პრინციპების“ მთავარი ფასეულობებისა და პრინციპების თაობაზე. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დოკუმენტში მათი გადმოცემის სისტემამ და თანამიმდევრობამ, მაგალითად:

- გამოითქვა აზრი, რომ პრინციპები, რომლებიც ისეთ მაჩვენებლებს ეხება, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ასევე პატიოსნება (წარმოდგენილი თანამიმდევრობით), წინ უნდა უძღოდეს ეთიკური ნორმების (რომლებიც „ბანგალორის პრინციპების“ პროექტში პირველ ადგილზე იყო) დაცვისა და თანასწორობის შესახებ პრინციპებს.
- კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მოსამართლეებმა შეშფოთება გამოთქვეს სიტყვა „კოდექსის“ გამოყენებასთან დაკავშირებით (რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ აღიქმება როგორც სრული და ამომწურავი იურიდიული დოკუმენტი), მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული ეთიკის სტანდარტები განსხვავდება სტატუტის სამართლის ან დისციპლინური ნორმებისაგან.
- ეჭვქვეშ იქნა დაყენებული „ბანგალორის პრინციპების“ პროექტის პრეამბულაში მოცემული თეზისი, რომლის თანახმადაც: „სასამართლო ხელისუფლების რეალური წყარო არის საზოგადოების მიერ მოსამართლეთა მორალური ავტორიტეტის, ასევე პატიოსნების აღიარება“. გამოითქვა აზრი, რომ „რეალური წყარო არის კონსტიტუცია, და გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა, სახიფათოც კი აღმოჩნდეს იმის ზედმეტად ხაზგასმა, რომ სასამართლო ხელისუფლება, საბოლოოდ, საზოგადოების მხრიდან მის აღიარებაზე დამოკიდებული.

რაც შეეხება ჩამოყალიბებულ მაჩვენებლებსა და პრინციპებს, კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მოსამართლეებმა:

- ეჭვი გამოთქვეს იმ თეზისის საფუძვლიანობის თაობაზე, რომ მოსამართლე ვალდებულია, ინფორმირებული იყოს თავისი ოჯახის წევრების მატერიალური ინტერესის შესახებ, იმის მიუხედავად, ექმნება თუ არა საფრთხე მის მიუკერძოებლობას რეალურად ან საზოგადოების აზრით.
- გამოითქვა აზრი იმ თეზისის არამართლობიერების შესახებ, რომ მოსამართლე, რომელიც სხვა ვითარებაში ჩამოცილებული იქნებოდა საქმის განხილვას, თვითაცილების ნაცვლად აგრძელებს განხილვაში მონაწილე-

ობას, თუ მხარეები თანხმობას გამოთქვამენ (საერთო სამართლის სისტემის მოსამართლეებმა დასაშვებად ჩათვალეს).

- გამოითქვა ექვი „ბანგალორის პრინციპების“ პროექტში წარმოდგენილი მიდგომის მართლზომიერებასთან დაკავშირებით იმ საკმაოდ გავრცელებული შემთხვევისადმი, როგორცაა ქორწინება ან მჭიდრო პირადი ურთიერთობა ადვოკატთან. უფრო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დათქმის არსებობა მოსამართლის თვითაცილების (ნებისმიერი იმ საქმის განხილვისას, რომელშიც ამგვარი ურთიერთობის მეორე მხარე მონაწილეობს), და არა ამგვარი ურთიერთობის, აკრძალვის შესახებ.
- გამოითქვა ექვი დოკუმენტში „ნებადართული“ არასამოსამართლო საქმიანობების ჩამონათვალის ჩართვისა და, აგრეთვე, საერთაშორისო ნორმად ისეთი აკრძალვების მიღების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, როგორცაა: საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელით სახსრების შეგროვების ღონისძიებებში მონაწილეობის, ანდერძის აღმასრულებლის, რწმუნებით აღჭურვილი მმართველის, რწმუნებით აღჭურვილი მესაკუთრის, მეურვის ან სხვა ფიდუციარის ფუნქციის შესრულების, საგამოძიებო კომისიის წევრობის ან ნებისმიერი პირის რეპუტაციასა თუ ქცევასთან დაკავშირებით მონმის სახით ჩვენების მიცემის აკრძალვა.

თუმცა, ძირითადად, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხმა: ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში მოსამართლეების არჩევა ხდება მათი პარტიულობის გათვალისწინებით. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მოსამართლეს უფლება აქვს, ენეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას და არჩეულ იქნეს ადგილობრივ საბჭოებში (და, ამავე დროს, კვლავ ეკავოს მოსამართლის თანამდებობა) ან პარლამენტში (ამ შემთხვევაში მისი სამოსამართლო სტატუსი შეჩერებული უნდა იქნეს), ამიტომ სამართლის სისტემის მოსამართლეები აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად არ არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, უნდა ჰქონდეს თუ არა მოსამართლეს პოლიტიკური საქმიანობის უფლება. გამოითქვა აზრი, რომ ყოველმა ქვეყანამ თავად უნდა დაადგინოს გონივრული თანაფარდობა მოსამართლის საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე აზრისა და გამობატვის თავისუფლებასა და მოსამართლის ნეიტრალიტეტის შესახებ მოთხოვნას შორის. ამიტომ მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიის წევრობა ან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ განხილვებში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება უკანონოდ, თავი უნდა შეიკავოს ისეთი პოლიტიკური საქმიანობისაგან, რომელმაც შეიძლება შეარყიოს მისი დამოუკიდებლობა ან ექვექვე დააყენოს მისი მიუკერძოებლობა.

ამ თათბირის შედეგად მიღებულ იქნა „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“. დოკუმენტში წარმოდგენილია ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ეთიკური ნორმების დაცვა, თანასწორობა, ასევე კომპეტენტურობა და გულმოდგინება. ყოველ ამ მაჩვენებელს მოჰყვება შესაბამისი პრინციპი და მისი გამოყენების შესახებ უფრო დანვრილებითი მითითებები.

VII. ადამიანის უფლებათა საკითხების კომისია

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ დანართის სახით ახლდა 2003 წლის აპრილში გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის ორმოცდამეცხრამეტე სესიაზე დატო პარამ კუმარასვამის, მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მიერ წარმოდგენილ მოხსენებას. 2003/43 რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად იქნა მიღებული 2003 წლის 29 აპრილს, კომისიამ ცნობად მიიღო „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და განხილვის მიზნით გააცნო წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის შესაბამის ორგანოებს, ასევე სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2004 წლის აპრილში დოქტორმა ლეანდრო დესპუიმ, მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის საკითხებზე გაეროს ახალმა სპეციალურმა მომხსენებელმა თავის მოხსენებაში, რომელიც მან გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მესამოცე სესიას წარუდგინა, აღნიშნა:

კომისიამ შეშფოთება გამოთქვა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში გავრცელებული კორუფციისა და იმ მასშტაბების გამო, რომლებიც ამ მოვლენამ შეიძინა მსოფლიოში. ეს მოვლენა შორს გასცდა ეკონომიკური კორუფციის ფარგლებს, როცა საქმე ეხება პარლამენტების სასამართლო სისტემისათვის გამოყოფილი სახსრების არამიზნობრივ გამოყენებას ან „გასამრჯელოს“ აღებას (პრაქტიკა, რომელსაც შესაძლოა, მოსამართლეთა დაბალი ანაზღაურებაც უწყობდეს ხელს). ის შეიძლება, უკავშირდებოდეს ასევე სასამართლო ხელისუფლების შიდა ადმინისტრაციულ პრობლემებს (საჯაროობის არარსებობა, სარფიანი ადგილების სისტემა) და იძენდეს სამართალწარმოებაში მიკერძოებული მონაწილეობის ან სასამართლო ხელისუფლების პოლიტიზაციის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების, მოსამართლეთა კლანური დამოკიდებულების ან ნებისმიერი სასამართლო პროტექციონიზმის სახეს. ეს კი კიდევ უფრო საგანგაშოა, რადგან მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა მონოდება ზნეობრივი ავტორიტეტისა და მთელი საზოგადოების საიმედო და მიუკერ-

ძობელი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, მისი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში.

თუმცა მსგავსი ქმედებები თავისთავად შემაშფოთებელია, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოება აპრიორი კორუმპირებულად აღიქვამს სასამართლო ხელისუფლებას, განსაკუთრებით მძიმე შედეგებს იწვევს: მართლმსაჯულებისადმი უნდობლობა ძირს უთხრის დემოკრატიასა და განვითარების პროცესს და ხელს უწყობს კორუფციის დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, სასამართლო ეთიკის ნორმებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსამართლე არა მარტო უნდა იცავდეს მიუკერძოებლობის ობიექტურ კრიტერიუმებს, არამედ ხაზგასმით უნდა ცდილობდეს ამის დემონსტრირებას; დემოკრატიულ საზოგადოებაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს იმ ნდობას, რომელიც განსასჯელს უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართ. ამიტომაც ენიჭება ასეთი მნიშვნელობა „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ გავრცელებასა და პრაქტიკულ განხორციელებას, რომელთა ავტორებმაც დიდი ყურადღება დაუთმეს ორ ძირითად ტრადიციულ სამართლებრივ სისტემას (ზოგად სამართალსა და სამოქალაქო სამართალს) და რომლებიც კომისიამ ცნობად მიიღო თავის ორმოცდამეცხრამეტე სესიაზე.

სპეციალურმა მომხსენებელმა რეკომენდაცია გაუწია „ბანგალორის პრინციპების“ ყველა იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელსა და მოსამართლეებისა და ადვოკატების პროფესიულ ასოციაციებში გავრცელებას (სასურველია, შესაბამის ენებზე).

VIII. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები

ვენაში 2005 წლის ოქტომბერში ჩატარებულ მეოთხე თათბირზე სასამართლოს პატიოსნების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მოსამართლეებს, ადვოკატებსა და სამართლის რეფორმატორებს არაერთგზის გამოუხატავთ „ბანგალორის პრინციპების“ კომენტარების ან მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოს სახით განმარტებითი მემორანდუმის შემუშავების აუცილებლობა. ჯგუფი შეთანხმდა, რომ ამგვარი კომენტარები ან სახელმძღვანელო არა მარტო „ბანგალორის პრინციპების“ და მათში ასახული სხვადასხვა კულტურაში გავრცელებული სტანდარტების გაგებაში დაეხმარებოდა მოსამართლეებსა და მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის შედგენას, არამედ ამ მაჩვენებლებისა და პრინციპების გამოყენების შესაძლებლობის უფრო ღრმად და ფართოდ გააზრებაში იმ საკითხებთან, სიტუაციებთან და

პრობლემებთან მიმართებით, რომლებთანაც მათ შესაძლოა, მოუწიოთ შეხება. ამის გამო ჯგუფმა გადაწყვიტა, დაევალებინა კოორდინატორისათვის კომენტარების სამუშაო ვარიანტის მომზადება, რომელიც შემდეგ გადაეცემა ჯგუფს განსახილველად და შესაფასებლად.

IX. დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის კომისია

2006 წლის აპრილში დამნაშავეობის თავიდან აცილების კომისიის მეთხმუთმეტე სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად გაუწიეს რეკომენდაცია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ რეზოლუციის პროექტის მიღებას, რომელიც ეგვიპტის, საფრანგეთის, გერმანიის, ნიგერიისა და ფილიპინების მთავრობების მონაწილეობით მომზადდა და „მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების განმტკიცება“ ეწოდა. პროექტში ნათქვამია, რომ ეკონომიკური და სოციალური საბჭო:

- სთავაზობს ნევრ სახელმწიფოებს, თავიანთი შიდასამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსამართლეებისა და სასამართლოს მუშაკთა პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ქცევის ეთიკის განხილვისა და შემუშავების პროცესში რეკომენდაცია გაუწიონ სასამართლო ორგანოებს, გაითვალისწინონ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ (რომლებიც თან ერთვის რეზოლუციას);
- ხაზს უსვამს, რომ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ არის გენერალური ასამბლეის მიერ 40/32 და 40/146 რეზოლუციებით მოწონებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შემდგომი განვითარება და ავსებს მათ;
- აღიარებს იმ დიდ შრომას, რომელსაც სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფი ეწევა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ეგიდით, ასევე სხვა საერთაშორისო და რეგიონულ სასამართლო ფორუმებზე, რითაც წვლილი შეაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და პატიოსნების სტანდარტებისა და ღონისძიებების განვითარება-გავრცელებაში;
- თხოვნით მიმართავს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, შემდგომშიც ხელი შეუწყოს სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მუშაობას;

- მაღლიერებას უცხადებს წევრ სახელმწიფოებს ნებაყოფლობითი შენატანებისათვის, სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით;
- სთავაზობს წევრ სახელმწიფოებს, სათანადო წესით განახორციელონ ნებაყოფლობითი შენატანები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფონდში სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, ასევე კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის მეშვეობით შემდგომშიც გაუწიონ ტექნიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მათი თხოვნის შემთხვევაში, ამ ქვეყნების სასამართლოს პოტენციალის, პატიოსნების განსამტკიცებლად;
- სთხოვს წევრ სახელმწიფოებს, გაუგზავნონ გენერალურ მდივანს საკუთარი მოსაზრებები „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ თაობაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესწორებული დებულებებით;
- სთხოვს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფთან და სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ სასამართლო ფორუმებთან თანამშრომლობით მოიწვიოს ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თათბირი „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარების შემუშავების მიზნით, წევრი სახელმწიფოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და მათ მიერ შესწორებული დებულებების გათვალისწინებით;
- სთხოვს გენერალურ მდივანს, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის კომისიას მეთექვსმეტე სესიაზე წარუდგინოს რეზოლუციის შესრულების შესახებ ანგარიში.

X. ეკონომიკური და სოციალური საბჭო

2006 წლის 27 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ-მა და სოციალურმა საბჭომ კენჭისყრის გარეშე მიიღო 2006/23 რეზოლუცია: „მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების განმტკიცება“.

XI. სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თათბირი

2006 წლის მარტში სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის კოორდინატორ დოქტორ ნიხაი ჯაივიკრამას მიერ მომზადებული „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ განსახილველად წარედგინა სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს ინიციატივით შექმნილ ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივ თათბირს. თათბირს თავმჯდომარეობდნენ: მოსამართლე ვეერამანტრი და მთავარი მოსამართლე პიუს ლანგი, სამხრეთ აფრიკიდან. სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის წევრებიდან თათბირში მონაწილეობდნენ: მთავარი მოსამართლე ბ. ჯ. ოდოკი, უგანდიდან; მთავარი მოსამართლე ბ. ა. სამატა, ტანზანიიდან; მთავარი მოსამართლის მოადგილე ადელ ომარ შერიფი, ეგვიპტიდან; და ყოფილი მთავარი მოსამართლე მ. ლ. უვაისი, ნიგერიიდან; მოსამართლე მ.დ. კირბი, ავსტრალიის მაღალი სასამართლოდან, ვერ დაესწრო თათბირს და წერილობითი კომენტარები წარმოადგინა.

სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თათბირში მონაწილეობდნენ მოსამართლეები, სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები და ექსპერტები: მაგისტრრატი ნოურა ხაჩანი, ალჟირიდან; მოსამართლე ელენე ჰაიტონ დე ნოლასკო, არგენტინის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; მოსამართლეები – ნაზიმ ტაგიევი, რაუფ გულიევი და გულმირზა კავადოვი, აზერბაიჯანიდან; დოქტორი ოქტავიო ლისტერი, დომინიკელთა რესპუბლიკიდან; მოსამართლე მოჰამად ალი სიფი და მოსამართლე ელხამ ნგუბ ნავარი, ეგვიპტის უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოდან; საოლქო სასამართლოს მოსამართლე რიიტა კიისკი, ფინეთიდან; მოსამართლე კრისტინ შანე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მრჩეველი და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე; მოსამართლე ჰანსიორგ შერერი, გერმანიის საოლქო სასამართლოს მოსამართლე; მოსამართლე ურსულა ვეზენკენი, უნგრეთის უზენაესი სასამართლოდან; პროფესორი პაულიუს ეფენდიე ლოტულუნგი, ინდონეზიის მთავარი მოსამართლის მოადგილე; მოსამართლე მოჰამადალი შახგეიდარიპური, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან; კასპარს ბერკისი, ლატვიის იუსტიციის სამინისტროში სახელმწიფო მდივნის მოადგილე; დოქტორები – მუფტაჰ მოჰამედ კაზიტი, აბდელ-ჰაკიმ ალფიტურ ალ-ჰამრუნი, ნაგი აბდელ-სალამ ბურკანი და აჰმედ ელ ჰალამი, ლიბიის არაბული ჯამახერიიდან; ბრიი პრიკოპი, მოლდოვიდან; მოსამართლე აბდელლატიფ ჩერკაუი, კასაბლანკის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე; მოსამართლე ხადიჟა უაზანი ტოუხამი, მაროკოს უზენაესი სა-

სამართლოს პალატის თავმჯდომარე; მოსამართლე კოლინს პარკერი, ნამიბიის მაღალი სასამართლოდან; მოსამართლე რამ კუმარ პრასად შაჰი, ნეპალის უზენაესი სასამართლოდან; დენის დე იონგი, ადამიანის უფლებათა და მშვიდობის განმტკიცების საკითხებში მრჩეველი, ნიდერლანდის საგარეო საქმეთა სამინისტრო; მოსამართლე ტიმოთი ადეპოჯუ ოიეიპო, ეროვნული სასამართლო ინსტიტუტის ადმინისტრატორი, ფილომენა ჩინგვუ უვანდუ, მთავარი სახელმწიფო მრჩეველის თანაშემწე იუსტიციის ფედერალური სამინისტრო; ხადიზა იბრაჰიმ საელი, ეროვნული სასამართლო ინსტიტუტის დოქტორანტი, ნიგერია; სიედ ხაიდერ შაჰი დირექტორი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, პაკისტანიდან; ჰიომარა ბულგინ დე ვილსონი, პანამიდან; კრისტი დანილეტი იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი, რუმინეთიდან; მოსამართლე ხიონგ-ვონ ბე, კორეის რესპუბლიკიდან; იოვან კოსიჩი, იუსტიციის სამინისტრო, სერბეთიდან; მოსამართლე იგნასიო სანჩო გარაგალიო, ბარსელონის სააპელაციო სასამართლოს კომერციული დავების განყოფილების თავმჯდომარე, ესპანეთიდან; სუხადა გამლატი, მუდმივი მდივანი, იუსტიციისა და სასამართლო რეფორმების სამინისტრო, შრი-ლანკიდან; ბასარ საფიეი, სირიის არაბული რესპუბლიკის მუდმივი მისია; ჰენრი ხადული, უგანდიდან; კევენ დრისკოლი, უფროსი მრჩეველი, იუსტიციის სამინისტრო, აშშ.

მონაწილეებს შორის ასევე იყვნენ: ოლგა რუდა და საიმონ კონტი, ამერიკის იურისტთა ასოციაციიდან; ლორდი ჯონათან მენსი, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოდან, ევროპის კავშირი; დოქტორი დედო ჰეინიცი, იოჰანა ბეატე ვისლიუხი და გეორგ ჰუბერ-ბრაბენვარტერი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებიდან; პროფესორი ჯუზეპე დი ფედერიკო და დოქტორი ფრანცესკო კონტინი, სასამართლო სისტემების შემსწავლელი ინსტიტუტიდან, ბოლონია, იტალია; ჯოვანი პასკუა და მოსამართლე ხალედ ახმედი, კრიმინოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტიდან, სირაკუზა, იტალია; არკან ელ სებლანი, გაეროს განვითარების პროგრამიდან; კიტ ვოლცი, დოქტორი სტიუატ გილმანი, დოქტორი ოლივერ სტოლპე, ფილ მატშეზა, ალექსანდრა სუზა მარტინსი და უგონაია გრეის ეზეკვემი, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროდან; ფერდინანდ ლ. კ. ვამბალი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავარი მოსამართლის მოადგილე; ნემან გუნასეკერა, ადვოკატი, შრი-ლანკიდან.

თათბირის მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს კომენტარების პროექტი და ცალკე იმსჯელეს თითოეულ პარაგრაფზე. კონსულტაციების საფუძველზე დოკუმენტის პროექტში შესაბამისი შესწორებები იქნა შეტანილი. ქვემოთ მოყვანილი კომენტარები „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ სწორი გაგების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

XII. სანყისი დოკუმენტები

კომენტარების მომზადებისას მრავალი წყარო იქნა გამოყენებული. ისინი მოიცავს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, მოსამართლეთა ქცევის ეროვნულ კოდექსებს და მათ კომენტარებს, საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, სასამართლო ეთიკის კომიტეტების დასკვნებსა და სამეცნიერო ტრაქტატებს.

კომენტარებში გამოყენებული გამონათქვამების წყაროები მითითებულია სქოლიოებში. იმ შემთხვევებში, როცა ეროვნული და რეგიონალური წყაროებიდან ნასესხები დასკვნები და კომენტარები იმგვარად იყო ადაპტირებული, რომ სხვადასხვა სასამართლო სისტემების პირობებში ყოფილიყო შესაძლებელი მათი გამოყენება, წყაროები ტექსტში არ არის მითითებული. თუმცა ყველა გამოყენებული წყარო მოცემულია III ნაწილში, ასევე ნაწილში – „რჩეული ბიბლიოგრაფია“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამი წყარო: „პროფესიული ეთიკის პრინციპები მოსამართლეთათვის“, მომზადებული კანადის სასამართლო საბჭოს მიერ; ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები (2001-2006 წწ.), ევროპის საბჭო; „მოსამართლეთა ქცევის სახელმძღვანელო“, ჩინეთის ჰონკონგის განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონი.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
ეკონომიკური და სოციალური საბჭო
(ECOSOC)
2006/23**

**მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების
განმტკიცება**

ეკონომიკური და სოციალური საბჭო:

იმონმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას, შექმნან პირობები სამართლიანობის დასაცავად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის წახალისებასა და განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობისას;

იმონმებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელშიც აღიარებულია კანონის წინაშე თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლების პრინციპები;

იმონმებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს¹, რომლებითაც გარანტირებულია ამ უფლებათა დაცვა, და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით დამატებით გარანტირებულია პირის უფლება, გასამართლებულ იქნეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

იმონმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციას², რომლის მე-11 მუხლიც შეიცავს თითოეული წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას საკუთარი სამართლებრივი სისტემის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფის გარეშე მიიღოს ზომები მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პატიოსნების განმტკიცებისა და მათში კორუფციის ნებისმიერი შესაძლებლობის დაუშვებლობისათვის, მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა მოქმედებების მარეგულირებელი წესების ჩათვლით;

¹ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2200 A (XXI), დანართი.

² გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 58/4, დანართი.

დარწმუნებულია, რომ მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა შორის კორუფცია საზიანოა კანონიერებისათვის და აკნინებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი;

დარწმუნებულია, რომ სასამართლოს პატიოსნება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობებია;

იმონმებს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 იანვრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებს, რომლებშიც გენერალური ასამბლეის მიერ მოწონებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესის (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი) მიერ მიღებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები³;

იმონმებს ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეცხრე კონგრესის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს (კაირო, 1995 წლის 29 აპრილი – 8 მაისი)⁴, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის და სისხლის სამართლის სფეროში პროკურატურისა და ადვოკატურის სამსახურების სათანადო ფუნქციონირების შესახებ;

შეახსენებს, რომ 2000 წელს სამდივნოს დამნაშავეობის თავიდან აცილების საერთაშორისო ღონისძიებების ცენტრმა საერთო სამართლის სისტემის მთავარ მოსამართლეთა ჯგუფს შესთავაზა, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, სასამართლოს პატიოსნების უზრუნველყოფის კონცეფციის შემუშავება, რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენდა მოსამართლეთა ქცევის სტანდარტებზე და აამაღლებდა საზოგადოების ნდობას მართლწესრიგის უზრუნველყოფის სისტემის მიმართ;

შეახსენებს ასევე მოსამართლეთა ჯგუფის მეორე თათბირს სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე, რომელიც 2001 წელს ჩატარდა ბანგალორში (ინდოეთი) და რომელზეც მოსამართლეებმა აღიარეს სასამართლოს პატიოსნების უნივერსალურად მისაღები სტანდარტების დადგენის აუცილებლობა და შეიმუშავეს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“⁵;

შეახსენებს, რომ შემდგომში მოსამართლეთა ჯგუფმა სასამართლოს პატიოსნების საკითხთან დაკავშირებით საფუძვლიანი კონსულტაციები ჩატარა ყველანაირი სასამართლო სისტემის 80-ზე მეტი ქვეყნის სასამართლო ორგა-

³ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესის (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი) სამდივნოს მიერ მომზადებული მოხსენება (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა, იყიდება ნომრით R.86.IV.1), თავი I, კარი D2, დანართი.

⁴ იხ. A/CONF/169/16/Rev. 1, თავი I, რეზოლუცია 1, კარი III.

⁵ E/CN.4/2003/65, დანართი.

ნობთან, რის შედეგადაც სხვადასხვა მოსამართლის მიერ ფორუმებზე, მათ შორის, მთავარ მოსამართლეთა მრგვალ მაგიდასთან გამართულ თათბირზე, რომელიც ჰააგაში გაიმართა 2002 წლის 25 და 26 ნოემბერს და რომლის მუშაობაშიც კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მოსამართლეებმა და ასევე საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა მიიღეს მონაწილეობა, მოწონებულ იქნა „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“;

იმონმებს კომისიის ადამიანის უფლებებისა და მოსამართლეების, ნაფიცი მსაჯულების და ასესორების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის და ადვოკატთა დამოუკიდებლობის შესახებ 2003/43 რეზოლუციას, რომელშიც კომისიამ ცნობად მიიღო „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და ეს პრინციპები წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის შესაბამის ორგანოებს, ასევე სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო გახილვის მიზნით;

იმონმებს ასევე ადამიანის უფლებებისა და სასამართლო სისტემის ერთიანობის შესახებ კომისიის 2003/39 რეზოლუციას, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სასამართლო სისტემის ერთიანობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლმსაჯულების აღსრულებისას ნებისმიერი დისკრიმინაციის გამორიცხვის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა; და:

1. *სთავაზობს* წევრ სახელმწიფოებს, მათი შიდასამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პროფესიული კოდექსისა და ქცევის ეთიკის ნორმების განხილვისა თუ შემუშავების პროცესში რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ სასამართლო ორგანოებს, გაითვალისწინონ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“, რომლებიც ახლავს ამ რეზოლუციას;
2. *ხაზს უსვამს*, რომ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ არის გენერალური ასამბლეის მიერ 40/32 და 40/146 რეზოლუციებით მოწონებული სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების შემდგომი განვითარება და ავსებს მათ;
3. *აღიარებს* მნიშვნელოვან სამუშაოს, რომელსაც ეწევა მოსამართლეთა ჯგუფი სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხში გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ეგიდით, ასევე სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ სასამართლო ფორუმებზე, და რომელსაც წვლილი შეაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და პატიოსნების სტანდარტებისა და ღონისძიებების განვითარებასა და გავრცელებაში;
4. *სთხოვს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს არსებული არასაბიუჯეტო რესურსების ფარგლებში, სამმართველოს

რეგულარულ ბიუჯეტში⁶ არსებული რესურსების შესაძლო გამოყენებით, კერძოდ, მისი კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის მეშვეობით, შემდგომშიც ხელი შეუწყოს სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის საქმიანობას;

5. *მადლიერებას გამოთქვამს* წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც ნებაყოფლობითი შესატანები შეაქვთ სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის საქმიანობას; ხელშესაწყობად;
6. *სთავაზობს* წევრ სახელმწიფოებს, სათანადო წესით შეიტანონ ნებაყოფლობითი შესატანები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფონდში სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის საქმიანობის მხარდასაჭერად და კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის მეშვეობით კვლავაც განაგრძონ გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარება მათი თხოვნისამებრ, მათი სასამართლოს პოტენციალის და პატიოსნების განსამტკიცებლად;
7. *სთხოვს* ასევე წევრ სახელმწიფოებს, გაუგზავნონ გენერალურ მდივანს თავიანთი მოსაზრებები „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებთან“ დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში, გადასინჯვის შედეგად შეცვლილი დებულებების წარმოდგენით;
8. *სთხოვს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო რესურსების ფარგლებში სამმართველოს რეგულარულ ბიუჯეტში⁷ არსებული რესურსების შესაძლო გამოყენებით, სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფსა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ სასამართლო ფორუმებთან თანამშრომლობით მოინვიოს ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თათბირი, რომელიც შეიმუშავებს სასამართლოს პატიოსნების განმტკიცებასა და პოტენციალის ამაღლებაზე მიმართული ტექნიკური დახმარების პროცესში გამოსაყენებელ ტექნიკურ სახელმძღვანელოს, ასევე „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარებს, წევრი სახელმწიფოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და მათ მიერ შემოთავაზებული გადამუშავებული დებულებების გათვალისწინებით;

⁶ ეს ფორმულირება არ იძლევა რეგულარული ბიუჯეტის გაზრდის ან დამატებითი სახსრების მოთხოვნის საფუძველს.

⁷ ეს ფორმულირება არ იძლევა რეგულარული ბიუჯეტის გაზრდის ან დამატებითი სახსრების მოთხოვნის საფუძველს.

9. *სთხოვს* გენერალურ მდივანს, წარუდგინოს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას თავის მეთექვსმეტე სესიაზე ამ რეზოლუციის განხორციელების შესახებ ანგარიში.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
ეკონომიკური და სოციალური საბჭო
(ECOSOC)
2007/22**

მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების განმტკიცება

ეკონომიკური და სოციალური საბჭო:

იმონმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ადასტურებენ თავიანთ მისწრაფებას, შექმნან პირობები სამართლიანობის დასაცავად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის ნახალისებისა და განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისას;

იმონმებს ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას⁸, რომელშიც აღიარებულია კანონის წინაშე თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლების პრინციპები;

იმონმებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს⁹, რომლებითაც გარანტირებულია ამ უფლებათა დაცვა, და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით დამატებით გარანტირებულია პირის უფლება, გასამართლებულ იქნეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

იმონმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციას¹⁰, რომლის მე-11 მუხლიც შეიცავს თითოეული წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას, საკუთარი სამართლებრივი სისტემის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად და სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფის გარეშე, მიიღოს ზომები მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პატიოსნების განმტკიცებისა და მათში კორუფციის ნებისმიერი შესაძლებლობის დაუშვებლობისათვის, მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა მოქმედებების მარეგულირებელი წესების ჩათვლით;

⁸ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 217 A(III).

⁹ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2200 A (XXI), დანართი.

¹⁰ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 58/4, დანართი.

დარწმუნებულია, რომ მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა შორის კორუფცია საზიანოა კანონიერებისათვის და აკნინებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი;

დარწმუნებულია, რომ სასამართლოს პატიოსნება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობებია;

იმონმებს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 იანვრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებს, რომლებშიც გენერალური ასამბლეის მიერ მოწონებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესის (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი)¹¹ მიერ მიღებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები, სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შემცველი დეკლარაციის ჩათვლით;

იმონმებს ასევე გენერალური ასამბლეის 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციას, რომელშიც ასამბლეა მიესალმება სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს;

იმონმებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეცხრე კონგრესის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს (კაირო, 1995 წლის 29 აპრილი – 8 მაისი)¹² სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის და სისხლის სამართლის სფეროში პროკურატურისა და ადვოკატურის სამსახურების სათანადო ფუნქციონირების შესახებ;

იმონმებს ადამიანის უფლებათა კომისიის მოსამართლეების, ნაფიცი მსაჯულებისა და ასესორების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის და ადვოკატთა დამოუკიდებლობის შესახებ 2003 წლის 23 აპრილის 2003/43 რეზოლუციას, რომელშიც კომისიამ ცნობად მიიღო „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და ეს პრინციპები წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის შესაბამის ორგანოებს, ასევე სამთავრობათაშორისო და არსამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო განხილვის მიზნით;

იმონმებს ასევე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციას „მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების“ განმტკიცების შესახებ, რომელშიც საბჭო ხაზს უსვამს, რომ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შემდგომი განვითარებაა, ავსებს მათ და სთავაზობს წევრ სახელმ-

¹¹ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესის (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი) სამდივნოს მიერ მომზადებული მოხსენება (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა, R.86.IV.1), თავი I, კარი D2, დანართი.

¹² იხ. A/CONF/169/16/Rev. 1, თავი I, რეზოლუცია 1, კარი III.

ნიფოებს, თავიანთი შიდასამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პროფესიული კოდექსისა და ქცევის ეთიკის ნორმების განხილვისა თუ შემუშავების პროცესში რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ სასამართლო ორგანოებს, გაითვალისწინონ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები; და:

1. *მადლიერებით იღებს ცნობად* გენერალური მდივნის მოხსენებას „მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების“ განმტკიცების შესახებ¹³, კერძოდ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ განხორციელებაში მიღწეულ გარკვეულ პროგრესს¹⁴, რომლის თაობაზეც საუბრობს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მომხსენებელი;
2. *სთავაზობს* წევრ სახელმწიფოებს, მათი შიდასამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პროფესიული კოდექსისა და ქცევის ეთიკის ნორმების განხილვისა თუ შემუშავების პროცესში რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ სასამართლო ორგანოებს, გაითვალისწინონ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“;
3. *მოელის* მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარებზე მუშაობის დასრულებას და იწონებს იმ სამუშაოს, რომელიც ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის შესაბამისად შექმნილმა ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფმა და სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა გასწიეს;
4. *თხოვნით მიმართავს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში გადაითარგმნოს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ოფიციალურ ენაზე და გავრცელდეს წევრ სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო და რეგიონალურ სასამართლო ფორუმებზე და შესაბამის ორგანიზაციებში;
5. *თხოვნით მიმართავს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით გაგრძელდეს მუშაობა მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცებისა და სასამართლოს პოტენციალის ამაღლების ტექნიკური სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით და გადაეცეს ის წევრ სახელმწიფოებს კომენტირებისათვის;
6. ასევე *თხოვნით მიმართავს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში

¹³ E/CN.15/2007/12.

¹⁴ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია, 2006/23, დანართი.

სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე ჯგუფსა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ სასამართლო ფორუმებთან თანამშრომლობით მოწვეულ იქნეს ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის თათბირი მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცებისა და სასამართლოს პოტენციალის ამაღლების ტექნიკური სახელმძღვანელოს შემუშავების დასასრულებლად, წევრი სახელმწიფოების კომენტარების გათვალისწინებით;

7. *თხოვნით მიმართავს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, კერძოდ, კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის მეშვეობით შემუშავდეს და განხორციელდეს ტექნიკური თანამშრომლობის პროექტები და ღონისძიებები წევრი სახელმწიფოებისათვის, მათი თხოვნისამებრ დახმარების გასანეგად მოსამართლეთა და სასამართლოს მუშაკთა პროფესიული კოდექსისა და ქცევის ეთიკის ნორმების შემუშავებაში, ასევე „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ განხორციელებაში;
8. *თხოვნით მიმართავს* გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, არსებული არასაბიუჯეტო სახსრების ფარგლებში, განხილულ იქნეს ტექნიკური თანამშრომლობისა და ღონისძიებების პროექტების შემუშავების შესაძლებლობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა ორგანოების პატიოსნების განმტკიცების პოტენციალის ამაღლების მიზნით, კერძოდ პროკურატურისა და პოლიციის, ქვეყნებისა და შესაბამისი ორგანიზაციების ინიციატივების საფუძველზე;
9. *მადლიერებას გამოხატავს* წევრი სახელმწიფოებისადმი ნებაყოფლობითი შენატანებისათვის, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროში განხორციელებული ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ღონისძიებების ხელშეწყობისათვის, რომლებიც მიმართულია მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცებისა და სასამართლოს პოტენციალის ამაღლებისაკენ, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ განხორციელების წახალისების ჩათვლით.
10. *სთავაზობს* წევრ სახელმწიფოებს, სათანადო წესით შეიტანონ ნებაყოფლობითი შესატანები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფონდში სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის საქმიანობის მხარდასაჭერად და კორუფციასთან ბრძოლის გლობალური პროგრამის მეშვეობით კვლავაც განაგრძონ გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარება, მათი თხოვნისამებრ, მათივე სასამართლოს პოტენციალის და პატიოსნების გან-

სამტკიცებლად, მათ შორის, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ გამოყენებითა და განხორციელებით;

11. *თხოვნით მიმართავს* სამდივნოს, გაეგზავნოს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ კომენტარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კონვენციის წევრი სახელმწიფოების კონფერენციას მის მეორე სესიაზე;
12. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, წარუდგინოს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას თავის მეჩვიდმეტე სესიაზე ამ რეზოლუციის განხორციელების შესახებ ანგარიში.

45-ე პლენარული სხდომა

2007 წლის 26 ივლისი

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები

პრეამბულა

გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, რომელშიც ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულია ნებისმიერი პირისათვის თანაბარი უფლება, მათი უფლებებისა და მოვალეობების დადგენასთან ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალეულობასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საწყისებზე, ღია სასამართლო სხდომის პირობებში;

გათვალისწინებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა¹⁵, რომლითაც გარანტირებულია ყველა მოქალაქის თანასწორობა სასამართლოს წინაშე, აგრეთვე ყოველი პირის უფლება, დროულად იქნეს განხილული მათი უფლებებისა და მოვალეობების დადგენასთან ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალეულობასთან დაკავშირებული საქმე დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საწყისებზე, ღია სასამართლო სხდომის პირობებში, დადგენილი სასამართლო წესით;

გათვალისწინებით იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფუძემდებლური პრინციპები და უფლებები ასევე აღიარებული და ასახულია ადამიანის უფლებათა შესახებ ადგილობრივ აქტებში, ეროვნულ კონსტიტუციებში, სტატუტისა და ზოგად სამართალში, სასამართლო ჩვევებსა და ტრადიციებში;

გათვალისწინებით იმისა, რომ სასამართლოს კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში, ვინაიდან ყველა დანარჩენი უფლების განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებაზე;

გათვალისწინებით იმისა, რომ საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის, მისი მორალური ავტორიტეტისა და პატიოსნებისადმი პირველხარისხოვან როლს ასრულებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში;

გათვალისწინებით იმის აუცილებლობისა, რომ მოსამართლეები, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, აცნობიერებდნენ, რამდენად ღირსეული და საპატიოა მათ მიერ დაკავებული თანამდებობა, ესმოდეთ იმ ნდობის მნიშვნელობისა, რომელიც მათ საზოგადოებამ გამოუცხადა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ სასამართლო სისტემისადმი არსებული ნდობის მომავალში შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად;

¹⁵ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 2200 A (XXI), დანართი.

გათვალისწინებით იმისა, რომ მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტების წახალისება და ხელშეწყობა ყოველი სახელმწიფოს სასამართლოს უშუალო მოვალეობაა;

გათვალისწინებით აგრეთვე იმისა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები¹⁶ მონოდებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და შესანარჩუნებლად და განკუთვნილია უმეტესწილად სახელმწიფოებისათვის,

ქვემოთ მოყვანილი პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტების დადგენას. ისინი განკუთვნილია მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელოდ, ასევე სასამართლოსათვის მოსამართლეთა ქცევის რეგლამენტირების საბაზისო პრინციპების სახით გამოსაყენებლად. გარდა ამისა, მათ უნდა შეუწყონ ხელი მართლმსაჯულების აღსრულების პროცესის უკეთ გაგებასა და მხარდაჭერას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადვოკატებისა და მთლიანად საზოგადოების მხრიდან. ეს პრინციპები გულისხმობს, რომ თავიანთი ქცევებით მოსამართლეები ექვემდებარებიან შესაბამის ორგანოებს, რომლებიც სამოსამართლო სტანდარტების ხელშეწყობის მიზნითაა შექმნილი, ობიექტურად და დამოუკიდებლად მოქმედებენ და მიზნად ისახვენ მოსამართლეთა მიერ დასაცავი არსებული სამართლებრივი ნორმებისა და ქცევის წესების მნიშვნელობის არა დაკნინებას, არამედ ამაღლებას.

პირველი ღირებულება

დამოუკიდებლობა

პრინციპი

სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა დაიცვას და ცხოვრებაში დაამკვიდროს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი, როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ასპექტით.

¹⁶ იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეშვიდე კონგრესის (მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო – 6 სექტემბერი) სამდივნოს მიერ მომზადებული მოხსენება (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემა, იყიდება ნომრით – R86IV 1), თავი პირველი, კარი D2, დანართი.

გამოყენება

1.1 მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი მოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, ნაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს.

1.2 მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უნდა ჰქონდეს როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე იმ სასამართლო საქმის კონკრეტულ მხარეთა მიმართ, რომელზეც მან უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება.

1.3 მოსამართლემ არა მხოლოდ უნდა გამორიცხოს ნებისმიერი, თანამდებობისათვის შეუსაბამო ურთიერთობა ან ზემოქმედება ხელისუფლების აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო შტოების მხრიდან, არამედ ეს იმგვარად უნდა გააკეთოს, რომ ობიექტური დამკვირვებლისთვისაც ყველაფერი თვალსაჩინო იყოს.

1.4 იმ შემთხვევებში, როდესაც საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოსამართლემ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს, მან უნდა იმოქმედოს სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი დანარჩენი კოლეგების აზრისაგან დამოუკიდებლად.

1.5 მოსამართლემ უნდა დაიცვას და განამტკიცოს მოსამართლეების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების გარანტიები, მოსამართლეთა ინსტიტუციური და ოპერატიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით.

1.6 მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წაახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისათვის.

მეორე ღირებულება

მიუკერძოებლობა

პრინციპი

მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

გამოყენება

2.1 მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.

2.2 მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამალლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამალლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი.

2.3 მოსამართლე შეძლებისდაგვარად თავს უნდა იკავებდეს ისეთი ქცევისაგან, რომელიც შეიძლება გახდეს მისთვის სასამართლო სხდომებში მონაწილეობისა და სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლების ჩამორთმევის საფუძველი.

2.4 მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს შეგნებულად რაიმე კომენტარი იმ საქმეზე, რომელსაც ის განიხილავს, ან რომელიც შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, და რამაც შეიძლება, ვითარების გონივრულად შეფასებიდან გამომდინარე, რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ამ საქმის გადაწყვეტაზე ან ეჭვქვეშ დააყენოს პროცესის სამართლიანად წარმართვა. მოსამართლემ ასევე თავი უნდა შეიკავოს ისეთი საჯარო ან სხვა სახის კომენტარისაგან, რომელმაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ პირთან ან საკითხთან დაკავშირებული საქმის სამართლიან განხილვაზე.

2.5 მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება, ან, იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა, გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლეს შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა. ქვემოთ ჩამოთვლილია მსგავსი შემთხვევების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

2.5.1 მოსამართლეს რომელიმე მხარის მიმართ ჩამოუყალიბდა რეალურად მიკერძოებული ან წინასწარ შექმნილი (აკვიატებული) დამოკიდებულება, ან მისთვის საკუთარი წყაროებიდან ცნობილი გახდა რაიმე სახის მტკიცებულებითი ხასიათის ფაქტები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

2.5.2 დავის იმავე საგნის განხილვაში მოსამართლე ადრე მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, ან მინვეული იყო როგორც მნიშვნელოვანი მონაწილე;

2.5.3 მოსამართლეს ან მისი ოჯახის წევრებს აქვთ მატერიალური ინტერესი განსახილველი საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით;

მოსამართლე ვერ იქნება ჩამოცილებული საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმის განსახილველად ვერ დაინიშნება ვერანაირი სხვა სასამართლო განხილვა, ან, საქმის სასწრაფოდ განხილვის აუცილებლობი-

დან გამომდინარე, მისი გადაწყვეტის დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული სასამართლო შეცდომა.

მესამე ღირებულება

პატიოსნება

პრინციპი

პატიოსნება მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა.

გამოყენება

3.1 მოსამართლე უნდა იქცეოდეს სამაგალითოდ გარეშე დამკვირვებლისთვისაც კი.

3.2 მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

მეოთხე ღირებულება

ეთიკური ნორმების დაცვა

პრინციპი

ეთიკური ნორმების დაცვა, ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება მოსამართლეთა საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

გამოყენება

4.1 მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს, მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას.

4.2 საზოგადოების მხრიდან მუდმივი ყურადღება ვალდებულს ხდის მოსამართლეს, დაიცვას რიგი შეზღუდვებისა; და, მიუხედავად იმისა, რომ რიგითი მოქალაქისათვის ეს შეზღუდვები შესაძლოა მძიმე იყოს, მოსამართლე მათ ნე-

ბაყოფლობით და ხალისით უნდა იღებდეს. კერძოდ, მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მისი თანამდებობის მაღალ სტატუსს.

4.3 მოსამართლე იმ სასამართლოში მუდმივი პრაქტიკის მქონე ადვოკატებთან ურთიერთობისას, სადაც იგი განიხილავს საქმეებს, თავს უნდა არიდებდეს სიტუაციებს, რომლებმაც შესაძლოა, საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიონ, ან იმგვარად წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს რაიმე სახის მიკერძოება ამოძრავებდეს.

4.4 მოსამართლე არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, თუ მისი ოჯახის რომელიმე წევრი რომელიმე მხარის წარმომადგენელია, ან სხვაგვარად არის დაკავშირებული საქმესთან.

4.5 მოსამართლე არ უთმობს თავის საცხოვრებელ ადგილს სხვა ადვოკატებს კლიენტების მისაღებად თუ კოლეგებთან შესახვედრად.

4.6 მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამონახვის, აღმსარებლობის, შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობის თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისას მოსამართლე ყოველთვის ზრუნავს მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის დაცვაზე და თავს იკავებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან შეუთავსებელი ქმედებებისაგან.

4.7 მოსამართლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი პირადი და მატერიალური კონფიდენციალური ხასიათის ინტერესები და იღებდეს გონივრულ ზომებს საკუთარი ოჯახის წევრების მატერიალური ინტერესების თაობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად.

4.8 მოსამართლემ არ უნდა დაუშვას თავისი ოჯახის წევრების სოციალური თუ სხვაგვარი ურთიერთობების უარყოფითი გავლენა მოსამართლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ მის ქმედებებსა და მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

4.9 მოსამართლეს არ აქვს უფლება, გამოიყენოს საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტი, ან დაუშვას მისი გამოყენება თავისი, თავისი ოჯახის წევრების ან ნებისმიერი სხვა პირების ინტერესების მისაღწევად. მოსამართლემ არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, ან არ უნდა მისცეს სხვა პირებს იმგვარად მოქმედების უფლება, რომ შესაძლებელი იყოს დაასკვნან, რომ ვიღაც არასათანადო გავლენას ახდენს მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

4.10 მოსამართლემ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა გაუმჟღავნოს ვინმეს რაიმე სხვა ისეთი მიზნით, რომელიც არ უკავშირდება მოსამართლის მოვალეობების შესრულებას.

4.11 თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების პირობით მოსამართლეს უფლება აქვს:

4.11.1 ეწეოდეს ლიტერატურულ, პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობდეს ლექციებს, მონაწილეობდეს სამართალთან, კანონმდებლობასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასა და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

4.11.2 საქმის საჯარო განხილვისას ოფიციალური ორგანოების წინაშე წარდგეს სამართალთან, კანონმდებლობასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასა და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით;

4.11.3 იყოს ოფიციალური ორგანოს, სამთავრობო კომიტეტის, კომისიის, სათათბირო ორგანოს წევრი, თუ ამგვარი წევრობა საშუალებას აძლევს მოსამართლეს, დარჩეს მიუკერძოებელი და შეინარჩუნოს პოლიტიკურად ნეიტრალური პოზიცია;

4.11.4 ეწეოდეს სხვა საქმიანობას, თუ ის შეთავსებადია მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტატუსთან და არანაირად არ აფერხებს მის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას.

4.12 მოსამართლეს უფლება არ აქვს, ეწეოდეს იურიდიულ პრაქტიკას მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

4.13 მოსამართლეს უფლება აქვს, დააფუძნოს ან განეწიანდეს მოსამართლეთა ასოციაციებში, შევიდეს სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მოსამართლეთა ინტერესებს წარმოადგენენ.

4.14 მოსამართლესა და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ და მიიღონ რაიმე მატერიალური სიკეთე საჩუქრის, სესხის, საანდერძო დანაკისრის სახით, ან სხვა ფორმის დახმარება, თუ ეს უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მას განზრახული აქვს, ან მის უმოქმედობას თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.15 მოსამართლემ არ უნდა მისცეს უფლება სასამართლოს თანამშრომლებს, ასევე სხვა პირებს, – რომლებზეც ვრცელდება მოსამართლის გავლენა, არიან მის დაქვემდებარებაში, მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით, – მოითხოვონ ან მიიღონ რაიმე მატერიალური სიკეთე საჩუქრის, სესხის, საანდერძო დანაკისრის სახით, ან სხვა ფორმის დახმარება, თუ მოსამართლისათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ ეს უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მას განზრახული აქვს, ან მის უმოქმედობას თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების მიმართ.

4.16 საჯარო მხილების თაობაზე კანონში აკრძალვის ან სხვაგვარი კანონიერი შეზღუდვების არარსებობისას მოსამართლეს უფლება აქვს, მიიღოს შემთხვევის შესაბამისი საჩუქრები, ჯილდოები და პრივილეგიები, თუ ისინი არ ისახავს მიზნად, რაიმე გავლენა მოახდინოს მის მიერ საკუთარი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე, ან არ უკავშირდება სხვა ანგარებიან განზრახვას.

მეხუთე ღირებულება

თანასწორობა

პრინციპი

სასამართლო სხდომის ყველა მხარესთან თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის.

გამოყენება

5.1 მოსამართლეს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საზოგადოების ნაირგვარობაზე და აცნობიერებდეს იმ განსხვავებებს, რომელთა წარმოშობის წყაროებიც სხვადასხვაგვარია, მათ შორის: რასობრივი კუთვნილება, კანის ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, კასტა, შრომისუუნარობა, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა მსგავსი მიზეზები („რომლებიც არ ეხება საქმის გარემოებებს“).

5.2 თავისი სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას მოსამართლემ არც სიტყვით, არც ქცევით არ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მიკერძოება ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რომლის მიზეზებიც საქმის გარემოებებს არ ეხება.

5.3 მოსამართლე ასრულებს სამოსამართლო ფუნქციებს ყველა პირის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებით, კერძოდ: სასამართლოში განსახილველი საქმის მხარეების, მოწმეების, ადვოკატების, სასამართლოს თანამშრომლებისა და სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი კოლეგების ყოველგვარი, საქმისაგან განყენებული და ამ ფუნქციების აღსრულებისათვის არაარსებით საფუძვლებზე დამყარებული, განსხვავების გარეშე.

5.4 მოსამართლემ შეგნებულად არ უნდა დაუშვას სასამართლოს თანამშრომლების ან მოსამართლის გავლენის ქვეშ, მის დაქვემდებარებაში თუ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სხვა პირების მხრიდან რაიმე, საქმისაგან განყენებული საფუძვლით, დიფერენცირებული მიდგომა ამ პირების მიმართ, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

5.5 მოსამართლე მოითხოვს სასამართლო განხილვაში მონაწილე ადვოკატებისაგან, რომ მათ თავი შეიკავონ სიტყვით თუ ქცევით მიკერძოების ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისაგან საქმისაგან განყენებულ საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას სასამართ-

ლო განხილვის საგნისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება, გამართლებული იყოს კანონიერ საფუძველზე.

მექვესე ღირებულება

კომპეტენტურობა და გულმოდგინება

პრინციპი

კომპეტენტურობა და გულმოდგინება მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების აუცილებელი პირობებია.

გამოყენება

6.1 მოსამართლის სამოსამართლო ფუნქციებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა სხვა სახის საქმიანობასთან შედარებით.

6.2 მოსამართლე თავის პროფესიულ საქმიანობას უძღვნის სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას, რომლებშიც შედის არა მხოლოდ სამოსამართლო და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულება სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ სხვა ამოცანებიც, რომლებიც მოსამართლის თანამდებობასთან ან სასამართლოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

6.3 მოსამართლე გონივრულ ზომებს იღებს თავისი ცოდნის შენარჩუნებისა და გაღრმავების, მის მიერ საკუთარი მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების დახვეწის მიზნით, რისთვისაც იყენებს იმ სასწავლო საშუალებებსა და სხვა შესაძლებლობებს, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს მოსამართლეთათვის სასამართლო კონტროლის პირობებში.

6.4. მოსამართლე უნდა იცნობდეს საერთაშორისო კანონმდებლობის ყველა შესაბამის ცვლილებას, საერთაშორისო კონვენციებისა და სხვა დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედ ნორმებს ადგენს.

6.5. მოსამართლე ყველა თავის მოვალეობას, გადადებული გადანყვეტილებების გამოტანის ჩათვლით, ასრულებს გონივრულად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად.

6.6. მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მონმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალუ-

რი სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

6.7 მოსამართლე არ უნდა ენეოდეს სამოსამართლო ფუნქციების ზედმინევენით გულმოდგინედ შესრულებასთან შეუთავსებელ საქმიანობას.

ამოქმედება

მოსამართლის თანამდებობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოსთვის აუცილებელია, გაატარონ ეფექტიანი ღონისძიებები აღნიშნული პრინციპების ასამოქმედებელი მექანიზმების შესაქმნელად, თუ ამგვარი მექანიზმები მათი იურისდიქციის ფარგლებში ჯერ არ არსებობს.

განმარტებები

პრინციპების შესახებ ამ განცხადებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შინაარსიდან გამომდინარე დასაშვები ან აუცილებელია სხვაგვარი განმარტება):

„სასამართლოს თანამშრომლები“ – მოსამართლის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალი, მათ შორის, სასამართლო საქმეთა მწარმოებლები;

„მოსამართლე“ – ნებისმიერი პირი, რომელიც აღჭურვილია სამოსამართლო უფლებამოსილებით, მიუხედავად უფლებამოსილების მინიჭების პროცედურისა;

„მოსამართლის ოჯახის წევრები“ – მეუღლე, შვილები, გერები და ნებისმიერი სხვა ახლო ნათესავი ან პირი, რომელიც მოსამართლის ოჯახში ცხოვრობს, არის მისი პარტნიორი ან დაქირავებული მუშაკი;

„მოსამართლის მეუღლე“ – მოსამართლის ოჯახური პარტნიორი ან მოსამართლესთან მჭიდრო პირადი ურთიერთობის მქონე ნებისმიერი სქესის ნებისმიერი სხვა პირი.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“

კომენტარები

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები

პრეამბულა

გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, რომელშიც ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულია ნებისმიერი პირისათვის თანაბარი უფლება, მათი უფლებებისა და მოვალეობების დადგენასთან ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალეულობასთან დაკავშირებული საქმე განხილულ იქნეს დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საწყისებზე ღია სასამართლო სხდომის პირობებში.

კომენტარი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული და აღიარებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ:

ყოველ ადამიანს თავის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის ნაყენებული სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ ერთხმად იქნა მიღებული, ჩადებულია იმ უფლებათა არსის „საყოველთაო გაგება“, რომელთა პატივისცემისა და დაცვის ვალდებულებასაც ისინი იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გლობალური მასშტაბით გამოყენებადი პირველი დოკუმენტია, რომელშიც სრულადაა გადმოცემული ადამიანის უფლებათა შესახებ დებულებები. საკუთრივ საყოველთაო დეკლარაცია არ იყო ჩაფიქრებული როგორც იურიდიულად აუცილებელი სამართლებრივი აქტი – ეს სწორედ დეკლარაციაა და არა ხელშეკრულება. თუმცა ეს დოკუმენტი განიხილება როგორც ძირითადი არგუმენტირებული სახელმძღვანელო გაეროს წესდებაში მოცემული გამოთქმის – „ადამიანის ფუძემდებლური უფლებები და თავისუფლებები“ – განმარტებისა და გაგებისათვის. და მართლაც,

უკვე 1971 წელს სასამართლო წესით იქნა აღიარებული, რომ „თუმცა დეკლარაციის დებულებები, საერთაშორისო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, არ არის სავალდებულო ხასიათისა, ისინი შეიძლება, ვალდებულებათა სახით დაეკისროს სახელმწიფოებს ჩვეულების საფუძველზე.., ან იმის გამო, რომ ისინი ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციაა,, ან იმიტომ, რომ ჩვეულების ძალა შეიძინეს კანონად მიღებული დამკვიდრებული პრაქტიკის წყალობით“.¹⁷

¹⁷ Legal Consequences for states of the Continued Presence of South Africa in Namibia (South-West Africa) Notwithstanding Security Council Resolution 276 (1970), ICJ Reports 1971, separate opinion of Vice-President Ammoun, at p.76.

გათვალისწინებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა, რომლითაც გარანტირებულია ყველა მოქალაქის თანასწორობა სასამართლოს წინაშე, აგრეთვე ყოველი პირის უფლება, დროულად იქნეს განხილული მათი უფლებებისა და მოვალეობების დადგენასთან ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალეულობასთან დაკავშირებული საქმე დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის საწყისებზე, ღია სასამართლო სხდომის პირობებში, დადგენილი სასამართლო წესით.

კომენტარი

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

3. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ:

ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის ნაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ერთსულოვნად იქნა მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს და 1976 წლის 23 მარტს ძალაში შევიდა გაეროს გენერალურ მდივანთან ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ. 2007 წლის 20 ივლისის მდგომარეობით პაქტი რატიფიცირებულია 160 სახელმწიფოს მიერ, ან ისინი შეუერთდნენ პაქტს და ამით ხელშემკვრელ ვალდებულებებად მიიღეს მისი დებულებები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

სახელმწიფოთა ვალდებულებები

5. როდესაც რომელიმე სახელმწიფო ახდენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირებას ან უერთდება მას,

ის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებში სამ ვალდებულებას იღებს: პირველი, ის კისრულობს, „პატივი სცეს და უზრუნველყოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის“ ამ პაქტში აღიარებული უფლებები, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებისა“; მეორე, პაქტის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ეკისრება, საკუთარი კონსტიტუციური პროცედურებისა და ამ პაქტის დებულებების შესაბამისად, აუცილებელი ზომები მიიღოს იმ საკანონმდებლო თუ სხვა ღონისძიებების გასატარებლად, რომლებიც შესაძლოა, აუცილებელი იყოს ამგვარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის; მესამე, პაქტის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ეკისრება, უზრუნველყოს თითოეული პირისთვის, რომლის უფლებები და თავისუფლებებიც ირღვევა, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, მაშინაც, როცა ეს უფლებები ირღვევა ოფიციალური სტატუსით მოქმედი პირების მიერ. უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი პირის უფლება, მიიღოს სამართლებრივი დაცვა, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დაადგინოს კომპეტენტურმა სასამართლომ, ადმინისტრაციულმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებულმა სხვა ნებისმიერმა კომპეტენტურმა ორგანომ და განავითაროს სასამართლო დაცვის საშუალებები. უზრუნველყოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სასამართლო დაცვის საშუალებების გამოყენება, როდესაც მათი შეთავაზება ხდება.

საერთაშორისო სამართლის სტატუსი

6. საერთაშორისო სამართლის სტატუსს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, როგორც წესი, განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა, შესაბამისად, სხვადასხვა იურისდიქციის ფარგლებში სხვადასხვა წესი გამოიყენება: იმ ქვეყნებში, სადაც მონისტურ თეორიას ემხრობიან, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ერთი და იმავე საკითხის მიმართ პარალელურად მოქმედებს და მათ შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება საერთაშორისო სამართალს; იმ ქვეყნებში კი, სადაც უპირატესობას დუალისტურ თეორიას ანიჭებენ, საერთაშორისო სამართალი და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი განიხილება როგორც სამართლის ორი ცალკეული სისტემა, რომლებიც განსხვავებულ სფეროებს არეგულირებენ. ისინი ურთიერთგამომრიცხავია და ერთი არანაირად არ მოქმედებს მეორეზე, იქამდე, სანამ საერთაშორისო სამართლის ეროვნულ სამართალში ინკორპორირება არ მოხდება. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ხელშეკრულების

დადება აღმასრულებელი ხელისუფლების აქტია, მაშინ, როცა მასში მოცემული დებულებების აღსრულებისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ცვლილებას იწვევენ, საკანონმდებლო ხელისუფლების აქტია საჭირო. მაგრამ ამჟამად ბევრი სახელმწიფო, რომლებიც დუალისტურ თეორიას იზიარებენ, ადამიანის ფუძემდებლური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვას განიხილავს როგორც აუცილებელ ან, სულ მცირე, იმგვარ მოთხოვნას, რომელიც გავლენას ახდენს შიდასახელმწიფოებრივი ნორმების დადგენაზე და აისახება მათში.

გათვალისწინებით იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფუძემდებლური პრინციპები და უფლებები ასევე აღიარებული და ასახულია ადამიანის უფლებათა შესახებ ადგილობრივ აქტებში, ეროვნულ კონსტიტუციებში, სტატუტისა და ზოგად სამართალში, სასამართლო ჩვევებსა და ტრადიციებში.

კომენტარი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

7. 1950 წლის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ:

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას საქმე გონივრულ ვადებში, სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენცია

8. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ:

ყოველ ადამიანს უფლება აქვს, მისი საქმე სათანადო გარანტიებითა და გონივრულ ვადებში მოისმინოს კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ, რომელიც კანონის საფუძველზე შეიქმნა მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდების დასაბუთების ან მისი სამოქალაქო, შრომითი, ფინანსური თუ სხვა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის.

ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია

9. 1981 წლის ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტიის მე-7 პუნქტის პირველ მუხლში ნათქვამია:

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნეს. ამას განეკუთვნება:

...(ე) მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადებში განხილვა.

26-ე მუხლი ადასტურებს, რომ:

ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ, უზრუნველყონ სასამართლოების დამოუკიდებლობის გარანტირება...

გათვალისწინებით იმისა, რომ სასამართლოს კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში, ვინაიდან ყველა დანარჩენი უფლების განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებაზე.

გათვალისწინებით იმისა, რომ სასამართლოს კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ სასამართლოებმა შესრულონ თავიანთი როლი კონსტიტუციონალიზმისა და მართლწესრიგის დაცვაში.

კომენტარი

კონსტიტუციონალიზმი

10. კონსტიტუციონალიზმის ცნება შემდეგნაირად განიმარტება:

კონსტიტუციონალიზმის იდეა გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლების განხორციელებას უნდა არეგულირებდეს წესები, რომლებშიც განერილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების აღსრულების პროცედურები და დადგენილია მათი შინაარსის დასაშვები საზღვრები. რამდენად რეალურია კონსტიტუციონალიზმი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზღუდავს ეს წესები განუკითხაობას და ვისიმე შეხედულებისამებრ გადანყვეტილებების მიღების თავისუფლებას, რამდენად იცავენ ამ წესებს ისინი, ვინც პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ; აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად ეძლევა გასაქანი პირადი თავისუფლების განხორციელებას „აკრძალულ ზონებში“, რომელთა ხელყოფაც ხელისუფლებისათვის აკრძალულია.¹⁸

სამართლის უზენაესობის პრინციპი

11. ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მართლწესრიგისა და კანონის ძალაუფლების (უზენაესობის) უზრუნველყოფისათვის, შემდეგნაირადაა განმარტებული:

მიზეზი, თუ რატომ არის სასამართლოს დამოუკიდებლობა ასეთი მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, ისაა, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როდესაც მასში სამართალი და კანონი ბატონობს... კანონი, რომელიც ერთნაირად ზღუდავს მათაც, ვინც მართავს, და მათაც, ვისაც მართავენ; რომელიც მიუკერძოებლად გამოიყენება და რომლის წინაშეც თანასწორია ყველა –

¹⁸ S.A. de Smith, *The New Commonwealth and its Constitutions* (London, Stevens, 1964), 106.

ისიც, ვისაც ესაჭიროება კანონით დადგენილი დამცავი საშუალებები და ისიც, ვისგან დასაცავადაცაა მოწოდებული ეს საშუალებები. რა ბუნდოვანიც არ უნდა იყოს წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა არის სამართლის უზენაესობა, და რამდენად გაურკვეველადაც არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონის ბატონობის შესახებ აზრი, მისკენ მიილტვის უკლებლივ ყველა ადამიანი – ქალი იქნება თუ კაცი. მისი განხორციელება კი იმაზე დამოკიდებული, რამდენად მიუკერძოებლად აღასრულებენ კანონს მოსამართლეები. ამ საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებისათვის საჭიროა, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელი იყვნენ და ასეთებად აღიქმებოდნენ. ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს მათ თავისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლების დიქტატისაგან... მაგრამ გადანყვეტილებები, რომლებიც ახლა მიიღება, იმდენად მრავალგვარი და მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია, ვისაუბროთ ნებისმიერი ისეთი გავლენისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე, რომელმაც შეიძლება, გადანყვეტილების მიღებისას მიკერძოება გამოიწვიოს, ან განიხილებოდეს როგორც მიკერძოების გამომწვევი. აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა განსახილველი ცნების საკვანძო კონცეპტია, მაგრამ ამჟამად უკვე აღარ არის დამოუკიდებლობის ერთადერთი მნიშვნელოვანი კატეგორია.¹⁹

სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

12. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონცეფცია ამჟამად უფრო ფართო კონტექსტში განიხილება:

საბოლოოდ, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბრისას ისმის კითხვა: „დამოუკიდებლობა ვისგან ან რისგან?“ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პასუხი ასეთია: „ხელისუფლებისგან“. ვფიქრობ, წარმოუდგენელიცაა ვითარება, როცა მოსამართლეების, რომელთა მოწოდებაცაა გადანყვეტილებების მიღება, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან თავისუფლება აუცილებელი არ არის. მოსამართლეები არ უნდა ემორჩილებოდნენ პარლამენტში გამოთქმულ მოსაზრებებს, არ უნდა იღებდნენ განსახილველ საქმეებზე გადანყვეტილებებს მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის მოწოდების დასამსახურებლად ან მისი წყრომის თავიდან ასაცილებლად. მათ ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მიუკერძოებლობისა და სამართლიანობისადმი ნდობა არ უნდა შეარყიოს რაიმე სახის წარმოდგენებმა – იქნება ეს პროფესიული, კომერციული, პირადი თუ სხვა მოსაზრებით.²⁰

¹⁹ Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, “Judicial Independence”, The Australian Judicial Conference, 2 November 1996, Canberra, available from www.hcourt.gov.au.

²⁰ Lord Bingham of Cornhill, Lord Chief Justice of England, “Judicial Independence”, Judicial Studies Board: Annual Lecture 1996, available from www.jsboard.co.uk.

გათვალისწინებით იმისა, რომ საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი, ასევე მისი ავტორიტეტისადმი სასამართლოს მორალის და პატიოსნების საკითხებში პირველხარისხოვან როლს ასრულებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

კომენტარი

საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი

13. სწორედ სასამართლოების დამოუკიდებლობისადმი, მოსამართლეების პატიოსნებისადმი, სასამართლო პროცესების მიუკერძოებლობისა და ქმედითობისადმი საზოგადოების ნდობაზე არის დამყარებული სასამართლო სისტემის არსებობა სახელმწიფოში. როგორც ერთმა მოსამართლემ შენიშნა:

„სასამართლოს ავტორიტეტი... სასამართლოსი, რომელსაც არც ქისა აქვს, არც ხმალი, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება იმით, რამდენად სჯერა საზოგადოებას, რომ მას აქვს გადაწყვეტილებების მიღების მორალური უფლება. საზოგადოების სასამართლოსადმი ამგვარი დამოკიდებულება უნდა განამტკიცოს მისმა სრულმა, როგორც ფაქტობრივმა, ასევე გარეგნულმა, განყენებულობამ ყოველგვარი პოლიტიკური პროცესისაგან; სასამართლომ არ უნდა დაუშვას მისი ჩართვა რაიმე სახის პოლიტიკურ დაპირისპირებებსა თუ შეთანხმებებში.“²¹

²¹ Baker v. Carr, Supreme Court of the United States of America, (1962) 369 US 186, per Justice Frankfurter.

გათვალისწინებით იმის აუცილებლობისა, რომ მოსამართლეები, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, აცნობიერებდნენ, რამდენად ღირსეული და საპატიოა მათ მიერ დაკავებული თანამდებობა, ესმოდეთ იმ ნდობის მნიშვნელობისა, რომელიც მათ საზოგადოებამ გამოუცხადა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ სასამართლო სისტემისადმი არსებული ნდობის მომავალში შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად.

კომენტარი

კოლექტიური პასუხისმგებლობა

14. მოსამართლეს თავის მოვალეობად უნდა მიაჩნდეს არა მარტო ქცევის მაღალი სტანდარტების დაცვა, არამედ მათი დადგენის, ხელშეწყობისა და დაცვის კოლექტიურ მუშაობაში მონაწილეობა. მოსამართლისათვის შეუფერებელი ქცევის ერთმა შემთხვევამაც კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს.

მოსამართლის თანამდებობა

15. ერთმა მთავარმა მოსამართლემ თავისი სასამართლო ოლქის ახალდანიშნულ მოსამართლეებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მოსამართლის როლია, საზოგადოებას ემსახუროს ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორცაა მართლმსაჯულების აღსრულება კანონის შესაბამისად. თქვენი თანამდებობა გაძლევთ ამის საშუალებას და ეს თქვენი პრივილეგიაა. თქვენი თანამდებობა მსახურებას მოითხოვს და ეს თქვენი ვალია. ცხადია, თქვენ გქონდათ როგორც პირადი, ისე პროფესიული ხასიათის მრავალი მიზეზი ამ დანიშვნის მისაღებად, თუმცა მოსამართლე ვერ მიაღწევს წარმატებას და ვერ განიცდის კმაყოფილებას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან, თუ მუდმივად არ აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის საქმე, რომელსაც ის ემსახურება. სწორედ მის ამ საქმისადმი ერთგულებასა და მოკიდებული საბოლოოდ საზოგადოების საფუძვლები, რომლებსაც ჩვენ ასე ვაფასებთ – თავისუფლება, მშვიდობა, მართლწესრიგი და სათანადო მმართველობა. კანონი საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ ბატონობს, როცა საზოგადოება დარწმუნებულია მოსამართლეების პატიოსნებასა და წესიერებაში და მათ უნარში, სათანადოდ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები. ყოველივე ამან თქვენი საქმიანობის უდიდესი მნიშვნელობის შეგნება უნდა განგიმტკიცოთ. როდესაც

საქმის სიახლის ხიბლი გაქრება, როდესაც განსახილველ საქმეთა წყება უსასრულოდ მოგერვნებათ, ხოლო თქვენი გარჯა – სიზიფეს შრომად, ერთადერთი, რამაც წინ უნდა გიბიძგოთ, იქნება ის, რომ საქმე, რომელსაც ემსახურებით, არის იმ საზოგადოების ფუნდამენტი, რომელშიც ცხოვრობთ.

თქვენ გენიჭებათ იმ უფლებამოსილებების განხორციელების განსაკუთრებული უფლება, რომლებიც თქვენს თანამდებობას ახლავს და რომელთა დასრულების შემდეგაც, როდესაც ამის დრო მოვა, მოვალე ხართ, შეუბღალავი დატოვოთ ის. თქვენი სიტყვა და მოქმედება, როგორც საჯარო, ისე, გარკვეულწილად, პირად ცხოვრებაში, საზოგადოების მხრიდან თქვენი საქმისადმი დამოკიდებულებასა და იმ პატივისცემაზე მოახდენს გავლენას, რომელსაც ეს საქმე უნდა იწვევდეს. დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძლება მოჰყვეს საჭესთან თქვენს არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნას ან საგადასახადო დეკლარაციაში შემოსავლების შემცირებას. თქვენს ყოველ ნაბიჯს უმკაცრესი სტანდარტებით განსჯიან და ვინაიდან ეს შეეფერება კიდევ თქვენს თანამდებობას, იმავე სტანდარტებით იხელმძღვანელებთ თქვენს ქცევაში თქვენც. ეს შეეხება ნებისმიერ, როგორც მცირე, ისე დიდ, საკითხს.

სიამაყეს, რომელსაც განიცდით მოსამართლის თანამდებობის გამო, თავმდაბლობა უნდა ახლდეს: თქვენ უნდა გაფიქრებდეთ, შეგიძლიათ თუ არა, მართლაც შეესაბამებოდეთ იმ მაღალ სტანდარტებს, რომლებიც თქვენმა წინამორბედებმა დაამკვიდრეს, როგორც ამას საზოგადოება მოელის თქვენგან. არსებობენ იმდენად თავდაჯერებული მოსამართლეები, რომლებსაც თავშიც არ მოსდით, დაეჭვდნენ, შეუძლიათ თუ არა, სათანადო დონეზე შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვერცერთმა ასეთმა მოსამართლემ ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში გამოცდილებას რომ დააგროვებთ, ნაკლებად იღვლეებთ ამის თაობაზე, ოღონდ ეს იქნება არა იმდენად მიღწეულით დაკმაყოფილება, რამდენადაც საკუთარი შესაძლებლობების თაობაზე რეალისტური წარმოდგენა. თუ ადამიანი ნამდვილად ცდილობს, ყველაფერი საუკეთესოდ გააკეთოს, საკუთარ ნაკლოვანებებზე მეტისმეტად წუხილი მხოლოდ ხელისშემშლელია. ინტელექტუალური თავმდაბლობა, მოვალეობისა და საკუთარი ღირსების გრძნობა, იმის შეგნება, რომ თქვენს ყოველ ნაბიჯს სასამართლო პროცესის მსვლელობისას საზოგადოება და კოლეგები ადევნებენ თვალს, ის ფაქტორებია, რომლებიც მოსამართლეს შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევაში ეხმარება.

თქვენ გახდით ან გახდებით ამ ელიტის ნაწილი, ელიტისა, რომელიც ამაყობს იმით, რომ ემსახურება საზოგადოებას და არა თავისი სიმდიდრით – თქვენი კუთვნილება მისადმი კმაყოფილებითა და სიამაყით აგავსებთ; ანაზღაურება, რომელსაც თქვენი შრომისათვის მიიღებთ, ვერ გაგამდიდრებთ, თქვენ ბევრად

უფრო მეტს იმუშავებთ, ვიდრე თქვენი მეგობრების უმრავლესობა, რომლებმაც სხვა გზა ირჩიეს; სასამართლოში თქვენი ყოველი სიტყვა და სასამართლოსთან დაკავშირებული თქვენი ყოველი მოქმედება, ისევე როგორც ყველა სხვა თქვენი სიტყვა და მოქმედება, საზოგადოების კრიტიკის ობიექტი შეიძლება გახდეს, საყვედურებმა, ხშირად გაუმართლებელმა და უპასუხოდ დარჩენილმა, შესაძლოა, ჩრდილი მიაყენოს მოსამართლის პროფესიის წარმომადგენლებისადმი საზოგადოების პატივისცემას... მაგრამ, თუკი თქვენ, ამის მიუხედავად, გამსჭვალული ხართ ჩემი კოლეგების დარად, რომლებსაც დიდ პატივს სცემთ, საზოგადოებისადმი მსახურების სულისკვეთებით მართლმსაჯულების კანონის თანახმად აღსრულების გზით, თქვენ სრული კმაყოფილება გელით ცხოვრებაში არჩეულ გზაზე. იყავით გულწრფელნი და დიდსულოვანნი და ყველაფერი გამოგივათ“.²²

²² Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, addressing the National Judicial Orientation Programme, Wollongong, Australia, 13 October 1996. გამოსვლის სრული ტექსტი იხილეთ საიტზე: www.hcourt.gov.au/speeches/brennanj/brennanj_wollong.htm

გათვალისწინებით იმისა, რომ მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტების ნახალისება და დამკვიდრება ყოველი სახელმწიფოს სასამართლოს უშუალო მოვალეობაა.

კომენტარი

მოსამართლეთა ქცევის კოდექსის შემუშავება

16. სასურველია, რომ მოსამართლეთა ქცევის ნებისმიერი კოდექსი ან მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპების სხვა მსგავსი სახელმძღვანელო თავად მოსამართლეთა კორპუსის მიერ იქნეს შემუშავებული. ეს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპების შესატყვისი იქნებოდა. ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ დადგენილია ამ ორგანოების წევრთა ქცევის მარეგულირებელი წესები და ეთიკური ნორმები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. მიზანშეწონილი იქნებოდა ანალოგიური წესების შემუშავება მოსამართლის პროფესიის წარმომადგენლებისათვის. ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლო ორგანოები უარს იტყვიან, ან ვერ შეძლებენ, იკისრონ პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსამართლის პროფესიის წარმომადგენლები მოსამართლეთა ქცევის მაღალ სტანდარტებს იცავდნენ, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური მიზანშეწონილობა უბიძგებს ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოს, ჩაერიონ საქმეში. ამან კი შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეარყიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი, რომელზეც დამყარებულია სასამართლო ხელისუფლების სისტემა და რომელიც განამტკიცებს მას.

გათვალისწინებით აგრეთვე იმისა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები მოწოდებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და შესანარჩუნებლად და განკუთვნილია უმეტესწილად სახელმწიფოებისათვის.

კომენტარი

გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ

17. გაეროს ძირითადი პრინციპები, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობას ეხება, მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულთა პრევენციისა და დამნაშავეებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესზე 1985 წლის სექტემბერში, მილანში, იტალია, და მოწონებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 რეზოლუციით. შემდგომ, 1985 წლის 13 დეკემბრის 40/46 რეზოლუციით გენერალური ასამბლეა „მიესალმა“ ამ პრინციპებს და მოუწოდა სახელმწიფოებს, „გაითვალისწინონ ისინი და პატივი სცენ საკუთარი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში“. ძირითადი პრინციპები, რომლებიც „იმ მიზნით ჩამოყალიბდა, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და განმტკიცების ამოცანების გადანაცვებაში“, შეიცავს შემდეგ დებულებებს:

სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და ჩადებულია ქვეყნის კონსტიტუციაში ან კანონებში. ყველა მთავრობა და სხვა დანესებულება ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას სასამართლოს დამოუკიდებლობა.

2. სასამართლო ორგანოები მათთვის გადაცემული საქმეების გადანაცვებისას მოქმედებენ მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ყოველგვარი პირდაპირი თუ ირიბი შეზღუდვის, არამართლზომიერი ზეგავლენის, წაქეზების, ზენოლის, მუქარისა თუ ჩარევის გარეშე, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს განპირობებული.

3. სასამართლო ორგანოებს აქვთ კომპეტენცია სასამართლო ხასიათის ყველა საკითხში და განსაკუთრებული უფლება, გადანაცვით, განკუთვნილება თუ არა მათთვის გადაცემული საქმე კანონით დადგენილ კომპეტენციას.

4. დაუშვებელია როგორც მართლმსაჯულების პროცესში არამართლზომიერი ან არასანქცირებული ჩარევა, ისე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანაცვ-

ვეტილებების გადახედვა. ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება კანონის შესაბამისად განხორციელებულ სასამართლო გადახედვას ან სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შერბილებას.

5. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი საქმის სასამართლო განხილვა მოხდეს ჩვეულებრივ სასამართლოებსა თუ ტრიბუნალებში, რომლებიც დადგენილ იურიდიულ პროცედურებს იყენებენ. დაუშვებელია ისეთი ტრიბუნალების შექმნა, რომლებიც არ იყენებენ სათანადო წესით დადგენილ იურიდიულ პროცედურებს, ჩვეულებრივი სასამართლოების ან სასამართლოს კომპეტენციის ჩანაცვლების მიზნით.

6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს სასამართლო ორგანოებს და მოითხოვს მათგან, უზრუნველყონ სასამართლო განხილვის სამართლიანად წარმართვა და მხარეთა უფლებების დაცვა.

7. ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გამოყოს შესაბამისი სახსრები, რათა სასამართლო ორგანოებმა სათანადოდ განახორციელონ საკუთარი ფუნქციები.

აზრის გამოხატვისა და ასოციაციის თავისუფლება

8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, სასამართლოს წევრები ისევე, როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ სიტყვის, აღმსარებლობის, ასოციაციისა და შეკრებების თავისუფლებით, თუმცა მოსამართლეთა ქცევა ამ უფლებებით სარგებლობისას ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს მათი თანამდებობისადმი პატივისცემას, სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

9. მოსამართლეებს აქვთ მოსამართლეთა ასოციაციებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნისა და მათში განევრიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად, პროფესიული მომზადების სრულყოფისა და სამოსამართლო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

კვალიფიკაცია, შერჩევა და მომზადება

10. მოსამართლის თანამდებობისათვის შერჩეულ პირებს უნდა ჰქონდეთ მორალური ღირსებები და ნიჭი, ასევე შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაცია სამართლის დარგში. როგორც არ უნდა იყოს მოსამართლეთა შერჩევის მეთოდი, მან უნდა გამოირიცხოს არამართლზომიერი მოტივებით მოსამართლის არჩევის შესაძლებლობა. პირის მოსამართლედ შერჩევისას მის მიმართ დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა

შეხედულებების, ეროვნების ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის მიხედვით; თუმცა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ იურიდიულ თანამდებობაზე შესარჩევი კანდიდატი შესაბამისი ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, დისკრიმინაციულად არ უნდა ჩაითვალოს.

11. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, მათი დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, შესაბამისი ანაზღაურება, სამუშაო პირობები, პენსია და საპენსიო ასაკი სათანადოდ გარანტირებული უნდა იყოს კანონით.

12. მოსამართლეებს, როგორც დანიშნულს, ისე არჩეულს, აქვთ უფლებამოსილების გარანტირებული ვადა პენსიაზე სავალდებულო გასვლამდე ან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, სადაც დადგენილია ამგვარი ვადა.

13. მოსამართლეობის თანამდებობრივი დანინაურება, სადაც არსებობს ამგვარი სისტემა, უნდა ხორციელდებოდეს ობიექტური ფაქტორების საფუძველზე, კერძოდ: ნიჭის (საქმიანი თვისებები), მორალური თვისებებისა და გამოცდილების მიხედვით.

14. საქმეთა განაწილება მოსამართლეებს შორის იმ სასამართლოებში, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან, სასამართლოს ადმინისტრაციის შიდა ორგანიზაციული საკითხია.

პროფესიული საიდუმლო და იმუნიტეტი

15. მოსამართლემ, გარდა ღია სასამართლო განხილვის შემთხვევებისა, უნდა დაიცვას საკუთარი სამუშაოსა და იმ კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, და აკრძალულია მათი იძულება ამგვარი საკითხების თაობაზე ჩვენებების მისაცემად.

16. მოსამართლე, ეროვნული კანონების შესაბამისი რაიმე დისციპლინური პროცედურის ან აპელაციასა თუ სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციასთან დაკავშირებული რაიმე უფლების დარღვევის გარეშე, უნდა სარგებლობდეს პირადი იმუნიტეტით სასამართლო დევნისაგან იმ ფინანსური ზიანის გამო, რომელიც გამოიწვია მის მიერ სასამართლო ფუნქციის შესრულებისას დაშვებულმა არამართლზომიერმა ქმედებამ თუ დარღვევამ.

სასჯელი, თანამდებობიდან გადაყენება ან გათავისუფლება

17. მოსამართლის მიმართ ბრალდება ან საჩივარი, შემოსული მის მიერ სასამართლო და პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, გადაუდებლად (დაუყოვნებლივ) და მიუკერძოებლად უნდა იქნეს განხილული შესაბამისი პრო-

ცედურის მიხედვით. მოსამართლეს აქვს პასუხისა და სამართლიანი განხილვის უფლება. საჩივარი თავდაპირველად კონფიდენციალურად უნდა განიხილებოდეს, თუკი მოსამართლეს სხვა თხოვნა არ ექნება.

18. მოსამართლე შეიძლება დროებით იქნეს გადაყენებული თანამდებობიდან, ან გათავისუფლებული მხოლოდ მისი უუნარობის შემთხვევაში, შეასრულოს თავისი მოვალეობა, ან თანამდებობასთან შეუთავსებელი ქცევის გამო.

19. დასჯის, თანამდებობიდან გადაყენებისა და გათავისუფლების ყველა პროცედურა უნდა განისაზღვროს სასამართლო ქცევის დადგენილი წესების შესაბამისად.

20. დისციპლინური სასჯელის, თანამდებობიდან გადაყენებისა და გათავისუფლების თაობაზე გადანყვეტილებები დამოუკიდებელი შემონმების საგანი უნდა იყოს. ეს პრინციპი შეიძლება არ გამოიყენებოდეს უზენაესი სასამართლოსა და საკანონმდებლო ორგანოების გადანყვეტილებების მიმართ, რომლებიც იმპიჩმენტის წესით საქმეთა განხილვისას ან ანალოგიური პროცედურის დაცვისას იქნა მიღებული.

ქვემოთ მოყვანილი პრინციპები მიზნად ისახავს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტების დადგენას. ისინი განკუთვნილია მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელოდ, ასევე სასამართლოსათვის მოსამართლეთა ქცევის რეგლამენტირების საბაზო პრინციპების სახით გამოსაყენებლად. გარდა ამისა, მათ უნდა შეუწყონ ხელი მართლმსაჯულების აღსრულების პროცესის უკეთ გაგებასა და მხარდაჭერას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადვოკატებისა და მთლიანად საზოგადოების მხრიდან. ეს პრინციპები გულისხმობს, რომ თავიანთი ქცევებით მოსამართლეები ექვემდებარებიან შესაბამის ორგანოებს, რომლებიც სამოსამართლო სტანდარტების ხელშეწყობის მიზნითაა შექმნილი, ობიექტურად და დამოუკიდებლად მოქმედებენ და მიზნად ისახავენ მოსამართლეთა მიერ დასაცავი არსებული სამართლებრივი ნორმებისა და ქცევის წესების მნიშვნელობის არა დაკნინებას, არამედ ამაღლებას.

კომენტარი

ფუძემდებლური და საყოველთაო ფასეულობები

18. ქვემოთ მოყვანილი პრინციპები, რომლებიც ექვს ფუძემდებლურ და საყოველთაო ფასეულობას ეყრდნობა, ასევე მითითებები თითოეული პრინციპის გამოყენების თაობაზე, განკუთვნილია მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელოდ, ასევე სასამართლოსათვის მოსამართლეთა ქცევის რეგლამენტაციის საბაზო პრინციპებად გამოსაყენებლად ქცევის ეროვნული კოდექსისა თუ სხვა მექანიზმის მეშვეობით. თითოეული პრინციპის გამოყენების თაობაზე მითითებები არცთუ ძალიან ზოგადი ხასიათისაა, რაც მათ სახელმძღვანელოს სახით გამოსაყენებლად უფარგის გახდიდა, ამასთან, ისინი არც მეტისმეტად კონკრეტულია, წინააღმდეგ შემთხვევაში არარელევანტურნი გახდებოდნენ იმ აურაცხელი და მრავალგვარი საკითხების მიმართ, რომლებთანაც მოსამართლეს აქვს ყოველდღიური შეხება. თუმცა ამ მითითებებს შესაძლოა, ადაპტირება დასჭირდეს, რათა გამოსადეგი გახდეს ყოველი ცალკე აღებული იურისდიქციის კონტექსტში.

არ არის აუცილებელი დისციპლინური ზომების მიღება ყველა დარღვევის შემთხვევაში

19. მართალია, მოსამართლეთა ქცევის პრინციპები მიზნად ისახავს იმ ნორმების დადგენას, რომლებიც უნდა დაიცვან მოსამართლეებმა, მაგრამ ეს არ გულისხმობს დისციპლინური ნარმოების დანყებას რომელიმე პრინციპის სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში. ამ პრინციპების მოსამართლის მიერ დაუც-

ველობის ყოველი შემთხვევა დარღვევა (ან არამართლზომიერი ქცევა) როდია. დისციპლინური ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ საკითხი სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული – ესენია: დარღვევის სერიოზულობა, არამართლზომიერი მოქმედებების განმეორებადობა და მათი გავლენა სხვა პირებსა თუ, ზოგადად, სასამართლო სისტემაზე.

სასამართლოს როლის გაგება

20. დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლოს როლი, განსაკუთრებით იმის შეგნება, რომ მოსამართლის ვალია, მიუკერძოებლად და წინასწარი განწყობის გარეშე, შესაძლო სოციალური თუ პოლიტიკური წნეხის მიუხედავად, დაიცვას კანონი, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ ადეკვატურმა ინფორმაციამ სასამართლოს ფუნქციისა და მოსამართლეების როლის შესახებ შესაძლოა, რეალურად ხელი შეუწყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ადვოკატების, სასამართლო განხილვის მხარეთა, საზოგადოების მიერ სასამართლო თანამდებობის, ქცევის იმ მაღალი სტანდარტების რაობის უკეთ გაგებას, რომლებიც მოსამართლემ უნდა დაიცვას როგორც სასამართლო განხილვის მსვლელობისას, ასევე სასამართლოს შენობის გარეთ, აგრეთვე იმ შეზღუდვების გაცნობიერებას, რომელთა ფარგლებშიც უნდა აღასრულონ მათ დაკისრებული მოვალეობები.

ქცევის სტანდარტების აუცილებლობა

21. მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის შესაბამისი ქცევის სტანდარტების დადგენის აუცილებლობა ერთ-ერთმა მოსამართლემ შემდეგნაირად დაასაბუთა:

„არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მოსამართლეთაგან სათანადო სტანდარტების შესაბამის ქცევას მოელიან როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე სასამართლოს კედლებს მიღმაც. როგორია ეს მოლოდინი? ეხება თუ არა ეს კონკრეტულად ცალკე აღებული მოსამართლის ქცევას, თუ კონკრეტული პროფესიული ჯგუფის მიერ ქცევის გარკვეული სტანდარტების დაცვას გულისხმობს როგორც ამ ჯგუფის, ასევე საზოგადოების საკეთილდღეოდ? ვინაიდან ეს კითხვა პრინციპული ხასიათისაა, საჭიროა, ამის თაობაზე ზოგიერთი მოსაზრება გამოითქვას.

ჩვენ შევადგენთ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს. ჩვენ საკმაოდ პატივცემული პროფესიის ელიტა ვართ. ჩვენ დიდი ძალაუფლება მოგვენიჭა და ყოველდღიურად აღვასრულებთ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. ჩვენდამი მონდო-

ბილი ძალაუფლების განხორციელება უდიდეს გავლენას ახდენს იმ ადამიანების ცხოვრებასა და ბედზე, რომელთა საქმეებსაც განვიხილავთ. მოქალაქე ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ბედის გადანწყვეტა ჩვენს ხელში არ აღმოჩნდება. ისინი არ იქნებიან თანახმა, რომ ასეთი ძალაუფლება, ასეთი უფლებამოსილებები ისეთი ადამიანის განკარგულებაში იყოს, ვისი პატიოსნება, პროფესიული კვალიფიკაცია თუ პიროვნული თვისებები ეჭვს იწვევს. ამიტომ სამართლებრივი სისტემის იმ სახითა და იმ სისავსით შესანარჩუნებლად, როგორითაც ჩვენ ვიცნობთ მას, აუცილებელია ქცევის სტანდარტები, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე სასამართლოს გარეთაც, რაც განამტკიცებს იმის რწმენას, რომ ეს მოლოდინი არ გაცრუვდება“.²³

²³ J.B. Thomas, *Judicial Ethics in Australia* (Sydney, Law Book Company, 1988), 7.

პირველი ღირებულება

დამოუკიდებლობა

პრინციპი

სასამართლოს დამოუკიდებლობა მართლწესრიგის უზრუნველყოფის წინაპირობა და სასამართლოში საქმის სამართლიანი გადაწყვეტის ძირითადი გარანტიაა. აქედან გამომდინარე, მოსამართლე უნდა იცავდეს და ცხოვრებაში ატარებდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ასპექტით.

კომენტარი

მოსამართლის თანამდებობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა და არა პრივილეგიები

22. მოსამართლის დამოუკიდებლობა რომელიმე ცალკეული მოსამართლის პრივილეგია თუ პრეროგატივა არაა. ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც თითოეულ მოსამართლეს ეკისრება, რათა მათ კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად გადაწყვიტონ სასამართლო დავები კანონისა და არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, გარედან ყოველგვარი ზეწოლის, ზეგავლენისა თუ ჩარევის გარეშე. მოსამართლის დამოუკიდებლობის საფუძველია მოსამართლის სრული თავისუფლება, განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლოსათვის განსახილველად წარდგენილ საქმეებზე; არავის აქვს უფლება, – იქნება ეს მთავრობა, გავლენის ჯგუფები, კერძო პირი თუ სხვა მოსამართლე, – ჩაერიოს ან ეცადოს ჩარევა მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ან მასზე გადაწყვეტილების გამოტანის მსვლელობაში.²⁴

დამოუკიდებლობის ინდივიდუალური და ინსტიტუციური ასპექტები

23. სასამართლოს დამოუკიდებლობა გულისხმობს მოსამართლეების დამოუკიდებლობას, როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური ასპექტით. აქედან გამომდინარე, მოსამართლის დამოუკიდებლობა უნდა განიხილებოდეს

²⁴ იხ. R v. Beauregard, Supreme Court of Canada, [1987]LRC (Const) 180 at 188, per Chief Justice Dickson.

როგორც, ერთი მხრივ, თავად მოსამართლის საორიენტაციო სისტემა, მისი პროფესიული მრწამსის ერთგვარი სისტემა, მეორე მხრივ კი, როგორც იმ ინსტიტუციური და ოპერაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ამ დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფადაა მოწოდებული. პირველი ეხება თავად მოსამართლის დამოუკიდებლობას; მეორე კი განსაზღვრავს სასამართლო ორგანობებსა და ხელისუფლების იმ შტოებს შორის ურთიერთობებს, რომელთა მიზანია, უზრუნველყონ როგორც სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა, ისე საზოგადოების მიერ მათი ასეთად აღქმა. დამოუკიდებლობის ამ ორი ასპექტის ერთმანეთთან მიმართება შეიძლება, შემდეგნაირად განიმარტოს: მოსამართლე შეიძლება დამოუკიდებელი იყოს თავისი შეხედულებებსა და მსჯელობაში, მაგრამ, თუ სასამართლო, რომელშიც ის საქმეებს განიხილავს, არ არის ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებელი იმ საკითხებში, რომლებიც მისი სათანადო ფუნქციონირებისთვისაა მნიშვნელოვანი, მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ ჩაითვლება.²⁵

დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

24. „დამოუკიდებლობა“ და „მიუკერძოებლობა“ ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კავშირშია და ამის მიუხედავად თითოეული მათგანი მაინც ცალკე და მეორისაგან განსხვავებული ცნებაა. „მიუკერძოებლობა“ კავშირშია იმასთან, თუ რა დამოკიდებულება აქვს სასამართლოს კონკრეტული საქმის საკითხებისადმი და ამ საქმის მხარეებისადმი. სიტყვა „მიუკერძოებელი“ ნიშნავს წინასწარი განწყობის არმქონეს, როგორც სინამდვილეში, ისე გარემომოყვანილ ნარმოდგენაში. სიტყვა „დამოუკიდებლობა“ გამოხატავს, ანუ მოიცავს ერთ-ერთ ტრადიციულ კონსტიტუციურ თავისუფლებას – დამოუკიდებლობას. შესაბამისად, ეს ცნება ნიშნავს არა მარტო პროფესიული ღირებულებითი შეხედულებების სისტემას სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას, არამედ აგრეთვე ხელისუფლების სხვა შტოებთან, განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მიმართებით გარკვეულ სტატუსს, რომელიც ობიექტურ პირობებსა თუ გარანტიებზეა დამყარებული.

მოსამართლეები მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული არ არიან

25. კონსტიტუციაში დეკლარირებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპს

²⁵ იხ. Valente v. The Queen, Supreme Court of Canada, [1985] 2SCR 673.

უნდა აღიარებდეს და პატივს სცემდეს ხელისუფლების სამივე შტოს. მოსამართლეთა კორპუსი, კერძოდ, უნდა აცნობიერებდეს, რომ მოსამართლეები არანაირად არ არიან მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული და მასზე დამოკიდებული.

„ჩვენ თვალწინ ენაცვლებიან ერთმანეთს მთავრობები – მოდიან, როგორც მოქცევისას წყალი და მიდიან, თითქოს ქარმა წაიღო. მოსამართლეები არ ექვემდებარებიან მინისტრებს, მათ არ სჭირდებათ, ლოიალურნი იყვნენ მთავრობის მიმართ, სამსახურში ყოფნის განმავლობაში მაინც, როგორც ეს საჯარო სამსახურის შემთხვევაში ხდება... მოსამართლეები ტახტის მცველ ლომებს ჰგვანან, ოღონდ ამ ტახტზე არა ხელისუფალნი, არამედ კანონი მეფობს, აგრეთვე მოსამართლეების მიერ იმის შეგნება, თუ რა არის საჯარო ინტერესი. მხოლოდ ამ კანონისა და საზოგადოების ინტერესების თაობაზე საკუთარი წარმოდგენის ერთგულნი არიან ისინი. სწორედ ესაა მათი ძალა და მათი სისუსტე, და სწორედ ამიტომ არიან ისინი ასეთი ღირებულნიც და მრისხანე ძალაც საზოგადოებისათვის.“²⁶

ეს კი ის მოსაზრება გახლავთ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გამოთქვა ერთმა მოსამართლემ:²⁷

„ომის ხმაურის მიუხედავად, კანონი ჩვენს მამულში არ დუმს. კანონები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ კანონის ენა უცვლელია როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს. თავისუფლების ერთ-ერთი ბასტიონი, ერთ-ერთი საყრდენი პრინციპი ქვეყნისათვის თავისუფლებისა, რომლისთვისაც ვიბრძვით ჩვენ ყველანი დღეს, არის მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მოსამართლეთა, რომლებიც, პირმოთნეობისა და მიკერძოებისაგან თავისუფალნი, დგანან კონკრეტულ ადამიანსა და ამ ადამიანის თავისუფლების ხელყოფის ნებისმიერ მცდელობას შორის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, რათა არ დაუშვან რაიმე სახის იძულება, თუკი ეს არ არის გათვალისწინებული კანონით“.

სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობები

26. იმის დასადგენად, თუ რამდენად „დამოუკიდებლად“ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო სისტემა ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, ჩვეულებრივ, ყურადღებას ამახვილებენ მოსამართლის დანიშვნის წესზე, თანამდებობაზე მისი ყოფნის ვადაზე, მუშაობის პირობებზე, გარეშე ზეწოლისაგან დაცვის გა-

²⁶ J.A.G.Griffith, *The Politics of the Judiciary*, 3rd ed. (London, Fontana Press, 1985), 199.

²⁷ *Liversidge v. Anderson*, House of Lords, United Kingdom [1942] AC 206 at 244, per Lord Atkin.

რანტიების არსებობასა და იმ საკითხზე, არის თუ არა სასამართლო მართლაც დამოუკიდებელი საზოგადოების თვალში.²⁸ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მინიმალურ მოთხოვნათა სამი პირობა არსებობს:

- თანამდებობაზე ყოფნის დროის უზრუნველყოფა – ანუ მოსამართლე, რომელიც დაინიშნა ან არჩეულ იქნა თანამდებობაზე სამუდამოდ, პენსიაზე გასვლამდე ან გარკვეული ვადით, უნდა სარგებლობდეს ამ თანამდებობაზე ყოფნისა და ნებისმიერი აღმასრულებელი თუ სხვა, მოსამართლის დანიშვნაზე პასუხისმგებელი, ორგანოს მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან დაცვის გარანტიებით.
- მატერიალური კეთილდღეობა – ანუ ხელფასისა და საპენსიო ანაზღაურების კანონით დადგენილი ოდენობით მიღების უფლება, რაც არ უნდა იქცეს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან იმგვარი თვითნებური ჩარევის ობიექტად, რომელიც უარყოფითად აისახება მოსამართლის დამოუკიდებლობაზე. თუმცა ამ მოთხოვნის ფარგლებში მთავრობებს შეუძლიათ, დაიტოვონ სხვადასხვა ტიპის სასამართლოთა მოსამართლეების შრომის ანაზღაურების კონკრეტული სქემების შემუშავების უფლება. ამგვარად, ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვის შემთხვევაში, შრომის ანაზღაურების სხვადასხვა სქემის არსებობა ასევე შეიძლება შეესატყვისებოდეს მოსამართლეების მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მოთხოვნას.
- ინსტიტუციური დამოუკიდებლობა – ანუ დამოუკიდებლობა ადმინისტრაციულ საკითხებში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამოსამართლო ფუნქციის შესრულებასთან. არავითარ გარეშე ძალას არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერიოს იმ საკითხებში, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ ეხება სამოსამართლო ფუნქციას, მაგალითად: მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილებას²⁹, სასამართლო სხდომების განრიგს ან მოსასმენი საქმეების სიების შედგენას. მართალია, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს გარკვეული ინსტიტუციური ურთიერთობა, ამგვარ ურთიერთობაში გამორიცხული უნდა იყოს სასამართლოს თავისუფლებაში ჩარევა სასამართლო დავების განხილვისა და კონსტიტუციაში ჩადებული კანონიერებისა თუ ღირებულებების უზრუნველყოფის პროცესში.³⁰

²⁸ საქმე Langborge v. Sweden, *admission of the European Court of Human Rights*, (1989) 12 EHRR 416.

²⁹ საქმეში *The Queen v. Liyanage* (1962) 64 NRL 313, ცეილონის (ამჟამად შრი-ლანკა) უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ კანონი, რომელიც იუსტიციის მინისტრს კონკრეტული საქმის განსახილველად მოსამართლის დანიშვნის უფლებას მისცემს, იქნებოდა კონსტიტუციით გათვალსწინებული უფლებამოსილებების გადამეტება (*ultra vires*), რადგან ეს ნიშნავს ჩარევას სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში, რაც სასამართლოს უფლებამოსილებაა.

³⁰ იხ. *Valente v. The Queen*, Supreme Court of Canada, [1985] 2 SCR 673.

გამოყენება

1.1 მოსამართლე თავის სამოსამართლო ფუნქციას უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებლად, მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების შეფასებიდან გამომდინარე, სამართლის დამოუკიდებელი გაგების შესაბამისად, ყოველგვარი ზემოქმედების, ნაქეზების, ზეწოლის, მუქარისა და ჩარევის გარეშე, ირიბი იქნება ის თუ პირდაპირი, რომელი მხარისგანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს.

კომენტარი

გარეშე ზემოქმედება გავლენას არ უნდა ახდენდეს გადაწყვეტილებაზე

27. სასამართლო სისტემისადმი ნდობა შეირყევა, თუ მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი აღქმული იქნება როგორც გარედან არასათანადო ზემოქმედების ობიექტი. სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს, ასევე მოსამართლეებს ახსოვდეთ იმგვარი მოქმედებების დაუშვებლობა, რომლებიც შეიძლება შეფასდეს როგორც მოსამართლეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება. მოსამართლეზე ზემოქმედება სხვადასხვაგვარი საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. მოსამართლის ვალია, გამოიყენოს კანონი სამართლის საკუთარი გაგების შესაბამისად, საკუთარი სინდისის კარნახით და ფაქტების მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასებით, იმაზე ფიქრის გარეშე, თუ რამდენად პოპულარული იქნება ეს გადაწყვეტილება. მაგალითად, იმ მტკიცების პასუხად, რომ სამხრეთ აფრიკის საზოგადოებრიობა არ თვლის განსაკუთრებით მძიმე მკვლელობის ჩამდენი დამნაშავეისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანას არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი სასჯელის სახედ, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა:³¹

„ჩვენ წინაშე მდგარი საკითხის არსი არის არა ის, თუ როგორი უნდა იყოს სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით განაჩენი, არამედ ის, დაშვებულია თუ არა კონსტიტუციით ასეთი განაჩენი. საზოგადოებრივ აზრს

³¹ S v. Makwanyane, Constitutional Court of South Africa, 1995 (3) S.A. 392, per President Chaskalson.

შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა მისი შესწავლის მხრივ, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაანაცვლოს სასამართლოსთვის დაკისრებული მოვალეობა კონსტიტუციის განმარტებისა მასში ჩადებული პრინციპებისა და ფასეულობების მიუყრდნობელ დაცვასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივ აზრს რომ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა საკონსტიტუციო ზედამხედველობის წესით გადამწყვეტილებების გამოტანა... სასამართლო ვერ მისცემს თავს უფლებას, არჩევანი გააკეთოს იმის მიხედვით, თუ რა მოსწონს საზოგადოებას, და თავი აარიდოს თავის მოვალეობას, იყოს კონსტიტუციის დამოუკიდებელი არბიტრი.“

მოსამართლე საზოგადოების აზრისაგან დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს

28. სასამართლო საქმემ შეიძლება პოლემიკა გამოიწვიოს საზოგადოებაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება მიიპყროს და ფართოდ გახმაურდეს; ასეთ ვითარებაში მოსამართლე შეიძლება „ქარცეცხლის შუაგულში“ აღმოჩნდეს. არცთუ იშვიათად ამგვარი გახმაურების ზემოქმედებით საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ამა თუ იმ მხარეს გადაიხაროს. მოსამართლე კი გადამწყვეტილების მიღებისას ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან თავისუფალი უნდა იყოს. მოსამართლე არ უნდა უწევდეს ანგარიშს იმას, მოსწონს თუ არა საზოგადოებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სახელმწიფო მოხელეებს ან, თუნდაც, მისი ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებს, ის კანონები, რომელთა გამოყენებასაც იგი აპირებს, ასევე მოდავე მხარეებს, რომელთა საქმეზეც მან უნდა მიიღოს გადამწყვეტილება. მოსამართლე არ უნდა აჰყვეს კლანური ინტერესების, საზოგადოებრიობის მხრიდან უკმაყოფილების გავლენას ან კრიტიკის შიშს. მოსამართლის დამოუკიდებლობა გულისხმობს დამოუკიდებლობას ნებისმიერი ფორმის გარეშე ზემოქმედებისაგან.

გადამწყვეტილებაზე ზემოქმედების ნებისმიერი მცდელობა უნდა იქნეს უარყოფილი

29. სასამართლოზე ზეგავლენის ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ სასამართლოს დარბაზით უნდა შემოიფარგლებოდეს და მხოლოდ დავის მხარეებისა და ადვოკატებისაგან უნდა მომდინარეობდეს. არის შემთხვევები, როცა ვიღაც გარედან ცდილობს, გავლენა მოახდინოს მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის თაობაზე გამოსატან გადამწყვეტილებაზე. იმის მიუხედავად, ვისგან მოდის

ეს, – მინისტრების, პოლიტიკოსების, მოხელეების, ჟურნალისტების, ოჯახის წევრებისა თუ სხვა პირებისაგან – ყველა ამგვარი მცდელობა გადაჭრით უნდა აღიკვეთოს. ზოგჯერ მოსამართლის დამოუკიდებლობას შეიძლება იმ ადამიანების მხრიდან შეექმნას საფრთხე, რომლებიც ცდილობენ, შეფარვით მოახდინონ გავლენა მოსამართლის დამოკიდებულებაზე კონკრეტული საქმისადმი, ან იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობენ. მოსამართლეზე პირდაპირი ან ირიბი ზეგავლენის ნებისმიერი ასეთი მცდელობა უნდა აღიკვეთოს. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამგვარი მცდელობები დაჟინებით მეორდება, მოსამართლემ ამის თაობაზე შესაბამის ორგანოებს უნდა აცნობოს. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ ოჯახური, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ურთიერთობები რამენაირად აისახოს სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

რა არის არამართლზომიერი გავლენა?

30. ძნელია ჩამოვაცალიბოთ ზუსტი განსაზღვრება, სახელდობრ, რა არის არამართლზომიერი გავლენა. მოსამართლე თავისი მცდილობით, დაამყაროს გონივრული წონასწორობა, ერთი მხრივ, პოლიტიკოსებიდან, პრესიდან თუ სხვა წყაროებიდან მომდინარე გადახრებისა და ზენოლისაგან მართლმსაჯულების დაცვის აუცილებლობასა და, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო და თავისუფალ პრესაში განხილვასთან დაკავშირებული ინტერესის დაცვის აუცილებლობას შორის, უნდა აცნობიერებდეს თავისი თანამდებობის საჯარო ხასიათს და, შესაბამისად, არ იყოს მეტისმეტად მგრძნობიარე კრიტიკისადმი. კრიტიკა იმ პირებისა, რომლებსაც საჯარო თანამდებობა უკავიათ, ჩვეულებრივი ამბავია დემოკრატიულ სახელმწიფოში. კანონით დადგენილ ფარგლებში მოსამართლე შეიძლება გახდეს კრიტიკის ობიექტი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან, გამოყენებულ არგუმენტებსა და საქმის განხილვის მსვლელობასთან დაკავშირებით.

1.2 მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს.

კომენტარი

სრული იზოლაცია შეუძლებელი და არასასურველია

31. რამდენად დამოუკიდებელი უნდა იყოს მოსამართლე საზოგადოებისაგან? ერთ-ერთი მოსამართლის აზრით, მოსამართლეობა ისეთივე მონოღებია, როგორც მღვდლობა;³² მეორეს მიაჩნია, რომ „მთავარი მოსამართლეობა მონასტერში წასვლის ტოლფასია და საქმისათვის თავის მთლიანად განიწვას ნიშნავს“.³³ ამჟამად ასეთი შეზღუდვები გადაჭარბებულად შეიძლება გვეჩვენოს, თუმცა ის რეჟიმი, რომელშიც მოსამართლეს უწევს არსებობა, შესაძლოა, მართლაც „ბევრად ჰგავდეს მონასტრულს“.³⁴ მართალია, მოსამართლეს სხვებთან შედარებით ბევრად უფრო მკაცრი და შეზღუდული ცხოვრების წესი და ქცევის ნორმები აქვს, გაუმართლებელი იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ ის მთლიანად მოსწყდეს საზოგადოებას და ჩაკეტილად იცხოვროს, მხოლოდ სახლით, ოჯახითა და მეგობრებით შემოიფარგლოს. მოსამართლის იმ საზოგადოებისაგან სრული იზოლაცია, რომელშიც ის ცხოვრობს, შეუძლებელი და არასასურველია.

საზოგადოებასთან კონტაქტები აუცილებელია

32. თუ მოსამართლე სამსახურის შემდეგ შინ არ არის გამოკეტილი, ის, რა თქმა უნდა, განიცდის იმ სხვადასხვაგვარი ფაქტორისა და ძალის ზეგავლენას, რომლებიც შეხედულებებს აყალიბებს, გარდა ამისა, მეგობრებთან ურთიერთობა, პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმოხილვა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით აზრის შექმნას უწყობს ხელს. მართლმსაჯულების ჯეროვანი აღსრულებისათვის საჭიროა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ წარმოდგენა. მოსამართლე არა მარტო იფართოებს თვალსაწიერს რე-

³² Lord Hailsham, Lord Chancellor of England, cited in A.R.B. Amerasinge, *Judicial Conduct Ethics and Responsibilities* (Sri Lanka, Vishvalekha Publishers, 2002), 1.

³³ William H. Taft, Chief Justice of the United States Supreme Court, cited in David Wood, *Judicial Ethics: A Discussion Paper* (Victoria, Australian Institute of Judicial Administration Incorporated, 1996), 3.

³⁴ Justice Michael D Kirby, Judge of the High Court of Australia, cited in David Wood, *Judicial Ethics*, 3.

ალურ სამყაროზე ცოდნით, თანამედროვე სამართლის ბუნება მოითხოვს, რომ მოსამართლე „ცოცხლობდეს, სუნთქავდეს, ფიქრობდეს და შეხება ჰქონდეს ამ სამყაროში გავრცელებულ სხვადასხვაგვარ შეხედულებასთან“.³⁵ ამჟამად მოსამართლის ფუნქცია სცილდება მხოლოდ დავების გადაწყვეტის ფარგლებს. მოსამართლეებს უფრო მეტად უნევთ იმ საკითხების ფართო სპექტრთან მუშაობა, რომლებიც საზოგადოების ღირებულებებს, ადამიანის უფლებებს ეხება; მათ უნევთ ეთიკისა და მორალის რთული და წინააღმდეგობრივი საკითხების გადწყვეტა, თანაც მზარდი საზოგადოებრივი პლურალიზმის პირობებში; მოსამართლე, რომელიც სრულიად მონყვეტილია საზოგადოებას, ძნელად თუ გაართმევს თავს მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. მოსამართლის იმ საზოგადოებისაგან მეტისმეტად მონყვეტა, რომელსაც ის ემსახურება, ვერ იქნება გამართლებული, ვერც მოსამართლის პროფესიული ზრდის, ვერც საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. სამართლებრივი სტანდარტები არცთუ იშვიათად ისეთი კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს, როგორცაა, მაგალითად, გარეშე დამკვირვებლის თვალსაზრისი. სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასებისათვის, რაც მოსამართლის სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია, საჭიროა არსებული მტკიცებულებების საღი აზრისა და გამოცდილების მოშველიებით შეფასება. ამიტომ მოსამართლე საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმდენად უნდა იყოს ჩართული, რამდენადაც ეს მის განსაკუთრებულ როლს ესადაგება.

ზნეობრივი დილემა

33. ზნეობრივი დილემა, რომელიც მოსამართლის წინაშე დგას, ზედმინწევნით ნათლად იქნა ჩამოყალიბებული.³⁶

„შეიძლება თუ არა, იმედი ვიქონიოთ, რომ ის პირები, რომლებსაც მოსამართლის თანამდებობა უკავიათ, დაჯილდოებული იქნებიან ან განივითარებენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: ტაქტი, თავმდაბლობა, სიმტკიცე, შეუვალობა, გულისხმიერება, საღი აზროვნება, ინტელექტის ძალა და, ამასთან, არ დატოვებენ გულგრილი, მშრალი, ცივი, იუმორის გრძობას მოკლებული ან უკადრისი ადამიანების შთაბეჭდილებას? ცხადია, შეიძლება, ერთდროულად შეთავსება ორი ადამიანის როლისა – სანიმუშოსი და ჩვეულებრივისა – შეუძლებელი გვეჩვენოს. ასეთ ადამიანს ერთნი ხოტბას შეასხამენ, როგორც ცი-

³⁵ იხ. United States of America, Supreme Court of Wisconsin, Judicial Conduct Advisory Committee, Opinion 1998-10R.

³⁶ David Wood, Judicial Ethics, 2.

ვილიზებულსა და კარგად აღზრდილს, მეორენი კი დაგმობენ, როგორც ქედ-
მაღალსა და უკადრისს; და პირიქით, იმას, რასაც ზოგი დაგმობს როგორც
უღირსსა და უკადრის საქციელს, რომელიც საკუთარი თანამდებობისადმი
უპატივცემლობას მოწმობს, სხვები სიხარულით მიიღებენ, როგორც იმის
დასტურსა და აღმოჩენას, რომ თურმე მოსამართლეებსაც ჰქონიათ იუმორის
გრძნობა და მათაც შესძლებიათ საკუთარი თავის ჩვეულებრივ მოკვდავად
აღქმა.“

ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა შესაძლოა, ბევრად გაუსწრო დროს, როცა მოსა-
მართლეებს ურჩია, საკუთარი პასუხისმგებლობით ყოფილიყვნენ თავისი დროის
ვნებებისა და ქმედებების თანაზიარი.

კეთილსინდისიერი პრაქტიკის მაგალითი

34. ქვემოთ მოყვანილ სახელმძღვანელო მითითებებში, რომლებიც საკონ-
სულტაციო კომიტეტის მიერ იქნა რეკომენდებული მოსამართლეთა ქცევის სა-
კითხებთან დაკავშირებით იმ იურისდიქციებში, სადაც მოსამართლეებთან შეხ-
ვედრას ხშირად ითხოვენ გარკვეული ინტერესების მქონე ჯგუფების წევრები,
დანვრილებით არის ახსნილი, როგორ უნდა რეაგირებდეს მოსამართლე მასთან
შემოსულ ამგვარ თხოვნებზე.³⁷

- მოსამართლემ არ უნდა განიხილოს თხოვნები პირადი შეხვედრის თაობა-
ზე;
- მოსამართლემ უნდა დაადგინოს შეხვედრის მიზანი, ვიდრე გადანყვეტს,
დააკმაყოფილოს თუ არა ამგვარი თხოვნა;
- მოსამართლეს შეუძლია, აწონ-დანონოს შეხვედრაში მონაწილეობის მისა-
ღებად საპროკურორო ორგანოებისა და დაცვის მოწვევის საკითხი. ხში-
რად ასეთი შეხვედრა ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი განყოფილების სფეროს გა-
ნეკუთვნება (მაგალითად, ჯგუფი „Mothers Against Drunk Driving“ – „დე-
დები მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ“);
- განსაკუთრებული ინტერესის მქონე ჯგუფის თხოვნა წერილობითი სა-
ხით უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა გამოირიცხოს არასწორი გაგება.
მოსამართლე ვალდებულია, წერილობით დაადასტუროს შეხვედრის ჩა-
ტარების დრო, ასევე ძირითადი ნორმები და პრინციპები, რომლებიც და-
ცული უნდა იყოს მომავალი შეხვედრის დროს.

³⁷ United States of America, Supreme Court of Wisconsin, Judicial Conduct Advisory Committee, Opinion 1998-13.

- **ex parte** კომუნიკაციების აბსოლუტური აკრძალვის პრინციპი კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით უმკაცრესად უნდა იქნეს დაცული, და ეს უნდა ეცნობოს თხოვნის წარმომდგენს შეხვედრის დაწყებამდე.
- მოსამართლეს შეუძლია, აწონ-დაწონოს შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლო მდივნის მონვევის საკითხი. ეს იმის არასწორად გაგების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა, რაც შეიძლება, შეხვედრისას გაირკვეს. ეს ასევე დაიცავს მოსამართლეს უხერხული ვითარებისაგან, როცა მის მიერ ნათქვამი არასწორად შეიძლება იქნეს გაგებული.

საზოგადოების ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს

35. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მოსამართლეთა სრულ მიუკერძოებლობას გულისხმობს. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანისას სასამართლო განხილვის მხარეთა მიმართ მოსამართლე მიუკერძოებელი უნდა იყოს, ანუ თავისუფალი ყოველგვარი კავშირის, მიდრეკილებისა თუ წინასწარ შექმნილი აზრისაგან, რომელიც მოსამართლის მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს, ან ასეთად აღიქმება. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გამოხატულებაა ზოგადი პრინციპისა: „არ შეიძლება, მოსამართლემ საკუთარი საქმე განიხილოს“. ამ პრინციპის მნიშვნელობა შორს სცდება რომელიმე დავის გარკვეული მხრის კონკრეტულ ინტერესებს. სასამართლო ხელისუფლება არა მხოლოდ კონკრეტული განხილვის მხარეების, არამედ მთელი საზოგადოების ნდობით უნდა სარგებლობდეს.

1.3 მოსამართლე არა მარტო გამორიცხავს თანამდებობის შეუსაბამო ნებისმიერ ურთიერთობებსა თუ ზემოქმედებას ხელისუფლების აღმასრულებელი ან საკანონმდებლო შტოების მხრიდან, არამედ აკეთებს ამას იმგვარად, რომ ეს გარეშე დამკვირვებლისთვისაც ნათელი იყოს.

კომენტარი

ხელისუფლების ან ფუნქციების დაყოფა

36. სასამართლოს დამოუკიდებლობას საფუძვლად უდევს ხელისუფლების დაყოფის პრინციპი: კერძოდ კი ის, რომ ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების სამი ფუძემდებლური და თანაბარი შემადგენელიდან ერთ-ერთია, ორი დანარჩენისაგან, ანუ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისაგან, დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს. ხელისუფლების სამ შტოს შორის ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთპატივისცემასა და ყოველი მათგანისაგან ორი დანარჩენის შესაბამისი როლის აღიარებაზე. ეს აუცილებელია, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების ორი დანარჩენი შტოს მიმართ. სასამართლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მთავრობამ და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე; რაც შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, სასამართლო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მიღებული და ძალაში შესული კანონების სათანადო გამოყენება, აგრეთვე მათი შესაბამისობა ეროვნულ კონსტიტუციასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, რეგიონალურ და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია. მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და დამოუკიდებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებების თავისუფალი, შეუზღუდავი განხორციელებისათვის სასამართლო ორგანოებმა უნდა გამორიცხონ ხელისუფლების დანარჩენ შტოებთან არამართლზომიერი ურთიერთობა, ასევე მათი გავლენა. ამგვარად, დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გარანტიაა.

სასამართლოს დამოუკიდებლობის აღქმა საზოგადოების მხრიდან

37. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ორგანოები და მოსამართლეები აღიქმებოდნენ როგორც დამოუკიდებლები და რომ დამოუკიდებლობის შეფასების კრიტერიუმი ამ ასპექტსაც მოიცავდეს. ანუ მნიშვნელოვანია, აღიქმება თუ

არა კონკრეტული სასამართლო როგორც მოსამართლეების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის სათანადო ობიექტური გარანტიებისა და პირობების მქონე, და არა ის, თუ როგორ იმოქმედებს იგი სინამდვილეში დამკვირვებლის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ეს გარანტიები და პირობები. კრიტერიუმი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიყენება, ანალოგიურია იმ კრიტერიუმისა, რომელსაც გამოტანილი გადაწყვეტილების მიკერძოებულობისა თუ მიუკერძოებლობის განსაზღვრისას მივმართავთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკითხის არსია, მიაჩნია თუ არა (ან, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა მიაჩნდეს) დამოუკიდებლად ესა თუ ის სასამართლო სალად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებელს. თუმცა სასამართლოს დამოუკიდებლობა იმ ურთიერთობების სტატუსი ანუ ფორმაა, რომლებსაც განაპირობებს ობიექტურად არსებული პირობები და გარანტიები, აგრეთვე მოსამართლის პროფესიული მრწამსი სამოსამართლო ფუნქციების რეალური განხორციელებისას; დამოუკიდებლობის შესამოწმებელი ტესტი გულისხმობს იმის შეფასებას, შეიძლება თუ არა, რომ გარეშე დამკვირვებლის მიერ სასამართლო აღქმული იყოს როგორც დამოუკიდებელი.

არამართლზომიერი ურთიერთობებისა და ზეგავლენის რამდენიმე მაგალითი

38. ქვემოთ მოყვანილია არამართლზომიერი ურთიერთობებისა და ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების მხრიდან ზეგავლენის ზოგიერთი მაგალითი, რომლებიც ასეთად იქნა კვალიფიცირებული მოსამართლეთა ან სასამართლო ეთიკის საკონსულტაციო კომიტეტების მიერ. ეს დებულებები სახელმძღვანელო პრინციპების სახითაა შემოთავაზებული. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი დამოკიდებულია კომპლექსურ განმაპირობებელ ფაქტორებზე, რომლებიც ფასდება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეფასებას მისცემდა ამ გარემოებებს სალად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებელი:

- თუ საკანონმდებლო ორგანოს წევრი მოსამართლეს წერილით მიმართავს და შეატყობინებს კონკრეტულ ამომრჩეველთან დაკავშირებული განქორწინებისა და მეურვეობის საქმის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტით დაინტერესების თაობაზე, მოსამართლეს შეუძლია, თავისი პასუხით, უბრალოდ, ინფორმაცია მიაწოდოს ამ პირს პირადად ან, უმჯობესია, წარმომადგენლის მეშვეობით, რომ მოსამართლეთა ქცევის პრინციპები უკრძალავს მას, მიიღოს, განიხილოს ან უპასუხოს მსგავს შეტყობინებას. აკრძალვა ეხება ასევე საკანონმდებლო ორგანოს წევრის შეკითხვას იმის შესახებ, თუ რა სტადიაზეა საქმის განხილვა, ან როდის იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება, რადგან ამგვარ შეკითხვაზე პა-

სუხი შთაბეჭდილებას შექმნიდა, რომ საკანონმდებლო ორგანოს წევრს შეუძლია, გავლენა მოახდინოს მოსამართლეზე, რათა მან დააჩქაროს გადაწყვეტილების გამოტანა და ამით ერთ-ერთი მოდავე მხარის პრივილეგია უზრუნველყოს.³⁸

- მოსამართლის თანხმობა შვებულების დროს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების კარგად ანაზღაურებად პოლიტიკურ თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ (მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელების დარგში გასატარებელი რეფორმის საკითხებში მრჩეველად) შეუთავსებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპთან. მონაცვლეობითი გადასვლა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობებიდან სასამართლო სისტემაში, და პირიქით, ფუნქციების სწორედ იმგვარ აღრევას იწვევს, რომლის თავიდან ასაცილებლადაც არსებობს ხელისუფლების დაყოფის კონცეფცია. ამგვარ აღრევას დიდი ალბათობით შეუძლია დაამახინჯოს თავად ამ მოსამართლისა და ასევე იმ თანამდებობის პირების წარმოდგენა მოსამართლის დამოუკიდებელი როლის შესახებ, რომლებთანაც ის მუშაობს. ასე რომც არ მოხდეს, ამგვარი სამსახური შეიძლება უარყოფითად აისახოს ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისაგან სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ საზოგადოების წარმოდგენაზე. სხვა საქმეა, როდესაც მოსამართლე საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მუშაობს მოსამართლედ მის დანიშვნამდე ან მას მერე, რაც დატოვებს ამ თანამდებობას. ასეთ შემთხვევებში მოსამართლის დანიშვნის ან მისი თანამდებობიდან წასვლის პროცესი როგორც თავად მოსამართლისათვის, ისე გარეშე დამკვირვებლისათვის მკვეთრ ზღვარს ავლებს ხელისუფლების ერთ ან მეორე შტოში სამსახურს შორის.³⁹
- იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლის მეუღლე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა, მოსამართლე დისტანცირებული უნდა იყოს ოჯახის წევრების მოქმედებებისაგან, რათა საზოგადოებას არ მიეცეს საბაბი, ჩათვალოს, რომ ის ამა თუ იმ პოლიტიკურ კანდიდატს უჭერს მხარს. თუ მოსამართლის მეუღლე პოლიტიკურ შეკრებებში მონაწილეობს, მოსამართლე თან არ უნდა ახლდეს მას. მეტიც, ასეთი შეკრებები მოსამართლის სახლში არ უნდა ეწყობოდეს. ხოლო თუ მოსამართლის მეუღლე დაჟინებით

³⁸ იხ. United States of America, Commonwealth of Virginia Judicial Ethics Advisory Committee, Opinion 2000-7.

³⁹ იხ. United States of America, The Massachusetts Committee on Judicial Ethics, Opinion N 2000-15.

მოითხოვს ამგვარი შეკრებების იმ სახლში ჩატარებას, სადაც მოსამართლე ცხოვრობს, მოსამართლემ ყველანაირად დისტანცია უნდა დაიჭიროს, არ ეჩვენოს სტუმრებს და, თუ საჭიროა, დატოვოს სახლი, როცა იქ შეკრება ტარდება. პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ ყველა შემონიშნულობა და შესატანი მოსამართლის მეუღლემ საკუთარი სახელით და საკუთარი, ცალკე შენახული, სახსრებიდან უნდა განახორციელოს და არა მეუღლეთა საერთო ანგარიშებიდან, რომელთა მესაკუთრე მოსამართლედ არის. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოქმედებები არ უწყობს ხელს საზოგადოების თვალში სასამართლოებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის იმიჯის ამაღლებას⁴⁰; მეორე მხრივ, მოსამართლის გამოჩენა მეუღლის გვერდით წმინდა ცერემონიული ხასიათის ღონისძიებაზე, მაგალითად პარლამენტის გახსნაზე ან სახელმწიფოს მეთაურის სტუმრობასთან დაკავშირებით კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება არ ჩაითვალოს არამართლზომიერად.

- იუსტიციის მინისტრი, რომელიც აჯილდოებს ან რეკომენდაციას უწევს მოსამართლის დაჯილდოებას სასამართლო საქმიანობისათვის, ამით სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს არღვევს. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მოსამართლის საქმიანობის დისკრეციული აღიარება, მოსამართლეთა კორპუსის რამდენადმე მნიშვნელოვანი მონაწილეობის გარეშე, იმ პერიოდში, როდესაც მოსამართლე ჯერ კიდევ ასრულებს სამოსამართლო ფუნქციებს, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ჩრდილს აყენებს;⁴¹ მეორე მხრივ, მოსამართლის დაჯილდოება იმ ორგანოს მიერ, რომელიც მოქმედი მთავრობისაგან დამოუკიდებლადაა შექმნილი, ან ასეთი ორგანოს რეკომენდაციით, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება არ ჩაითვალოს არამართლზომიერად.
- ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან მოსამართლისათვის პრემიის (ანუ ფულადი ნახალისების) გაცემა, მისი მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამო, შეუთავსებელია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან.⁴²
- იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოში საქმის განხილვისას საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტების საკითხი დგება, სასამართლო აც-

⁴⁰ იხ. იქვე, N 1998-4.

⁴¹ უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1994 წლის 18 ოქტომბერი, საქმე N 45/1994, (1994) 3 Bulletin on Constitutional Case-Law, 240.

⁴² ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1995 წლის 6 დეკემბერი, საქმე N 3/1995, (1995) 3 Bulletin on Constitutional Case-Law, 323.

ხადებს, რომ ხელშეკრულების განმარტება სცილდება მისი ფუნქციების ფარგლებს და შესაბამისი დასკვნისთვის საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავს, ხოლო შემდეგ ამ დასკვნის შესაბამისად გამოაქვს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს მიმართა სასამართლოს წინაშე მდგარი სამართლებრივი საკითხის გადასაწყვეტად. ის ფაქტი, რომ მინისტრი სამართალწარმოების პროცესში იმ ფორმით იქნა ჩართული, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა გადაწყვეტილებას და, ამასთანავე, გამორიცხავდა მინისტრის ამგვარი მონაწილეობის მხარეთა მიერ გასაჩივრების შესაძლებლობას, ნიშნავს, რომ საქმე არ იყო განხილული ამ საქმის განხილვისათვის საჭირო სრული იურისდიქციით აღჭურვილი თავისუფალი სასამართლოს მიერ.⁴³

⁴³ საქმე *Beaunmartin v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1984) 19 EHRR 185.

1.4 იმ შემთხვევაში, როცა საქმის თაობაზე გადაწყვეტილება მოსამართლემ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს, ის მოქმედებს, სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი სხვა კოლეგების მოსაზრებების მიუხედავად.

კომენტარი

მოსამართლე სხვა მოსამართლეებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს

39. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ამოცანა მოსამართლისაგან, რომელიც თავის სინდისთან პირისპირ რჩება,⁴⁴ გარკვეულ ავტონომიურობას მოითხოვს. ამდენად, მოსამართლის დამოუკიდებლობა მოითხოვს არა მარტო სასამართლო ხელისუფლების, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან, არამედ ის ასევე მოითხოვს მოსამართლეების დამოუკიდებლობას ერთმანეთისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსამართლის დამოუკიდებლობას განაპირობებს არა მარტო არამართლზომიერი გარეშე გავლენის არარსებობა, არამედ იმ არამართლზომიერი გავლენის არარსებობა, რომელიც სხვა მოსამართლეების მოქმედებიდან ან პოზიციიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. თუმცა მოსამართლეს ზოგჯერ სასარგებლოდ მიაჩნია, „იდები გამოსტყუოს“ კოლეგებს რაიმე ჰიპოთეზურ საქმესთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა გამოტანილი გადაწყვეტილებისთვის ყოველ მოსამართლეს პირადად ეკისრება, იმ მოსამართლეთა ჩათვლით, რომლებიც სააპელაციო სასამართლოების კოლეგიების შემადგენლობაში შედიან.

სასამართლო ხელისუფლების იერარქიული ორგანიზება არსებითი არ არის

40. დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას მოსამართლე არავის არ ექვემდებარება. ის ექვემდებარება და პასუხს აგებს მხოლოდ კანონისა და საკუთარი სინდისის წინაშე, რომელთაც მოსამართლე მუდმივად უნდა მიმართავდეს. თავისთავად ცხადია, რომ, სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემის გარდა, მოსამართლე, რომელსაც გადაწყვეტილება გამოაქვს საქმეზე, არანაირი მესამე პირის განკარგულებაა თუ ინსტრუქციას არ ასრულებს, როგორც სასამართლო სისტემაში, ისე მის გარეთ. სასამართლო ხელისუფლების

⁴⁴ Roger Perrot, „The role of the Supreme Court in guaranteeing the uniform interpretation of the law“, ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა მეექვსე თათბირი, ვარშავა, 2006 წ. ოქტომბერი.

სისტემის იერარქიული ორგანიზება და წოდებისა თუ ჩინის სხვაობა არანაირად არ უნდა მოქმედებდეს მოსამართლის უფლებაზე, გამოიტანოს სასამართლო გადაწყვეტილებები გარეშე ფაქტორებისა თუ მოსაზრებების ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე.

მოსამართლე არ არის ვალდებული, ანგარიში ჩააბაროს საქმის კონკრეტული გარემოებების თაობაზე

41. ვინმესთვის, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარისთვის, ანგარიშის ჩაბარება შეუთავსებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპთან. იმ სიტუაციების გამოკლებით, რომლებიც სასამართლო ხასიათის ან კანონით გათვალისწინებული სხვა პროცედურებითაა განპირობებული, მოსამართლე არაა ვალდებული, ანგარიში აბაროს თავის კოლეგებს საქმის კონკრეტული გარემოებების თაობაზე. თუ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იმდენად არაკომპეტენტური აღმოჩნდა, რომ საუბარია დისციპლინურ სამართალდარღვევაზე, მოსამართლე ანგარიშს კი არ აბარებს, არამედ წაყენებულ ბრალდებას ან კითხვებს უპასუხებს ოფიციალური გამოძიებისას, რომელიც კანონის შესაბამისად ხორციელდება.

საქმის სათანადო განხილვა განსახილველი საქმეების რაოდენობაზე მნიშვნელოვანია

42. მოსამართლეთა ინსპექტირების სისტემები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობენ, არ უნდა იყოს დაკავებული კონკრეტული გადაწყვეტილებების საფუძვლიანობის ან მართლზომიერების შესწავლით; მათ არ უნდა უბიძგონ მოსამართლეს, რომ სასამართლოს ეფექტიანი მუშაობის შთაბეჭდილების შექმნის საბაბით მთელი ყურადღება გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობაზე გაამახვილონ და არა სასამართლო ფუნქციის სათანადოდ აღსრულებაზე, რაც გამოიხატება კანონის საფუძველზე და საქმის გარემოებების გათვალისწინებით საგულდაგულოდ შეჯერებული გადაწყვეტილების მიღებით.

1.5 მოსამართლე იცავს და ხელს უწყობს მოსამართლეების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების გარანტიებს, მოსამართლეთა ინსტიტუციური და ოპერატიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ამაღლების მიზნით.

კომენტარი

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფის ნებისმიერი მცდელობა უნდა აღიკვეთოს

43. მოსამართლეები ფხიზლად უნდა იყვნენ მათი ინსტიტუციური და ოპერატიული დამოუკიდებლობის ხელყოფის ნებისმიერი მცდელობის მიმართ. თუმცა მოსამართლეები სიფრთხილით უნდა მოეციდონ საკუთარი დამოუკიდებლობის საკითხს და ხელაღებით არ ამოეფარონ სამოსამართლო დამოუკიდებლობას ინსტიტუციური ურთიერთობების ნებისმიერი ცვლილების შეთავაზების პასუხად, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება, რათა ამით არ დააკნინონ და ხელნამოსაკრავი არ გახადონ ეს ძირეული პრინციპი. ყოველი მოსამართლე საკუთარი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე უნდა იდგეს.

აუცილებელია საზოგადოების მეტად ინფორმირების ხელშეწყობა სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე

44. მოსამართლე უნდა აცნობიერებდეს, რომ ეს პრინციპები და მათი გავლენა სამოსამართლო ფუნქციების შესრულებაზე ყველასთვის ცნობილი არ არის. ამიტომ სასამართლო სისტემის საქმიანობასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში საზოგადოების მეტად გაცნობიერება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მისი ინსტიტუტების, ისე თავად სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ფუნქცია ხდება, ვინაიდან ამ საკითხების არასწორი გაგება ზიანს მიაყენებს საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი. საზოგადოებას შეიძლება, არცთუ დაბალანსებული წარმოდგენა შეექმნას სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წყალობით, რომლებმაც შეიძლება არასწორად წარმოადგინონ იგი როგორც მოსამართლეების დაცვა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და მათი მოქმედებების თაობაზე დისკუსიებისაგან. ამიტომ, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, მოსამართლეებმა შესაბამისი შესაძლებლობები უნდა გამოიყენონ, რათა დაეხმარონ საზოგადოებას, სწორი წარმოდგენა ჰქონდეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პირველხარისხოვან მნიშვნელობაზე.

1.6 მოსამართლე გამოავლენს და წაახალისებს მოსამართლეთა ქცევის მაღალ სტანდარტებს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისათვის.

კომენტარი

მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები აუცილებელია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად

45. ის, თუ რამდენად მიიღებს და მხარს დაუჭერს საზოგადოება სასამართლო გადაწყვეტილებებს, დამოკიდებულია საზოგადოების რწმენაზე მოსამართლეთა პატიოსნებისა და დამოუკიდებლობისადმი. ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცავს მოსამართლე სასამართლოში ქცევის მაღალ სტანდარტებს. ამიტომ მოსამართლე თავად უნდა იყოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტების, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორის, გამტარებელი და დამცველი.

სამართლიანი სასამართლო განხილვისადმი მინიმალური მოთხოვნები

46. მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები მოითხოვს სამართლიანი სასამართლო განხილვის მინიმალურ გარანტიებს. მოსამართლე, მაგალითად, უნდა აღიარებდეს მხარეთა უფლებებს ისეთ გარანტიებზე, როგორებიცაა:⁴⁵

- სასამართლო განხილვის ხასიათისა და მიზნის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება;
- საკუთარი დაცვის მოსამზადებლად საკმარისი საშუალებები;
- დასაბუთებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა და მეორე მხარის დასაბუთებისა და მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა წერილობით ან ზეპირად, ან ორივე ფორმით;
- კონსულტაციის მიღების და სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე თავად მხარის მიერ შერჩეული დამცველის ან სხვა კვალიფიციური პირის მიერ წარმომადგენლობა;

⁴⁵ იხ. გაეროს პრინციპების კრებულის პროექტი სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლებრივი დაცვის უფლების შესახებ, გაეროს დოკუმენტი E/CN.4/Sub.2/1994/24, 1994 წ., 3 ივნისი, 3.

- მთარგმნელთან კონსულტაციის შესაძლებლობა სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე, თუ პირს არ ესმის ან ის ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე;
- გარანტია, რომ პირის უფლება-მოვალეობებს შეეხება მხოლოდ ღია სასამართლო განხილვის მხარეებისათვის ცნობილი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება;
- სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების არამართლზომიერი დაგვიანების გარეშე მიღება. სასამართლო განხილვაში მონაწილე მხარეებს დაწვრილებით უნდა ეცნობოთ გადაწყვეტილებისა და მისი იურიდიული მოტივირების შესახებ;
- გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების ან გასაჩივრების უფლების მიღების შესაძლებლობა იმ გადაწყვეტილებების გამოკლებით, რომლებიც ბოლო ინსტანციის სააპელაციო სასამართლოს მიერ არის გამოტანილი.

თავისუფლების აღკვეთა კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს

47. მოსამართლე ვერ აღუკვეთს თავისუფლებას ადამიანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავისუფლების აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს კანონის საფუძველზე და კანონითვე დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამდენად, მოსამართლის ბრძანება თავისუფლების აღკვეთის შესახებ არ უნდა იქნეს მიღებული ამგვარი ზომის აუცილებლობისა და საფუძვლიანობის ობიექტური შეფასების გარეშე. სასამართლო ბრძანება დაპატიმრების შესახებ, რომელიც არაკეთილსინდისიერად ან კანონის შესაბამისი ნორმის დაცვისა და სწორად გამოყენების გარეშეა მიღებული, თვითნებურია ისევე, როგორც გასამართლება საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების ობიექტური შეფასების გარეშე.

ბრალდებულთა უფლებები

48. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განსაზღვრება. ამ მუხლის თანახმად, ყველა პირი თანასწორია სასამართლოს წინაშე და ყველა პირს აქვს საქმის კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება ნებისმიერი სისხლის სამართლის

ბრალდების ან სამოქალაქო პროცესში უფლება-მოვალეობების დადგენის შემთხვევაში.⁴⁶

49. პაქტის მე-14 მუხლის მე-2–მე-7 პუნქტებსა და მე-15 მუხლში მოცემულია კონკრეტული დებულებები, რომლებიც სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში სამართლიანი სასამართლო განხილვის იმ ზოგადი პრინციპის გამოყენებას ეხება, რაც მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტშია ჩადებული. ეს დებულებები სისხლის სამართლის წარმოების ყველა ეტაპს ეხება, მათ შორის: საქმის წინასწარ სასამართლო განხილვას, თუ ასეთი ხორციელდება; დაპატიმრებას; და საკუთრივ სასამართლო განხილვის ყველა სტადიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულებები მხოლოდ მინიმალური გარანტიებია, რომელთა დაცვაც ყოველთვის საკმარისი არ არის სამართლიანი სასამართლო განხილვის ჯეროვნად უზრუნველსაყოფად. აი ისინი:

- უფლება, უდანაშაულოდ ითვლებოდეს, სანამ ბრალეულობა კანონის შესაბამისად არ იქნება დამტკიცებული;
- უფლება, არ იქნეს გასამართლებული ან ხელმეორედ დასჯილი დანაშაულისათვის, რომლის გამოც ის უკვე მსჯავრდებული ან გამართლებულია;
- უფლება, სასწრაფოდ და დანვრილებით, მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ;
- უფლება, საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
- მის მიერ შერჩეულ დამცველთან ურთიერთობის უფლება;
- უფლება, გასამართლებულ იქნეს გაუმართლებელი შეფერხების გარეშე;
- უფლება, გასამართლებულ იქნეს მისი თანდასწრებით;
- უფლება, პირადად ან თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით დაიცვას თავი; თუ დამცველი არ ჰყავს, უფლება, ეცნობოს ამ უფლების შესახებ;
- უფლება, ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, და უსასყიდლოდ ისარგებლოს მისი დახმარებით, როცა არა აქვს მისი ანაზღაურებისთვის საკმარისი სახსრები;

⁴⁶ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-14 მუხლის დებულებათა ავტორიტეტული ინტერპრეტაცია იხ. დოკუმენტში: „ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარები № (1984). უახლოეს ხანებში იგეგმება შესწორებული და უფრო დანვრილებითი კომენტარების გამოცემა. სამართლიანი სასამართლო განხილვის შესახებ იურისპრუდენციის შედარებითი ანალიზი იხ.: Nihal Jayawickrama, *The Judicial Application of hHuman Rights Law: National, Regional and International Jurisprudence* (Cambridge University Press, 2002), 478-594.

- უფლება, დაკითხოს მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებს, ან მოითხოვოს მათი დაკითხვა;
- საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლება იმავე პირობებით, რაც არსებობს იმ მოწმეებისათვის, რომლებმაც მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება;
- მთარგმნელის მომსახურებით უფასოდ სარგებლობის უფლება, თუ არ ესმის, ან ვერ ლაპარაკობს ენაზე, რომელზეც წარმოებს სასამართლო პროცესი;
- უფლება, არ აიძულონ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და თავის დამნაშავედ ცნობა;
- არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი მათი ასაკისა და მათი გამოსწორებისათვის ხელშეწყობის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს;
- არავინ არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი რაიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ან სახელმწიფოთაშორისი სამართლის თანახმად არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად;
- მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების უფლება;
- ყველას, ვინც რაიმე დანაშაულისათვისაა მსჯავრდებული, უფლება აქვს, მისი განაჩენი და სასჯელი კანონის თანახმად განიხილოს ზემდგომმა ინსტანციამ.

უფლებები, რომლებიც სასჯელის დანიშვნას ეხება

50. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში, მე-7 მუხლში, მე-14 მუხლის მე-7 პუნქტსა და მე-15 მუხლში ჩადებულია დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების შემდეგი უფლებები:

- უფლება, არ მიესაჯოს უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე ის, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის;
- უფლება, არ გასამართლდეს და არ დაისაჯოს მეორედ იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც უკვე მიესაჯა სასჯელი ან გამართლდა;
- უფლება, არ გამოიყენონ მის მიმართ წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი;

- ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის, სასიკვდილო განაჩენი არ გამოაქვთ დანაშაულებისათვის, რომლებიც თვრამეტ წელზე უმცროსი პირების მიერაა ჩადენილი; სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულებისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მოქმედებდა.

მეორე ღირებულება

ობიექტურობა და მიუკერძოებლობა

პრინციპი

მოსამართლის ობიექტურობა მის მიერ საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვლინდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების შინაარსში, არამედ ყველა საპროცესო მოქმედებაში, რომელიც ამ გადაწყვეტილებების მიღებას ახლავს.

კომენტარი

დამოუკიდებლობა ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის აუცილებელი პირობაა

51. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა – ორი განსაკუთრებული და ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა. მაგრამ ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან, როგორც სამოსამართლო თანამდებობის ორი ურთიერთგამამყარებელი მახასიათებელი. დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობის აუცილებელი პირობა და მისი მიღწევის წინაპირობაა. მოსამართლე შეიძლება დამოუკიდებელი იყოს, თუმცა არამიუკერძოებელი (კონკრეტულ საქმესთან მიმართებით), მაგრამ მოსამართლე, რომელიც დამოუკიდებელი არ არის, იმთავითვე ვერ იქნება მიუკერძოებელიც (ინსტიტუციურ ასპექტებთან დაკავშირებით).⁴⁷

მიუკერძოებლობა დამკვირვებლის თვალსაზრისით

52. ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ძირითადი თვისებებია, რომლებიც მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს, და მისი პროფესიის განუყოფელი ატრიბუტი უნდა იყოს. მიუკერძოებლობა რეალურად უნდა არსებობდეს და ასეთად აღიქმებოდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება სალად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის მიუკერ-

⁴⁷ იხ. Reference re: Territorial Court Act (NWT) Northwest Territories Supreme Court, Canada, (1997) DLR (4TH) 132 AT 146, PER Justice Vertes.

ძობლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო, მაგალითად: ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.

მოთხოვნა მიუკერძოებლობის თაობაზე

53. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს სანინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.⁴⁸ ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ აღიქმება ეს საკითხები. სასწორზე ხომ ის ნდობა დევს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ყოველ წევრს, ბრალდებულების ჩათვლით, უნდა ჰქონდეს სასამართლოსადმი. შესაბამისად, მოსამართლემ, რომლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველიც არსებობს, უნდა დატოვოს სასამართლოს შემადგენლობა.⁴⁹

ბრალდებულის აზრი

54. იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის მიუკერძოებლობაში, ბრალდებულის აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ენიჭება იმას, არის თუ არა ამგვარი ეჭვი ობიექტურად დასაბუთებული სალად მოაზროვნე დამკვირვებლის აზრით, რომელიც საზოგადოების წარმომადგენელია.

⁴⁸ საქმე *Gregory v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (1997) 25ENHRR 577.

⁴⁹ საქმე *Castillo Algar v. Spain*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (1998) 30 ENHRR 827.

გამოყენება

2.1 თავისი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლე თავისუფალია რაიმე შეჩვევის, წინასწარ შექმნილი აზრისა თუ მიკერძოებისაგან.

კომენტარი

მიკერძოებულობის განცდა არყვეს საზოგადოებრივ ნდობას

55. თუ მოსამართლე მიკერძოებულად აღიქმება, საზოგადოებრივი ნდობა სასამართლო სისტემისადმი ირყევა. ამიტომ მოსამართლე უნდა მოერიდოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელმაც საზოგადოებას შეიძლება აფიქრებინოს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ისეთი გარეშე ფაქტორები ახდენენ გავლენას, როგორებიცაა: პირადი დამოკიდებულება ერთ-ერთი მხარისადმი ან საქმის წარმოების ამა თუ იმ შედეგით დაინტერესებულობა.

ეჭვი წინასწარ შექმნილი აზრის თაობაზე

56. მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი დამოკიდებულებისა და აზრის არა მხოლოდ არარსებობას, არამედ მის ასეთად აღქმასაც. ამ ცნების ეს ორმაგი დატვირთვა კარგადაა გადმოცემული გავრცელებულ გამოთქმაში: „მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების არა მხოლოდ აღსრულება, არამედ ამის საზოგადოებისათვის თვალსაჩინოდ, ღიად გაკეთება.⁵⁰ ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაში კრიტერიუმია, ჩათვლის თუ არა (ან შეუძლია თუ არა, ჩათვალოს) დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რომელიც რეალურ და პრაქტიკულ შეფასებას აძლევს ამ საკითხს, რომ მოსამართლის მოქმედებებში მისი მიკერძოება ჩანს. არსებობს თუ არა საბაზი, ვივარაუდოთ მიკერძოების არსებობა, ამის შეფასება ხდება გარეშე დამკვირვებლის თვალსაზრისით.

მნიშვნელობა ცნებისა „წინასწარ შექმნილი დამოკიდებულება ან აზრი“

57. წინასწარ შექმნილი დამოკიდებულება ან აზრი განისაზღვრება როგორც ამა თუ იმ მხარის მიმართ სიმპათია, კეთილგანწყობა ან კონკრეტული შედეგისაკენ გადახრა. სამართალწარმოების პროცესთან მიმართებით ეს ნიშნავს საკით-

⁵⁰ Rv Sussex Justices, ex parte McCarthy, King's Bench Division of the High Court of Justice of England and Wales (1924) 1KB 256 at 259, per Lord Chief Justice Hewart.

ხის ან სასამართლო საქმის გარკვეული გადაწყვეტის მომხრეობას, რაც მოსამართლეს უხშობს იმ არგუმენტებისა და დასკვნების (დასაბუთებების) სრულად აღქმის საშუალებას, რომლებიც მან ობიექტურად უნდა შეაფასოს. წინასწარ შექმნილი აზრი – ეს არის თვალსაზრისი, პოზიცია, რომელიც მსჯელობასა და დასკვნებზე ახდენს გავლენას და ხელს უშლის მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების მიუკერძოებელ შესრულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.⁵¹ თუმცა ამის ხელაღებით, ამგვარი დამოკიდებულების ხასიათის გაუთვალისწინებლად მტკიცება არ შეიძლება. თუ, მაგალითად, მოსამართლე უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ძირითად უფლებებს, ეს არ იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს განსახილველი საქმისადმი, თუკი კანონი ნათლად და ცალსახად არ მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას.

წინასწარ შექმნილი განწყობის ან აზრის გამოვლინება

58. წინასწარ შექმნილი განწყობა შეიძლება გამოვლინდეს სიტყვიერი ან ფიზიკური ფორმით. ამის მაგალითებია: ეპითეტები, ინსინუაციები, შეურაცხმყოფელი მეტსახელები, უარყოფითი სტერეოტიპების შექმნა, სტერეოტიპებით ნასაზრდოები უხეირო ხუმრობები (მაგ.: სქესის, რომელიმე კულტურისა თუ რასისადმი კუთვნილების შესახებ და სხვ.), მუქარა, დაშინება ან მტრული მოქმედებები, რომლებიც რასისა თუ ეროვნებისადმი კუთვნილებას დამნაშავეობასთან აკავშირებს, ასევე ამა თუ იმ პირადი თვისების ხსენება, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვს საქმესთან; წინასწარი განწყობა ან აზრი შეიძლება გამოიხატოს ასევე: უესტებით, პოზებით და სხვა არავერბალური ნიშნებით, ქცევით სასამართლო სხდომისას ან სასამართლოს გარეთ; თავდაჭერის მანერა შეიძლება მონმისადმი უნდობლობას გამოხატავდეს და ამით არამართლზომიერ გავლენას ახდენდეს ნაფიც მსაჯულებზე; სახის გამომეტყველება სასამართლო საქმის მხარეების, საქმეში მონაწილე ადვოკატების, ნაფიცი მსაჯულების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისა და სხვა პირების მიმართ შეიძლება აღიქმებოდეს წინასწარ შექმნილი დამოკიდებულების დასტურად. იგი შეიძლება ვლინდებოდეს ერთ-ერთი მხარის, მონმის ან ადვოკატის მიმართ.

⁵¹ R v. Bertram [1989] OJ № 2133 (QL), quoted by Justice Cory in R v S, Supreme Court of Canada, [1997] 3 SCR 484, paragraph 106.

უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატველ ქცევასთან დაკავშირებით არის წინასწარ შექმნილი განწყობის ან აზრის გამოვლინება

59. იმ საკითხებთან დაკავშირებული იურისდიქცია (იქ სადაც ამგვარი რამ არსებობს), რომლებიც სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატველ ქცევას ეხება, შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს, აკონტროლოს სასამართლოს დარბაზში ქცევა და უზრუნველყოს ქცევის შესაბამისი ნებსების დაცვა. ვინაიდან სასამართლოსადმი უპატივცემულობა ისეთ სანქციებს იწვევს, რომლებიც როგორც ხასიათით, ისე შედეგებით სისხლის სამართალს განეკუთვნება, მათი გამოყენება შეიძლება უკიდურეს საშუალებად მხოლოდ საკმარისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას და საპროცესო მოთხოვნებთან მკაცრ შესაბამისობაში. ეს უფლებამოსილება დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. მისი ბოროტად გამოყენება უნდა შეფასდეს როგორც წინასწარ შექმნილი განწყობის გამომხატულება. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე თავს ვერ აკონტროლებს და ცდილობს, პირად ანგარიშსწორებას მიმართოს, თავის უფლებამოსილებას იყენებს განსაკუთრებით მხარის, ადვოკატის ან მოწმის მიმართ, რომელთანაც პირადი უთანხმოება აქვს.

რა არ უნდა ჩაითვალოს წინასწარ შექმნილ განწყობად

60. ღირებულებები, რომლებსაც მოსამართლე აღიარებს, მისი პრინციპები ან კანონთან დაკავშირებული მოსაზრებები წინასწარ შექმნილი განწყობა არ არის. ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ესა თუ ის აზრი აქვს სამართლებრივ ან სოციალურ საკითხებზე, რომლებიც განსახილველ საქმესთან კავშირშია, არ ართმევს მას საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებას.⁵² უნდა განვასხვავოთ მოსაზრება, რომელიც მისაღებად უნდა ჩაითვალოს, წინასწარ შექმნილი მოსაზრებისაგან, რომელიც დაუშვებელია. როგორც ითქვა, მოსამართლის ცნობიერება (გონება) საერთოდ სუფთა დაფა რომ ყოფილიყო (*tabula rasa*), ეს კვალიფიკაციის არარსებობა იქნებოდა და არა წინასწარ შექმნილი განწყობა. ამ პუნქტში მოცემული წესი არ ეხება სასამართლოს განჩინებებს ან კომენტარებს წარმოდგენილი მონმობების თაობაზე, რომლებიც სასამართლო სხდომის მსვლელობისას კეთდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამართლე შეზღუდულობას ამჟღავნებს და არ სურს განიხილოს უკლებლივ ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება.⁵³

⁵² იხ. Jeffrey M Shaman, Steven Lubet and James J. Alfani, *Judicial Conduct and Ethics*, 3rd ed. (Cherlottesville, Virginia, The Michie Company, 2000).

⁵³ *Laird v. Tarum*, United States Supreme Court (1972) 409 US 825.

2.2 მოსამართლის ქცევა სასამართლოს სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს გარეთ ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეების ნდობას მოსამართლისა და სასამართლოს ობიექტურობის მიმართ.

კომენტარი

მოსამართლემ წონასწორობა უნდა დაიცვას

61. მოსამართლე ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლო პროცესის სათანადო და ეფექტიანი წარმართვა, სამართალწარმოების ნორმების რაიმე დარღვევის გარეშე. ამ მიზნის მისაღწევად მოსამართლეს სჭირდება გარკვეული სიმტკიცე და შეუვალობა. მოსამართლემ უნდა დაიცვას აუცილებელი წონასწორობა, ვინაიდან მან ეფექტიანად უნდა წარმართოს პროცესი და, ამასთან, არ შეუქმნას გარეშე დამკვირვებელს წარმოდგენა, რომ ის მიკერძოებულია. მან თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც გამოიწვევს (ან შეუძლია გამოიწვიოს) საღად მოაზროვნე დამკვირვებლის დაეჭვებას მოსამართლის მიუკერძოებლობაში მის მიერ თავისი სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას. თუ მსგავსი ეჭვი გაჩნდება, ეს არა მარტო მოდავე მხარეების სასამართლოსადმი ნდობას არყევს, არამედ შესაძლოა, მთელი საზოგადოების უნდობლობა გამოიწვიოს სასამართლო ხელისუფლებისადმი.

ქცევა, რომელსაც თავი უნდა აარიდოს მოსამართლემ სასამართლო განხილვის მსვლელობისას

62. სასამართლო პროცესის მხარეები მას დიდი მოლოდინით უყურებენ. ზოგი მათგანი არ დააყოვნებს, მიკერძოებულად მონათლოს სასამართლო პროცესი, თუ გადანყვეტილება მათ სასარგებლოდ არ იქნა გამოტანილი. ამიტომ აუცილებელია, ყველაფერი გაკეთდეს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმამდე შემცირდეს ამგვარი მოსაზრებისათვის რამდენადმე გონივრული საფუძვლის არსებობის შესაძლებლობა. მოსამართლე უნდა ეცადოს, არ დაუშვას ისეთი ქცევა, რომელიც აღიქმება წინასწარი აზრის ან მიკერძოების გამოხატულებად. თავი უნდა შეიკავოს გაუმართლებელი შენიშვნებისაგან ადვოკატების მისამართით, შეურაცხმყოფელი და უადგილო გამოთქმებისაგან მხარეთა ან მათი მოწმეების მისამართით, განცხადებებისაგან, რომლებიც წინასწარ შექმნილი აზრის არსებობაზე მიუთითებს, ასევე თავშეუკავებლობისა და მოუთმენლობისაგან, ვინაიდან ეს შეიძლება, სასამართლოს მიუკერძოებლობაში დაეჭვების საბაზი გახდეს.

აუცილებელია თავის შეკავება სასამართლო განხილვის მსვლელობაში მუდმივი ჩარევისაგან

63. მოსამართლეს უფლება აქვს, დეტალების დასაზუსტებლად კითხვები დასვას, მაგრამ, თუ ის მუდმივად ერევა სასამართლო სხდომის მსვლელობაში და პრაქტიკულად აკონტროლებს სამოქალაქო საქმის წარმოებას ან პროკურორის როლს კისრულობს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, და თავის მიერვე ჩატარებული დაკითხვის შედეგებს იმისთვის იყენებს, რომ შესაბამისი დასკვნები გააკეთოს მის მიერვე გამოტანილ დასკვნაში განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, ის ასეთ შემთხვევაში ერთდროულად ხდება ადვოკატიც, მონმეც და მოსამართლეც, რის შედეგადაც მხარეთა უფლება სამართლიან სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით რეალიზებული არ არის.

მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს კონტაქტებს მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად ან მისი არყოფნისას (ex parte)

64. ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი, როგორც წესი, კრძალავს კერძო კონტაქტებს მოსამართლესა და ნებისმიერ მხარეს თუ მის წარმომადგენელს, მონმეებს ან ნაფიც მსაჯულებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ასეთ კერძო ხასიათის წერილს, შეტყობინებას ან ბარათს (გზავნილს) მიიღებს, აუცილებელია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ მიეწოდოს სრული ინფორმაცია მეორე მხარეს და ჩანაწერი გაკეთდეს სასამართლო სხდომის ოქმში.

საქციელი, რომელსაც თავი უნდა აარიდოს მოსამართლემ სასამართლოს გარეთ

65. სასამართლოს გარეთ მოსამართლემ ასევე უნდა შეიკავოს თავი ისეთი გამონათქვამებისა და ქცევებისაგან, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლება შეფასდეს მიკერძოების გამოხატულებად. პრაქტიკულად ყველაფერმა – ურთიერთობის წრემ, საქმიანმა კავშირებმა ან, თუნდაც, შენიშვნებმა, რომლებსაც ის უვნებელ ხუმრობად თვლის, – შეიძლება, ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას საზოგადოების თვალში. მოსამართლის თანამდებობის დაკავების შემდეგ თავი უნდა შევიკავოთ პოლიტიკური საქმიანობისაგან ნებისმიერი პარტიის სასარგებლოდ და პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი კონტაქტისაგან. მოსამართლის პოლიტიკური საქმიანობა, ისევე როგორც სასამართლოს გარეთ გაკეთებული შენიშვნები პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოებაში დაპირისპირებებსა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეჭვქვეშ აყენებს მის მი-

უკერძოებლობას. გარდა ამისა, მათ შეიძლება, შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება სასამართლო ხელისუფლებასა და აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო შტოს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერი მოქმედება თუ განცხადება იმთავითვე ნიშნავს, რომ მოსამართლე საჯაროდ იკავებს ერთ რომელიმე მხარეს. მიუკერძოების შთაბეჭდილება მით უფრო იზრდება, თუ მოსამართლის მოქმედებები კრიტიკის ან გაკიცხვის ობიექტად იქცევა, რაც, როგორც წესი, გარდაუვალია. სხვაგვარად რომ ითქვას, მოსამართლე, რომელიც თავის პრივილეგიურულ თანამდებობრივ მდგომარეობას იმისთვის იყენებს, რომ პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდეს, ამით ზიანს აყენებს საზოგადოების რწმენას სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისადმი. თუმცა არსებობს გამონაკლისები. მათ, კერძოდ, განეკუთვნება მოსამართლის მიერ შესაბამის დროს გამოთქმული კომენტარები სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტის დასაცავად ან საზოგადოებისა თუ სპეციალიზებული აუდიტორიისათვის სამართლის კონკრეტული საკითხებისა და კონკრეტული გადანყვეტილებების განმარტება, ასევე საქმიანობა, რომლის მიზანიცაა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და სამართლის უზენაესობის მხარდაჭერა. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც მოსამართლემ შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდოს ისეთ დავებსა და პოლემიკაში ჩართვას, რომლებიც შეიძლება, პოლიტიკურად მიუკერძოებულად ჩაითვალოს. მოსამართლე განურჩევლად ყველას უნდა ემსახუროს, იმის მიუხედავად, თუ რა პოლიტიკური ან სოციალური მრწამსის მატარებლები არიან ისინი. სწორედ ამიტომ მოსამართლე შეძლებისდაგვარად უნდა იღვწოდეს საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად.

2.3 მოსამართლე შეძლებისდაგვარად იკავებს თავს ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც შეიძლება გახდეს მისთვის სასამართლო სხდომებში მონაწილეობის და სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლების ჩამორთმევის საფუძველი.

კომენტარი

ხშირი აცილებებისაგან თავის შეკავება

66. მოსამართლე უნდა განიხილავდეს საქმეებს, რომლებიც სასამართლო განხილვას ექვემდებარება. თუმცა შესაძლოა, წარმოიშვას სიტუაციები, როცა მხარეთა უფლებების დასაცავად და სასამართლო ორგანოთა პატიოსნებისადმი საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად გარდაუვალია მოსამართლის დისკვალიფიცირება, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, მისთვის კონკრეტული საქმის განხილვაში მონაწილეობისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების უფლების ჩამორთმევა; მეორე მხრივ, მოსამართლეების ხშირმა დისკვალიფიკაციამ შეიძლება, ზოგადად მოსამართლეებისა და კონკრეტულად ამ მოსამართლისადმი არაკეთილგანწყობა გამოიწვიოს და, ამის გარდა, დამატებით ტვირთად დაანვეს მის კოლეგებს. მოდავე მხარეებმა შეიძლება ჩათვალოს, რომ თავად შეუძლიათ აირჩიონ, რომელი მოსამართლე განიხილავს მათ საქმეს, რაც დაუშვებელია. ამიტომ მოსამართლემ ისე უნდა წარმართოს პირადი და საქმიანი ურთიერთობები, რომ მინიმუმამდე შეამციროს მათი სამოსამართლო მოვალეობებთან კოლიზიის შესაძლებლობა.

ინტერესთა კონფლიქტი

67. ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას. როცა საუბარი იმ საკითხებს ეხება, რომლებიც სასამართლოსთანაა დაკავშირებული, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დადგენის კრიტერიუმი არის როგორც რეალურად არსებული წინააღმდეგობა მოსამართლის კერძო ინტერესებსა და საქმის მიუკერძოებლად განხილვის მოვალეობას შორის, ისე გარემოებები, რომლებიც გარეშე დამკვირვებელს ასეთი წინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის ოჯახის წევრებს პოლიტიკური საქმი-

ანობის სრული უფლება აქვთ, მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების პოლიტიკურ საქმიანობას შეუძლია თუნდაც მცდარი, მაგრამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების წარმოდგენაზე მისი მიუკერძოებლობის შესახებ.

მოსამართლე ვალდებულია, მინიმუმამდე შეამციროს ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც მის ფინანსურ საქმიანობას უკავშირდება

68. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისი ფინანსური საქმიანობა რაიმე სახის წინააღმდეგობაში იყოს, ან გავლენას ახდენდეს მის სასამართლოში შემოსული საქმეების განხილვასთან დაკავშირებულ მოვალეობაზე. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლის დისკვალიფიკაცია გარდაუვალია. მოსამართლე უნდა ეცადოს, მინიმუმამდე დაიყვანოს ინტერესების კონფლიქტი, რომელიც თავს იჩენს იმ შემთხვევებში, როცა მას ფინანსური ინტერესი აქვს სასამართლოში რეგულარულად წარმოდგენილი ორგანიზაციისა თუ სხვა სუბიექტის მიმართ. მსგავს ვითარებაში მოსამართლემ უარი უნდა თქვას ამ ინტერესზე. მაგალითად, ღია ტიპის სააქციო საზოგადოების აქციების ერთი ან ნაკლები პროცენტის მფლობელობა, ჩვეულებრივ (ანუ იურიდიული თვალსაზრისით უმნიშვნელო), წილის მფლობელობად ითვლება და ამ სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებულ საქმესთან მიმართებით მოსამართლის დისკვალიფიკაციას არ მოითხოვს. თუმცა ხშირად აცილების საკითხი მრავალ ისეთ საკითხს მოიცავს, რომელთაგან თითოეული მოსამართლისათვის სასამართლო საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლად შეიძლება იქცეს. მოსამართლის მფლობელობაში არსებული აქციების წილი, მიუხედავად იმისა, რომ ის განიხილება როგორც *de minimis*, აქციონერული საზოგადოების სიდიდიდან გამომდინარე, შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს ამ საზოგადოებისათვის, რაც მოსამართლის აცილების საფუძველია. მოსამართლეს უნდა ესმოდეს, რომ აქციების მფლობელობა საზოგადოებამ შეიძლება შეაფასოს როგორც ფინანსური ინტერესი, რომელიც მოსამართლის დისკვალიფიკაციის საფუძველია. მაგრამ მოსამართლემ ისეთი არგუმენტი, როგორცაა *de minimis* აქციების მფლობელობა, არ უნდა გამოიყენოს საქმის განხილვისათვის თავის არიდების საბაზად. თუ მოსამართლე ხშირად აცხადებს თვითაცილებას აქციების წილის მფლობელობის გამო, მან უარი უნდა თქვას ამ წილის მფლობელობაზე.⁵⁴

⁵⁴ United States of America, *Commonwealth of Virginia Judicial Advisory Committee, Opinion 2000-5*. See *Ebner v. Official Trustee in Bankruptcy*, High Court of Australia, [2001] 2LRC 369, (2000) 205 CLR 337.

ოჯახის წევრების საქმიანობის შეზღუდვის მოვალეობა

69. მოსამართლე უნდა ცდილობდეს, დაარწმუნოს თავისი ოჯახის წევრები, თავი შეიკავონ ისეთ საქმიანობასა თუ გარიგებაში მონაწილეობისაგან, რომლებიც შეიძლება აღიქმებოდეს როგორც მისი თანამდებობრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენება პირადი მიზნებისათვის. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებამ ამ მოქმედებებში ფავორიტიზმი და მოსამართლის თანამდებობის ანგარებით გამოყენება არ დაინახოს, ასევე საჭიროა თვითა-ცილების საჭიროების მინიმუმამდე დასაყვანად.

2.4 საქმის განხილვის წინ (რომლის თაობაზეც წინასწარ არის ცნობილი, რომ ის შედგება, ან არსებობს მხოლოდ ასეთი ვარაუდი) მოსამართლე თავს იკავებს ნებისმიერი კომენტარისაგან, რომელთაც შეუძლიათ, ვითარების გონივრულად შეფასებიდან გამომდინარე, რაიმე სახით გავლენა მოახდინონ ამ საქმის გადაწყვეტაზე, ან ეჭვქვეშ დააყენონ პროცესის სამართლიანად წარმართვა. მოსამართლე თავს იკავებს საჯარო ან სხვა სახის კომენტარებისაგან, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება შეაფერხოს ამა თუ იმ პირთან ან საკითხთან დაკავშირებული საქმის მიუკერძოებელი განხილვა.

კომენტარი

როდის ითვლება, რომ საქმე სასამართლო განხილვას ექვემდებარება

70. ითვლება, რომ საქმე ექვემდებარება სასამართლო განხილვას სააპელაციო განხილვის დაწყებამდე. საქმე ასევე შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო განხილვისადმი დაქვემდებარებულად, თუ არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეზე სარჩელი იქნება შეტანილი; მაგალითად, იმ დანაშაულის თაობაზე საქმის გამოძიებისას, რომელზეც ბრალდება ჯერ არ არის გამოტანილი, ან პირის დაპატიმრებისას, როცა მას ბრალი ჯერ არ აქვს წაყენებული, ან როცა პირი, რომლის რეპუტაციაც შეილახა, განაცხადებს, რომ აპირებს, აღძრას სასამართლო საქმე დიფამაციის შესახებ, მაგრამ ჯერ არ გაუკეთებია ეს.

არამართლზომიერი განცხადების მაგალითი

71. მოსამართლეების განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი შეთანხმდნენ, ნებისმიერ პირს, რომელსაც დამნაშავედ ცნობენ კონკრეტული სახის დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის სახით პატიმრობა შეეფარდოს (იმის მიუხედავად, პირველადაა ამგვარი დანაშაული ჩადენილი, თუ განმეორებით), ჩვეულებრივ, უფლებას აძლევს ბრალდებულს, მოსამართლის დისკვალიფიკაცია მოითხოვოს იმ საფუძველზე, რომ მან მიკერძოება გამოიჩინა იმ დანაშაულისათვის სათანადო სასჯელის ზომასთან დაკავშირებით, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი განსასჯელს. ეს სამართლიანია მაშინაც, როცა მოსამართლეები განაცხადებენ, რომ სასჯელის კონკრეტულ ვადას მოსამართლე საკუთარი თვალსაზრისით ადგენს საქმის კონკრეტული გარემოებებისა და ამ კატეგორიის დანაშაულისათვის გათვალისწინებული კანონის ნორმებიდან გამომდინარე. ასეთი განცხადება არამართლზომიერად ჩაითვლებოდა, ვინაიდან ის გულისხმობს, რომ მოსამართ-

ლეთა პოზიციაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს საზოგადოების განწყობამ ან საზოგადოების მხრიდან კრიტიკის თავიდან აცილების სურვილმა. გარდა ამისა, ეს იქნებოდა დაუშვებელი საჯარო კომენტირება საქმისა, რომელიც განხილვის პროცესშია.⁵⁵

დასაშვები განცხადებები

72. ზემოაღნიშნული არ ეხება საჯარო განცხადებებს, რომლებსაც მოსამართლე თავისი ოფიციალური მოვალეობების აღსრულებისას აკეთებს, მის განმარტებებს სამართალწარმოების წესის თაობაზე, ან მის გამოსვლებს სამართლებრივი აღზრდის ხელშეწყობის მიზნით. მოსამართლეს არ ეკრძალება სასამართლო პროცესთან დაკავშირებით გამოსვლა, რომელშიც ის მხარეს წარმოადგენს და მონაწილეობს როგორც კერძო პირი.

მხარეებთან მიმონერა

73. თუ საქმისწარმოების დასრულების შემდეგ მოსამართლე უკმაყოფილო მხარის ან სხვა პირების წერილებს ან სხვა გზავნილებს იღებს, რომლებშიც გაკრიტიკებულია მოსამართლის ან მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილებები, მოსამართლემ არ უნდა აწარმოოს მიმონერა ამგვარი კორესპონდენციის ავტორებთან.

კრიტიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მხრიდან

74. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქცია, ისევე, როგორც მათი უფლება, ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებისათვის წარდგენა, ასევე მართლმსაჯულების განხორციელების კომენტირება, მათ შორის, იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა სასამართლო განხილვაც იგეგმება, ხორციელდება ან დასრულებულია; ამასთან, არ უნდა დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. ინფორმაციის თავისუფლების პრინციპი არ ექვემდებარება არანაირ შეზღუდვას, გარდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტში გათვალისწინებულისა. იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზოგადოების დაინტერესებული წევრები სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კრიტიკით გამოდიან, მოსამართლემ არ უნდა უპასუხოს ამგვარ კრიტიკას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი წერილობი-

⁵⁵ იხ. United States of America, Advisory Committee on the Code of Judicial Conduct, New Mexico, judicial Advisory Opinion 1991-2.

თი სახის მიმართვით ან სასამართლო სხდომის მსვლელობისას კომენტარებით. სასამართლოს განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლე მხოლოდ არგუმენტების ენაზე საუბრობს, რომლებზეც დამყარებულია მისი გადაწყვეტილება. მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იურიდიული მოტივირების საჯარო დაცვას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ არაზუსტი ან არასწორი ინფორმაციის გავრცელება

75. იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არაზუსტ ან არასწორ ცნობებს ავრცელებენ სასამართლო პროცესის ან გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, და მოსამართლეს მიზანშეწონილად მიაჩნია შეცდომის გასწორება, სასამართლო მდივანმა შეიძლება გაავრცელოს პრესრელიზი იმისთვის, რომ წარმოაჩინოს საქმის ნამდვილი ვითარება, ან სხვა ნაბიჯები გადადგას და შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა

76. თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის საკითხი „ბანგალორის პრინციპების“ 24-ე პუნქტში პირდაპირ არაა განხილული, ის საკმაოდ მნიშვნელოვანია. აქ აუცილებელია განისაზღვროს სამი ასპექტი, რომლებიც ყურადღებას საჭიროებენ, ესენია:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება (სასამართლო სხდომისას ამ სასამართლოს გარეთ) საზოგადოების თვალში მოსამართლისათვის სასურველი „იმიჯის“ შესაქმნელად და მის სამსახურში დასაინაურებლად, ან მოსამართლის წუხილი მის მიერ გამოტანილ გარკვეულ გადაწყვეტილებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეაქციასთან დაკავშირებით. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ ის მასობრივი ინფორმაციის საშუალების გავლენის ქვეშ მოექცეს რაიმე სახით, რადგან ეს თითქმის დანამდვილებით იქნებოდა „ბანგალორის პრინციპების“ 1.1 პუნქტის დებულებებისა და აგრეთვე 2.1, 2.2, 3.2 და 4.1 მუხლებში მოცემული სხვა დებულებების დარღვევა;
- მეორე ასპექტი ეხება მოსამართლის კონტაქტებს სასამართლოს გარეთ. იურისდიქციათა უმეტესობაში „მის“-ს შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება სასამართლო სხდომების ოქმებიდან და იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც პრესას მიეწოდება, ასევე სასამართლო განხილვის საჯარო-

ობის წყალობით. ზოგიერთ ქვეყანაში (კერძოდ იქ, სადაც სასამართლო მასალები საიდუმლოდ ინახება) არსებობს სისტემა, რომლის ფარგლებში ყოველი სასამართლოს ერთ კონკრეტულ მოსამართლეს ევალება მის-ის ინფორმირება სასამართლოში განსახილველად არსებული ყველა საქმის თაობაზე. მსგავსი ხასიათის ინფორმაციის გარდა, მოსამართლის მიერ სასამართლოს გარეთ გაკეთებული ნებისმიერი კომენტარი მის-ის მიერ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს;

- მესამე ასპექტი ეხება მოსამართლის კომენტარებს მის მიერ განხილულ ან სხვა მოსამართლეების მიერ გამოტანილ გადანყვეტილებებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი კომენტარი აკადემიურ სტატუსშია მოცემული. ასეთი კომენტარი დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, როცა ის ეხება წმინდა სამართლებრივ საკითხს, რომელიც საზოგადო ინტერესის საგანია, და კონკრეტულ საქმეში იქნა განხილული. მაგრამ წესები იმის თაობაზე, თუ რა სახის მსჯელობას შეიძლება შეიცავდეს წმინდა აკადემიურ კონტექსტში წარსულში მიღებული გადანყვეტილებების განხილვა, იცვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით მოსამართლეთა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რის გამოც რაიმე აბსოლუტურ წესებზე საუბარი შეუძლებელია. ზოგადად, მოსამართლის სიფრთხილესთან დაკავშირებული აქამდე მოქმედი წესის თანახმად, მოსამართლე არ მონაწილეობს წარსულში მიღებული გადანყვეტილებების შესახებ უსარგებლო პოლემიკაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ასეთი პოლემიკა შეიძლება შეფასდეს დამატებითი დასაბუთების წარმოდგენის მცდელობად, იმ დასაბუთებებთან ერთად, რომლებიც მოსამართლის მიერ გაცხადებულ გადანყვეტილებაშია მოცემული.

2.5 მოსამართლე თვითაცილებას აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა, ან იმ შემთხვევაში, როდესაც გარეშე დამკვირვებელს შესაძლოა გასჩენოდა ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

კომენტარი

გარეშე დამკვირვებელი

77. „ბანგალორის პრინციპების“ პროექტში საუბარი იყო „გონიერი, საღად მოაზროვნე და მცოდნე ადამიანის“ შესახებ, რომელმაც „შეიძლება ჩათვალოს“, რომ მოსამართლე ვერ მიიღებს მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას. „ბანგალორის პრინციპებში“ წარმოდგენილი ფორმულირება – „გარეშე დამკვირვებელს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი“ – შეთანხმებულ იქნა 2002 წლის ნოემბერში ჰააგაში ჩატარებულ თათბირზე, იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი „გარეშე დამკვირვებელი“ გულისხმობს „საღად მოაზროვნე და მცოდნე დამკვირვებელს“.

„არ შეიძლება, მოსამართლემ საკუთარი საქმე განიხილოს“

78. ფუძემდებლური პრინციპი ისაა, რომ ვერავინ იქნება მოსამართლე საკუთარ საქმესთან დაკავშირებით. სასამართლოების ინტერპრეტაციით, ეს პრინციპი გულისხმობს ორ მსგავს, მაგრამ არა იდენტურ განმარტებას: პირველი, რომ ის სიტყვასიტყვით შეიძლება გავიგოთ: თუ მოსამართლე სასამართლო საქმის მხარედ გვევლინება ან ეკონომიკური ინტერესი აქვს ამ საქმის მიმართ, ის მართლაც გამოდის მოსამართლე საკუთარ საქმესთან დაკავშირებით. ეს საკმარისი საფუძველია თვითაცილებისთვის; მეორე, ეს პრინციპი ასევე შეიძლება ეხებოდეს შემთხვევებს, როცა მოსამართლე არ გვევლინება საქმის მხარედ და არ გააჩნია ეკონომიკური ინტერესი მის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ ისე იქცევა, რომ მისი მიუკერძოებლობა ეჭვს იწვევს, მაგალითად, მეგობრობს განსახილველი საქმის ერთ-ერთ მხარესთან. მსგავსი ვითარება, რბილად რომ ითქვას, არ გამოდგება იმ პრინციპის გამოყენების მაგალითად, რომლის მიხედვითაც ვერავინ იქნება მოსამართლე საკუთარ საქმესთან დაკავშირებით.⁵⁶

⁵⁶ R v. Bow Street Stipendiary Magistrate, Ex parte Augusto Pinochet Ugarte (№2), House of Lords, United Kingdom, {1999} 1 LRC 1.

მხარეთა თანხმობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს

79. მაშინაც კი, თუ მხარეები თანხმობას აცხადებენ მოსამართლის იმ სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე, რომელზეც მოსამართლეს მიზანშეწონილად მიაჩნია თვითააცილება, ამ მოსამართლის საქმის განხილვაში შემდგომი მონაწილეობა არ არის გამართლებული. საქმე ისაა, რომ საზოგადოება დაინტერესებულია, მართლმსაჯულების აღსრულების პროცესის მიუკერძოებლობის თაობაზე ყოველგვარი დაეჭვების საბაზი გამოირიცხოს. მიუხედავად ამისა, ქვეყნების უმრავლესობაში სასამართლო პროცესის მხარეებს უფლება აქვთ, ოფიციალური უარი განაცხადონ მიუკერძოებლობის თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით. მსგავსი უარი მისი საკმარისი დასაბუთებულობის შემთხვევაში ხსნის მხარეთა პრეტენზიებს იმ გარემოებების არსებობასთან დაკავშირებით, რომლებიც მოსამართლის აცილების მიზეზი შეიძლება გახდეს.

მოსამართლის მიერ ფაქტების სრული გამოაშკარავების მოვალეობა

80. მოსამართლე აკეთებს განცხადებებს, სრულად ააშკარავებს ფაქტებს ამ განცხადების ოქმში შეტანით და მიმართავს მხარეებს თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენის თხოვნით ორ შემთხვევაში: პირველი, როცა მოსამართლე ვარაუდობს, მაგრამ სრულებით დარწმუნებული არ არის თვითააცილების დამტკიცებადი საფუძვლების არსებობაში; მეორე, თუ საქმის სასამართლოში განხილვამდე მცირე ხნით ადრე ან სასამართლო განხილვის მსვლელობისას მოულოდნელად თავს იჩენს რაიმე სადავო საკითხი. როდესაც მხარეებს მოსაზრების წარმოდგენის თხოვნით მიმართავს, მოსამართლემ ხაზი უნდა გაუსვას, რომ მიმართავს მათ არა თვითააცილებაზე მათი ან მათი დამცველების თანხმობის მისაღებად, არამედ იმისათვის, რომ ისინი დაეხმარონ საკითხის გადაწყვეტაში, არსებობს თუ არა თვითააცილების დამტკიცებადი საფუძველი, აგრეთვე მართებულია თუ არა ამ ვითარებაში ამ მოსამართლის ამ სასამართლო განხილვაში აუცილებელი მონაწილეობის მოთხოვნა. თუ მოსამართლის ეჭვი რეალურ საფუძველს არაა მოკლებული, საკითხი მოსამართლის აცილების სასარგებლოდ წყდება.

დასაბუთებული ვარაუდი მიკერძოების არსებობის თაობაზე

81. მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იური-

დიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს, ის უნდა მოდიოდეს სალად მოაზროვნე და მცოდნე ადამიანებისაგან, რომლებიც ყურადღებით შეისწავლიან საკითხს და მის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას მიიღებენ. მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდის საფუძვლიანობა დგინდება შემდეგი კრიტერიუმით: „რა დასკვნას გამოიტანდა სალად მოაზროვნე და მცოდნე დამკვირვებელი, რომელიც საკითხს რეალურად და პრაქტიკულად მიუდგება. მიიჩნევს თუ არა ის, რომ წარმოდგენილი მოსამართლე ვერ მიიღებს სამართლიან და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას?“⁵⁷ მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.

82. კანადის უზენაესი სასამართლოს⁵⁸ აზრით, იმის დადგენა, აქვს თუ არა მოსამართლეს ფაქტობრივი წინასწარ განწყობა სასამართლო საქმის მიმართ, რომელიც უნდა განიხილოს, იშვიათად არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. რასაკვირველია, თუ დადგინდა, რომ ამგვარი რამ არსებობს, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, აუცილებლად გამოიწვევს მოსამართლისათვის საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლის აცილების საკითხზე საუბარი, როგორც წესი, იმით იწყება, რომ მხარეები აღნიშნავენ რეალური წინასწარი განწყობის არარსებობას და გადადიან წინასწარი აზრის დასაბუთებული ვარაუდის განხილვაზე. ასეთი ფორმალური მიდგომა მეტწილად განპირობებულია იმით, რომ მხარე, კიდევაც რომ ჰქონდეს ეჭვი მოსამართლის რეალური წინასწარი განწყობის თაობაზე, ვერ ამტკიცებს ამას და ამიტომ შემოიფარგლება წინასწარი აზრის არსებობის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის გამოთქმით, ვინაიდან ეს უფრო ადვილი დასამტკიცებელია. რადგან ეს ორი საკითხი – რეალურად არსებული წინასწარი განწყობისა და წი-

⁵⁷ იხ. *Locabail (UK) Ltd v Bayfield Properties*, Court of Appeal of England and Wales [2000] QB 451, [2000] 3 LRC 482; *Re Medicaments and Related Classes of Goods* House of Lords, United Kingdom [2001] 1WLR 700; *Porter v Magill*, House of Lords, United Kingdom [2002] 2 AC 357; *Webb v The Queen*, High Court of Australia (1994) 181 CLR 41; *Newfoundland Telephone Co v Newfoundland (Boiared of Commissioners of Public Utilities)*, Supreme Court of Canada [1992] 1SCR 623; *Rv Cough*, United Kingdom [1993] AC 646; *R v Bow Street Stipendiary Magistrate, Ex parte Augusto Pinochet Ugare (№2)*, House of Lords, [2001] 1 AC 119.

⁵⁸ *Newaykum Indian Band v Canada*,), Supreme Court of Canada [2004] 2 IRc 692, oer Chief Justice McLachlin

ნასწარი აზრის არსებობის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდისა – ერთმანეთთან კავშირშია, მიზანშეწონილია, განვიხილოთ, სახელდობრ, რა ითვლება არქონად რეალურად არსებული წინასწარი განწყობისა, რომელიც მოსამართლისათვის საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველი იქნებოდა. მტკიცება, რომ მოსამართლეს არ აქვს რეალურად არსებული წინასწარი განწყობა, შეიძლება ნიშნავდეს: რომ არ არის რეალურად არსებული წინასწარი განწყობის ფაქტის დადგენის აუცილებლობა, ვინაიდან წინასწარი აზრის არსებობის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდი შეიძლება განიხილებოდეს როგორც მისი შემცველი; ან მოსამართლის გაუცნობიერებელ წინასწარ განწყობას, მაშინაც კი, თუ ის პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოქმედებს; ან იმას, რომ რეალურად არსებული წინასწარი განწყობის საკითხის განხილვა არარელევანტურია.

83. პირველი, როცა მხარეები აცხადებენ, რომ მოსამართლეს არა აქვს რეალურად არსებული წინასწარი განწყობა, ისინი შესაძლოა გულისხმობდნენ, რომ მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით მოქმედი სტანდარტი არ მოითხოვს მისი არსებობის მტკიცებას. ამ თვალსაზრისით, „წინასწარი აზრის არსებობის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდი“ შეიძლება განიხილებოდეს როგორც რეალურად არსებული წინასწარი განწყობის შემცველი, იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელის მტკიცებულების მოთხოვნა გონივრული და რეალისტური არ იქნებოდა. იმის ზუსტად დადგენა, რას ფიქრობს მოსამართლე, როგორია მისი სიმპათიები და ანტიპათიები, შეუძლებელია, კერძოდ, იმიტომაც, რომ კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლის გამოკითხვას იმის დასადგენად, რა გარეშე ფაქტორები შეიძლება ზემოქმედებდეს მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე. გარდა ამისა, სამართლის პოლიტიკა სასამართლო პროცესის მხარეების დაცვის უზრუნველყოფა მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესამცირებლად, ვინაიდან კანონი საშუალებას აძლევს მხარეებს, მიუთითონ წინასწარი განწყობის არარსებობის რეალურ საფრთხეზე და არ ითხოვს ამგვარი განწყობის ან წინასწარი აზრის რეალური არსებობის მტკიცებულებებს.

84. მეორე, როცა მხარეები აცხადებენ, რომ მოსამართლეს არ გააჩნია რეალურად არსებული წინასწარი განწყობა, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მოსამართლე პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოქმედებს ყოველგვარი გააზრებული წინასწარ განწყობის გარეშე. მაგრამ წინასწარი განწყობა ან აზრი შეიძლება გაუცნობიერებელიც იყოს და მოსამართლე შეიძლება გულწრფელად აცხადებდეს, რომ არავითარი წინასწარი განწყობა არ აქვს და არ დაუშვებს, მისი ინტერესები მისსავე ცნობიერებასა და აზროვნებაზე ახდენდეს გავლენას, მაგრამ გაუცნობიერებლად ეს შეიძლება მაინც მოხდეს.

85. და ბოლოს, როცა მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ მოსამართლეს არ აქვს რეალურად არსებული წინასწარი განწყობა, ისინი შეიძლება გულისხმობდ-

ნენ, რომ თავად ამ საკითხის დასმა არცთუ მთლად რელევანტურია. ისინი ხელმძღვანელობენ ცნობილი მაქსიმით, რომ „არ არის საკმარისი მართლმსაჯულების მხოლოდ აღსრულება, საჭიროა ამის ღიად გაკეთება ისე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება საზოგადოების არავითარ ეჭვს არ იწვევდეს“. სხვაგვარად რომ ითქვას, როცა მოსამართლის აცილების საკითხი დგება, უნდა განიხილებოდეს არა ის, აქვს თუ არა სინამდვილეში მოსამართლეს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი წინასწარი განწყობა, არამედ ის, შეექმნებოდა თუ არა გათვითცნობიერებულ გარეშე დამკვირვებელს ასეთი შთაბეჭდილება (ვარაუდი ამის თაობაზე). ამ თვალსაზრისით, წინასწარი განწყობის არსებობის თაობაზე საფუძვლიანი ვარაუდი არა მხოლოდ ჩანაცვლებს წინასწარი განწყობის არარსებულ მტკიცებულებებს, და გვევლინება იმის დადგენის მტკიცებულებით საშუალებად, აქვს თუ არა მოსამართლეს გაუცნობიერებელი წინასწარ შექმნილი აზრი; ის მნიშვნელობა, რომელიც ამ საფუძველს ენიჭება მოსამართლისთვის საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტისას, მონობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების „იმიჯს“ და, კერძოდ, სახელმწიფოს ფუძემდებლურ ინტერესს, მართლმსაჯულების პატიოსნად აღსრულების რწმენა განამტკიცოს საზოგადოებაში.

86. წინასწარი განწყობის არსებობის თაობაზე საფუძვლიანი ვარაუდის დასაბუთების ზემოაღნიშნული სამი ობიექტური კრიტერიუმიდან ბოლო ყველაზე ხისტია სასამართლო სისტემის მიმართ, ვინაიდან არ გამოორიცხავს შესაძლებლობას, რომ საზოგადოება ჩათვლის, მართლმსაჯულება არ აღსრულებულა, მაშინ, როცა სინამდვილეში ის აღსრულდა. ანუ ის გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ მოსამართლე, მისი სრული ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის მიუხედავად, შეიძლება აღმოჩნდეს ვითარებაში, რომელიც, გონივრული შეფასებით, მისი წინასწარი განწყობის ვარაუდის და, აქედან გამომდინარე, დისკვალიფიკაციის, ანუ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევის, საფუძველი გახდება. მაგრამ განსახილველი პრინციპის ამგვარი გაგების შემთხვევაშიც კი დისკვალიფიკაციის აუცილებლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი მაინც მოსამართლის ღირებულებათა სისტემა და მისი შეხედულებებია, თუმცა კი ობიექტურად შესაფასებელი საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის მიერ, რომელმაც უნდა წარმოიდგინოს მოსამართლის მოსაზრებები და განზრახვები შექმნილ ვითარებაში. ამ თვალსაზრისით, ხშირად მოხსენიებული გამოთქმა, რომ „მართლმსაჯულება ღიად უნდა განხორციელდეს ისე, რომ საზოგადოებას არანაირი ეჭვი არ გაუჩნდეს მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით“, ვერ იქნება განხილული იმ კრიტერიუმისაგან განცალკევებით, რომელიც წინასწარი განწყობის არსებობის საფუძვლიან ვარაუდს ეხება.

მოსამართლემ ზედმეტად მტკივნეულად არ უნდა განიცადოს მისი აცილების შესახებ მოთხოვნა

87. მოსამართლე ზედმეტად მგრძობიარე არ უნდა იყოს და არ უნდა მიიღოს აცილების მოთხოვნა პირად შეურაცხყოფად. თუ მოსამართლე მისი აცილების მოთხოვნას პირად შეურაცხყოფად იღებს, ეს შეიძლება, უარყოფითად აისახოს მის მსჯელობაზე. ხოლო თუ მოსამართლე ღიად გამოხატავს მხარეთა მიმართ გაღიზიანებას, ეს კიდევ უფრო დაარწმუნებს აცილების თაობაზე განცხადების შემტანს ამ მოსამართლესთან დაკავშირებული თავისი ეჭვის სისწორეში. როდესაც მხარე მოსამართლის წინასწარი განწყობის შესახებ საფუძვლიან ვარაუდზე საუბრობს, მოსამართლემ უნდა გაიგოს, როგორ აღიქვამს მას და მის მოქმედებებს პირი, რომელიც მის აცილებას მოითხოვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსამართლის მოვალეობა, უზრუნველყოს ღია და ყოველგვარი დაეჭვების საფუძველს მოკლებული მართლმსაჯულების აღსრულება, რაც როგორც სამართლის, ისე საჯარო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპია. ამიტომ მოსამართლემ სასამართლო განხილვა ისე უნდა წარმართოს, რომ მისი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა თვალსაჩინო იყოს ყველასთვის, ვისაც სასამართლო განხილვასთან შეხება აქვს, განსაკუთრებით იმ პირისთვის, ვინც აცილება მოითხოვს. შესაბამისად, მოსამართლეს, რომლის აცილებასაც მოითხოვენ, უნდა ესმოდე, რომ მისგან მოელიან აშკარა და ყოველგვარი ეჭვის საფუძველს მოკლებულ მიუკერძოებლობას, მათ შორის აცილების მოთხოვნასთან დაკავშირებითაც.⁵⁹

წარსულში პოლიტიკური საქმიანობა მოსამართლის დისკვალიფიკაციის საფუძველი ვერ იქნება

88. ნებისმიერი მოვალეობა თუ ინტერესი, რომელიც მოსამართლეს ჰქონდა თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მისი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შეფასებისას. იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეთა კორპუსი ადვოკატების წრის წარმომადგენლებისგან იქმნება, პირს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნამდე დიდი ალბათობით შეიძლება ემუშავა თანამდებობებსა და პოსტებზე, რომლებზეც შეეძლო საჯაროდ გამოეხატა გარკვეული მოსაზრებები და დაეცვა გარკვეული პარტიები თუ ინტერესები. ასეთი რამ აუცილებლად იქნებოდა, თუ ის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო ჩართული. სამართლის სფეროს მიღმა შექმნილი გამოცდილება, პოლიტიკა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა საქმი-

⁵⁹ იხ. Cole v. Cullinan et al, Court of Appeal of Lesotho, [2004] 1 LRC 550.

ანობა, შეიძლება საფუძვლიანად შეფასდეს როგორც მოსამართლის თვალსაზრისის გაფართოებისა და მისი პროფესიონალიზმის ამაღლების პირობა. მაგრამ მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ მოსამართლის ფიცის დადების ან საზეიმოდ გაცხადების შემდეგ ის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად შეასრულებს მოსამართლის მოვალეობებს; მან უნდა დაივიწყოს პოლიტიკური სიმპათიები და ინტერესები. ეს ერთ-ერთი ის ასპექტია, რომელიც უნდა აწონ-დაწონოს და შეაფასოს საღად მოაზროვნე და მცოდნე გარეშე დამკვირვებელმა, რათა გადაწყვიტოს საკითხი, შეიძლება თუ არა საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ მოსამართლე მიკერძოებულად და წინასწარი განწყობით მოქმედებს.⁶⁰

საფუძვლები, რომლებიც საქმესთან კავშირში არ არის

89. აღმსარებლობა, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობა, სქესი, ასაკი, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა და სექსუალური ორიენტაცია, ჩვეულებრივ, ვერ იქნება მხარეებისათვის იმის საფუძველი, რომ მოსამართლის კანდიდატურის წინააღმდეგი იყვნენ. შესაგებლის საფუძველი ვერ იქნება ასევე ისეთი მოტივები, როგორებიცაა: მოსამართლის სოციალური წარმომავლობა, მისი განათლება, მუშაობის სტაჟი, საზოგადოებრივი, სპორტული ან საქველმოქმედო ორგანიზაციების წევრობა, მის მიერ ადრე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები ან სამოსამართლო მოვალეობის შესრულების ფარგლებს მიღმა გაკეთებული განცხადებები. თუმცა ზოგადი ხასიათის ეს დებულებები კონკრეტული საქმის გარემოებებსა და მოსამართლის განსახილველ საქმეზეა დამოკიდებული.

მეგობრული, მტრული დამოკიდებულება ან სხვა საფუძვლები მოსამართლის დისკვალიფიკაციისათვის

90. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ვარაუდი წინასწარი განწყობის არსებობის თაობაზე გამართლებულია:

- თუ მოსამართლეს და განსახილველ საქმეში ჩართულ ან მისით დაინტერესებულ საზოგადოების წევრს შორის პირადი მეგობრობა ან არაკეთილგანწყობა არსებობს;
- თუ მოსამართლე ახლოს იცნობს განსახილველ საქმეში ჩართულ ან მისით დაინტერესებულ საზოგადოების წევრს, განსაკუთრებით, თუ ამ

⁶⁰ იხ. *Panton v. Minister of Finance, Privy Council on appeal from the Court of Appeal of Jamaica*, [2001] 5 LRC 132; *Kartinyeri v. Commonwealth of Australia, High Court of Australia*, (1998) 156 ALR 300.

პირისადმი ნდობა და მისი ავტორიტეტი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საქმის გადაწყვეტისათვის;

- თუ მოსამართლე, განსაკუთრებით საქმის მოსმენისას, რამდენადმე მკვეთრად და გაუწონასწორებლად გამოთქვამდა მხარეთა შორის სადავო საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმის თაობაზე, შესწევს თუ არა მას უნარი, ობიექტურად და მიუკერძოებლად განიხილოს ეს საკითხი; ან,
- თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო შესაძლოა, არსებობდეს რეალური საფუძველი დაეჭვებისა იმაში, რამდენად შეძლებს მოსამართლე, უკუაგდოს იმგვარი მოსაზრებები, რომლებსაც საქმის არსებით განხილვასთან კავშირი არ აქვთ, და წინასწარი განწყობისა თუ მიკერძოების გარეშე გამოიტანოს განსახილველ საკითხებზე ობიექტური სასამართლო გადაწყვეტილება.

სხვა თანაბარი პირობების არსებობისას რაც უფრო მეტი დრო გავიდა იმ მოვლენიდან, რომელიც, არსებული მტკიცებების თანახმად, საფუძვლად ედება მოსამართლის წინასწარ განწყობასთან დაკავშირებულ ვარაუდს, მით უფრო ნაკლები საფუძველი აქვს მხარეს, კონკრეტული მოსამართლის კანდიდატურის აცილება მოითხოვოს.⁶¹

სამსახურის შეთავაზება შეიძლება მოსამართლის დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდეს

91. საკითხები, რომლებიც ანალოგიურ მიდგომას მოითხოვს, შეიძლება წამოიჭრას იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მოსამართლეს სთავაზობენ სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ გარკვეულ თანამდებობას. ეს შეთავაზება შეიძლება მოდიოდეს იურიდიული ფირმის ან კერძო თუ სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი დამსაქმებლისაგან. არსებობს გარკვეული რისკი იმისა, რომ შექმნილი ვითარების შემფასებელი საღად მოაზროვნე, მცოდნე გარეშე დამკვირვებლის თვალსაზრისით, მოსამართლის პირადი ინტერესები და მისი მოვალეობები შეიძლება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდეს. მოსამართლემ სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა განიხილოს ამგვარი შემოთავაზებები, მით უფრო, რომ ყოფილი მოსამართლეების ქცევა ხშირად გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებაზე ზოგადად მოსამართლეების წრისადმი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოსამართლის თანამდებობაზე აღარ არიან.

⁶¹ Locabail (UK) Ltd v Bayfield Properties Ltd, Court of Appeal of England and Wales [2000] 3 LRC 482.

ქვემოთ მოყვანილია ასეთი შემთხვევების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი

2.5.1 მოსამართლეს ჩამოუყალიბდა რეალური წინასწარი განწყობა ან დამოკიდებულება რომელიმე მხარის მიმართ ან მოსამართლისათვის მისი საკუთარი წყაროებიდან ცნობილი გახდა რაიმე სახის მტკიცებულებითი ფაქტები, რომლებიც განსახილველ საქმეს უკავშირდება.

კომენტარი

რეალური წინასწარი აზრი ან განწყობა

92. წინასწარი აზრი რეალურად ითვლება, თუ ის პირადი ხასიათისაა და ერთ-ერთი მხარის, როგორც ინდივიდის ან რომელიმე გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლის, წინააღმდეგაა მიმართული. რეალურად არსებული წინასწარი აზრის საფუძველზე მოსამართლის აცილებისათვის საჭიროა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოსამართლეს არ შეუძლია საქმის მიუკერძოებლად წაყვანა: ანუ გაუჩნდებოდა თუ არა საქმის ყველა გარემოებაში ჩახედულ გარეშე დამკვირვებელს ეჭვი კონკრეტული მოსამართლის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ფაქტები, რომლებსაც დავა ეხება, მოსამართლისათვის მისი საკუთარი წყაროებიდან არის ცნობილი

93. ეს წესი ეხება ინფორმაციას, რომელიც მოსამართლისათვის ცნობილი გახდა მისთვის საქმის წარმოებაში გადაცემამდე, ასევე იმ ცნობებს, რომლებიც სასამართლოს გარეთ არსებული წყაროებიდან ან პირადი მოკვლევითაა მოპოვებული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის სტადიაზე; ის გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ასეთი ცნობები დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად იქნა მოპოვებული, რაც სასამართლო პროცესთან დაკავშირებით არ განხორციელებულა (მაგალითად, წიგნის დანერის პროცესში)⁶² და ეს ცნობები არ იქნა გამჟღავნებული შესაფერ მემენტში, რაც შესაბამის მხარეებს საკუთარი მოსაზრებისა და განმარტებების წარმოდგენის საშუალებას მისცემდა. თვითაცილება საჭირო არ არის, თუ ასეთი ცნობები მოსამართლისათვის ცნობილი გახდა საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი გადანყვეტილებებიდან და დადგენილებებიდან ან მისი ადრინდელი მონაწილეობის შედეგად რაიმე საქ-

⁶² იხ. Prosecutor v. Sesay, Special Court For Sierra Leone (Appeals Chamber) [2004] 3 LRC 678.

მის სასამართლო განხილვაში, რომელშიც ფიგურირებდნენ იმ ოპერაციის ან გარიგების სხვა მხარეები, რომელსაც ამჟამინდელი სასამართლო არ განხილავდა, ან იმის გამო, რომ საქმის ერთ-ერთი მხარე ადრე ამ მოსამართლის მიერ განხილული სასამართლო საქმის ფიგურანტი იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, ასეთი ცნობები, თუ ისინი არ ეხება აშკარა, ცნობილ, ადრე განხილულ და განმაურებულ ფაქტებს, ოქმში უნდა იქნეს შეტანილი და მხარეებს წარედგინოს განმარტებებისა და კომენტარებისათვის. თუმცა აქ გარკვეული ფარგლები არსებობს, მაგალითად: არ შეიძლება მოსამართლისაგან დაწვრილებითი ინფორმაციის მოთხოვნა კანონის ყველა მისთვის ცნობილი დებულების შესახებ, რომლებიც განსახილველ საქმეს შეეხება, ან ყველა იმ ფართოდ ცნობილი ფაქტის შესახებ, რომლებიც მოსამართლისათვის რელევანტური შეიძლება იყოს გადაწყვეტილების გამოტანისას. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში, არის, თუ რომელი ინფორმაცია ჩაითვლება გონივრული მიდგომის შემთხვევაში აუცილებლად გარეშე დამკვირვებლის თვალსაზრისით.

2.5.2 იმავე დავის საგნის განხილვისას მოსამართლე ადრე ადვოკატად გამოდიოდა, ან მნიშვნელოვან მონემდ იყო მიწვეული.

კომენტარი

ადვოკატი პასუხს არ აგებს საადვოკატო კანტორის სხვა წარმომადგენლების გამო

94. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ადრე კერძო საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა, თავისუფალი პროფესიის მქონე პირის – საადვოკატო კანტორაში მომუშავე ადვოკატის დამოუკიდებელი სტატუსი ათავისუფლებს მას როგორც რაიმე სახის პასუხისმგებლობისაგან იმავე კანტორის სხვა წევრების პრაქტიკასთან დაკავშირებით, ასევე მათი საქმეების შესახებ დაწვრილებითი ცოდნის მოვალეობისგან.

მოქმედი იურისტები პასუხს აგებენ თავიანთი პარტნიორების მოქმედებებზე

95. იურიდიულ ფირმაში ან ამხანაგობაში პრაქტიკის მქონე სოლისიტერს ან იურისკონსულტს შეიძლება იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ ფირმაში მათი პარტნიორების პროფესიული ქმედებების გამო. ამიტომ ფირმის ან ამხანაგობის წევრი, რომელიც პარტნიორია, შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ფირმის კლიენტის წინაშე, მიუხედავად იმისა, უწევდა თუ არა ადრე მათი ინტერესების დამცველობა, ან აქვს თუ არა ინფორმაცია მათი საქმის თაობაზე. შესაბამისად, მოსამართლე, რომელიც ადრე ასეთი ფირმის ან ამხანაგობის წევრი იყო, არ უნდა მონაწილეობდეს იმ საქმის განხილვაში, რომელთანაც მოსამართლედ დანიშვნამდე თავად მას ან მის ყოფილ ფირმას ჰქონდა ნებისმიერი სახის უშუალო შეხება, სულ მცირე, იმ ვადის განმავლობაში, რომლის ამონაწერის შემდეგაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ რაიმე ვარაუდი წინასწარგანზრახვის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

სამთავრობო დაწესებულებაში ან იურიდიულ კონსულტაციაში მუშაობა

96. იმ ფაქტის შეფასებისას, აქვს თუ არა მოსამართლეს წინასწარი განწყობა წარსულში სამთავრობო დაწესებულებაში ან იურიდიულ კონსულტაციაში მუშაობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ამ დაწესებულებასა თუ კონსულ-

ტაციაში იურიდიული პრაქტიკის, ასევე ადმინისტრაციული, საკონსულტაციო თუ საკონტროლო ფუნქციების თავისებურება, რომლებსაც ადრე ახორციელებდა მოსამართლე.

მოსამართლე მონმის სახით იყო ადრე მიწვეული დავის იმავე საგნის განხილვაზე

97. ამგვარი წესის არსებობის მიზეზი ისაა, რომ მოსამართლე ვერ გამოიტანს მტკიცებულებით დადგენილებებს იმ ჩვენებების მიხედვით, რომლებიც თავად მისცა მონმედ ყოფნისას და ის არ უნდა აღმოჩნდეს უხერხულ მდგომარეობაში, რომელიც ამ ვითარებაში შეიძლება შეიქმნას.

2.5.3 მოსამართლე ან მისი ოჯახის წევრები მატერიალურად დაინტერესებული არიან განსახილველი საქმის გადაწყვეტით.

კომენტარი

რა შემთხვევაში ხდება მატერიალური დაინტერესება მოსამართლის აცილების საფუძველი

98. ჩვეულებრივ, მოსამართლე თვითაცილებას აცხადებს იმ განსახილველ საქმეში მონაწილეობისგან, რომლის გადაწყვეტასაც მოსამართლის (ან მისი ოჯახის წევრის) ფინანსური მოგება ან წაგება მოჰყვება. ასეთი სიტუაცია შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, როცა მოსამართლე ფლობს დიდი ოდენობით იმ კომპანიის აქციებს, რომელიც დავის ერთ-ერთი მხარეა და საქმის შედეგმა შეიძლება რეალურად გავლენა მოახდინოს მოსამართლის ფინანსურ ინტერესებზე, ან აღიქმებოდეს ასეთად. თუ საქმის მონაწილეა ღია სააქციო კომპანია და მოსამართლე აქციების საერთო მოცულობის შედარებით მცირე ნაწილის მფლობელია, ის არ კარგავს საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებას, ვინაიდან შედეგი, როგორც წესი, არ მოახდენს გავლენას მის ფინანსურ ინტერესებზე. თუმცა საქმე სხვაგვარადაა, როცა სასამართლო დავის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია კომპანიის მომავალი, მისი შემდგომი არსებობა. ამ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის შედეგი მოსამართლის ფინანსურ ინტერესებზე რეალური გავლენის მქონედ შეიძლება განიხილებოდეს.

რაზე არ ვრცელდება „მატერიალური დაინტერესება“?

99. „მატერიალური დაინტერესების“ ცნება არ ვრცელდება აქტივებსა და წილებზე, რომელთა მფლობელიც მოსამართლე შეიძლება იყოს საზიარო ან ერთობლივ საინვესტიციო ფონდში; მის კუთვნილ დეპოზიტებზე საფინანსო დაწესებულებებში, საზიარო სასესხო-შემნახველ ასოციაციებსა თუ საკრედიტო კავშირებში; ან სახელმწიფო ფასიან ქალაქებზე, რომელთა მფლობელიცაა მოსამართლე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო პროცესს შეუძლია, არსებითი გავლენა მოახდინოს ასეთი აქტივებისა თუ წილის ღირებულებაზე. მოსამართლის აცილება განსახილველ საქმეში მონაწილეობისაგან ასევე არ არის საჭირო, თუ მოსამართლე ბანკის, სადაზღვევო კომპანიის, საკრედიტო ბარათების მომსახურე კომპანიისა და ა.შ. ჩვეულებრივი კლიენტია და ეს ორგანიზაციები განსახილველი საქმის მხარეს წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დავაში, ან სპეციალურ ტრანზაქციაში ეს მოსამართლეა ჩართული. ის ფაქტი, რომ

აქციები შეიძლება იმ საგანმანათლებლო, საქველმოქმედო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეკუთვნოდეს, რომელშიც მოსამართლის მეუღლე, მშობელი ან შვილი დირექტორად, მრჩევლად, კონსულტანტად ან ა.შ., მუშაობს, არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს მატერიალური დაინტერესება აქვს ასეთი ორგანიზაციის მიმართ. ამის მსგავსად, მატერიალური დაინტერესების დასადგენი კრიტერიუმის გამოყენება იმ საქმეების მიმართ, რომელთა ფინანსური შედეგიც მნიშვნელოვანწილად არაპროგნოზირებადია და საკმაოდ შორეულ პერსპექტივას განეკუთვნება, როგორც წესი, არ იწვევს მოსამართლის დისკვალიფიკაციას. მიუხედავად ამისა, გონივრული და წინდახედული იქნება მოსამართლის მხრიდან, თუ ის ასეთ შემთხვევებში ღია სასამართლო სხდომაზე აცნობებს მხარეებს მსგავსი გარემოებების შესახებ ამ ცნობების ოქმში შეტანით, რათა ამის შესახებ არა მარტო მხარეთა ადვოკატებს ჰქონდეთ ინფორმაცია, არამედ თავად მხარეებს. ხშირად არაპროფესიონალები უფრო მეტ უნდობლობას იჩენენ, ვიდრე მოსამართლის პროფესიონალი კოლეგები.

იმ პირობით, რომ მოსამართლე ვერ იქნება საქმის განხილვას ჩამოცილებული, როცა სხვა ვერანაირი სასამართლო ვერ დაინიშნება ამ საქმის განსახილველად ან, საქმის სასწრაფო ხასიათიდან გამომდინარე, როცა მისი გადაწყვეტის დაგვიანებამ შეიძლება სერიოზული სასამართლო შეცდომა გამოიწვიოს.

კომენტარი

აუცილებლობის დოქტრინა

100. საგანგებო ვითარებამ შეიძლება მოითხოვოს ზემოთ მოყვანილი პრინციპიდან გადახვევა. აუცილებლობის დოქტრინა შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს, რომელიც სხვა შემთხვევაში ჩამოცილებულია საქმის განხილვას, მოისმინოს საქმე და გადაწყვეტილება გამოიტანოს, როცა ამის განუხორციელებლობა მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარს ნიშნავს. ასეთი აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას, როცა არ არის სხვა მოსამართლე, რომელიც არ იქნებოდა სამართალწარმოებაში მონაწილეობას ჩამოცილებული, ან როცა სასამართლო პროცესის გადავადება ან არასწორი სასამართლო განხილვა სერიოზულ სიძნელებებს გამოიწვევს, ან როცა ამ მოსამართლის მონაწილეობის გარეშე სასამართლო შემადგენლობის შეკრება საქმის განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად შეუძლებელია.⁶³ რა თქმა უნდა, ამგვარი აუცილებლობა იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმოიშობა. თუმცა შეიძლება, ასეთი სიტუაცია დროდადრო შეიქმნას ბოლო ინსტანციის სასამართლოებში, რომლებშიც შეზღუდულია მოსამართლეთა რიცხოვნობა და რომლებსაც აკისრიათ კონსტიტუციური უფლებების დაცვისა და სააპელაციო წარმოების მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ვერ იქნება დელეგირებული სხვა მოსამართლეებზე.

⁶³ იხ. *The Judges v Attorney-General of Saskatchewan*, Privy Council on appeal from the Supreme Court of Canada, (1937) 53 TLR 464; *Ebner v. Official Trustee in Bankruptcy*, High Court of Australia, [2001] 2 LRC 369; *Panton v. Minister of Finance*, Privy Council on appeal from the Court of Appeal of Jamaica, [2002] 5 LRC 132.

მესამე ღირებულება

პატიოსნება

პრინციპი

პატიოსნება მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილებების სათანადოდ შესრულების აუცილებელი პირობაა.

კომენტარი

„პატიოსნების“ ცნება

101. პატიოსნება ზნეობრიობისა და სამართლიანობის ნაწილია. პატიოსნების შემადგენელია მოსამართლის ალაღმართლობა და მორალური პრინციპები. მოსამართლე არა მხოლოდ თავისი ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას, არამედ ყოველთვის ღირსეულად და პატიოსნად იქცევა, როგორც შეეფარება ადამიანს, რომელსაც მოსამართლის თანამდებობა უკავია. ის შორსაა სიცრუისა და თაღლითობისაგან, ღირსება და წესიერება ვლინდება მის ქცევასა და ხასიათში. არ არსებობს მეტ-ნაკლები პატიოსნება – ეს აბსოლუტური კატეგორიაა. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეებისათვის პატიოსნება სათნოებაზე მეტია, – ეს აუცილებლობაა.

საზოგადოებაში მიღებული ნორმების მნიშვნელობა

102. პატიოსნების იდეალზე ზოგადად საუბარი რთული არ არის, თუმცა მისი უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბება ადვილი ამოცანა როდია და შესაძლოა, გამართლებულიც არ იყოს. ის, თუ როგორ აღიქმება ქცევა, მნიშვნელოვნად განპირობებულია საზოგადოებაში მიღებული ნორმებით, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილისა და დროის მიხედვით. ამისთვის საჭიროა იმის შეფასება, თუ როგორ აღიქმება მოსამართლის ქცევა საზოგადოების საღად მოაზროვნე და გათვითცნობიერებული წარმომადგენლის – გარეშე დამკვირვებლის მიერ და ხომ არ არსებობს ამ აღქმის მიხედვით მოსამართლისა და, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლებისადმი პატივისცემის დაკნინების საშიშროება. ქცევისგან, რომელმაც, გარეშე დამკვირვებლის აზრით, შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლოსადმი პატივისცემას, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს.

გამოყენება

3.1 მოსამართლე უნდა იქცეოდეს სამაგალითოდ გარეშე დამკვირვებლისთვისაც კი.

კომენტარი

ქცევის მაღალი სტანდარტები აუცილებელია როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში

103. მოსამართლე ქცევის მაღალ სტანდარტებს უნდა იცავდეს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ სპექტრი ადამიანების გამოცდილებისა, მათი მოქმედებებისა და ქცევისა, რომლებთან დაკავშირებითაც მოსამართლეს გადაწყვეტილებების გამოტანა მოუწევს, ძალზე ფართოა. თუ მოსამართლე საჯაროდ გაკიცხავს იმას, რასაც თავად ჩადის პირად ცხოვრებაში, საზოგადოების თვალში ის თვალთმაქცია. ეს აუცილებლად მიაყენებს ზიანს საზოგადოების ნდობას ამ მოსამართლისადმი, რაც შეიძლება, აისახოს საზოგადოების, ზოგადად, სასამართლო სისტემისადმი დამოკიდებულებაზე.

საზოგადოებაში მიღებული ნორმები უნდა დავიცვათ პირად ცხოვრებაში

104. მოსამართლე არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს და არ უნდა ეწეოდეს საქმიანობას, რომელიც აშკარად ავნებს სასამართლოებისა და სასამართლო სისტემის რეპუტაციას. სათანადო ნონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარე, მოსამართლე მუდმივად უნდა უსვამდეს საკუთარ თავს კითხვას – ხომ არ დააყენებს ეჭვქვეშ მისი ქცევა, საზოგადოების საღად მოაზროვნე და გათვითცნობიერებული წარმომადგენლის, გარეშე დამკვირვებლის, აზრით, მის პატიოსნებას და ხომ არ შეასუსტებს მისადმი, როგორც მოსამართლისადმი, პატივისცემას. თუ ასეა, ამგვარი ქცევისაგან თავი უნდა შეიკავო.

საზოგადოებაში მიღებული უნივერსალური ნორმები არ არსებობს

105. კულტურული ნაირგვარობისა და ზნეობრივი ფასეულობების მუდმივი ევოლუციის გათვალისწინებით, მოსამართლეთა ქცევის სტანდარტები მათ პირად

ცხოვრებაში ზედმინწევით დაკონკრეტებული ვერ იქნება.⁶⁴ მაგრამ ეს პრინციპი ზედმეტად ფართოდ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ის იძლევა მოსამართლის გაკიცხვის ან დასჯის უფლებას იმისთვის, რომ მას არცთუ მთლად ჩვეულებრივი ცხოვრების წესი აქვს, ან მისი რაიმე გატაცება თუ საქმიანობა პირად ცხოვრებაში მოსახლეობის ზოგიერთ ჯგუფს შეურაცხმყოფელად შეიძლება ეჩვენოს. ამგვარ საკითხებზე მსჯელობა მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ საზოგადოებასა და კონკრეტულ დროსთან და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს საყოველთაო.

ალტერნატიული კრიტერიუმი

106. არსებობს აზრი, რომ საკითხის არსია არა ის, ზნეობრივია თუ არა მოქმედება ამა თუ იმ რელიგიური თუ ეთიკური შეხედულების თვალსაზრისით, ან რამდენად მისაღებია ის საზოგადოებაში მიღებული ნორმებიდან გამომდინარე (რამაც შეიძლება გამოიწვიოს მორალის ვიწრო ჩარჩოების თავს მოხვევის მცდელობა), არამედ ის, თუ რა მიმართებაშია ეს მოქმედება იმ მაჩვენებლებთან, რომლებიც განაპირობებენ მოსამართლის უნარს, განახორციელოს მინდობილი საქმიანობა, აგრეთვე საზოგადოების წარმოდგენასთან იმის თაობაზე, რამდენად შეესაბამება მოსამართლე დაკავებულ თანამდებობას. შესაბამისად, ამ ფაქტორის შეფასებისას განიხილება შემდეგი ექვსი ფაქტორი:

⁶⁴ ეს ეხება განსაკუთრებით სასიყვარულო კავშირების საკითხს. მაგალითად, ფილიპინებზე მოსამართლე, რომელიც არ მალავდა თავის ქორწინებისგარეშე კავშირებს, მორალის იმ წესების დამრღვევად ცნეს, რომლებსაც უნდა მისდევდეს მოსამართლე, და ამ მიზეზით თანამდებობიდან გადააყენეს (*Complaint against Judge Ferdinand Markos, Supreme Court of the Philippines, A.M. 97-2-53-RJC, 6 July 2001*); აშშ-ში, ფლორიდის შტატში, მოსამართლეს საყვედური გამოუცხადეს ავტომანქანების სადგომზე მდგარ მანქანაში იმ ქალთან სასიყვარულო კონტაქტისათვის, რომელიც მისი ცოლი არ იყო (*In re Inquiry Concerning a Lidge, 336 So. 2d 1175 (Fla. 1976), cited in Amerasinghe, Judicial Conduct, 53*); კონექტიკუტის შტატში, აშშ, მოსამართლეს დისციპლინური სახდელი დაეკისრა იმის გამო, რომ სასამართლოს სტენოგრაფისტ გათხოვილ ქალთან ჰქონდა რომანი (*In re Flanagan, 240 Conn. 157, 690 A. 2d 865 (1997), cited in Amerasinghe, Judicial Conduct 53*); ცინცინატის შტატში, აშშ, ცოლიან მოსამართლეს, რომელიც ცოლთან არ ცხოვრობდა, დისციპლინური სახდელი დაეკისრა იმის გამო, რომ სამჯერ წაიყვანა საზღვარგარეთ მოგზაურობაში თავისი შეყვარებული (რომელთანაც შემდეგ იქორწინა), თუმცა ისინი არცერთხელ არ გაჩერებულან სასტუმროს ერთ ნომერში (*Cincinnati Bar Association v Heitzler 32 Ohio St. 2d 214, 291 N.E. 2d 477 (1972); 411 US 967 (1973), cited in Amerasinghe, Judicial Conduct, 53*); პენსილვანიის შტატში კი, ასევე აშშ, უზენაესმა სასამართლომ უარყო მოსამართლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების მოხონა იმის გამო, რომ მას ქორწინების გარეშე კავშირები ჰქონდა, რასაც ახლდა ღამეული შეხვედრები და ერთობლივი მოგზაურობა საზღვარგარეთ დასასვენებლად (*In re Dalessandro. 483 Pa. 431, 397 A. 2d 743 (1979), Cited in Amerasinghe, Judicial Conduct, 53*). ზოგიერთ ამ შემთხვევას ზოგ ქვეყანაში არ ჩათვლიდნენ მოსამართლის მხილებად საჯარო ვალის დარღვევაში, იქ ამგვარი ფაქტი განიხილება როგორც ზრდასრული ადამიანის ქცევა, რომელიც დანაშაული არ არის და მხოლოდ და მხოლოდ პირად სფეროს განეკუთვნება.

- საზოგადო თუ პირადი ხასიათისაა მოქმედება და ხომ არ ეწინააღმდეგება ის მოქმედ კანონს;
- რამდენად ექვემდებარება აღნიშნული ქცევა დაცვას, როგორც პიროვნების უფლება;
- რამდენად იჩენს მოსამართლე დისკრეციულობას და წინდახედულებას თავისი მოვალეობების განხორციელებისას;
- ხომ არ მიაყენა განსახილველმა მოქმედებამ ან ქცევამ მნიშვნელოვანი ზიანი მათ, ვისაც ყველაზე მეტად შეეხო, და ხომ არ იყო ის შურაცხმყოფელი სხვებისათვის;
- რამდენად მეტყველებს განსახილველი მოქმედება ან ქცევა საზოგადოებისა თუ მისი ცალკეული წევრებისადმი პატივისცემასა თუ უპატივცემლობაზე;
- რამდენად მეტყველებს განსახილველი მოქმედება ან ქცევა წინასწარი განწყობის, წინასწარი აზრის ან არასათანადო გავლენის არსებობაზე.

ითვლება, რომ, ქცევის ამ ან მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით, შეფასება მოსამართლის უფლებებსა და საზოგადოების მოლოდინს შორის წონასწორობის დამყარების საშუალებას იძლევა.⁶⁵

ქცევა სასამართლო სხდომისას

107. სასამართლო სხდომაზე კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებადი ჩვეულების მიხედვით, მოსამართლე, ჩვეულებრივ, არ ცვლის მის მიერ ზეპირად გაცხადებული გადაწყვეტილების იურიდიულ მოტივირებას; მეორე მხრივ, დასაშვებია გადაწყვეტილების მოტივაციური ნაწილის ზეპირად გაცხადებისას დაშვებული უზუსტობების, სტილისტური, გრამატიკული და სინტაქსური შეცდომების გასწორება, ასევე გამოტოვებული ციტატების ჩამატება. ანალოგიურად, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულების მისამართით წარმოთქმული და ოქმში შეტანილი მისასალმებელი (დამაკვალიანებელი გეზის მიმცემი) სიტყვის ტექსტში ცვლილებები არ შეიტანება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსამართლის სიტყვა ოქმში არასწორადაა ასახული. მოსამართლე მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე სააპელაციო საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით პირადად არ უნდა ამყარებდეს კავშირს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლესთან. მოსამართლემ უნდა აწონ-დაწონოს სამსახურში სასამართლო საქმისმწარმოებლად თავისი ნათესავის მიღების მიზანშეწონილობის საკითხი

⁶⁵ იხ. Jeffery M Shaman, Steven Luber and James J. Alfini, *Judicial Conduct and Ethics*, 3rd ed. (Charlottesville, Virginia, The Michie Company, 2000).

და უზრუნველყოს სამსახურში მიღების სათანადო პრინციპების დაცვა, ვიდრე უპირატესობას იმ პირს მიანიჭებს, რომელსაც მასთან ნათესაური კავშირი აქვს.

აუცილებელია კანონის განუხრელი და ზუსტი დაცვა

108. კანონის დარღვევით, მოსამართლემ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსამართლის თანამდებობისადმი პატივისცემას, მსგავსი მოქმედებით კანონისადმი უპატივცემლობა წაახალისოს და შეარყიოს საზოგადოების რწმენა სასამართლოს პატიოსნებისადმი. ნაციისტურ გერმანიაში მოსამართლეს შეეძლო შეერბილებინა რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ ნიურნბერგის კანონის მოქმედება ისე, რომ არ დაერღვია მოსამართლეთა ქცევის პრინციპები. იგივე შეიძლება ითქვას აპარტიდის ეპოქის სამხრეთაფრიკელი მოსამართლის შესახებ. ზოგჯერ მოსამართლე, მოსამართლის თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება აღმოჩნდეს ვითარებაში, როცა მისი, როგორც მოსამართლის მოვალეობა მოითხოვს სამართლებრივი ნორმის გამოყენებას, რომელიც ადამიანის უფლებათა ფუძემდებლურ პრინციპებსა და ადამიანურ ღირსებას ეწინააღმდეგება. ასეთ ვითარებაში მოსამართლემ, ალბათ, უნდა დატოვოს თანამდებობა, რათა თავიდან აიცილოს კანონის შესრულებასთან დაკავშირებული მოსამართლის მოვალეობის კომპრომეტირება. მოქმედება, რომელიც სხვა პირებთან მიმართებით უმნიშვნელო გადაცდომად შეიძლება ჩაითვალოს, მოსამართლის შემთხვევაში შეიძლება ფართოდ გახმაურდეს, ჩირქი მოსცხოს მის რეპუტაციას და დააეჭვოს საზოგადოება ამ მოსამართლისა და, ზოგადად, სასამართლოს პატიოსნებაში.

3.2 მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. არ არის საკმარისი მხოლოდ მართლმსაჯულების აღსრულება, აუცილებელია ამის საზოგადოებისათვის ღიად გაკეთება.

კომენტარი

მოსამართლის პირადი ქცევა გავლენას ახდენს სასამართლო სისტემაზე ზოგადად

109. საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი საფუძვლად უდევს არა მარტო მოსამართლეთა საზოგადოების წევრების კომპეტენტურობა და გულმოდგინება, არამედ მათი პატიოსნება და მორალური ავტორიტეტი. მოსამართლე უნდა იყოს არა მარტო „კარგი მოსამართლე“, არამედ „კარგი ადამიანიც“, თუმცა უკანასკნელს სხვადასხვა საზოგადოებისათვის შესაძლოა, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. საზოგადოების აზრით, მოსამართლემ იკისრა ვალდებულება, არა მარტო ემსახუროს სამართლიანობისა და სიმართლის იმ იდეალებს, რომლებსაც ემყარება სამართლის უზენაესობა და დემოკრატიის საფუძვლები, არამედ თავად იყოს მათი განსახიერება. შესაბამისად, მოსამართლის პირადი თვისებები, მისი ქცევა და მისი იერი საზოგადოების თვალში გავლენას ახდენს ზოგადად სასამართლო სისტემაზე და, შესაბამისად, საზოგადოების ნდობაზე სასამართლო ხელისუფლებისადმი. საზოგადოება მოსამართლეს ბევრად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს; ის მისგან ბევრად უფრო მაღალი ქცევის სტანდარტების დაცვას მოელის, ვიდრე ზოგადად საზოგადოებაში დმკვიდრებული ნორმებია. არსებითად, მოსამართლის ფუნქცია, რომელიც სხვათა გასამართლებაა, ავალდებულებს მოსამართლეს, ისე მოიქცეს, რომ გამოირიცხოს გარეშეთა მხრიდან რამდენადმე საფუძვლიანი გაკიცხვის შესაძლებლობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მოსამართლის როლსა და მოსამართლის თანამდებობას ეხება.

მართლმსაჯულება საზოგადოებისათვის ღიად უნდა აღსრულდეს

110. ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება მოსამართლის საქმიანობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი საქმიანობა საკუთრივ; ამიტომ მოსამართლე ყოველგვარ ეჭვსგარეშე უნდა იყოს. მოსამართლე არა მარტო უნდა იყოს პატიოსანი, არამედ აღიქმებოდეს ასეთად. მოსამართლის ვალი მხოლოდ

ის კი არ არის, რომ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოს, მან ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობასა და ობიექტურობაში, ასევე მოსამართლის პატიოსნებაში დაეჭვების შესაძლებლობა გამოირიცხებოდეს. ამიტომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს არა მარტო მაღალი კვალიფიკაცია სამართლის საკითხებში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის ისე მოქმედებდეს და იქცეოდეს, რომ სასამართლო პროცესის მხარეები დარწმუნებულნი იყვნენ მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში.

მეოთხე ღირებულება

ეთიკური ნორმების დაცვა

პრინციპი

ეთიკური ნორმების დაცვა, ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება მოსამართლის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

კომენტარი

როგორ გამოიყურება ეს საზოგადოების თვალში?

111. ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემო მყოფთა აზრით. მაგალითად, მოსამართლე, რომელიც ცალკე და ხანგრძლივად ესაუბრება პირს, რომელიც განსახილველი საქმის მხარეს წარმოადგენს, ისე გამოიყურება, თითქოს უპირატესობას აძლევდეს ერთ-ერთ მხარეს, მაშინაც კი, თუ საუბარი საერთოდ არ შეეხება სასამართლო საქმეს. ვინაიდან საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის, მოსამართლემ, რომელსაც ვერ გადაუნყვეტია, წავიდეს თუ არა ამა თუ იმ ლონისძიებაზე, ან მიიღოს თუ არა ესა თუ ის საჩუქარი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, თავს შემდეგი კითხვა უნდა დაუსვას: „როგორ გამოიყურება ეს საზოგადოების თვალში?“

გამოყენება

4.1 მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს, მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას.

კომენტარი

არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმი

112. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმი იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. მაგალითად თუ სახელმწიფო მოხელეს სხვაგვარად ექცევიან, ვიდრე საზოგადოების რიგით წევრს, რაც იმით გამოიხატება, რომ მოხელეს განსაკუთრებულ ადგილს აძლევენ სასამართლოს დარბაზში, ეს გარეშე დამკვირვებელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ მოხელეს სასამართლო დანესებულებაში განსაკუთრებული წვდომის უფლება და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესზე გავლენის შესაძლებლობა აქვს; მეორე მხრივ, სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ხშირად ექსკურსიით დადიან სასამართლოში, განსაკუთრებულ ადგილებზე დასხდომის უფლება ეძლევათ, ხშირად მოსამართლის ადგილზეც კი. ვინაიდან ბავშვებს ძალაუფლება არ გააჩნიათ, ისინი, შესაბამისად, არც აღიქმებიან სასამართლოზე არამართლზომიერი გავლენის განმხორციელებლად, მით უფრო, თუ განმარტებულია, რომ სასამართლოში ექსკურსიას საგანმანათლებლო მიზნები აქვს.

არამართლზომიერი კონტაქტები

113. მოსამართლეს კარგად უნდა ესმოდეს ისეთი კონტაქტების თავიდან აცილების აუცილებლობა, რომლებიც გარშემომყოფთ საბაბს მისცემს, ჩათვალონ, რომ მოსამართლეს რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს რომელიმე პირთან, რის გამოც შეიძლება, მას რაიმე სამსახური გაუწიოს. მაგალითად: მოსამართლემ, როგორც წესი, თავი უნდა შეიკავოს პოლიციელის ან ადვოკატის კუთვნილი მანქანით მგზავრობისაგან; საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას მან არ უნდა დაიკავოს ადგილი მოდავე მხარის წარმომადგენლის ან მის მიერ განსახილველ საქმეში მონაწილე მონაწილე პირის გვერდით.

4.2 საზოგადოების მხრიდან მუდმივი ყურადღება ვალდებულს ხდის მოსამართლეს, დაიცვას რიგი შეზღუდვებისა; და, მიუხედავად იმისა, რომ რიგითი მოქალაქისათვის ეს შეზღუდვები შესაძლოა სამძიმო იყოს, მოსამართლე მათ ნებაყოფლობით და მზადყოფნით იღებს. კერძოდ, მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მისი თანამდებობის მაღალ სტატუსს.

კომენტარი

მოსამართლემ უნდა დაიცვას თავის მოქმედებასთან დაკავშირებით რიგი შეზღუდვებისა

114. მოსამართლეს უნდა ესმოდეს, რომ ის საზოგადოების მხრიდან მუდმივი ყურადღების და განსჯის ობიექტია და ეს ავალდებულებს მას, თავის იმ მოქმედებებთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები დაიცვას, რომლებიც რიგით მოქალაქეს სამძიმოდ ეჩვენება. მოსამართლე ამ შეზღუდვებს ნებაყოფლობით და ხალისით იღებს მაშინაც, როცა მისი ქმედებები არავის მოეჩვენებოდა დასაძრახად, საზოგადოების სხვა წევრებს ან სამოსამართლო პროფესიის სხვა წარმომადგენლებს რომ განეხორციელებინათ. ეს ეხება მოსამართლის როგორც პროფესიულ, ისე პირად ქცევას. მოსამართლის ქცევის კანონიერება მისი ქცევის კორექტულობის მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი, საზომია.

მოსამართლის ცხოვრება მისაბაძი უნდა იყოს

115. მოსამართლის ცხოვრების წესი როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ სამაგალითო უნდა იყოს. მოსამართლეს საზოგადოებაში მოსამართლის თანამდებობის შესაფერი თავდაჭერა და ტაქტი მართებს, ვინაიდან იმპულსურობისა და მჩქეფარე ტემპერამენტის გამოვლენა სასამართლოს ავტორიტეტის შემლახველი და მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტატუსთან შეუთავსებელია.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაგალითად ბარებში, სიარული

116. ამჟამად, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნების უმრავლესობაში, მოსამართლეებს არ ეკრძალებათ ლუდხანებში, ბარებში ან სხვა მსგავს ადგილებში სტუმრობა, თუმცა მათ აუცილებლად სიფრთხილე მართებთ ამ დროს. მოსამართლემ უნდა იფიქროს, როგორ აღიქვამს ამგვარ ადგილას მის ყოფნას საზოგადოების წარმომადგენელი გარეშე დამკვირვებელი იმის გათვალისწინებით, მაგალითად,

თუ რა რეპუტაციით სარგებლობს ეს ადგილი, ვინ არის მისი მუდმივი სტუმარი, ან ხომ არ ფუნქციონირებს ის კანონთან არცთუ მთლად შესაბამისად.

აზარტული თამაშები

117. მოსამართლეებს არ ეკრძალებათ დროდადრო, სამსახურისაგან თავისუფალ დროს, აზარტული თამაშები, თუმცა ამ დროს სიფრთხილე მართებთ და არ უნდა დაავიწყდეთ, როგორ აღიქვამს ამას საზოგადოების წარმომადგენელი გარეშე დამკვირვებელი. ერთია საზღვარგარეთ შვებულებით ყოფნისას ზოგჯერ დოღზე დასწრება, კაზინოში შესვლა, ან მეგობრებსა თუ ოჯახის წევრებთან ბანქოს თამაში, ხოლო სულ სხვაა ტოტალიზატორის (სადაც, მაგ. დოღის დროს, ფულად ფსონს ჩადიან და ფულად მოგებას იღებენ) ხშირი სტუმრობა და თავგადაღებული გატაცებისა თუ აზარტულობის გამომჟღავნება.

კლუბების ხშირი სტუმრობა

118. მოსამართლეს სიფრთხილე მართებს კლუბებსა და დასვენებისა თუ გართობის სხვა ადგილებში სტუმრობისას. წინდახედულებაა საჭირო იმ დაწესებულებებში სტუმრობისას, სადაც პოლიციის, კორუფციასთან ბრძოლის ორგანოების, საბაჟო უწყებისა და სხვა სამსახურების თანამშრომლები იკრიბებიან, რომლებიც შეიძლება, ხშირად იყვნენ სასამართლოში. მოსამართლეს ზოგჯერ შეუძლია, მიიღოს მინვევა პოლიციელებისათვის განკუთვნილ კლუბ-სასადილოში, ოღონდ ის არ უნდა გახდეს მათი ხშირი ან მუდმივი სტუმარი ან წევრი. ქვეყნების უმრავლესობაში ადვოკატების წრის იმ წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრება, რომელთაც სასამართლოში აქვთ პრაქტიკა, და ადვოკატებთან ურთიერთობა დასაშვებად მიიჩნევა.

4.3 იმ სასამართლოში მუდმივი პრაქტიკის მქონე ადვოკატებთან პირადი ურთიერთობისას, სადაც მოსამართლე განიხილავს საქმეებს, ის თავს არიდებს სიტუაციებს, რომლებმაც შესაძლოა, საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვიონ, ან იმგვარად წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს მოსამართლეს რაიმე სახის მიკერძოება ან წინასწარი განწყობა ჰქონდეს.

კომენტარი

სხვა კონტაქტები ადვოკატებთან

119. სამოსამართლო კორპუსისა და ადვოკატურის წარმომადგენლებს შორის მეგობრული კონტაქტები ძველი და პატივისცემის ღირსი ტრადიციაა. ვინაიდან მოსამართლეები ცხოვრობენ არა „სპილოს ძვლის კოშკებში“, არამედ რეალურ სამყაროში, ისინი ვერ განყვეტენ და არც უნდა განყვიტონ ყველანაირი კავშირი ადვოკატთა წრის წარმომადგენლებთან მოსამართლის თანამდებობის დაკავების შემდეგ. მოსამართლეების იზოლირება საზოგადოებისგან, მათ შორის: მეგობრებისაგან, ყოფილი თანამშრომლებისაგან ან ადვოკატთა წრისაგან, არაკეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა საკუთრივ იურიდიულ პროცესზე. ნვეულებზე, საღამოებსა და სხვა ღონისძიებებზე დასწრებას ადვოკატების საზოგადოებაში სინამდვილეში მრავალი უპირატესობა აქვს. ისინი არაფორმალური ურთიერთობის საშუალებას იძლევიან, რაც ხსნის დაძაბულობას მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის, ასევე გარკვეულწილად ხელს უწყობს ყოფილ კოლეგებთან იმ გაუცხოებისა და მათგან იზოლირების შერბილებას, რასაც მოსამართლე თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ განიცდის. თუმცა მოსამართლეს თავის ქმედებებში საღად აზროვნება და წინდახედულება მართებს.

ცალკეულ ადვოკატებთან მეგობრული ურთიერთობები

120. იმ ადვოკატთან მეგობრული ურთიერთობა და მუდმივი კონტაქტი, რომელიც რეგულარულად გამოდის სასამართლოში, სადაც კონკრეტული მოსამართლე იხილავს საქმეებს, გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს და მუდმივ დაბალანსებას მოითხოვს: ერთი მხრივ, მოსამართლეს ხელი არ უნდა შეეუშალოთ სასამართლოს გარეთ მეგობრულ კონტაქტებსა და ურთიერთობაში; მეორე მხრივ კი, თუ საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატი მოსამართლის მეგობარი, ყოფილი თანამშრომელი ან პარტნიორია, თავს იჩენს მოსამართლის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საბაზის წარმოშობის პრობლემა. საბოლოოდ, სწორედ მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს, მართლაც მეტისმეტად ახლო ურთიერთობა აკავშირებს

ადვოკატთან, თუ მხოლოდ ამგვარი შთაბეჭდილება იქმნება. მოსამართლე თავად წყვეტს, სად გადის ზღვარი. მან უნდა დაუსვას თავს კითხვა: ახდენს თუ არა ადვოკატთან მისი მეგობრული ურთიერთობა გავლენას მის მიერ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე და გაუჩნდება თუ არა მის სოციალურ კავშირებზე კარგად ინფორმირებულ ობიექტურ დამკვირვებელს საფუძვლიანი ეჭვი მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების შესაძლებლობაში. მოსამართლე ასევე უნდა აცნობიერებდეს საფრთხეს იმასთან დაკავშირებით, რომ მას, თავისი სურვილის მიუხედავად, შეიძლება, ხელი მიუწვდებოდეს განსახილველი საქმის შესახებ ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც სასამართლოსთან კავშირში არაა. ამიტომ მოსამართლე ცდილობს, თავი აარიდოს ხშირ კონტაქტებს იმ ადვოკატთან, რომელიც მის მიერ განსახილველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით გამოდის სასამართლოში, თუ ამგვარი კონტაქტები, თუნდაც უსაფუძვლოდ, შეიძლება განიხილებოდეს როგორც მოსამართლისა და ადვოკატის ახლო პირადი ურთიერთობების დასტური.

მეგობრული ურთიერთობა ადვოკატთან, რომელიც მოსამართლის მეზობელია

121. თუ მოსამართლის ახლო მეზობელია ადვოკატი, რომელიც რეგულარულად გამოდის სასამართლოში, სადაც ეს მოსამართლე განიხილავს საქმეებს, იგი ამ ადვოკატთან ყოველგვარი კონტაქტისგან არ უნდა იკავებდეს თავს, გარდა იმ პერიოდისა, როცა ადვოკატი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეში მონაწილეობს დამცველად. კონკრეტული გარემოებების მიხედვით, მოსამართლის ამ ადვოკატთან ურთიერთობა გარკვეულ ფარგლებში დასაშვებია იმ პირობით, რომ ამგვარი ურთიერთობა მოსამართლის ხშირი თვითაცილების საფუძველი არ გახდება და ჩრდილს არ მიაყენებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

იმ შეხვედრებზე დასწრება, რომლებშიც ადვოკატები მონაწილეობენ

122. არავითარი საფუძველი არ არსებობს, წინააღმდეგი ვიყოთ მოსამართლის დასწრებისა იმ დიდ წვეულებებსა თუ კოქტილის საღამოებზე, რომლებსაც, მაგალითად, უფროსი ადვოკატები აწყობენ თანამდებობაზე დანიშვნის აღსანიშნავად. მართალია, ასეთ საღამოებში შეიძლება, ის ადვოკატებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც იმ სასამართლოში გამოდიან, სადაც ეს მოსამართლე განიხილავს საქმეებს, მაგრამ მათთან უშუალო კონტაქტს შეიძლება ადვილად ავარიდოთ თავი, თუ საქმე, რომელშიც ისინი მონაწილეობენ, სასამართლო გან-

ხილვის პროცესშია. თუ ამგვარი კონტაქტი მაინც შედგა, მოსამართლე თავს იკავებს განსახილველ საქმეზე საუბრისაგან და, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, პირველივე შესაძლებლობისას შეუძლია, აცნობოს მხარეებს ამგვარი შეხვედრის ფაქტის შესახებ. ძირითადი მოსაზრება, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მსგავს შემთხვევებში, არის ის, ქმნის თუ არა ასეთი კონტაქტი, ან შეუძლია თუ არა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მოსამართლესა და ადვოკატს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ და განაპირობებს თუ არა ამგვარი ურთიერთობების არსებობა იმას, რომ მოსამართლე მზად იქნება, დაეთანხმოს ამ ადვოკატის მტკიცებებს.

სტუმართმოყვარეობის ჩვეულებრივი გამოვლინება

123. ჩვეულებრივ, მოსამართლეებს არ ეკრძალებათ ადვოკატების ან იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების მიწვევის მიღება არაფორმალურ შეხვედრებსა და შეკრებებზე. ადვოკატებთან ამგვარ შეხვედრებს ხელი უნდა შევეწყოთ, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი თავშეყრის დროს არაფორმალური საუბრები და დისკუსიები სასარგებლოა. მაგრამ მოსამართლემ არ უნდა მიიღოს საჩუქარი ადვოკატისაგან, რომელიც შეიძლება იმ საქმეში მონაწილეობდეს, რომელსაც ეს მოსამართლე განიხილავს, ან დაესწროს იურიდიული ფირმის მიერ გამართულ საღამოსა თუ წვეულებას, რომლის სტუმართმოყვარეობის მასშტაბები მიღებულ ფარგლებს სცილდება. კრიტიკრიუმში, რომლითაც მსგავს შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობა, არის ის, თუ როგორ გამოიყურება ასეთი ღონისძიება იმ გარეშე დამკვირვებლის თვალში, რომელიც შესაძლოა, არც ისე მოწყალეა და განწყობილი ადვოკატთა წრის ჩვეულებებისადმი, როგორც თავად ამ წრის წარმომადგენლები.

იურიდიული ფირმის სტუმარი

124. თუ რამდენად დასაშვებია მოსამართლის დასწრება იურიდიული ფირმის მიერ გამართულ საღამოსა თუ წვეულებაზე, განპირობებულია იმით, თუ ვინ არის ამ ღონისძიების მასპინძელი, ვინ არის მიწვეული სტუმრად და რა ხასიათისაა ეს წვეულება. ამგვარ წვეულებაზე დასწრებასთან დაკავშირებით გადანწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ეყრდნობა თავის ცოდნას ადგილობრივი წეს-ჩვეულებების შესახებ და მსგავსი ხასიათის სხვა ღონისძიებებში ადრე მონაწილეობის გამოცდილებას. გარემოებების მიხედვით, მოსამართლემ შეიძლება გამოჰკითხოს მასპინძელს მიწვეულთა ვინაობისა და წვეულების მასშტაბების შესახებ. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევებში, როცა ეს

კონკრეტული ფირმის მიერ თავისი კლიენტებისათვის ან თავისი მომსახურების პოტენციური კლიენტებისათვის შეთავაზებად შეიძლება აღიქმებოდეს. გარდა ამისა, არსებობს ზუსტი ზღვარი პროფესიული ასოციაციების (რომლებზეც მოსამართლეებს მართლაც ხშირად იწვევენ ფართო ინტერესის შემცველ საკითხებზე სასაუბროდ) მიერ და ცალკეული იურიდიული თუ ადვოკატთა ფირმების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს შორის. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ იურიდიული ფირმის მოწყობილ შეხვედრაზე მისმა დასწრებამ ჩრდილი არ მიაცენოს მის მიუკერძოებლობას საზოგადოების თვალში.

მოსამართლის სტუმრობა ადვოკატთა კანტორაში, ფირმასა თუ ბიუროში, სადაც ის ადრე მუშაობდა

125. წინდახედულებაა საჭირო იმ ადვოკატთა კანტორასა თუ ფირმაში სტუმრობის მიზანშეწონილობის შეფასებისას, სადაც მოსამართლე ადრე მუშაობდა. მაგალითად, ჩვეულებრივ, ეს მართლზომიერია ისეთ ღონისძიებებზე დასასწრებად, როგორებიცაა: ყოველწლიური შეკრება, ან საზეიმო საღამო თუ წვეულება ფირმის წევრის მთავარ ადვოკატად დანიშვნის ან ყოფილი თანამშრომლის მოსამართლედ დანიშვნის აღსანიშნავად. თუმცა, გარემოებებიდან გამომდინარე, მოსამართლის მეტისმეტად ხშირი სტუმრობა მის ყოფილ ფირმაში, ყოფილ კოლეგებთან ურთიერთობის მიზნით, შესაძლოა, არცთუ მთლად მართლზომიერი იყოს. მოსამართლე, რომელიც ადრე პროკურორად მუშაობდა, თავს უნდა არიდებდეს საპროკურორო საქმიანობაში ყოფილ კოლეგებთან მეტად ახლო კონტაქტებს, ასევე პოლიციელებთან, რომლებთანაც ადრე უწევდა მუშაობა. უნდა გამოირიცხოს ყველაფერი, რაც მიკერძოებად შეიძლება მოინათლოს.

სასამართლო საქმის მხარეებთან ურთიერთობა

126. მოსამართლეს სიფრთხილე მართებს იმ პირებთან მეტისმეტად ახლო ურთიერთობისას, რომლებიც ხშირად გამოდიან მხარეებად იმ სასამართლოში, რომელშიც ეს მოსამართლე განიხილავს საქმეებს, თუ ასეთი ურთიერთობები მიკერძოებაზე საფუძვლიანი ვარაუდის მიზეზი შეიძლება გახდეს, ან განაპირობოს მოსამართლის საქმის განხილვისგან ჩამოცილების აუცილებლობა. ეს, კერძოდ, ეხებათ: მინისტრებსა და მთავრობის მოხელეებს, მუნიციპალურ მოხელეებს, საპროკურორო ორგანოების წარმომადგენლებსა და სახელმწიფო დამცველებს. მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ამ თანამდებობის პირისა თუ ადვოკატის სასამართლოში ყოფნის სიხშირე, მასთან თავისი ურთიერთობის ხასიათი და ინტენსივობა, სამართლებრივი საზოგადოების კულტურის თავისებურებები, რო-

მელშიც მოსამართლე ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს, ასევე მიმდინარე ან მომავალი სასამართლო პროცესის თავისებურება.

საიდუმლო საზოგადოებების წევრობა

127. მიზანშეწონილი არ არის მოსამართლის განწევრიანება საიდუმლო საზოგადოებაში, რომელშიც შედიან ის ადვოკატებიც, რომლებიც მის სასამართლოში გამოდიან დამცველებად, რადგან ამან შეიძლება წარმოშვას ეჭვი, რომ, ძმობის კოდექსის თანახმად, ამ ადვოკატებს შეიძლება რაიმე სახის პრივილეგიები შესთავაზონ.

4.4 მოსამართლე არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, თუ მისი ოჯახის რომელიმე წევრი რომელიმე მხარის წარმომადგენელია, ან სხვაგვარად არის დაკავშირებული საქმესთან.

კომენტარი

როცა თვითაცილება სავალდებულოა

128. ჩვეულებრივ, მოსამართლე ვალდებულია, აცილების შესახებ განაცხადოს და არ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, თუ მისი ოჯახის რომელიმე წევრი (საცოლისა და საქმროს ჩათვლით) ჩართულია ან მიჰყავს განხილვა როგორც ადვოკატს.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე იმ შემთხვევაში, როცა მისი ოჯახის რომელიმე წევრი ადვოკატთა ფირმასთან არის დაკავშირებული

129. ჩვეულებრივ, ადვოკატთა ფირმის წევრები ინაწილებენ შემოსავლებსა და ხარჯებს და დაინტერესებული არიან კლიენტების მოზიდვით, გარკვეულწილად, სასამართლოში საქმეთა წარმატებით წარმოების მეშვეობით. თუმცა თავისთავად ის ფაქტი, რომ საქმეში მონაწილე ადვოკატი დაკავშირებულია ადვოკატთა ფირმასთან, რომელთანაც ასევე კავშირშია მოსამართლის ოჯახის რომელიმე წევრი, არ არის მოსამართლის თვითაცილების საფუძველი. შესაბამისი გარემოებების შემთხვევაში, მოსამართლე შეიძლება თვითაცილების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდეს, თუ ვინმეს შეეძლება, დასაბუთებულად ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა, ან, თუ მისთვის ცნობილი ხდება, რომ რომელიმე მისი ნათესავი ფლობს საადვოკატო ფირმის წილს, რომელზეც განსახილველი საქმის გადანყვეტამ შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. გარდა ამისა, მოსამართლემ შეიძლება გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- თუ ის არ განაცხადებს თვითაცილების შესახებ, როგორ შეაფასებს ამას საზოგადოება;
- თუ ის არ განაცხადებს თვითაცილების შესახებ, როგორ შეაფასებენ ამას ადვოკატები, მოსამართლეები და საზოგადოების ცალკეული წევრები;
- ადმინისტრაციული დატვირთვა, რომელიც სასამართლოს აწვება თვითაცილების შემთხვევაში;
- განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მისი ნათესავის ფინანსური, პროფესიული ან სხვა სახის დაინტერესების ხარისხი.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე იმ შემთხვევაში, როცა მისი ოჯახის რომელიმე წევრი სახელმწიფო იურიდიულ უწყებაში მუშაობს

130. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ადვოკატები ხელფასს იღებენ და არა აქვთ მატერიალური ინტერესი სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების მიმართ, მაინც გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორი, როგორცაა პროფესიული წარმატების მიღწევის სურვილი. ამიტომ იმ შემთხვევაშიც, როცა მოსამართლის ოჯახის რომელიმე წევრი, თუნდაც არახელმძღვანელ თანამდებობაზე, მუშაობს სახელმწიფო პროკურატურაში ან დაცვის სახელმწიფო ბიუროში, მოსამართლეს სიფრთხილე მართებს – ის უნდა დაფიქრდეს, ხომ არ განაცხადოს თვითაცილების შესახებ საქმეების განხილვაში მონაწილეობისგან, რომლებშიც ეს სახელმწიფო უწყებაა ჩართული, ორი მიზეზით: პირველი, ვინაიდან ამ უწყების თანამშრომლებმა შეიძლება, ერთმანეთს გაუზიარონ სასამართლოში განსახილველი საქმეების შესახებ ინფორმაცია, არსებობს რისკი, რომ აქ მომუშავე მოსამართლის ოჯახის წევრი არამართლობიერად იქნეს ჩართული ამ უწყებასთან დაკავშირებულ სხვა საქმეებში; მეორე, შეიძლება, გაჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მოსამართლემ ასეთი კითხვა უნდა დაუსვას თავს: რამდენად შეიძლება ივარაუდოს გარეშე დამკვირვებელმა, რომ მოსამართლეს გააზრებულად ან გაუცნობიერებლად მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს იმ უწყების პროფესიული წარმატების მიმართ, სადაც მისი ოჯახის წევრი მუშაობს.

როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, თუ მას ახლო ურთიერთობა აქვს ადვოკატთან

131. თუ მოსამართლეს ადვოკატთან ახლო ურთიერთობა აქვს, ის, ჩვეულებრივ, არ მონაწილეობს იმ საქმეთა განხილვაში, რომლებშიც ეს ადვოკატია ჩართული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ადვოკატის მონაწილეობა მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. მაგრამ მოსამართლე არ არის ვალდებული, თვითაცილების შესახებ განაცხადოს ყველა იმ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, რომელშიც იმავე საადვოკატო ფირმის ან ბიუროს სხვა წევრები მონაწილეობენ.

სასამართლო ოლქები, სადაც ერთი მოსამართლე და ერთი ადვოკატია

132. არსებობს სასამართლო ოლქები, სადაც სასამართლოს შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა, პროკურატურის ან ადვოკატურის შემადგენ-

ლობაში კი მხოლოდ ერთი ადვოკატი. თუ ეს ადვოკატი მოსამართლის შვილია, ან სხვაგვარ ნათესაურ კავშირშია მასთან, გამოიყენება მოსამართლის გარდაუვალი აცილების პრინციპი, რის შედეგადაც მოსამართლეს ჩამოერთმევა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის უფლება. ეს სიძნელებებს უქმნის არა მარტო ამავე რეგიონის სხვა მოსამართლეებს (რომლებსაც ამ მოსამართლის ნაცვლად მოუწევთ საქმეების განხილვა), არამედ იმ პირებსაც, რომლებსაც დანაშაულების ჩადენაში ედებათ ბრალი. გარდა ამისა, ასეთ პირობებში ძნელია დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების უფლების გარანტირება, საქმე დროულად იქნეს განხილული სასამართლოს მიერ. თუმცა აცილება მსგავს ვითარებებში აბსოლუტური მოთხოვნა ვერ იქნება. ასეთ სიტუაციებს შეძლებისდაგვარად თავი უნდა ავარიდოთ.

4.5 მოსამართლე არ უთმობს თავის საცხოვრებელ ადგილს სხვა ადვოკატებს კლიენტების მისაღებად თუ კოლეგებთან შესახვედრად.

კომენტარი

მოსამართლის საცხოვრებლის ან ტელეფონის გამოყენება

133. მოსამართლე არ უთმობს თავის საცხოვრებელს ადვოკატებს კლიენტებთან ან კოლეგებთან შეხვედრებისთვის მათ საადვოკატო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის მეუღლე ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრი ადვოკატია, მოსამართლე არ უთმობს მას თავის სახლის ტელეფონს საადვოკატო პრაქტიკის განხორციელების მიზნებისათვის, რადგან ამან შეიძლება წარმოშვას ეჭვი, რომ მოსამართლეც ეწევა საადვოკატო პრაქტიკას და პოტენციურად გამოიწვიოს *ex parte* კონტაქტები ან ასეთი კონტაქტების არსებობის თაობაზე ეჭვი, ან შექმნას ასეთი შთაბეჭდილება.

4.6 მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის, აღმსარებლობის, შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობის თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისას მოსამართლე ყოველთვის ზრუნავს მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის დაცვაზე და თავს იკავებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან შეუთავსებელი ქმედებებისაგან.

კომენტარი

მოსამართლეებისათვის ისეთივე უფლებებია გარანტირებული, როგორც სხვა მოქალაქეებისათვის

134. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისას მოსამართლე უარს არ ამბობს გამოხატვის, შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობის უფლებაზე რომელიც საზოგადოების სხვა წევრებისთვისაა გარანტირებული, ისევე, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულებისა თუ პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესზე. მაგრამ მოსამართლეს თავშეკავება მართებს საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართ. იმის განსაზღვრისას, თუ რა ფარგლებშია დასაშვები მოსამართლეთა თანამეგობრობის წევრების მონაწილეობა საჯარო დისკუსიებში, საჭიროა ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინება: პირველი, არის თუ არა მოსამართლე ჩართული საქმიანობაში, რომელსაც ობიექტურად შეუძლია, ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას; მეორე, აუცილებელია იმის გათვალისწინება, ხომ არ იქცევა ის ამა თუ იმ საქმიანობაში მონაწილეობის გამო პოლიტიკური თავდასხმების ობიექტად, ან ხომ არ არის ეს მონაწილეობა მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუთავსებელი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობისაგან.

სამოსამართლო მოვალეობასთან შეუთავსებელი ქმედებები

135. მოვალეობები, რომლებიც მოსამართლეს ეკისრება, შეუთავსებელია ზოგიერთი სახის პოლიტიკურ საქმიანობასთან, მაგალითად, ეროვნული პარლამენტის ან ადგილობრივი საბჭოს წევრობასთან.

მოსამართლეებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა საჯარო პოლემიკაში

136. მოსამართლე არ მონაწილეობს საჯარო პოლემიკაში გასაგები მიზეზის გამო. მოსამართლის თანამდებობის არსი მოსამართლის უნარშია, ობიექტურად და სალად აწონ-დაწონოს სადავო საკითხები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსამართლისათვის, საზოგადოების თვალში იყოს დამოუკიდებელი, წინასწარი განწყობის, წინასწარ შექმნილი აზრისგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი მიდგომის ქომაგი, რის განსახიერებაც უნდა იყოს ჭეშმარიტი მოსამართლე. თუ მოსამართლე პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის და საჯარო დისკუსიებში გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სადავო საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეობს საჯარო კამათში საზოგადო მოღვაწეებთან ან საჯაროდ აკრიტიკებს მთავრობას, საზოგადოების თვალში ის ეჭვქვეშ აყენებს თავის უნარს, მიუკერძოებლად განახორციელოს მოსამართლის მოვალეობები. საზოგადოება დაეჭვდება მოსამართლის მიუკერძოებლობაში, როცა მას მოუწევს იმ საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა, რომელთა თაობაზეც მას საჯაროდ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, ან იმ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა, რომელშიც მხარედ ან მოწმედ გამოდიან პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები თუ სამთავრობო უწყებები, რომელთა მიმართაც მოსამართლეს კრიტიკული შენიშვნები გამოუთქვამს.

კრიტიკა მოსამართლის მისამართით

137. საზოგადოების, ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებს შეუძლიათ, საჯაროდ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მოსამართლის ნაკლოვანებების, ხარვეზებისა და შეცდომების, ასევე მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თაობაზე. მოსამართლე, ვინაიდან იცავს მიღებულ წესს „პოლიტიკური დუმის“ შესახებ, ჩვეულებრივ, არ პასუხობს მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას. მართალია, მოსამართლის მიმართ კრიტიკას სამართლოსადმი უპატივცემლობასთან დაკავშირებული წესები არეგულირებს, ამჟამად ისინი უფრო იშვიათად გამოიყენებიან, ვიდრე წარსულში, როცა მათ სასამართლოს ან კონკრეტული მოსამართლის მისამართით კრიტიკის აღსაკვეთად მიმართავდნენ. ჯობს ნებისმიერი სკანდალური თავდასხმის იგნორირება, ვიდრე საქმის გაღრმავება და სასამართლოსადმი უპატივცემლობის თაობაზე წარმოების წამოწყება. როგორც აღინიშნა: „თემიდა ყოველგვარი ცდუნებისაგან თავისუფალი, განყენებული სათნოება როდია, მას საზოგადოების ყურადღების

ცენტრში ყოფნისა და ჩვეულებრივი ადამიანების გულახდილი და შეუფარავი აზრის მოსმენის უფლება უნდა მიეცეს“.⁶⁶

მოსამართლეს შეუძლია, გულახდილად გამოთქვას თავისი მოსაზრებები სასამართლო ორგანოებთან დაკავშირებით

138. არის რიგი გარემოებებისა, როცა მოსამართლეს შეუძლია, გულახდილად გამოთქვას თავისი მოსაზრებები პოლიტიკური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ: როცა ეს საკითხები უშუალოდ ეხება სასამართლოების ფუნქციონირებას, სასამართლოს დამოუკიდებლობას (მათ შორის, მოსამართლის ხელფასსა და შეღავათებს), მართლმსაჯულების აღსრულებას თუ მოსამართლეების პატიოსნებას. თუმცა მოსამართლეს წინდახედულება მართებს ამ საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმისასაც. მოსამართლეს შეუძლია, მიმართოს მთავრობას ამ საკითხების თაობაზე საჯარო განცხადებით, მაგრამ მისი სიტყვები და ქმედებები არ უნდა აღიქმებოდეს როგორც „ლობიების“ მცდელობა, ან იმის მინიშნება, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა ის იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხები სასამართლოს გადაეცემოდა განსახილველად. მეტიც, მოსამართლეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ შეხედულებები, რომლებსაც ის საჯაროდ გამოხატავს, მთელი სამოსამართლო საზოგადოების მოსაზრებად შეიძლება მიიჩნიონ; მოსამართლეს ძნელად თუ გამოუვა, ისე გამოთქვას თავისი აზრი, რომ ის მხოლოდ მის პირად მოსაზრებად ჩათვალონ და არა მთელი სამოსამართლო საზოგადოებისად.

მოსამართლეს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტის განხილვაში

139. მოსამართლეს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტის განხილვაში საგანმანათლებლო მიზნით, ან იმისთვის, რომ კანონში ან კანონებში არსებულ ხარვეზებზე მიუთითოს. გარკვეულ შემთხვევებში მოსამართლის მოსაზრება კანონპროექტთან დაკავშირებით შესაძლოა, სასარგებლო და ყურადსაღები იყოს იმ პირობით, თუ მოსამართლე თავს შეიკავებს კანონპროექტში შემოთავაზებული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე არაფორმალური მსჯელობისა თუ სადავო დასკვნებისაგან. მოსამართლის კომენტარი შემოთავაზებულ კანონპროექტთან ან მთავრობის პოლიტიკიდან გამომდინარე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორც წესი, უნდა შემოიფარგლოს შემოთავა-

⁶⁶ *Ambard v. Attorney General for Trinidad and Tobago*, Privy Council on appeal from the Court of Appeal of Trinidad and Tobago p1936] AC 322 at 335, per Lord Alkin.

ზებული ნორმების პრაქტიკული გამოყენებისა და მისი შედეგების დაშვებული რედაქციული ხარვეზების განხილვით და არ შეეხოს პოლიტიკურად სადავო ან წინააღმდეგობრივ საკითხებს. ზოგადად, მსგავსი კომენტარი მოსამართლეთა საზოგადოების ერთობლივი ან ინსტიტუციონალიზებული ძალისხმევის ნაყოფი უნდა იყოს და არა კონკრეტული მოსამართლის მოსაზრება.

როდის შეიძლება ჩათვალოს მოსამართლემ, რომ ვალდებულია, გამოთქვას საკუთარი აზრი

140. არსებობს სიტუაციები, როცა მოსამართლე, როგორც მორალური პრინციპებისა და ღირებულებების მქონე ადამიანი, საკუთარი აზრის გამოთქმას ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს. მაგალითად, გამონატვის უფლების განხორციელებისას მოსამართლეს შეუძლია შეუერთდეს 24-საათიან საპროტესტო დემონსტრაციას, ეჭიროს პლაკატი, ხელი მოაწეროს პეტიციას, იმის დასადასტურებლად, რომ ომი მისთვის მიუღებელია, მხარი დაუჭიროს ენერჯის რაციონალური გამოყენებისაკენ მიმართულ ძალისხმევას და სილატაკესთან ბრძოლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსებას. ამით მოსამართლე გამოხატავს შეშფოთებას იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ან მსოფლიო საზოგადოებრიობას აწუხებს. თუ ამ საკითხთაგან რომელიმე დაისმება სასამართლოში, სადაც ეს მოსამართლე განიხილავს საქმეებს, და მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს, მოსამართლე აცხადებს თვითაცილების შესახებ და არ მონაწილეობს იმ საქმეთა განხილვაში, რომლებთან დაკავშირებითაც მის მიერ წარსულში განხორციელებულმა ქმედებებმა შეიძლება ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას, პატიოსნებასა და წესიერებას.

4.7 მოსამართლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი პირადი და მატერიალური კონფიდენციალური ხასიათის ინტერესები და იღებდეს გონივრულ ზომებს საკუთარი ოჯახის წევრების მატერიალური ინტერესების თაობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად.

კომენტარი

მატერიალური ინტერესების თაობაზე ინფორმაციის ფლობის ვალდებულება

141. თუ სასამართლოში მოსამართლის განსახილველ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მატერიალურ სარგებელს მოუტანს მოსამართლეს, მისი ოჯახის რომელიმე წევრს ან სხვა პირს, ვისთანაც მოსამართლეს ფიდუციარული ურთიერთობა აქვს, მას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა თვითაც იღებდა. ამიტომ მოსამართლე ყოველთვის უნდა იყოს ინფორმირებული თავისი პირადი, ასევე ფიდუციარული მატერიალური ინტერესებისა და თავისი ოჯახის წევრების მატერიალური ინტერესების შესახებ. ფიდუციარული ანუ მინდობის ურთიერთობები მოიცავს მარწმუნებლისა და ნდობით აღჭურვილი პირების, მაგალითად: ანდერძის აღმასრულებლის, რწმუნებით მმართველის, რომელსაც ინვესტიციების მართვა ან აქტივების შენახვა ანდეს, მეურვისა და მზრუნველის ურთიერთობებს.

მატერიალური ინტერესი

142. „მატერიალური ინტერესი“ არის საწარმოს ან ორგანიზაციის კანონიერი ან სამართლიანობის უფლების შესაბამისად განსაზღვრული ნილის მფლობელობა, ან ამ საწარმოსა თუ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა დირექტორის, მრჩევლის ან სხვა აქტიური მხარის სახით. გამონაკლისი შემთხვევებია:

1. საკუთრება იმ საზიარო ან საერთო საინვესტიციო ფონდში, რომელიც ფასიანი ქაღალდების მფლობელია, არ ნიშნავს „მატერიალური ინტერესის“ არსებობას იმ ფასიანი ქაღალდების მიმართ, რომელთა მფლობელიცაა ეს ორგანიზაცია;
2. საგანმანათლებლო, რელიგიურ, საქველმოქმედო, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან სხვა სახის გაერთიანებაში რაიმე თანამდებობა არ ნიშნავს „მატერიალური ინტერესის“ არსებობას იმ აქტივების მიმართ, რომელთა მფლობელიცაა ეს ორგანიზაცია;
3. სადაზღვევო პოლისის მფლობელის უფლება საერთო სადაზღვევო კომპანიაში, მეანაბრისა – საერთო შემნახველ ასოციაციაში ან სხვა ინტერესი ნიშნავს.

ნავს „მატერიალური ინტერესის“ არსებობას ამ ორგანიზაციის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საქმის გადაწყვეტას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ამ საკუთრების ღირებულებაზე;

4. სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მფლობელობა ნიშნავს „მატერიალური ინტერესის“ არსებობას ემიტენტის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე საქმის გადაწყვეტას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ამ საკუთრების ღირებულებაზე.

4.8 მოსამართლემ არ უნდა დაუშვას თავისი ოჯახის წევრების, სოციალური თუ სხვაგვარი ურთიერთობების უარყოფითი გავლენა მოსამართლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ მის ქმედებებსა და მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

კომენტარი

მოსამართლის ვალდებულება, არ დაუშვას არასათანადო გავლენა

143. მოსამართლის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და მისი საურთიერთობო წრის სხვა პირები, რომლებსაც ის რეგულარულად ხვდება და რომლებთანაც მსჯელობს ამა თუ იმ საკითხზე, აქვს საერთო ინტერესები და საზრუნავი, ენდობა, შესაძლოა არასათანადო გავლენას ახდენდნენ მოსამართლის იმ ქმედებებზე, რომლებიც მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდება, ან ასეთ შთაბეჭდილებას ქმნიდეს. მათ შეიძლება, პირადი ინტერესი ამოძრავებდეთ, ან მხარეთა თუ ადვოკატის ინტერესებით მოქმედებდნენ. მოსამართლემ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ ამგვარი ურთიერთობები არ მოქმედებდეს, თუნდაც გაუცნობიერებლად, მისი, როგორც მოსამართლის, მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ ქმედებებზე ან მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

მოსამართლის ვალდებულება, არ იხელმძღვანელოს ანგარებიანი ინტერესებით

144. მოსამართლე, რომელიც თავის თანამდებობრივ მდგომარეობას საკუთარი ინტერესებისთვის, პირადი გამორჩენის ან ვინმეს მიმართ შურისძიების მიზნით იყენებს, ბოროტად ექცევა თავის უფლებამოსილებას. მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ მოქმედებას, რომლებიც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ის თავის გადაწყვეტილებებში ანგარებიანი ინტერესებით ან მიკერძოებით მოქმედებს, ვინაიდან მოსამართლის უფლებამოსილების ამგვარი ბოროტად გამოყენება სერიოზულად არყვეს საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი.

4.9 მოსამართლეს არ აქვს უფლება, გამოიყენოს საკუთარი თანამდებობრივი ავტორიტეტი ან დაუშვას მისი გამოყენება თავისი, თავისი ოჯახის წევრების ან ნებისმიერი სხვა პირების ინტერესების მისაღწევად. მოსამართლემ არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, ან არ უნდა მისცეს სხვა პირებს იმგვარი მოქმედების უფლება, რომ შესაძლებელი იყოს დაასკვნან, რომ ვილაც არასათანადო გავლენას ახდენს მოსამართლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

კომენტარი

მოსამართლის ვალდებულება, განასხვავოს მოსამართლის თანამდებობის სათანადო და არასათანადო გამოყენება

145. როგორც წესი, საზოგადოება მოსამართლეებს განსაკუთრებულ ადამიანებად თვლის და სასამართლოში, შესაძლოა, მის გარეთაც, მათ გარკვეული პირმოთნეობით ეპყრობიან. ამიტომ მოსამართლე ნათლად უნდა ავლებდეს ზღვარს თავისი თანამდებობის ავტორიტეტის სათანადო და არასათანადო გამოყენებას შორის. მოსამართლე არ უნდა იყენებდეს და არ ცდილობდეს გამოიყენოს თავისი მდგომარეობა პირადი გამორჩენისათვის ან რაიმე შელავათების მისაღებად. მაგალითად, მოსამართლემ არ უნდა გამოიყენოს ბლანკები ან სასამართლოს სხვა წარმომადგენლობითი დოკუმენტაცია პირადი საქმეების საწარმოებლად. მან ასევე არ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა ეცადოს, გამოიყენოს თავისი თანამდებობა სამართლებრივი ან ბიუროკრატიული თვალსაზრისით დახლართული ვითარებიდან თავის დასაღწევად. თუ მოსამართლეს გააჩერებენ, სავარაუდოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, მან საკუთარი ინიციატივით მაშინვე არ უნდა შეატყობინოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელს თავისი სტატუსის შესახებ. მოსამართლის სატელეფონო ზარი პროკურორთან იმის გასარკვევად, „ხომ არ შეიძლება, რამე მოუხერხდეს“ ჯარიმის ქვითარს, რომელიც სასამართლო აღმასრულებელს გამოუწერეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, არამართლზომიერად გამოიყურება მაშინაც კი, თუ მოსამართლე არ აპირებდა, თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით გავლენა მოეხდინა ამ საქმის გადაწყვეტაზე.

არ არის აუცილებელი, მოსამართლემ დამალოს ის ფაქტი, რომ მოსამართლის თანამდებობა უკავია

146. არ არის აუცილებელი, მოსამართლემ დამალოს ის ფაქტი, რომ მოსამართლის თანამდებობა უკავია, მაგრამ მას წინდახედულება მართებს, რათა

არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ის თანამდებობრივ მდგომარეობას რაიმე უპირატესობის ან შეღავათის მისაღებად იყენებს. მაგალითად, მოსამართლის შვილს რომ დაპატიმრება ემუქრებოდეს, მოსამართლეს ისეთივე ემოციები ექნება, როგორც ყველა სხვა მშობელს და, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, უფლება ექნება, რეაგირებდეს ნებისმიერ უსამართლობაზე, რომელიც, მისი აზრით, მის შვილს შეემთხვა. მაგრამ, თუ მოსამართლე პირდაპირ ან შუამავლების მეშვეობით, შეეცდება, დაუკავშირდეს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს, და თავისი თანამდებობის მოშველიებით მოითხოვს იმ პოლიციელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომელმაც დაპატიმრება განახორციელა, ის ამით ნაშლის ზღვარს თავის, როგორც მშობლისა და როგორც მოსამართლის, მდგომარეობებს შორის. მოსამართლეს, როგორც ნებისმიერ მშობელს, უფლება აქვს, დაეხმაროს თავის შვილს და, შესაბამისად, უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შვილის ინტერესების დასაცავად, მაგრამ მას არ აქვს უფლება, განახორციელოს რაიმე ისეთი ქმედებები, რომლებზეც ხელი არ მიუწვდება იმ მშობლებს, რომლებსაც მოსამართლის თანამდებობა არ უკავიათ. მოსამართლის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება იმ მიზნით, რომ შეეცადოს, გავლენა მოახდინოს სხვა თანამდებობის პირებზე, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ, ნიშნავს ზღვარის დარღვევას მშობლის გონივრულ ქცევასა და გამოსარჩლებას შორის, ასევე მოსამართლის თანამდებობრივი ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებას.

სასამართლოს წარმომადგენლობითი დოკუმენტაციის გამოყენება

147. არ შეიძლება სასამართლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის იმგვარად გამოყენება, რომელიც მიგვანიშნებს მოსამართლის თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე. ჩვეულებრივ, სასამართლოს ბლანკები, კონვერტები, საფოსტო ქაღალდი და სხვა წარმომადგენლობითი დოკუმენტაცია იმ შემთხვევებში გამოსაყენებლადაა განკუთვნილი, როცა მოსამართლე ვინმეს მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლეს წინდახედულება მართებს, როცა სასამართლოს წარმომადგენლობით დოკუმენტაციას იმისთვის იყენებს, რომ ამა თუ იმ პირს წერილით მიმართოს, როგორც კერძო პირმა. მაგალითად, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, დასაშვებია წარმომადგენლობითი საფოსტო ქაღალდის ან კონვერტის გამოყენება იმისათვის, რომ მადლობის წერილი გაიგზავნოს შეხვედრის, სალამოს ან წვეულების შემდეგ. მაგრამ სრულიად გაუმართლებელია სასამართლოს წარმომადგენლობითი დოკუმენტაციის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ეს სალი მიდგომისას ისე გამოიყურება, თითქოს

მოსამართლეს სურს, ადრესატის ყურადღება მიაპყროს თავის თანამდებობას, რათა გავლენა მოახდინოს მასზე, მაგალითად, წერილში, რომელიც სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ გადახდასთან დაკავშირებულ საჩივარს შეიცავს.

სარეკომენდაციო წერილები

148. მოსამართლეს შეუძლია, მისცეს ამა თუ იმ პირს სარეკომენდაციო წერილი, მაგრამ ამ დროს აუცილებელია წინდახედულება, რადგან კონკრეტული პირი შეიძლება მოსამართლისაგან სარეკომენდაციო წერილის მიღებას ცდილობდა არა იმიტომ, რომ მოსამართლე მას კარგად იცნობს, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სასამართლოს წარმომადგენლობითი დოკუმენტაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარეკომენდაციო წერილისათვის, თუ მოსამართლეს საშუალება ჰქონდა, სასამართლოში მუშაობის პროცესში ახლოს გაეცნო პირი, ვისაც რეკომენდაციას უწევს. სასურველია, მოსამართლემ ვიხელმძღვანელოს შემდეგი წესებით:

1. მოსამართლე არ აძლევს სარეკომენდაციო წერილებს იმ პირებს, რომლებსაც არ იცნობს;
2. მოსამართლეს შეუძლია, გასცეს სარეკომენდაციო წერილი, თუ ის იმ დოკუმენტის სახით გაიცემა, რომელსაც, ჩვეულებრივ, აძლევენ ამა თუ იმ დანებსებულების თანამშრომელს (მაგალითად, სასამართლოს თანამშრომელს, რომელსაც თავისი პროფესიული ბიოგრაფიის თაობაზე სარეკომენდაციო წერილი სჭირდება). წერილში მითითებული უნდა იყოს რეკომენდაციის ავტორის ვინაობა და იმ პირთან პირადი ნაცნობობის ხარისხი, ვისაც იგი ეძლევა. ჩვეულებრივ, სარეკომენდაციო წერილი იგზავნება პირის ან ორგანიზაციის სახელზე, რომლისთვისაც განკუთვნილია, და უშუალოდ მათ გადაეცემა. იმ შემთხვევაში, თუ წერილი მოსამართლის პირად თანამშრომელს ეხება, მაგალითად სასამართლოს კანცელარიის მდივანს, რომელიც სხვა სამსახურს ეძებს, მას შეიძლება მიეცეს ზოგადი ხასიათის სარეკომენდაციო წერილი ადგილზე წარსადგენად;
3. მოსამართლეს შეუძლია, სარეკომენდაციო წერილი მისცეს პირს, რომელთანაც პირადი, და არა პროფესიული, ნაცნობობა აკავშირებს, მაგალითად, ნათესავს ან ახლო მეგობარს, თუ ეს წერილი იმ რეკომენდაციის ხასიათს ატარებს, რომელიც მოსამართლისათვის შეიძლება ეთხოვათ ამ პირთან მისი პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე.

ჩვენებების მიცემა პირის რეპუტაციასთან დაკავშირებით

149. მოსამართლის მიერ მოწმის სახით ჩვენებების მიცემა პირის რეპუტაციასთან დაკავშირებით სასამართლო პროცედურას წონას მატებს მოწმის თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე და შეიძლება, არასწორად იქნეს გაგებული, ოფიციალური სახე მიეცეს. გარდა ამისა, როცა მოსამართლე მოწმის სახით იძლევა ჩვენებებს, ადვოკატი, რომელიც რეგულარულად გამოდის სასამართლოში ამ მოსამართლის წინაშე, შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ვინაიდან მას მოსამართლის ჯვარედინი დაკითხვა მოუწევს, რომელიც საწინააღმდეგო მხარის მოწმედ გამოდის. ამიტომ მოსამართლე, ჩვეულებრივ, თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით რომელიმე პირის რეპუტაციის შესახებ ჩვენებების მიცემისაგან. ხოლო თუ მას ასეთი თხოვნით მიმართავენ, მოსამართლე თანხმდება მოწმის სახით ჩვენებების მიცემაზე პირის რეპუტაციის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი იმ პირისადმი აშკარად დაუმსახურებელი უპატივცემლობის გამოხატვა იქნებოდა, რომელიც მოსამართლეს მოწმეობას სთხოვს, მაგალითად, ჩვენებების მიცემაზე უარი მეორე სასამართლო თანამდებობის პირისათვის, რომელსაც უფლება აქვს, თავის რეპუტაციასთან დაკავშირებით თანამშრომლები დაიმონოს. თუმცა ეს არ ათავისუფლებს მოსამართლეს სასამართლოში მინვევის მიღებისას ვალდებულებისაგან, გამოცხადდეს სასამართლოში მოწმის სახით.

150. თუ მოსამართლე თავისი ინიციატივით წერილით ან სატელეფონო ზარით მიმართავს ადვოკატთა კოლეგიის თანამდებობის პირებს რომელიმე ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების მსვლელობისას, ის, ფაქტობრივად, მოწმედ გამოდის ამ ადვოკატის რეპუტაციისა და ქცევის თაობაზე და ამით მოსამართლის თანამდებობის ავტორიტეტს იყენებს ამ პირის კერძო ინტერესების დასაცავად. სწორედ ასევე, მოსამართლეთა დანიშვნის საკითხების განმხილველი კომიტეტისათვის მიმართვა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის სახელით, ამ კომიტეტის ოფიციალური შეკითხვის გარეშე, ამ პირის რეპუტაციისა და ქცევის თაობაზე ჩვენების მიცემის ტოლფასია და მოსამართლის თანამდებობის ავტორიტეტის არასათანადო გამოყენებაა მესამე პირის კერძო ინტერესების დასაცავად.

გამოცემებში მონაწილეობა

151. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლის მონაწილეობას გამოცემებში, რომლებიც ეხება ან არ ეხება სამართლის საკითხებს. მოსამართლემ არ უნდა მისცეს საშუალება გამოცემასთან დაკავშირებულ სუბიექ-

ტებს, საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ მოსამართლის თანამდებობის ავტორიტეტი. საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნების შესახებ ხელშეკრულებების დადებისას მოსამართლემ რეკლამის საკმარისად გაკონტროლების უფლება უნდა დაიტოვოს, რათა თავიდან აიცილოს მოსამართლის თანამდებობის ავტორიტეტის არასათანადო გამოყენება.

მოსამართლის გამოსვლა კომერციულ ტელევიზიასა და რადიოში

152. მოსამართლის გამოსვლა კომერციულ ტელევიზიასა და რადიოში შეიძლება ისე მიიღონ, როგორც ამ ორგანიზაციის ან მისი სპონსორების ფინანსური ინტერესების დაცვა, ამიტომ მოსამართლეს წინდახედულება მართებს; მეორე მხრივ, ბევრი მოქალაქე სხვადასხვა მოვლენის, საზოგადოებრივი ცხოვრების ან კანონის შესახებ ინფორმაციას იღებს ასეთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. ამიტომ, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსამართლის მონაწილეობა იმ გადაცემაში, რომელიც სამართლის საკითხებს ეხება, გამართლებული და მიზანშეწონილი შეიძლება იყოს. იმ საკითხის გადანყვევებისას, უნდა მიიღოს თუ არა მოსამართლემ მონაწილეობა ასეთ გადაცემაში, უნდა გავითვალისწინოთ რიგი ფაქტორებისა, კერძოდ: პროგრამის ეთერში გასვლის სიხშირე, აუდიტორია, განსახილველი საგანი, ასევე, არის თუ არა პროგრამა კომერციული. მაგალითად, გარემოებებიდან გამომდინარე, იმ საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომლებიც სასამართლოს როლს ეხება სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურაში ან სასამართლოს ურთიერთობას სახელმწიფო გამოსასწორებელ სკოლებთან ან დანესებულებებთან, რომელთა მიზანია არასადაამსჯელო მოქმედებების განხორციელება იქ მყოფი პირების მიმართ, შეიძლება მართლზომიერი და მიზანშეწონილი იყოს.

ყოფილი მოსამართლეები

153. ადგილობრივი ტრადიციიდან გამომდინარე, ყოფილ მოსამართლეს შეუძლია, მიუთითოს თავისი ადრინდელი თანამდებობა და გამოიყენოს სიტყვა „მოსამართლე“ განცხადებაში, რომლითაც ის საარბიტრაჟო ან საშუამავლო მომსახურებას სთავაზობს, ვინაიდან ასეთი ინფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ მას ფაქტების დადგენასა და შეფასებასთან დაკავშირებული გამოცდილება აქვს. თუმცა სიტყვა „მოსამართლეს“ უნდა ახლდეს სიტყვა „ყოფილი“ ან „გადამდგარი“, რათა ცხადი იყოს, რომ მას აღარ უკავია მოსამართლის თანამდებობა. ყოფილი მოსამართლეები არ იყენებენ განცხადებაში სიტყვას – „Honourable“ (პატივცემული).

4.10 მოსამართლემ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა გაუმჟღავნოს ვინმეს რაიმე სხვა ისეთი მიზნით, რომელიც არ უკავშირდება მოსამართლის მოვალეობების შესრულებას.

კომენტარი

არ შეიძლება კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება პირადი გამორჩენისთვის ან მისი მესამე პირებისთვის გამჟღავნება

154. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლისთვის შეიძლება ცნობილი გახდეს საზოგადოებისათვის არახელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ან სხვა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს. მოსამართლემ არ უნდა გაამჟღავნოს და არ უნდა გამოიყენოს ეს ინფორმაცია პირადი გამორჩენის ან სხვა მიზნით, რომელიც არ უკავშირდება მოსამართლის მოვალეობის შესრულებას.

აკრძალვის არსი

155. ასეთი აკრძალვა, ძირითადად, ეხება იმ ინფორმაციის არასათანადო გამოყენებას, რომელიც გამჟღავნებას არ ექვემდებარება და მიღებულია მოწმის ჩვენებებიდან, მაგალითად, რაიმე სახის მსხვილმასშტაბიანი კომერციული დავის თაობაზე მოწმის ჩვენებებს, რომელთა მიმართაც ძალაშია ბრძანება არგამჟღავნების შესახებ.

4.11 თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების პირობით მოსამართლეს უფლება აქვს:

4.11.1 ეწეოდეს ლიტერატურულ, პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობდეს ლექციებს, მონაწილეობდეს სამართალთან, კანონმდებლობასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასა და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

კომენტარი

საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობა

156. მოსამართლეს, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამართლისა და კანონმდებლობის დახვეწის, მართლმსაჯულების, როგორც თავისი იურისდიქციის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აღსრულების საქმეში. ამისთვის მას შეუძლია აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, ლიტერატურული თუ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება ან სხვადასხვა არასამართლო საქმიანობაში მონაწილეობა. მოსამართლის ასეთი საქმიანობა აუცილებელ ხელშეწყობასა და წახალისებას საჭიროებს იმ პირობით, თუ ეს გავლენას არ მოახდენს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე.

სამართლებრივ აღზრდასა და იურიდიულ განათლებაში მონაწილეობა

157. მოსამართლეს შეუძლია: თავისი წვლილი შეიტანოს სამართლებრივ აღზრდასა და იურიდიულ განათლებაში, ნაიკითხოს ლექციები, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებსა და სემინარებში, განიხილოს სასწავლო სტუდენტური მოსმენები ან შეასრულოს გამომცდელის როლი; მას ასევე შეუძლია, იყოს იურიდიული ლიტერატურის ავტორი ან რედაქტორი. მოსამართლის ამგვარი პროფესიული საქმიანობა საზოგადოებრივ ინტერესს განეკუთვნება და წახალისება და ხელშეწყობა სჭირდება. მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა განმარტოს, რომ მის მიერ საგანმანათლებლო ფორუმის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა განიხილებოდეს როგორც საკონსულტაციო დასკვნა ან სასამართლო პროცესში რაიმე კონკრეტული იურიდიული პოზიციის დაცვის ვალდებულება, რადგან მოსამართლე არ გამოთქვამს მოსაზრებებს და არ იძლევა რეკომენდაციებს იმ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ არ არის სასამართლოს მიერ სათანადოდ განხილული. ვიდრე არ

იქნება წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებები, მოსმენილი დასკვნები და, აუცილებლობის შემთხვევაში, დასრულებული გამოძიება, მოსამართლეს არ შეუძლია, მიუკერძოებლად შეაფასოს საწინააღმდეგო მტკიცებულებები და დასკვნები და, შესაბამისად, ვერ გამოიტანს საბოლოო სასამართლო დასკვნას ან გადანყვეტილებას. პედაგოგიური საქმიანობისათვის ანაზღაურების მიღებამდე მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ანაზღაურების ოდენობა არ აღემატება იმ თანხას, რომელსაც მიიღებდა იმავე პედაგოგიური სამუშაოსათვის სხვა პედაგოგი, რომელიც არ არის მოსამართლე, და რომ ის შეესაბამება დამატებითი სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ნორმებს.

4.11.2 საქმის საჯარო განხილვისას ოფიციალური ორგანოების წინაშე წარდგეს სამართალთან, კანონმდებლობასთან, მართლმსაჯულების აღსრულებასა და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით

კომენტარი

ოფიციალური ორგანოს წინაშე მოსამართლედ წარდგომა

158. მოსამართლეს შეუძლია, წარდგეს ოფიციალური ორგანოს წინაშე, როგორც მოსამართლე, და დაამოწმოს საკითხები იმ ფარგლებში, რომელშიც მისი სამოსამართლო გამოცდილება უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ კომპეტენტურობას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ოფიციალური ორგანოს წინაშე მოქალაქედ წარდგომა

158. მოსამართლეს შეუძლია, წარდგეს ოფიციალური ორგანოს წინაშე, როგორც მოქალაქე, რათა დაამოწმოს ის საკითხები ან თავისი დასკვნები და არგუმენტები წარადგინოს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება უშუალოდ ეხებოდეს მას, მაგალითად: წინადადება საზღვრების დადგენის შესახებ, რომელიც მის კუთვნილ ნაკვეთზე მოახდენს გავლენას, ან ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემის ხელმისაწვდომობის შესახებ წინადადება. თუმცა მოსამართლემ ამ დროს წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, რომ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ავტორიტეტი არ გამოიყენოს იმ საკითხებთან დაკავშირებული ოფიციალური გამოძიებისათვის, რომლებშიც მას პროფესიული კვალიფიკაცია არ გააჩნია.

4.11.3 იყოს ოფიციალური ორგანოს, სამთავრობო კომიტეტის, კომისიის, სათათბირო ორგანოს წევრი, თუ ამგვარი წევრობა საშუალებას აძლევს მოსამართლეს, დარჩეს მიუკერძოებელი და შეინარჩუნოს პოლიტიკურად ნეიტრალური პოზიცია.

კომენტარი

საგამოძიებო კომისიის წევრობა

160. საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობიდან და მოსამართლეთა ავტორიტეტიდან გამომდინარე, იმ საქმიანობაში, რომელიც გარემოებების გამოძიებასა და ფაქტების დადგენას ეხება, მოსამართლეებს ხშირად მიმართავენ გამოძიების ჩატარებისა და იმ საკითხებზე დასკვნის წარმოდგენის თხოვნით, რომლებიც არის ან ითვლება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვნად, მაგრამ სცილდება სასამართლოს ფუნქციათა ფარგლებს. მსგავსი თხოვნის განხილვისას მოსამართლემ უნდა აწონ-დაწონოს, ხომ არ მოახდენს ასეთი საქმიანობა გავლენას მის დამოუკიდებლობაზე. არსებობს მაგალითები იმისა, თუ როგორ აღმოჩნდნენ მოსამართლეები საზოგადოებრივ დავებსა და დებატებში ჩართული, როგორ იქცნენ კრიტიკის ობიექტად და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ კომისიების ანგარიშების გამოქვეყნების შემდეგ, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი მუშაობდნენ. აუცილებელია ასევე იმის შესწავლა, თუ რა საკითხები ექვემდებარება კომისიის გამგებლობას, ასევე სხვა პირობების კომისიის მუშაობისათვის გამოყოფილ დროსა და რესურსებთან დაკავშირებით, რომ დადგინდეს, რამდენად თავსებადია კომისიაში მუშაობა სამოსამართლო ფუნქციებთან. ხშირად მოსამართლეებს არ ევალებათ საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა, გარდა, შესაძლოა, იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, რომლებიც ქვეყანაში საგანგებო ვითარებისას წამოიჭრება და როცა მოსამართლე არ ამბობს უარს ასეთ კომისიაში მონაწილეობაზე. ზოგ ქვეყანაში მოსამართლეებს კონსტიტუციით ეკრძალებათ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებული გამოძიების ჩატარება;⁶⁷ და იმ ქვეყნებშიც, სადაც ეს ნებადართულია, არის შემთხვევები, როცა, გამოძიების საგნიდან და კომისიის წევრების შერჩევის პროცედურებიდან გამომდინარე, ამას არ მიესალმებიან.

161. რასაკვირველია, უდავოა, რომ სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესები მოითხოვს საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების სრულ, ყოველმხრივ და დანვრილებით გამოძიებას და ამ ამოცანას ყველაზე უკეთ გაართმევს თავს მოსამართლე, რომელმაც მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებისა და იურიდიული პრაქტიკის წყალობით შეიძინა მტკიცებულებე-

⁶⁷ Wilson v. Minister for Aboriginal Affairs, High Court of Australia, (1997) 189 CLR 1.

ბის გულმოდგინე ანალიზისა და მონმეთა საიმედოობის შესაფასებლად საჭირო უნარ-ჩვევები. მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ:

1. მოსამართლის კანონიერი ფუნქციაა, გაასამართლოს. ამ ფუნქციის შესრულება ძალზე ცოტას თუ შეუძლია და დროის ნებისმიერ კონკრეტულ მონაკვეთში მათი რიცხვი, ვისაც შესაბამისი კვალიფიკაცია და ამ ფუნქციის შესრულების სურვილი აქვს, გარდა იმ პირებისა, ვინც უკვე დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე, ძალზე შეზღუდულია; მეორე მხრივ, არსებობს საკმაოდ ბევრი კომპეტენტური და გამოცდილი ადამიანი, როგორც კაცი, ისე ქალი, რომლებსაც შესანიშნავად შეუძლიათ გაართვან თავი კომისიაში მუშაობას, რომ ამისთვის მოსამართლეები არ მოვიზიდოთ;⁶⁸
2. საგამოძიებო კომისიის ფუნქციები, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სფეროს განეკუთვნება და არა სასამართლო ხელისუფლების. ეს ფუნქცია იმ ფაქტების შესახებ ინფორმაციის ნამდვილობის გამოძიება და დადგენაა, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სფეროში შედის და რომლებთან დაკავშირებითაც გარკვეული ზომები შეიძლება იქნეს მიღებული. ეს ზომები შესაძლოა, ითვალისწინებდეს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო ხასიათის სასამართლო პროცედურების განხორციელებას იმ პირების მიმართ, რომელთა ქმედებებსაც იძიებდა კომისია. გამოძიება შეიძლება ეხებოდეს აგრეთვე ამა თუ იმ საკამათო საკითხს, როგორებიცაა, მაგალითად: აეროპორტის ან ავტომანქანების მშენებლობა, ავიაკატასტროფის გარემოებათა დადგენა, კანონმდებლობის კონკრეტული ნაწილის რეფორმა ან პოლიტიკის მიმართულება მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების უფლებებსა და განსაკუთრებულ საჭიროებასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, კომისიის მუშაობა და მიღებული მონაცემები შეიძლება საფუძვლიანად გახდეს, და ხშირად ხდება კიდევ, საზოგადოების დებატებისა და კამათის საგანი.

162. 1998 წელს კანადის მოსამართლეთა საბჭო გამოვიდა განცხადებით, რომელშიც გადმოცემული იყო მისი პოზიცია ფედერალური მოსამართლეების საგამოძიებო კომისიის წევრებად დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით.⁶⁹ საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურები შემდეგ ეტაპებს შეიცავს:

1. მოსამართლის საგამოძიებო კომისიის წევრად დანიშვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვა ჯერ უფროს მოსამართლეს უნდა გაეგზავნოს;

⁶⁸ იხ. Sir Murray McLnerney, "The Appointment of Judges to Commissions of Inquiry and Other Extra-Judicial Activities", (1978). The Australian Law Journal, ტ. 52, 540-553.

⁶⁹ კანადის მოსამართლეთა საბჭოს პიზიცია საგამოძიებო კომისიაში ფედერალურ მოსამართლეთა დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით (Position of the Canadian Judicial Council in Appointment of Federally –Appointed Judges to Commissions of Inquiry), მიღებულია 1998 წლის მარტში გამართულ თათბირზე, www.cjc-ccm.gc.ca

2. შეკითხვას თან უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, სავარაუდოდ, რა საკითხები შედის კომისიის გამგებლობაში და რა ვადები ეძლევა კომისიას გამოძიებისათვის;
3. მთავარი მოსამართლე იმ მოსამართლესთან კონსულტაციის შემდეგ, რომელსაც ეხება შეკითხვა, განიხილავს საკითხს, თუ რამდენად შეიძლება შეეშალოს ხელი სასამართლოს მუშაობას ამ მოსამართლის არყოფნით;
4. მთავარმა მოსამართლემ და მოსამართლემ, რომლის კომისიის წევრად დანიშნვის საკითხიც განიხილება, შეიძლება იმის თაობაზე, ხომ არ შეუშლის მოსამართლის სამომავლო მუშაობას სასამართლოს წევრის სტატუსით მისი დანიშვნა საგამოძიებო კომისიის წევრად. ამასთან დაკავშირებით მათ შეიძლება ისაუბრონ შემდეგზე:

- მოითხოვს თუ არა კომისიის მიერ განსახორციელებელი გამოძიების საგანი პროფესიული მოსაზრების გამოხატვას სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე, თუ ვინროპარტიული ხასიათის საკითხებს ეხება?
- გულისხმობს თუ არა გამოძიება მთავრობის ორგანოებისა და სტრუქტურების მოქმედებათა დეტალურ განხილვას?
- გულისხმობს თუ არა გამოძიება იმის გარკვევას, კონკრეტულმა პირებმა დანაშაული ჩაიდინეს თუ სამოქალაქო სამართალდარღვევა?
- ვინ აგებს პასუხს კომისიის იურისკონსულტისა და თანამშრომელთა შტატის შერჩევაზე?
- აუცილებელია თუ არა ამ გამოძიებაში სწორედ ამ მოსამართლის მონაწილეობა გამოძიების საგანთან დაკავშირებული მისი განსაკუთრებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების გამო? ან იქნებ უმჯობესი იქნებოდა, გადამდგარ ან შტატგარეშე მოსამართლეს ემუშავა კომისიაში?
- თუ კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტია საჭირო, აუცილებელია თუ არა, რომ სასამართლომ თავი ვალდებულიად ჩათვალოს, იქ მოსამართლე გაგზავნოს, თუ ამ საქმეს კარგად გაართმევს თავს გამოცდილი ადვოკატი?

კანადის მოსამართლეთა საბჭოს ურყევი პოზიციაა, რომ, თუ არ არის რაიმე საგანგებო გარემოება, ფედერალური მოსამართლე არ უნდა დასთანხმდეს საგამოძიებო კომისიის შემადგენლობაში მის დანიშვნას იქამდე, სანამ მთავარი მოსამართლე და კომისიაში მიწვეული მოსამართლე არ განიხილავენ ყველა ზემოაღნიშნულ საკითხს და არ დარწმუნდებიან, რომ ეს დანიშვნა არ მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს სასამართლოს ფუნქციონირებას და მოსამართლის შემდგომ საქმიანობას სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას.

163. მოსამართლემ წინდახედულება უნდა გამოიჩინოს სამთავრობო კომიტეტში, კომისიაში ან სხვა ისეთ თანამდებობაზე მისი დანიშვნისას, რომელიც

არ გულისხმობს სამართლის, კანონმდებლობის ან მართლმსაჯულების საკითხების განხილვას, თუ მოსამართლის ამ თანამდებობაზე დანიშვნა კანონით არ არის გათვალისწინებული; მოსამართლემ უარი უნდა თქვას ასეთ დანიშვნაზე ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სამთავრობო თანამდებობაზე მისი დანიშვნა ხელს შეუშლის მის მიერ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას, ან შეარყევს საზოგადოების რწმენას მოსამართლეთა საზოგადოების პატიოსნების, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი; გარდა ამისა, თუ მოსამართლე იძულებული იქნება, დიდი ხნით ჩამოსცილდეს ჩვეული თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებას, მას შეიძლება გაუძნელდეს კალაპოტში დაბრუნება და ცხოვრების წესის, ჩვევებისა და მსოფლმხედველობის კვლავ სამოსამართლო საქმიანობისთვის დაქვემდებარება.

მთავრობის საქმიანობაში მონაწილეობა

164. მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნისას მოსამართლემ პარალელურად არ უნდა იმუშაოს აღმასრულებელ ან საკანონმდებლო სტრუქტურებში. თუმცა იმ შემთხვევებში, როცა სისტემა ასეთ შესაძლებლობას იძლევა, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების დასრულების შემდეგ მოსამართლეს შეუძლია იმუშაოს რომელიმე სამინისტროს ადმინისტრაციულ ქვედანაყოფში (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის განყოფილებაში). მაგრამ საკითხი რთულდება, როცა მოსამართლე მინისტრთან არსებული კერძო კაბინეტის თანამშრომელი ხდება. საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლის ამ თანამდებობაზე დანიშვნა ცალსახად არამართლზომიერად ჩაითვლებოდა, ხოლო კონტინენტური ევროპის სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში ამ საკითხისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ. ამ გარემოების გათვალისწინებით, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში სანამ მოსამართლე მინისტრის კერძო კაბინეტში დაიწყებს მუშაობას, დასკვნა უნდა გასცეს მოსამართლეების დანიშვნაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, რომელმაც ასევე უნდა შეიმუშაოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქცევის წესები. სასამართლო ორგანოებში სამუშაოდ დაბრუნებისას მოსამართლემ უნდა დატოვოს პოსტი აღმასრულებელ ან საკანონმდებლო სტრუქტურებში.

ქვეყნის წარმომადგენლობა

165. მოსამართლეს შეუძლია წარმომადგენლის თავისი ქვეყანა ან რეგიონი ოფიციალურ ღონისძიებებზე ან ეროვნულ, რეგიონულ, ისტორიულ, საგანმანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებებზე.

4.11.4 ეწოდეს სხვა საქმიანობას, თუ ის შეთავსებადია მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტატუსთან და არანაირად არ აფერხებს მის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას.

კომენტარი

არასასამართლო საქმიანობაში მონაწილეობა

166. მოსამართლეს შეუძლია, ეწოდეს არასასამართლო საქმიანობას, რათა იზოლირებული არ იყოს საზოგადოებისაგან. მაგალითად, მას შეუძლია: ეწოდეს ლიტერატურულ, პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობდეს ლექციებს, სიტყვით გამოდიოდეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ეხება სამართლის სფეროს, მისდევდეს სპორტს, დაკავებული იყოს ხელოვნებით, დასვენებისა და გართობის სხვა სახეობებით, თუ ასეთი საქმიანობა არ ამცირებს მოსამართლის თანამდებობის ავტორიტეტს და ხელს არ უშლის მას თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაში. სხვადასხვა სფეროში მუშაობა მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, გაიფართოოს თვალსაწიერი და გაერკვეს საზოგადოების პრობლემებში, რაც შეაქვს იმ ცოდნას, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას შეიძინა. მაგრამ საჭიროა გონივრული თანაფარდობის დამყარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასა და მოსამართლის როგორც რეალურ, ისე საზოგადოების თვალში დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას. ყოველთვის აუცილებელია ვუბასუხოთ კითხვას – ხომ არ არის მოსამართლე ისეთ საქმიანობაში ჩართული, რომელიც ობიექტურად ჩრდილს მიაყენებს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას არსებულ საზოგადოებრივ კონტექსტში და საღად მოაზროვნე, გათვითცნობიერებული დამკვირვებლის თვალში.

არაკომერციული ორგანიზაციების წევრობა

167. მოსამართლეს შეუძლია, იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივი, არაკომერციული ორგანიზაციების ან მათი ხელმძღვანელობის წევრი. ასეთი ორგანიზაციებია: საქველმოქმედო ორგანიზაციები, საუნივერსიტეტო და სასკოლო საბჭოები, არასაკლესიო რელიგიური ორგანიზაციები, საავადმყოფოების სამეურვეო საბჭოები, საზოგადოებრივი კლუბები, სპორტული ორგანიზაციები და ორგანიზაციები, რომლებიც კულტურის ან ხელოვნების პოპულარიზაციას ეწევიან. მაგრამ ასეთ ორგანიზაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

1. მოსამართლემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციაში, თუ ეს ორგანიზაცია პოლიტიკურ მიზნებს ისახავს, თუ მან შეიძლება საზოგადოებრივ დებატებში ჩართოს მოსამართლე, ან, თუ ის, სავარაუდოდ, შეიძლება იყოს სასამართლო დავების რეგულარული ან ხშირი მონაწილე;
2. მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ორგანიზაციაში მუშაობა ძალიან დიდ დროს არ წაართმევს;
3. მოსამართლემ არ უნდა იმუშაოს ორგანიზაციებში იურისკონსულტად ან სამართლებრივ საკითხებში მრჩეველად. ეს არ ართმევს მას უფლებას, როგორც ამ ორგანიზაციის წევრმა, გამოთქვას თავისი აზრი, რომელსაც იურიდიული შედეგი შეიძლება მოჰყვეს; თუმცა აუცილებელია, ნათლად განიმარტოს, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი არ უნდა განიხილებოდეს როგორც იურისტის საკონსულტაციო დასკვნა. იურისტის ნებისმიერი კონსულტაცია, რომელიც შეიძლება სჭირდებოდეს ორგანიზაციას, პროფესიონალი იურისკონსულტისაგან უნდა იქნეს მიღებული;
4. მოსამართლემ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ფანდრაიზინგის ანუ სახსრების შეკრების ღონისძიებებში მონაწილეობისას ან მისი სახელით ამ ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში;
5. მოსამართლემ პირადად არ უნდა გაუწიოს ამა თუ იმ პირს შუამდგომლობა ორგანიზაციაში განწევრიანების თაობაზე, თუ ასეთი შუამდგომლობა, სალი შეფასებით, შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც იძულებითი ხასიათისა, ან სახსრების შეგროვების მექანიზმს უკავშირდებოდეს.

168. მოსამართლე არ უნდა იყოს ისეთი ორგანიზაციის წევრი, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევით დისკრიმინაციულ მიდგომას იჩენს ვისამე მიმართ რასის, სქესის, აღმსარებლობის, ეროვნული წარმომავლობის ნიშნით, რადგან ასეთი ორგანიზაციის წევრობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც მოსამართლის მიკერძოებულობა. საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ორგანიზაციის პრაქტიკა შეურაცხმყოფელი დისკრიმინაციული ხასიათისა, ხშირად პრობლემატურია. ზოგადად, ითვლება, რომ ორგანიზაცია შეურაცხმყოფელ დისკრიმინაციულ მიდგომას იჩენს, თუ ის უარს ეუბნება წევრობაზე პირებს მათი რასის, აღმსარებლობის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო, მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში მათ მისცემდნენ განწევრიანების უფლებას. თუმცა მოსამართლე შეიძლება იყოს იმ ორგანიზაციის წევრი, რომელიც იმ რელიგიური, ეთნიკური ან კულტურული ფასეულობების დაცვითა და შენარჩუნებითაა დაკავებული, რომლებიც მისი წევრების საერთო ინტერესია. ანალოგიურად, მოსამართლემ არ უნდა დაუნიშნოს ვინმეს შეხვედრა კლუბში, რომლის შესახებაც მისთვის ცნობილია, რომ ის შეურაცხმყოფელ დის-

კრიმინაციულ პოლიტიკას ატარებს; მოსამართლე ასევე არ უნდა იყოს ასეთი კლუბის ხშირი ან მუდმივი სტუმარი.

ფინანსური საქმიანობა

169. მოსამართლეს ისეთივე უფლებები აქვს თავისი ფინანსური საქმეების მიმართ, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, გარდა ყველა იმ შეზღუდვისა, რომლებიც აუცილებელია სამოსამართლო მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად. მოსამართლე შეიძლება ფლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციებს, მათ შორის უძრავ ქონებას და ეწეოდეს სხვა სახის საქმიანობას, რომელსაც მოგება მოაქვს, მაგრამ ის არ უნდა გახდეს იმ კომპანიის თანამშრომელი, დირექტორი, საქმეში მონაწილე პარტნიორი, მენეჯერი, მრჩეველი ან მოსამსახურე, გარდა დახურული ტიპის კომპანიისა, რომელიც ეკუთვნის ან რომელსაც აკონტროლებს მისი ოჯახის რომელიმე წევრი. მოსამართლის მონაწილეობა დახურული ტიპის კომპანიის საქმიანობაში, რომელიც მისი ოჯახის წევრს ეკუთვნის, დასაშვებია, მაგრამ მაინც თავის არიდება ჯობია, თუ ის ძალზე ბევრ დროს მოითხოვს, ინვესტს მოსამართლის თანამდებობის მაღალი ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებას, ან, თუ ეს კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს სასამართლო განხილვის მხარე. მოსამართლე ვერ იქნება კომერციული საწარმოს დირექტორატის წევრი, ანუ იმ კომპანიის წევრი, რომლის მიზანიც არის მოგების მიღება. ეს წესი ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანიებზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა დირექტორს აღმასრულებელი უფლებამოსილებები, ასევე იმისა, არის თუ არა ეს სამუშაო ანაზღაურებადი.

მობინადრეთა ასოციაციის წევრობა

170. თუ მოსამართლე არის მესაკუთრე, ან ცხოვრობს სახლში, რომელსაც ჰყავს მესაკუთრეთა ან მობინადრეთა ასოციაცია, ის შეიძლება შედიოდეს ასოციაციის მმართველი კომიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ ვერ იქნება იურისკონსულტი. ეს არ ართმევს მას უფლებას, როგორც ამ ასოციაციის წევრმა, აზრი გამოთქვას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იურიდიული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ საჭიროა, ნათლად განიმარტოს, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი არ უნდა განიხილებოდეს როგორც იურისტის საკონსულტაციო დასკვნა. იურისტის ნებისმიერი კონსულტაცია, რომელიც ორგანიზაციას სჭირდება, პროფესიონალმა იურისკონსულტმა უნდა განახორციელოს. თუ კონკრეტული საკითხი საკამათოა, ან შეიძლება აღმოჩნდეს საკამათო, მოსამართლემ წინდახედულება უნდა გამოიჩინოს და არ გამოთქვას მოსაზრება იმ საკითხთან დაკავ-

შირებით, რომელიც დავის საგანია. ასეთი მოსაზრება უფრო ფართო წრისთვის შეიძლება გახდეს მისაწვდომი, რაც მოსამართლეს, ისევე როგორც სასამართლოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

ფიდუციარის მოქმედებების განხორციელება

171. გარემოებების მიხედვით, მოსამართლე შეიძლება იყოს: ანდერძის აღმასრულებელი, ნდობით აღჭურვილი მმართველი, ნდობით აღჭურვილი მესაკუთრე, მეურვე ან იმ ქონებისა თუ ფულადი თანხის სხვაგვარი ფიდუციარი, რომელიც მისი ოჯახის წევრს ან ახლო მეგობარს ეკუთვნის, თუ ეს საქმიანობა არ უშლის ხელს მოსამართლის მიერ მისი თანამდებობრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას იმ პირობით, რომ ის არ იღებს ამ მომსახურებისთვის არანაირ მატერიალურ ანაზღაურებას. მოსამართლეზე, როგორც ფიდუციარზე, ვრცელდება ყველა ის შეზღუდვა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლებიც მოსამართლეზე, რომელიც მოქმედებს როგორც კერძო პირი.

4.12 მოსამართლეს უფლება არ აქვს, ეწეოდეს იურიდიულ პრაქტიკას მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში

კომენტარი

მნიშვნელობა ტერმინისა „იურიდიული პრაქტიკა“

172. იურიდიულ პრაქტიკაში იგულისხმება სამუშაო, რომელიც სასამართლოს გარეთ სრულდება და სასამართლო პროცედურასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. ესენია: უძრავ ქონებაზე უფლებების გადაცემის აქტების შედგენა, იურიდიული კონსულტაციები საკითხების ფართო სპექტრზე, ასევე ფართო სპექტრის საქმიანი ან ნდობით აღჭურვის ურთიერთობების შესახებ იურიდიული დოკუმენტების შედგენა და გაფორმება და ა.შ. შვებულების დროს მოსამართლის მუშაობა რომელიმე სამთავრობო სტრუქტურის სპეციალურ მრჩეველად სასამართლოსა და მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში განიხილება როგორც „იურიდიული პრაქტიკა“. იურიდიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული აკრძალვის გამოყენების თაობაზე მოსაზრებები განსხვავდება ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ტრადიციების მიხედვით. კონტინენტური ევროპის სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში არბიტრის ან შუამავლის მოვალეობების შესრულების უფლება ბოლო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებსაც კი ეძლევათ. გარდა ამისა, საერთო სამართლის ერთ-ერთ ქვეყანაში მოსამართლეს პენსიაზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ შექმნილ სტრუქტურაში საერთაშორისო არბიტრად ანაზღაურებადი მუშაობის უფლება მიეცა.

არბიტრად ან შუამავლად მუშაობა

173. ჩვეულებრივ, მოსამართლეებს, ყოველ შემთხვევაში საერთო სამართლის მქონე ქვეყნებში, ეკრძალებათ არბიტრად ან შუამავლად მუშაობა, ან სასამართლო მოვალეობების სხვა სახით კერძოდ შესრულება, თუ ასეთი რამ პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. სასამართლოს პატიოსნება ეჭვქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს, თუ მოსამართლე თავის თანამდებობას იყენებს კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული ფასიანი მომსახურების გაწევით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამგვარი მომსახურების გაწევა უფასოდ ხდება, ამან შეიძლება, ხელი შეუშალოს მოსამართლის მიერ სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

იურიდიული კონსულტაციები ოჯახის წევრებისათვის

174. მოსამართლე არ უნდა ახორციელებდეს იურიდიულ კონსულტაციას. მაგრამ, თუ საუბარია მეგობრებსა და ახლობლებზე, მას შეუძლია, მეგობრული და არაფორმალური სახით ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მისცეს რჩევა და იქვე განუმარტოს, რომ ეს რჩევა არ უნდა განიხილებოდეს როგორც იურისტის საკონსულტაციო დასკვნა, ვინაიდან, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერი კონსულტაცია უნდა განახორციელოს პროფესიონალმა იურისკონსულტმა.

მოსამართლის პირადი ინტერესების დაცვა

175. მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად იმოქმედოს, მათ შორის სასამართლო პროცესში მხარედ მონაწილეობისას, მაგრამ მან წინდახედულება უნდა გამოიჩინოს სასამართლო დავაში მონაწილეობისას. მოსამართლის მხარედ მონაწილეობამ სასამართლო პროცესში შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს ის პირადი გამორჩენისათვის იყენებს თანამდებობრივ მდგომარეობას. გარდა ამისა, მოსამართლე ამით საფრთხეს უქმნის თავის რეპუტაციას კოლეგების თვალში.

4.13 მოსამართლეს უფლება აქვს, დააფუძნოს ან განვერიანდეს მოსამართლეთა ასოციაციებში, შევიდეს სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მოსამართლეთა ინტერესებს წარმოადგენენ.

კომენტარი

პროფკავშირის წევრობა

176. შეკრებებისა და გაერთიანებების პრინციპის შესაბამისად, მოსამართლეს აქვს უფლება, შევიდეს პროფკავშირებსა თუ პროფესიულ ასოციაციებში, რომლებიც მოსამართლეებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის იქმნება, ან სხვა მოსამართლეებთან ერთად დააფუძნოს პროფკავშირები ან მსგავსი ასოციაციები. მოსამართლეთა თანამდებობრივი უფლებამოსილებების კონსტიტუციური ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება დადგენილ იქნეს შეზღუდვები მათ მიერ გაფიცვების მოწყობასთან დაკავშირებით.

4.14 მოსამართლეს და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ და მიიღონ რაიმე მატერიალური სიკეთე საჩუქრის, სესხის, საანდერძო დანაკისრის სახით, ან სხვა ფორმის დახმარება, თუ ეს უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მას განზრახული აქვს, ან მის უმოქმედობას თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.15 მოსამართლემ არ უნდა მისცეს უფლება სასამართლოს თანამშრომლებს და ასევე სხვა პირებს, – რომლებზეც ვრცელდება მოსამართლის გავლენა, არიან მის დაქვემდებარებაში ან მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით, – მოითხოვონ ან მიიღონ რაიმე მატერიალური სიკეთე საჩუქრის, სესხის, საანდერძო დანაკისრის სახით, ან სხვა ფორმის დახმარება, თუ მოსამართლისათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ ეს უკავშირდება მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც მას განზრახული აქვს, ან მის უმოქმედობას თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების მიმართ.

კომენტარი

ოჯახის წევრებისა და სასამართლოს თანამშრომლების ინფორმირების ვალდებულება ეთიკური ხასიათის შეზღუდვების თაობაზე

177. მოსამართლის ოჯახში მცხოვრები პირის მიერ მოსამართლის ოჯახის რომელიმე წევრისათვის საჩუქრის თუ სესხის, ანდერძის გადაცემა ან სხვა ფორმის დახმარება შეიძლება მიზნად ისახავდეს მოსამართლეზე გავლენის მოხდენას, ან გამოიყურობდეს ამგვარად. შესაბამისად, მოსამართლემ უნდა შეატყობინოს ოჯახის წევრებს იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც მოსამართლისაგან გარკვეული ეთიკური ნორმების დაცვას მოითხოვს და განუმარტოს, რომ მათი დარღვევა არ არის სასურველი, მაგრამ მოსამართლეს ვერ ეცოდინება თავისი ოჯახის წევრების ყველა ფინანსური თუ საქმიანი ოპერაციის შესახებ და, მით უფრო, ვერ გააკონტროლებს მათ.

178. იგივე ეხება სასამართლოს თანამშრომლებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებზეც ვრცელდება მოსამართლის გავლენა, არიან მის დაქვემდებარებაში ან მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით.

რა შეიძლება იყოს მისაღები

179. ეს აკრძალვა არ ვრცელდება:

- იმ საზოგადოებაში მიღებულ სტუმართმასპინძლობის ჩვეულებრივ გამოვლინებებზე, რომლის წევრიცაა მოსამართლე, და არაა განპირობებული

ლი რაიმე სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული მიზნებით, და საკვებ-სასმელის ზომიერი ასორტიმენტით შემოიფარგლება;

- საგნებზე, რომლებიც არ არის ღირებული და მხოლოდ ყურადღების ნიშნად სასაჩუქრედაა განკუთვნილი, როგორებიცაა: სამკერდე ნიშნები, მონმობები, მისალოცი ბარათები და სამახსოვრო სუვენირები;
- ბანკიდან თუ სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებსა და კრედიტებზე, რომლებიც ჩვეულებრივი პირობებითა და ჩვეულებრივი ფაქტორების გათვალისწინებით, მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსისაგან დამოუკიდებლად გაიცემა;
- შეღავათებსა და პრივილეგიებზე, მათ შორის შეღავათიან ტარიფებსა და კომერციულ ფასდაკლებებზე, რომლებიც მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსისაგან დამოუკიდებელი ფაქტორების საფუძველზე გაიცემა;
- საჩუქრებსა და პრიზებზე, რომლებიც საზოგადოებისათვის გამართული სხვადასხვა შეჯიბრის, კონკურსისა და სხვა ღონისძიების გამარჯვებულებს გადაეცემათ, მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსისაგან დამოუკიდებელი ფაქტორების საფუძველზე;
- სტიპენდიებზე, რომლებიც თანაბარი პირობებითა და ყველა კანდიდატისათვის ერთნაირი კრიტერიუმებით გაიცემა, მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსისაგან დამოუკიდებელი ფაქტორების საფუძველზე;
- ხარჯებზე, რომლებიც მოსამართლის საქმიან ვიზიტებს უკავშირდება, მათ შორისაა: ტრანსპორტის, სასტუმროს, კვების ხარჯები მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, მოსამართლის იმ ღონისძიებებში ან შეხვედრებში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯები, რომლებიც სასამართლისა და კანონმდებლობის დახვეწას ან მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტიანობის ამაღლებას ემსახურება;
- გონივრულ ანაზღაურებას ნებადართული სასამართლოსგარეშე საქმიანობისათვის.

სტუმართმოყვარეობის გამოვლინებები

180. ზოგჯერ ძნელია, გავავლოთ ზღვარი „ჩვეულებრივ მასპინძლობასა“ და მოსამართლის კეთილგანწყობის მოპოვების არამართლზომიერ მცდელობას შორის. ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინება და, ჩვეულებრივ, მოსამართლის ამა თუ იმ ღონისძიებაზე დასწრების მართლზომიერების განსაზღვრისათვის აუცილებელია არა ერთი, არამედ მრავალი ფაქტორის შეფასება. მოსამართლემ უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა, ხომ არ

მიაყენებს ეს ჩრდილს მისი, როგორც მოსამართლის, დამოუკიდებლობასა და პატიოსნებას, კანონის პატივისცემის ვალდებულებას, მიუკერძოებლობასა და თანამდებობის მაღალ სტატუსს, ხომ არ შეაფერხებს მის მიერ მოსამართლის მოვალეობების დროულად შესრულებას, ან ხომ არ იქნება აღქმული როგორც რომელიმე ამ პრინციპის დარღვევა. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე შემდეგი: პირი, რომელიც კონტაქტისთვის ინიციატივას იჩენს, მოსამართლის ძველი მეგობარია თუ ახალი ნაცნობი, რა რეპუტაციით სარგებლობს ის საზოგადოებაში, რამდენი ადამიანი დაესწრება სალამოს; სპონტანურია შეხვედრა თუ წინასწარ და გულმოდგინედ ორგანიზებული; ხომ არ არის მინვეულ პირთა შორის იმ საქმის მხარე, რომელიც სასამართლოში განიხილება; ხომ არ ისარგებლებს მოსამართლე რაიმე პრივილეგიით, რომელიც საფუძვლიანი ეჭვისა და კრიტიკის საბაზი შეიძლება გახდეს.

4.16 საჯარო მხილების თაობაზე კანონში აკრძალვის ან სხვაგვარი კანონიერი შეზღუდვების არარსებობისას მოსამართლეს უფლება აქვს, მიიღოს შემთხვევის შესაბამისი საჩუქრები, ჯილდოები და პრივილეგიები, თუ ისინი არ ისახავს მიზნად, რაიმე გავლენა მოახდინოს მის მიერ საკუთარი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე, ან არ უკავშირდება სხვა ანგარებიან განზრახვას.

კომენტარი

ძვირად ღირებული საჩუქრების მიღება არ არის მიზანშეწონილი

181. მოსამართლის ან მასთან ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახის წევრისათვის ძვირად ღირებული საჩუქრის გადაცემა იძლევა საბაბს, ეჭვი შევიტანოთ ამ მოსამართლის მიერ თავისი თანამდებობრივი მოვალეობების მიუკერძოებლად და პატიოსნად შესრულებაში და შეიძლება გახდეს მოსამართლის თვითაცილების საფუძველი მაშინ, როცა სხვა ვითარებაში ამის აუცილებლობა არ იქნებოდა. ამიტომ ასეთი საჩუქრების მიღება არ არის საჭირო. მოსამართლემ თავაზიანად უნდა თქვას უარი საჩუქარზე ან მის შეთავაზებაზე. ზოგჯერ საჩუქარი კეთდება სპონტანურად, იმ წესებზე წარმოდგენის გარეშე, რომლებიც მოსამართლემ უნდა დაიცვას. პირი, რომელსაც სურს, მოსამართლეს ფიტნესკლუბის აბონემენტი მიართვას, მას შემდეგ, რაც მოსამართლემ ქორწინების ან მოქალაქეობის მინიჭების ცერემონია ჩაატარა, იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი პროცედურა გათვალისწინებულია კანონით, შეიძლება საუკეთესო სურვილებით ხელმძღვანელობს, მაგრამ მოსამართლემ უარი უნდა თქვას ამ შეთავაზებაზე და განმარტოს, რომ მისი მიღება ჰონორარის ან ანაზღაურების მიღება იქნებოდა საჯარო ცერემონიის ჩატარებისათვის. თუმცა მოსამართლისათვის ერთი ბოთლი ვისკის ან მისი საყვარელი ჩანანერების ერთი-ორი დისკის მირთმევა სრულიად დასაშვებია.

გონივრული ჰონორარების მიღება

182. მოსამართლემ შეიძლება მიიღოს ჰონორარი გამოსვლისათვის იმ პირობით, რომ მისი ოდენობა გონივრულ ფარგლებს არ სცილდება და შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სასამართლოს გარეთ საქმიანობა არ ქმნის რაიმე კოლიზიას. მოსამართლე არ უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების მიერ როგორც თანამდებობრივი მდგომარეობის პირადი გამორჩენისათვის გამომყენებელი. მან არ უნდა დაუთმოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო დრო სიტყვით გამოსვ-

ლას ან პუბლიკაციას, რომლისთვისაც ჰონორარს იღებს. გარდა ამისა, გადახდის წყარო არ უნდა ბადებდეს ეჭვს არასათანადო ზეგავლენის არსებობის თაობაზე, ან მოსამართლის უნარსა თუ სურვილთან დაკავშირებით, მიუკერძოებლად განიხილოს საკითხები, რომელთა განხილვაც მის თანამდებობრივ მოვალეობას განეკუთვნება.

მეხუთე ღირებულება

თანასწორობა

პრინციპი

სასამართლოში სხდომის ყველა მხარესთან თანასწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის.

კომენტარი

საერთაშორისო სტანდარტები

183. მოსამართლე უნდა იცნობდეს საერთაშორისო და რეგიონალურ სამართლებრივ აქტებს, რომლებითაც აკრძალულია საზოგადოების მონყვლადი ჯგუფების დისკრიმინაცია. საუბარი ეხება, კერძოდ: რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციას (1965წ.), საერთაშორისო კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (1979წ.), დეკლარაციას რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე შეურიგებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (1981წ.), და დეკლარაციას იმ პირთა უფლებებისა და თავისუფლების შესახებ, რომლებიც ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს განეკუთვნებიან (1992წ). მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, რომლითაც გარანტირებულია, რომ „ყველა თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე, ასევე პაქტის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მეთოთხმეტე მუხლის პირველი პუნქტით, რომლებითაც აღიარებულია ყოველი ადამიანის უფლება სამართლიანი სასამართლო განხილვისა, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, დაბადებისა თუ სხვა გარემოებისა. ფრაზა „სხვა გარემოებებისა“ (ან „სხვა სტატუსი“), არსებული განმარტების თანახმად, გულისხმობს უკანონოდ შობას, სექსუალურ ორიენტაციას, ეკონომიკურ მდგომარეობას, შრომისუუნარობასა და შიდსის სტატუსს. შესაბამისად, მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გა-

რეშე, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.

მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს სტერეოტიპულ მიდგომას

184. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობა დიდი ხანია, ითვლება მართლმსაჯულების აუცილებელ პირობად. კანონის შესაბამისად, თანასწორობის უზრუნველყოფას არა მხოლოდ მართლმსაჯულების აღსრულებისათვის აქვს უპირველესი მნიშვნელობა, არამედ მოსამართლის ქცევის ის აუცილებელი თვისებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას. მაგალითად, მოსამართლე, რომელსაც სწორი გადაწყვეტილება გამოაქვს, მაგრამ ამასთან სტერეოტიპულ დამოკიდებულებას იჩენს რისამე მიმართ, მიკერძოებულია, ან ასეთად აღიქმება. მოსამართლე არ უნდა განიცდიდეს სტერეოტიპებზე, მითებსა და ცრურწმენებზე დამყარებული შეხედულებებისა და წარმოდგენების ზეგავლენას, ამიტომ მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ სათანადოდ ამოიცნოს ასეთი წარმოდგენები და სტერეოტიპული შეხედულებები და ხელი შეუწყოს მათ დაძლევას.

დისკრიმინაცია სქესის მიხედვით

185. მოსამართლე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, როგორც ქალების, ისე კაცებისათვის. ეს წესი ეხება მოსამართლის ურთიერთობას სასამართლო პროცესის მხარეებთან, ადვოკატებთან, სასამართლოს თანამშრომლებთან, ასევე სასამართლოს თანამშრომლებისა და ადვოკატების ურთიერთობას სხვა პირებთან. თუმცა ამჟამად მოსამართლეების ადვოკატი ქალებისადმი წინასწარი განწყობის შემთხვევები ნაკლებად გვხვდება. მოსამართლის სიტყვები, მისი შესტები და სხვა მოქმედებები, მაგალითად, შემწყნარებლური ტონი და კნინობითი მიმართვები ადვოკატი ქალებისადმი (გოგონი, დაიკო, სულიკო) და მათი გარეგნობისა თუ ჩაცმულობის თაობაზე კომენტარები, რის უფლებასაც ის თავს არ მისცემდა კაცი ადვოკატის მისამართით, შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად და სექსუალური შევიწროების მცდელობად. მოსამართლის მონყალე ტონი („ეს განცხადება აშკარად ქალმა შეადგინა“) ხელს უშლის ქალი ადვოკატის მიერ მისი ფუნქციების შესრულებას, რადგან შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის თვითშეფასებაზე და შეარყიოს მისი პროფესიული კვალიფიკაციისადმი რწმენა. იმ ქალებისადმი შეურაცხმყოფელმა მიმართვამ, რომლებიც განსახილველი საქმის მხარეს წარმოადგენენ („ეს უტვინო ქალი“), შეიძლება, შელახოს მათი კანონიერი უფლებები

ან გამოიყურებოდეს როგორც ამ ინტერესების შელახვა. სასამართლოს თანამშრომლების, ადვოკატების, დავის მხარეების ან კოლეგების მიმართ სექსუალური ხასიათის შევიწროება ეწინააღმდეგება არა მარტო კანონს, არამედ ეთიკურ ნორმებს.

გამოყენება

5.1 მოსამართლეს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საზოგადოების ნაირგვარობაზე და აცნობიერებდეს იმ განსხვავებებს, რომელთა წარმოშობის წყაროებიც სხვადასხვაგვარია, მათ შორის: რასობრივი კუთვნილება, კანის ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, კასტა, შრომისუუნარობა, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა მსგავსი მიზეზები („რომლებიც არ ეხება საქმის გარემოებებს“).

კომენტარი

კულტურული ნაირგვარობის გაგებისა და პატივისცემის მოვალეობა

186. მოსამართლეს არა მარტო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს და აცნობიერებდეს საზოგადოების მრავალგვაროვნებას და იმ განსხვავებებს, რომლებიც განსხვავებული კულტურით, რასობრივი კუთვნილებითა და აღმსარებლობითაა განპირობებული, არამედ თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი განწყობის ან წინასწარი აზრისაგან, რომელთა საფუძველიც საქმესთან დაკავშირებული არ არის. მოსამართლე ყველა მისაწვდომი საშუალების გამოყენებით უნდა ცდილობდეს, არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად შეხედულებებსა და ფასეულობებს, ასევე იყენებდეს განათლების მიღების შესაფერ შესაძლებლობას (ისინი შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს), რომლებიც დაეხმარება მას, იყოს მიუკერძოებელი და აღიქმებოდეს ასეთად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ძალისხმევა უნდა განამტკიცებდეს, და არა ამცირებდეს, საზოგადოების თვალში მოსამართლის მიუკერძოებლობას.

5.2 თავისი სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას მოსამართლემ არც სიტყვით, არც ქცევით არ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მიკერძოება, წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რომლის მიზეზებიც საქმის გარემოებებს არ ეხება.

კომენტარი

უპატივცემულო კომენტარებისაგან თავის შეკავების მოვალეობა

187. მოსამართლე უნდა ცდილობდეს, ისე მოიქცეს, რომ მისი ქცევა ნებისმიერ გარეშე დამკვირვებელს განუმტკიცებდეს მისი მიუკერძოებლობის რწმენას. მან თავი უნდა შეიკავოს შენიშვნებისაგან, გამოთქმების, ჟესტებისა თუ ქცევისაგან, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც გულგრილობა ან უპატივცემულობა. ეს ეხება საქმესთან დაუკავშირებელ უპატივცემულო კომენტარებს, რომლებიც ნაკარნახევია რასობრივი, კულტურული გენდერული ან სხვა სტერეოტიპებით, ასევე ნებისმიერი სხვა მოქმედებისა თუ ქცევისაგან, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილე პირები თანაბარი პატივისცემითა და მათი ინტერესებისადმი თანაბარი ყურადღებით არ სარგებლობენ. მოსამართლის აგდებული კომენტარები ეთნიკურ, მათ შორის, საკუთარ ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით, ასევე უღირსი და უპატივცემულო დამოკიდებულების გამოხატულებაა. მოსამართლემ განსაკუთრებული წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, რომ მისი კომენტარები არ შეიცავდეს რაიმე სახის რასისტულ ნოტებსა და ნართაულებს და არ იყოს შეურაცხმყოფელი, თუნდაც უნებურად, უმცირესობათა ჯგუფებისათვის.

მოსამართლემ შენიშვნები ფრთხილად და თავაზიანად უნდა გამოთქვას

188. მოსამართლეს არ აქვს უფლება, უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი შენიშვნები გამოთქვას სასამართლო საქმის მხარეთა, ადვოკატების, სასამართლო პროცესის მონაწილეთა, ასევე მონმეთა მისამართით. ყოფილა შემთხვევები, როცა დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი პირისათვის განაჩენის გამოტანისას მოსამართლეს მსჯავრდებული შეურაცხმყოფელი შენიშვნებით „შეუმკია“. მოსამართლეს შეუძლია, ადგილობრივი ჩვეულებების მიხედვით, საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოხატოს ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, მაგრამ მისი შენიშვნები ყოველთვის ფრთხილი, თავშეკავებული და

თავაზიანი უნდა იყოს. დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობილი პირისათვის განაჩენის გამოტანა არის დიდი პასუხისმგებლობა, საზოგადოების სახელით სამართლიანი და კანონიერი მოქმედების აღსრულება და არა მოსამართლისათვის თავისი ემოციების გამოხატვის საბაზი. მსგავსი მოქმედება მოსამართლის მაღალი თანამდებობის უმთავრეს საფუძვლებსა და ავტორიტეტს არყევს.

5.3 მოსამართლე ასრულებს სამოსამართლო ფუნქციებს ყველა პირის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებით, კერძოდ: სასამართლოში განსახილველი საქმის მხარეების, მონმეების, ადვოკატების, სასამართლოს თანამშრომლებისა და სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი კოლეგების ყოველგვარი, საქმისაგან განყენებული და ამ ფუნქციების აღსრულებისათვის არაარსებით საფუძვლებზე დამყარებული, განსხვავების გარეშე.

კომენტარი

სასამართლოში მყოფ პირებს მათი ღირსების პატივისცემით უნდა მოვეპყროთ

189. სწორედ მოსამართლე იძლევა ტონს და ქმნის თავის სასამართლოში ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის. სასამართლოში მყოფი პირებისადმი არათანაბარი და არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რეალური ან ასეთად აღქმული, დაუშვებელია. სასამართლოში მყოფ ყველა პირს – ადვოკატს, სასამართლო საქმის მხარეს ან მონმეებს უფლება აქვთ, მოელოდნენ მოპყრობას, რომელიც მონმობს მათი ადამიანური ღირსებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემას. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლოში მყოფი ყველა პირი დაცული და დაზღვეული იყოს მიკერძოებისა და წინასწარი განწყობის ყოველგვარი გამოვლინებისაგან რასობრივი კუთვნილების, სქესის, აღმსარებლობისა თუ სხვა საფუძვლით, რომელსაც არა აქვს საქმესთან კავშირი.

5.4 მოსამართლემ შეგნებულად არ უნდა დაუშვას სასამართლოს თანამშრომლების ან მოსამართლის გავლენის ქვეშ, მის დაქვემდებარებაში თუ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სხვა პირების მხრიდან რაიმე, საქმისაგან განყენებული საფუძველით, დიფერენცირებული მიდგომა ამ პირების მიმართ, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

კომენტარი

მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლოს თანამშრომლების ქცევა დადგენილ სტანდარტებს შეესაბამებოდეს

190. ხშირად სასამართლოს თანამშრომლები პირველები არიან, ვისაც ხვდება საზოგადოების წევრი სასამართლო სისტემასთან შეხებისას. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე ყველა თავის ხელთ არსებული საშუალებით უზრუნველყოფდეს თავის დაქვემდებარებაში ან თავისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სასამართლოს თანამშრომლების ისეთ ქცევას, რომელიც სრულად შეესაბამება ზემოხსენებულ სტანდარტებს. სასამართლოს თანამშრომლების ქცევა უზადო უნდა იყოს, ისინი, კერძოდ, თავს უნდა იკავებდნენ ისეთი გამოთქმებისაგან, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს სქესის მიხედვით დისკრიმინაციად, ასევე ქცევისაგან, რომელიც შეიძლება აღიქმებოდეს როგორც სანყენი, შეურაცხმყოფელი, მუქარის შემცველი, ზედმეტად ფამილარული ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მიუღებელი.

5.5. მოსამართლე მოითხოვს სასამართლო განხილვაში მონაწილე ადვოკატებისაგან, რომ მათ თავი შეიკავონ სიტყვით თუ ქცევით მიკერძოების ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისაგან საქმისაგან განყენებულ საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას სასამართლო განხილვის საგნისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება, გამართლებული იყოს კანონიერ საფუძველზე.

კომენტარი

მოსამართლემ არ უნდა დაუშვას რასისტული წინასწარი განწყობის, ქალებისადმი წინასწარი განწყობის ან სხვა მიუღებელი დამოკიდებულების დემონსტრირება ადვოკატების მხრიდან

191. მოსამართლემ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს ადვოკატების მიერ სასამართლოში ან მოსამართლის თანდასწრებით წარმოთქმულ კომენტარებზე, რომლებიც საქმესთან დაკავშირებული არ არის, რასისტული ხასიათისაა, ქალებისადმი წინასწარ განწყობას გამოხატავს, ან რაიმე სხვა მიზეზით არის შეურაცხმყოფელი და მიუღებელი. სიტყვები, ჟესტები ან უმოქმედობა, რომლებიც გონივრული შეფასებით მსგავსი კომენტარების ფარულ მხარდაჭერად აღიქმება, ასევე დაუშვებელია. ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ უნდა შეაწყვეტინოს ადვოკატს სიტყვა, ან შეაჩეროს დასაშვები მოწმის ჩვენება, როცა სასამართლო განიხილავს საქმეს, რომელშიც დავის საგანი არის რასობრივი კუთვნილების, სქესის ან სხვა მსგავსი ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები. მოსამართლის ვალია, მიუკერძოებლად მოუსმინოს მხარეებს, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მან სიმტკიცე და შეუვალობა უნდა გამოიჩინოს, რათა თანასწორობის ატმოსფერო შექმნას, წესრიგი და შესაბამისი ეტიკეტის დაცვა უზრუნველყოს სასამართლო დარბაზში. სახელდობრ, რას გულისხმობს სათანადო სიმტკიცე, კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგ შემთხვევაში, საკმარისია, თავაზიანად შევუსწოროთ სიტყვა გამომსვლელს. მაგრამ განზრახ შეურაცხმყოფელი საქციელი უფრო ხისტ მოქმედებას მოითხოვს, მაგალითად: მოსამართლის მხრიდან კონკრეტულ მითითებას, პირად გაფრთხილებას, გაფრთხილებას ოქმში შეტანით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი, გაფრთხილების მიუხედავად, განაგრძობს შეუფერებელ ქცევას, – სასამართლოსადმი უპატივცემულობის ფაქტთან დაკავშირებით საქმისწარმოების დაწყებას.

მეექვსე ღირებულება

კომპეტენტურობა და გულმოდგინება

პრინციპი

კომპეტენტურობა და გულმოდგინება მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების აუცილებელი პირობაა

კომენტარი

კომპეტენტურობა

192. კომპეტენტურობა მოსამართლის მიერ მისი მოვალეობების შესრულებისას მოითხოვს სამართლის სფეროში ცოდნას, სათანადო გამოცდილებას, სკრუპულოზურობასა და მომზადებას. მოსამართლის პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო უნდა იყოს მის მიერ სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისას. მოსამართლის კომპეტენტურობა კლებულობს, თუ მისი ორგანიზმი დასუსტებულია ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მიღებით, ან სხვა მიზეზებით, რომლებიც მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას აზიანებს. ზოგ შემთხვევაში, რომლებიც შედარებით იშვიათია, კომპეტენტურობის ნაკლებობა შეიძლება გამოუცდელი იყოს გამონწვეული, ან პიროვნულ თვისებებსა თუ ტემპერამენტთან დაკავშირებული პრობლემებით, ან მოსამართლის თანამდებობაზე ისეთი ადამიანის დანიშვნით, რომელიც აშკარად არ შეეფერება თანამდებობას და ეს ნათელი ხდება მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას; ზოგიერთ შემთხვევაში არაკომპეტენტურობა შეიძლება სისუსტით ან შრომისუნარიანობით იყოს გამოწვეული. ამ დროს ერთადერთი, თუმცა კი უკიდურესი, ზომაა მისი თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

გულმოდგინება

193. გულმოდგინე მოსამართლეს ახასიათებს საღი შეფასება, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები და ოპერატიული მოქმედებები. გულმოდგინება ასევე გულისხმობს სწრაფვას კანონის ობიექტურად და სამართლიანად გამოყენებისაკენ, ასევე სასამართლო პროცედურის არასათანადო წარმართვის, გამოყენების დაუშვებლობას. სამოსამართლო მოვალეობების გულმოდგინედ შესრულების

უნარი შეიძლება დამოკიდებული იყოს სამუშაო დატვირთვის მოცულობაზე, აუცილებელი რესურსების არსებობაზე (მათ შორის, დამხმარე პერსონალისა და ტექნიკური აღჭურვილობის), მოკვლევის, მხარეთა მოსაზრებების ანონ-დანონის, გადაწყვეტილების ტექსტის შედგენისა, და სხვა იმ სამოსამართლო მოვალეობების შესრულებისათვის საკმარისი დროის არსებობაზე, რომლებიც აკისრია მოსამართლეს, გარდა საქმის სასამართლო დარბაზში განხილვის მოვალეობისა.

დასვენების, სიმშვიდისა და ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობა

194. აუცილებელია იმ მოვალეობის მნიშვნელობის გათვალისწინება, რომელიც მოსამართლეს საკუთარი ოჯახის წინაშე აკისრია. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ასევე გონივრულ ფარგლებში – პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დახვეწის შესაძლებლობა, რაც მას თავისი ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის სჭირდება. ამჟამად სულ უფრო მეტად ხდება იმის აღიარება, რომ მოსამართლის მოვალეობის შესრულება ფიზიკური და სულიერი ძალების ძლიერ დაძაბვას უკავშირდება. აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლეს, რომელიც სტრესულ მდგომარეობაშია, უნდა ჰქონდეს კონსულტაციის მიღებისა და თერაპიის შესაბამისი კურსის გავლის შესაძლებლობა. ადრე მოსამართლეები და ადვოკატები ამ საკითხებს უგულისყუროდ ეკიდებოდნენ და სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მაგრამ ბოლო წლებში ემპირიულმა კვლევებმა, ასევე გახმაურებულმა სამსახურო შემთხვევებმა, როცა მოსამართლეს ნერვებმა უმტყუნა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოაქცია ეს საკითხები.⁷⁰

⁷⁰ იხ. M.d. Kirby, "Judicial Stress: An Update", (1997) 71 Australian Law Journal 774, 791.

გამოყენება

6.1 მოსამართლის სამოსამართლო ფუნქციებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა სხვა სახის საქმიანობასთან შედარებით.

კომენტარი

მოსამართლის მთავარი მოვალეობაა, ემსახუროს სასამართლოს

195. მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილებების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადანყვეტილებების გამოტანა, რაც კანონის განმარტებასა და კანონით გათვალისწინებული ნორმების გამოყენებას მოითხოვს. თუ მთავრობა მოსამართლეს ისეთ დავალებას მისცემს, რომელმაც შეიძლება, დიდი ხნით მოსწყვიტოს ის სასამართლოში ჩვეულ საქმიანობას, მან არ უნდა განაცხადოს თანხმობა, ვიდრე რჩევას არ ჰკითხავს სასამართლოს თავმჯდომარეს და კოლეგებს სასამართლოს შემადგენლობაში, რათა დარწმუნდეს, რომ ამ დავალების შესრულებაზე დათანხმება არ მოახდენს უარყოფით გავლენას სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე და მეტისმეტად არ დატვირთავს სასამართლოს სხვა წევრებს. მოსამართლე არ უნდა აჰყვეს ცდუნებას, ზედმეტი ყურადღება დაუთმოს არასასამართლო საქმიანობას, თუ ეს აისახება მის უნარზე, სათანადოდ განახორციელოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობები. არსებობს არცთუ უმნიშვნელო რისკი იმისა, რომ მოსამართლე მეტისმეტად დიდ დროს დაუთმობს ასეთ საქმიანობას, თუ ის ანაზღაურებადია. ასეთ შემთხვევებში გარეშე დამკვირვებელს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლე დასთანხმდა დამატებითი არასასამართლო მოვალეობების შესრულებას იმისთვის, რომ თავისი ოფიციალური შემოსავლები გაეზარდა. სასამართლო სისტემა არის საზოგადოებისადმი მსახურებაზე დამყარებული ინსტიტუტი და არა საბაზრო ეკონომიკის დამატებითი სეგმენტი.

6.2. მოსამართლე თავის პროფესიულ საქმიანობას უძღვნის სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას, რომლებშიც შედის არა მხოლოდ სამოსამართლო და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულება სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ სხვა ამოცანებიც, რომლებიც მოსამართლის თანამდებობასა თუ სასამართლოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

კომენტარი

196. ყოველმა მოსამართლემ გარკვეული მოცულობით უნდა შეასრულოს ადმინისტრაციული ფუნქციებიც, რომლებიც საქმეთა მართვას უკავშირდება, და არა მხოლოდ მათ გადაწყვეტას. მოსამართლე პასუხისმგებელია სასამართლოში მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულებისათვის. ეს გულისხმობს: საქმეთა მართვას (მათ შორის, საქმეთა ოპერატიულ გადაწყვეტას), საქმისწარმოებას, ფინანსური რესურსების მართვას, ასევე სასამართლოს თანამშრომლების საქმიანობის კონტროლს. თუ მოსამართლე სათანადო გულმოდგინებას არ იჩენს საქმეთა მართვისა და გადაწყვეტილებების გამოტანის მიმართ, ეს სასამართლოს მუშაობის ეფექტიანობის შემცირებას იწვევს, რაც, თავის მხრივ, დამატებით დანახარჯებს უკავშირდება და საზოგადოებაში ქმედითი მართლმსაჯულების აღსრულების რწმენას არყევს. ამიტომ მოსამართლეს პროფესიული კომპეტენტურობა უნდა ჰქონდეს სასამართლოს მართვის საქმეში და ხელს უნდა უწყობდეს სასამართლოს მოხელეებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაში.⁷¹

სასამართლოს ოქმების დაკარგვა

197. მოსამართლემ ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღოს, რათა არ დაუშვას სასამართლოს ოქმების დაკარგვა ან მათ გაცემაზე უარი. ასეთ ზომებს შეიძლება განეკუთვნებოდეს სასამართლოს ოქმების კომპიუტერიზაცია. მოსამართლემ ასევე უნდა შემოიღოს სასამართლო დოსიეთა დაკარგვის ან გაუჩინარების გამომძიების სისტემა. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ეჭვის არსებობისას მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს სასამართლო დოსიეთა დაკარგვის ფაქტის დამოუკიდებელი გამოძიება, რომელიც ყოველთვის უნდა განიხილებოდეს როგორც სერიოზული დარღვევა შესაბამისი სასამართლოს მხრიდან. სასამართლო დოსიეთა დაკარგვის შემთხვევაში მოსამართლემ გონივრული შესაძლებელი

⁷¹ იხ. „სასამართლოების თანამშრომელთა ქცევის პრინციპები“, მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მეოთხე თათბირის ანგარიში, 2005 წლის 27-28 ოქტომბერი, ქ. ვენა, ავსტრია, დანართი A, http://www.unodc.org/pdf/corruption/publication_jig4.pdf

ზომები უნდა მიიღოს დაკარგული დოკუმენტების აღსადგენად და მომავალში მსგავსი დარღვევის თავიდან ასაცილებელი პროცედურების შემოსაღებად.

არაოფიციალური გადასახდელები

198. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ცნობები ბევრ იურისდიქციაში არაოფიციალური გადასახდელების შესახებ, კერძოდ, ან თითქოსდა სასამართლოს თანამშრომლების მოთხოვნით ისეთი მომსახურებისათვის, როგორებიცაა: სასამართლო სხდომის ოქმის გაცემა, სასამართლოში გამოცხადების თაობაზე ბრძანების გაცემა, მოპასუხისათვის სასამართლოში გამოცხადების უწყების გადაცემა, მოწმის ჩვენებების ასლების გადაღება, თავდებობისას გირაოს მიღება, სასამართლოს გადანწყვეტილების დამონმებული ასლის დამზადება, სასამართლო განხილვის დაჩქარება, სასამართლო განხილვის გადავადება, ხელსაყრელი ვადების დანიშვნა და დაკარგული დოსიების მოძიება, მოსამართლემ უნდა განიხილოს შემდეგი ზომების მიღების შესაძლებლობა:

1. სასამართლოს შენობაში და სხვა შესაბამისი პირებისათვის თვალსაჩინო ადგილებზე განცხადებების განთავსება იმის შესახებ, რომ მსგავსი გადასახდელები დაუშვებელია და არსებობს კონფიდენციალური პროცედურები იმ პირთა მიმართ საჩივრების შეტანისა და განხილვისა, რომლებიც მსგავს ქმედებებს ახორციელებენ;
2. არაფორმალური გადასახდელების პრაქტიკასთან ბრძოლის მიზნით სპეციალური მეთვალყურეების დანიშვნა და კონტროლის სისტემის პარალელურად სასამართლოს მომხმარებელთა კომიტეტების შექმნა;
3. სასამართლოს ოქმების კომპიუტერიზაცია, მათ შორის სასამართლო სხდომების განრიგისა;
4. იმ სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების ვადების დადგენა, რომლებიც საქმის სასამართლოში მოსმენისათვის მოსამზადებლად დაა საჭირო;
5. სასამართლოს მხრიდან მოქალაქეთა საჩივრებზე ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფა.

6.3. მოსამართლე გონივრულ ზომებს იღებს თავისი ცოდნის შენარჩუნებისა და გაღრმავების, მის მიერ საკუთარი მოვალეობების სათანადოდ შესრულები-სათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილებისა და პიროვნული თვისებების დახ-ვეწის მიზნით, რისთვისაც იყენებს იმ სასწავლო საშუალებებსა და სხვა შესაძ-ლებლობებს, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს მოსამართლეთათვის სასამარ-თლო კონტროლის პირობებში.

კომენტარი

ყოველმა მოსამართლემ უნდა გამოიყენოს შემდგომი პროფესიული მომზადების შესაძლებლობა

199. სასამართლოს დამოუკიდებლობა ანიჭებს უფლებებს და, ამასთანავე, აკისრებს ეთიკური ხასიათის ვალდებულებებს, მათ შორის სამოსამართლო უფ-ლებამოსილებების პროფესიულად და გულმოდგინედ შესრულებასთან დაკავში-რებით. ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეს სოლიდური პროფესიული კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს, რომლის შექმნა, შენარჩუნება და რეგულარული განვითარება ხდება შემდგომი სწავლებისა და მომზადების შესაძლებლობის წყალობით, რომ-ლის გამოყენებაც ყოველი მოსამართლის უფლებაცაა და მოვალეობაც. მეტად საჭიროა, აუცილებელი თუ არა, რომ მოსამართლემ, თავისი პროფესიული გა-მოცდილების გათვალისწინებით, დეტალური, ღრმა და მრავალმხრივი მომზადე-ბა გაიაროს მოსამართლის თანამდებობაზე პირველად დანიშვნისთანავე, რათა სრულფასოვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. მისთვის აუცილე-ბელი ცოდნა შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ მატერიალური და საპროცესო სამართლის ასპექტებს, არამედ სამართლისა და სასამართლოების საზოგადოებ-რივ ცხოვრებაზე გავლენის საკითხებს.

200. ის ნდობა, რომელიც მოქალაქეებს აქვთ სასამართლო სისტემისადმი, კიდევ უფრო ამაღლდება, თუ მოსამართლეს ექნება ფართო და ღრმა ცოდნა არა მარტო სამართლის სფეროში, არამედ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ სხვა სფეროებშიც; თუ ის გამოამჟღავნებს ისეთ პირად თვისებებსა და ინტელექტს (როგორც სასამართლო სხდომისას, ისე სასამართლოს გარეთ), რომლებიც მას საშუალებას აძლევს, გადაწყვიტოს საქმეები სასამართლო პრო-ცესის ყველა მონაწილის მიმართ სათანადო დამოკიდებულების უზრუნველყო-ფით. პროფესიულ მომზადებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მოსა-მართლეების მიერ მათი ფუნქციების ობიექტურად, მიუკერძოებლად და კომპე-ტენტურად შესრულებისათვის, ისევე როგორც მოსამართლეების დაცვისათვის არასათანადო გავლენისაგან. ასე რომ, ამჟამად თანამდებობაზე დანიშვნისას

მოსამართლემ უნდა გაიაროს სასწავლო კურსები, რომლებიც მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: გენდერული პრობლემატიკის, რასის, ადგილობრივი კულტურების, რელიგიისა და რელიგიური წარმოდგენების, სექსუალური ორიენტაციის, შიდის სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ მგრძობელობა. ადრე ითვლებოდა, რომ მოსამართლე ასეთ ცოდნას იძენს პრაქტიკის მქონე ადვოკატის საქმიანობის განხორციელებისას, მაგრამ გამოცდილებამ გვიჩვენა, რამდენად საჭიროა ასეთი სწავლება, განსაკუთრებით ასეთი ჯგუფების წარმომადგენლებთან მოსამართლის პირდაპირი კონტაქტის პირობებში, რაც, საბოლოოდ, ეხმარება მოსამართლეს, სწორად მიუდგეს ამგვარ საკითხებს, თუ შემდგომში მოსამართლედ მუშაობისას ექნება მათთან შეხება.

201. პროფესიული მომზადება, ჩვეულებრივ, უნივერსიტეტის კედლებში სჭირდებათ არა მარტო მოსამართლეებს, რომლებიც მოსამართლის თანამდებობისათვის შეირჩევიან პროფესიული კარიერის დასაწყისშივე, არამედ მათაც, ვისაც საუკეთესო და ყველაზე გამოცდილი პრაქტიკოსი იურისტების რიცხვიდან არჩევენ. კარგი ადვოკატი შეიძლება ცუდი მოსამართლე იყოს, საშუალო ადვოკატი კი კარგი მოსამართლე. შეფასების უნარი და სასამართლოში თავდაჭერის მანერა შეიძლება გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე სამართლის საკითხებში განსწავლულობა.⁷²

მოსამართლეთა პროფესიული მომზადების პროგრამების შინაარსი

202. სამოსამართლო მოვალეობების აღსრულება ახლი საქმიანობის სფეროა როგორც ახალგაზრდა დამწყები მოსამართლისათვის, ისე გამოცდილი ყოფილი ადვოკატისათვის, რაც მრავალი საკითხისადმი განსაკუთრებულ მიდგომას გულისხმობს, განსაკუთრებით მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის საკითხებისადმი, სასამართლო პროცედურის თავისებურებისა და სასამართლო განხილვის მონაწილე ყველა მხარესთან ურთიერთობისადმი. ახალი მოსამართლეების პროფესიული გამოცდილების დონის მიხედვით, მათი სასწავლო მომზადება უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ სასამართლო საქმეთა განხილვის ხერხებისა და მეთოდების სწავლებას, არამედ ითვალისწინებდეს საზოგადოების სოციალურ პრობლემებში გაცნობიერებულობას და ღრმა გაგებას იმ საკითხთა ფართო სპექტრისა, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულესა და მრავალმხრივობას ასახავს; მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა შერჩევის მეთოდების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინება, რათა სათანადო

⁷² Sir Robert Megarry VC, "The Anatomy of Judicial Appointment: Change but Not Decay", The Leon Lander Lecture for 1984, 19:1 University of British Columbia law Review, 113 at 114.

მიმართულება მიეცეს და სათანადოდ ადაპტირებულ იქნეს სასწავლო პროგრამები. გამოცდილ ადვოკატს აუცილებელია, შევასწავლოთ მხოლოდ ის, რასაც მისგან ახალი საქმიანობის სფერო მოითხოვს. მას შეიძლება, ამომწურავი ცოდნა ჰქონდეს სასამართლო პროცედურების, სასამართლო მტკიცებულებათა სისტემის, სასამართლო ჩვეულებებისა და იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც მოსამართლის მიმართ არსებობს. მაგრამ მას შესაძლოა, არასოდეს შეხვედრია შიდსით დაავადებული ადამიანი, ან არასდროს უფიქრია მის განსაკუთრებულ სამართლებრივ თუ სხვა საჭიროებებზე. ამ თვალსაზრისით პროფესიული სწავლება მისთვის აღმოჩენად შეიძლება იქცეს. გამოცდილება საერთო სამართლის ბევრი იურისდიქციისათვის, შესაძლოა არცთუ მრავალწლიანი, გვიჩვენებს, რომ მოსამართლეების ასეთი მომზადება სამოსამართლო საზოგადოების მხრიდან მისი კონტროლის პირობებში ძალზე სასარგებლო შეიძლება იყოს ახალი მოსამართლეებისათვის და წარმატებული სამოსამართლო კარიერის კარგ საფუძვლად იქცეს.

კვალიფიკაციის ამალღების კურსები სასამართლოს ყველა დონეზე

203. იმ ფუძემდებლური ცოდნის გარდა, რომელიც მოსამართლემ აუცილებლად უნდა შეიძინოს თავისი კარიერის დასაწყისში, ის გამუდმებით ესწრაფვის ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებას. მოსამართლეთა პროფესიული გადამზადება ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცა, თუ გავითვალისწინებთ კანონმდებლობისა და ტექნოლოგიების მუდმივ ცვლილებებს, ასევე იმას, რომ ბევრ ქვეყანაში მოსამართლეს ახალ თანამდებობაზე გადასვლისას ახალი მოვალეობები შეიძლება დაეკისროს. ამიტომ კვალიფიკაციის ამალღების პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლების შესაძლებლობა სამსახურებრივ კარიერაში ცვლილებების შემთხვევაში, მაგალითად სისხლის სამართლის სასამართლოდან სამოქალაქოში გადასვლისას, ან პირიქით, სპეციალურ იურისდიქციაში თანამდებობაზე გადასვლისას (მაგალითად, ოჯახის ან არასრულწლოვანთა საკითხების განმხილველ სასამართლოში), ან სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარისა თუ სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის დაკისრებისას. კვალიფიკაციის მუდმივი ამალღების შესაძლებლობა სასამართლოს ყველა დონეზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სასამართლო სისტემის სხვადასხვა დონის წარმომადგენლები შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდნენ ერთობლივ მეცადინეობებში, რაც უზრუნველყოფს აზრთა გაცვლის შესაძლებლობას და ასევე ხელს უწყობს ზედმეტად ხისტი იერარქიული ბარიერების გადალახვას, ვინაიდან საშუალებას აძლევს სასამართლო ხელისუფლების ყველა დონის წარმომადგენლებს, გააცნო-

ბიერონ ერთმანეთის პრობლემები და საჭიროებები და ხელს უწყობს მათ შეკავშირებასა და საქმიანობის თანამიმდევრულობას.

მოსამართლეთა პროფესიულ მომზადებაზე პასუხისმგებელი უნდა იყვნენ სასამართლო ორგანოები

204. თუმცა სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს აუცილებელი რესურსები და შესაბამისი ხარჯების დაფინანსება, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, სასამართლო ორგანოები მონოდებული არიან, მთავარი როლი შეასრულონ მოსამართლეთა პროფესიული მომზადების ორგანიზაციასა და ზედამხედველობაში, ან პასუხისმგებელი იყვნენ მის განხორციელებაზე. ნებისმიერ ქვეყანაში ამ ფუნქციების შესრულება თავად სამოსამართლო საზოგადოებას ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს უნდა დაეკისროს, მაგალითად, სასამართლო კომიტეტს, და არა იუსტიციის სამინისტროს ან სხვა ორგანოს, რომელიც აღმასრულებელ ან საკანონმდებლო ხელისუფლებას ექვემდებარება. მოსამართლეთა ასოციაციებმაც შეიძლება შეასრულონ როლი მოქმედი მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების უზრუნველყოფაში. თანამედროვე საზოგადოების სირთულის გათვალისწინებით, ველარ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ მოსამართლე, რომელიც სასამართლო სხდომებს ატარებს თითქმის ყოველდღიურად, შეძლებს იმ პრობლემების ოპტიმალურად გადაჭრას, რომლებიც შეიძლება წარმოემყვას. საინფორმაციო სისტემებში მომხდარი ტექნოლოგიური ცვლილებების გამო მაღალკვალიფიციური მოსამართლეებიც კი აღმოჩნდნენ სათანადო პროფესიული მომზადების აუცილებლობის წინაშე, რისი საშუალებაც მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს.

პროფესიული მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანო იმ ორგანოებისაგან განცალკევებით უნდა არსებობდეს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ წარმოებასა და მათ დანიშვნაზე.

205. კომპეტენციების სათანადო გამიჯვნის უზრუნველსაყოფად მოსამართლეთა პროფესიული მომზადებისათვის პასუხისმგებელი ორგანო იმ ორგანოებისაგან განცალკევებით უნდა არსებობდეს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ წარმოებაზე, მათ დანიშვნასა თუ სამსახურებრივ წინსვლაზე. მოსამართლეთა პროფესიული მომზადება სასამართლო ორგანოების ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელობით უნდა ხორციელდებოდეს სპეციალური დამოუკიდებელი დაწესებულების მეშვეობით,

რომელსაც საკუთარი ბიუჯეტი აქვს, რაც შესაძლებლობას აძლევს, მოსამართლეთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშაონ პროფესიული მომზადების პროგრამები და უზრუნველყონ მათი დანერგვა. ლექტორები საგულდაგულოდ უნდა შეირჩეს პროფესიის საუკეთესო წარმომადგენელთაგან, შესაბამის დისციპლინაში მათი ცოდნისა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით.

6.4. მოსამართლე უნდა იცნობდეს საერთაშორისო კანონმდებლობის ყველა შესაბამის ცვლილებას, საერთაშორისო კონვენციებისა და სხვა დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედ ნორმებს ადგენს.

კომენტარი

ადამიანის უფლებათა დარგში საერთაშორისო სამართლის აქტუალურობა

206. საზოგადოების მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და ინდივიდისა და სახელმწიფოს ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის მზარდი როლის პირობებში მოსამართლემ მასზე დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, იმ ფარგლებში, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით არის გათვალისწინებული და აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში. შიდა სამართლის ნებისმიერი მოთხოვნის შესრულების პირობით და მის მიერ განხორციელებული ფუნქციების ხასიათის მიუხედავად, მოსამართლეს არ შეუძლია, არ იცოდეს ან მოიმიზეზოს საერთაშორისო სამართლის ნორმების არცოდნა, მათ შორის ადამიანის უფლებათა სფეროში, მიუხედავად იმისა, ჩადებულია თუ არა ისინი ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში, გამოყენებად საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ კონვენციებში. მოსამართლის მოვალეობათა ამ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის უზრუნველსაყოფად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში სამართლის შესწავლა ახალი მოსამართლეების საწყისი და შემდგომი პროფესიული მომზადების პროგრამებში უნდა იყოს გათვალისწინებული, განსაკუთრებული აქცენტი კი უნდა გაკეთდეს ამ სამართლის ნორმათა პრაქტიკულ გამოყენებაზე მოსამართლის საქმიანობაში იმ მოცულობით, რომლითაც ამის საშუალებას იძლევა შიდასახელმწიფოებრივი სამართალი.

6.5. მოსამართლე ყველა თავის მოვალეობას, გადადებული გადაწყვეტილებების გამოტანის ჩათვლით, ასრულებს გონივრულად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად.

კომენტარი

საქმეების საკმარისად სწრაფად გადაწყვეტის ვალდებულება

207. საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. მოსამართლემ სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა უნდა განახორციელოს, რათა შეამციროს ან აღმოფხვრას ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. მოსამართლე უნდა ისწრაფოდეს და ხელს უწყობდეს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას, მაგრამ, ამასთან, მხარეებს არ უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათ აიძულებენ, უარი თქვან მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხის სასამართლო წესით განხილვის უფლებაზე. საქმეების სამართლიანად და გულდასმით განხილვის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქმეთა საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულებას. მოსამართლე შეიძლება ეფექტიანად და საქმიანად ასრულებდეს თავის მოვალეობებს, რაც ხელს არ უშლის, გამოიჩინოს, ამავე დროს, აუცილებელი მოთმინება და სიღინჯე.

პუნქტუალურობის ვალდებულება

208. სასამართლოში განსახილველად წარმოდგენილი საქმეების საკმარისად სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულება მოსამართლისაგან მოითხოვს პუნქტუალურობას სასამართლო სხდომებზე დასწრებისას და სასამართლოსათვის განსახილველად წარმოდგენილი საკითხების ოპერატიულად განხილვისას. ამ მიზნის მისაღწევად მან უნდა მოითხოვოს სასამართლოს აპარატის თანამშრომლების, სასამართლო განხილვის მხარეებისა და მათი ადვოკატების შეთანხმებული მოქმედება. სასამართლო სხდომების განრიგის დარღვევა, მათი არარეგულარულობა სასამართლო პროცედურის დაგვიანებას და გაჭიანურებას იწვევს და სასამართლოთა მუშაობაზე არასახარბიელო წარმოდგენას ქმნის. ამგვარად, იურისდიქციებში, სადაც სასამართლოს სხდომების რეგულარული სა-

ათებია გათვალისწინებული, მოსამართლეებმა ეს საათები განუხრელად უნდა დაიცვან და ამასთანავე არასასამართლო წესით ფუნქციების სწრაფი შესრულება უზრუნველყონ.

გადადებული გადანყვეტილებების დაყოვნების გარეშე გამოტანის ვალდებულება

209. მოსამართლემ თავის მიერ გადადებული გადანყვეტილებების გამოტანისას სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად სასწრაფოა საკითხი, ასევე სხვა განსაკუთრებული გარემოებები და ოპერატიულად გამოიტანოს გადანყვეტილება იმის მიხედვით, თუ რა ხანგრძლივობისა თუ სირთულისაა საქმე, ასევე სხვა სამსახურებრივი მოვალეობების გათვალისწინებით. მაგალითად გადანყვეტილების იურიდიული დასაბუთება მოსამართლემ უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს.

გამჭვირვალობის მნიშვნელობა

210. მოსამართლემ გამჭვირვალე მექანიზმები უნდა დაამკვიდროს, რაც საშუალებას მისცემს სასამართლო დავის მხარეებსა და ადვოკატებს, წარმოდგენა ჰქონდეთ, თუ რა სტადიაზეა შესაბამისი საქმის წარმოება. მოსამართლეებმა უნდა შემოიღონ საზოგადოებისათვის მისაწვდომი ოქმები, რომელთა საფუძველზეც ადვოკატებს ან მხარეებს, რომლებიც თავად წარმოადგენენ საკუთარ ინტერესებს, შეეძლებათ იმ გადანყვეტილების გამოტანის ვალდებთან დაკავშირებით შეკითხვის დასმა, რომლებიც, მათი აზრით, ჭიანჭურდება. ასეთი ოქმები უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოს შიგნით არსებულ შესაბამის ორგანოში საჩივრის შეტანის შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, როცა გადავადება აშკარად უსაფუძვლოდ მიიჩნევა, ან სერიოზულ ზიანს აყენებს რომელიმე მხარეს.

6.6. მოსამართლე იცავს წესრიგს და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეების, ნაფიცი მსაჯულების, მონმეების, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა, მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

კომენტარი

მოსამართლის როლი

211. ერთ-ერთი უფროსი მოსამართლის აზრით, მოსამართლის როლი ასეთია⁷³:

„მოსამართლის როლის არსია, ყურადღებით მოისმინოს სასამართლოსათვის წარდგენილი ჩვენებები, მხოლოდ მაშინ დაუსვას მონმეებს შეკითხვები, როცა საჭიროა რაიმე საკითხის გარკვევა, რომელიც გამორჩათ ან ბუნდოვანია; იზრუნოს იმაზე, რომ ადვოკატები სათანადოდ იქცეოდნენ და კანონით დადგენილ წესებს იცავდნენ, რათა გამოირიცხოს უკვე ნათქვამის გამეორება ან იმ საკითხებზე მსჯელობა, რომლებიც საქმეს არ ეხება; მსჯელობაში მოხერხებულად ჩარევის გზით დარწმუნდეს, რომ ადვოკატის მიერ წარმოდგენილი პოზიციების ლოგიკას მიჰყვება, შეუძლია, მათი რაობა შეაფასოს და, ბოლოს, გადაწყვიტოს, ვის მხარესაა სიმართლე. თუ მოსამართლე ამ როლის ფარგლებს სცდება, ის მოსამართლის მანტიას იხსნის და ადვოკატის მანტიით იმოსება. ეს მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს. ასეთია ჩვენი სტანდარტები“.

წესრიგისა და ეტიკეტის დაცვის ვალდებულება სასამართლო სხდომის მსვლელობისას

212. წესრიგში მოიაზრება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორექტულობა, რაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაცული იყოს სასამართლო პროცედურის დადგენილი წესები. ეტიკეტში მოიაზრება ზრდილობიანობისა და თავაზიანობის, გულწრფელი ყურადღების ატმოსფერო, რაც საზოგადოების თვალში იმის ნიშანია, რომ

⁷³ Jones v. National Coal Board, Court of Appeal of England and Wales [1957] 2 QB p.55 at p. 64, per Lord Denning.

სასამართლო საქმეს გულდასმით და სამართლიანად განიხილავს. სხვადასხვა მოსამართლეს განსხვავებული შეხედულება და სტანდარტები შეიძლება ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება გარემოებებს ადვოკატის ან სასამართლო განხილვის სხვა მონაწილის კონკრეტული ქცევა, მეტყველება თუ სამოსი. ის, რასაც ერთი მოსამართლე არსებული ეტიკეტის ნორმების აშკარა დარღვევად თვლის, მეორისათვის უწყინარი ექსცენტრიკულობა შეიძლება იყოს, არ ეხებოდეს საქმეს ან, სულაც, სავსებით შეესაბამებოდეს ქცევის ნორმებს. გარდა ამისა, ზოგი საქმე ფორმალობების მეტად დაცვას მოითხოვს, ვიდრე სხვა საქმეები. ამგვარად, დროის ყოველ კონკრეტულ მომენტში რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მიმობნეული სასამართლოების დარბაზებში შეიძლება ვიხილოთ წესრიგისა და ეტიკეტის სხვადასხვა გამოვლინების ფართო სპექტრი. არ არის სასურველი და, ასეც რომ არ იყოს, შეუძლებელიცაა ერთიანი სტანდარტის შემოღება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ეტიკეტი და წესრიგი. ამის ნაცვლად მოსამართლემ გონივრული ზომები უნდა მიიღოს სასამართლოში წესრიგისა და ეტიკეტის იმ დონეზე დაცვისა და შენარჩუნებისთვის, რომელიც აუცილებელია სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების სამართლიანად და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შესასრულებლად, ამავდროულად ადვოკატების, სასამართლო განხილვის მხარეებისა და საზოგადოებისათვის სამართლიანობისა და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის გარანტიების უზრუნველსაყოფად.

სასამართლო განხილვის მხარეთა მიმართ დამოკიდებულება

213. მოსამართლის ქცევას, თავდაჭერის მანერას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მისი მიუკერძოებლობისადმი ნდობის გამყარებისათვის, ვინაიდან სწორედ მისი ქცევა იპყრობს, პირველ რიგში, გარშემომყოფთა ყურადღებას. არასათანადო ქცევა სასამართლო პროცედურისადმი ნდობას არყევს, რადგან განურჩევლობის ან მიკერძოების განცდას წარმოშობს. სასამართლო განხილვის მხარისადმი უხეში, უპატივცემულო დამოკიდებულება არღვევს მხარის უფლებას მისი საქმის განხილვაზე და ჩრდილს აყენებს ავტორიტეტსა და სოლიდურობას, რომლებიც უნდა სუფევდეს სასამართლო დარბაზში. მოსამართლის უკმეხობა ასევე უარყოფითად აისახება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს მხარეს საქმის წარმოების პროცესი და, საბოლოოდ, ნეგატიურ წარმოდგენას ქმნის ზოგადად სასამართლოზე.

ადვოკატებთან დამოკიდებულება

214. მოსამართლემ უნდა მოთოკოს გალიზიანება და რისხვა. იმის მიუხედავად, თუ რა არის განხილვის კონკრეტული საგანი, მოსამართლის რეაქცია მშვიდი და მოზომილი, განონასწორებული უნდა იყოს. მაშინაც, თუ ადვოკატის უხეში ქცევა მის პროვოცირებას ისახავს მიზნად, მოსამართლემ სათანადო ზომები უნდა მიიღოს დარბაზზე კონტროლის შესანარჩუნებლად, ადვოკატის მიმართ რაიმე საპასუხო ზომების გარეშე. თუ შენიშვნა აუცილებელია, ზოგჯერ უმჯობესია, ის საქმის განხილვის დროს არ გაკეთდეს. მოსამართლემ არასდროს არ უნდა გაანყვეტინოს ადვოკატს სიტყვა უსაფუძვლოდ და მრავალგზის, არ უნდა გააკეთოს შეურაცხმყოფელი ან დამცინავი კომენტარი ადვოკატის მიერ მოყვანილი მოსაზრებების თაობაზე; მეორე მხრივ, არცერთი მოსამართლე არ არის ვალდებული, მოუსმინოს ადვოკატს, რომელიც ბოროტად იყენებს პროცესს, ამკარად უსაფუძვლო და გაუმართლებელი, სუსტი მოსაზრებები მოჰყავს, ან შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს, სხვა ადვოკატებს, საქმის მხარეებსა თუ მოწმეებს, და არ შეანყვეტინოს მას სიტყვა.

მოთმინება, ღირსება და თავაზიანობა აუცილებელია

215. სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.

6.7 მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს სამოსამართლო ფუნქციების ზედმინვენით გულმოდგინედ შესრულებასთან შეუთავსებელ საქმიანობას.

კომენტარი

სამუშაოს სამართლიანი და თანაბარი განაწილება სასამართლოში

216. მოსამართლეზე, რომელიც სასამართლოში საქმეთა განაწილებაზე აგებს პასუხს, გავლენას არ უნდა ახდენდეს საქმის რომელიმე მხარის ნებასურვილი ან საქმით დაინტერესებული ესა თუ ის პირი. განაწილება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, კენჭისყრის ან, ავტომატურად, ანბანის მიხედვით, ან სხვა სახით დაჯგუფების გზით. ალტერნატივის სახით საქმეთა განაწილება კოლეგებთან კონსულტაციით შეიძლება განახორციელოს სასამართლოს თავმჯდომარემ, რომელიც კეთილსინდისიერად და სამართლიანად შეასრულებს დაკისრებულ ფუნქციას. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს ცალკეული მოსამართლეების განსაკუთრებული საჭიროება ან განსაკუთრებული გარემოებები, თუმცა შეძლებისდაგვარად საქმე სასამართლოს წევრებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს, როგორც რაოდენობრივად ისე ხარისხობრივად, და საქმეთა განაწილების პრინციპები ყოველი მოსამართლისათვის ცნობილი უნდა იყოს.

მოსამართლისაგან საქმის გამოთხოვა

217. არ შეიძლება ამა თუ იმ მოსამართლისაგან საქმის ყოველგვარი ისეთი საფუძვლის გარეშე გამოთხოვა, როგორცაა, მაგალითად, სერიოზული ავადმყოფობა ან ინტერესთა კონფლიქტი. გამოთხოვის საფუძვლები და პროცედურები კანონით და სასამართლო წესებით უნდა იყოს გათვალისწინებული და არ უნდა იყოს დამოკიდებული მთავრობის ინტერესებსა თუ რაიმე სხვა გარეშე ფაქტორზე. მათი ერთადერთი მიზანი უნდა იყოს სასამართლო ფუნქციების კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო ნორმების შესაბამისად განხორციელება.

სხვა მოსამართლის ან ადვოკატის არაპროფესიული ქცევა

218. მოსამართლემ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, თუ მისთვის ცნობილი ხდება სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს სხვა მოსამართლისა

თუ ადვოკატის შესაძლო არაპროფესიულ ქცევაზე. შესაბამისი ზომები შეიძლება იყოს უშუალო კონტაქტი მოსამართლესთან ან ადვოკატთან, რომელმაც, როგორც მიიჩნევა, დაარღვია ქცევის ნორმები, სხვა შესაძლო ქმედებები, ასევე შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინება პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევის ფაქტის შესახებ.

სასამართლოს თანამშრომლების შრომის ან სასამართლოს შენობის ბოროტად გამოყენება

219. სასამართლოს თანამშრომლების შრომის ან სასამართლოს შენობის არამართლზომიერი გამოყენება მოსამართლის ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებაა, რაც სასამართლოს თანამშრომელს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აყენებს. სასამართლოს თანამშრომლები არ უნდა იღებდნენ მითითებებს მოსამართლისათვის რაიმე სამსახურის განწევასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცდება იმ მცირე დავალებების ფარგლებს, რომელთა შესრულებაც დაშვებულია დამკვიდრებული ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე.

ამოქმედება

საკუთარი სამოსამართლო თანამდებობიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოსათვის აუცილებელია ეფექტიანი ზომების მიღება აღნიშნული პრინციპების ასამოქმედებელი მექანიზმების შესაქმნელად, თუ ასეთი მექანიზმები მათი იურისდიქციის ფარგლებში ჯერ არ არსებობს.

კომენტარი

„ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანი ამოქმედების პროცედურები

220. ამჟამად სასამართლო ორგანოების პატიოსნების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფი დაკავებულია განცხადების შემუშავებით იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნება მოსამართლეთა ქცევის „ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედებისაკენ. თავად პრინციპების მსგავსად, ეს პროცედურებიც არ არის სავალდებულო ხასიათისა რომელიმე ეროვნული სასამართლო სისტემისათვის. ისინი შემოთავაზებული იქნება როგორც სახელმძღვანელო პრინციპები და ორიენტირები.

ტერმინები

პრინციპების შესახებ ამ განცხადებაში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, შინაარსიდან გამომდინარე, დასაშვებია ან აუცილებელია სხვაგვარი განმარტება:

„სასამართლოს თანამშრომლები“ – მოსამართლის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალი, მათ შორის სასამართლო საქმეთა მწარმოებლები;

„მოსამართლე“ – ნებისმიერი პირი, რომელიც აღჭურვილია სამოსამართლო უფლებამოსილებით;

„მოსამართლის ოჯახის წევრები“ – მეუღლე, შვილები, რძალი, სიძე და ნებისმიერი სხვა ახლო ნათესავი ან პირი, რომელიც მოსამართლესთან ერთად ცხოვრობს, არის მისი პარტნიორი ან დაქირავებული მუშაკი;

„მოსამართლის მეუღლე“ – მოსამართლის ოჯახური პარტნიორი ან მოსამართლესთან მჭიდრო პირადი ურთიერთობის მქონე ნებისმიერი სქესის ნებისმიერი სხვა პირი.

კომენტარი

მოსამართლის ოჯახის წევრი

221. განსაზღვრებაში – „მოსამართლის ოჯახის წევრები“ – სიტყვები „პირი, რომელიც მოსამართლესთან ერთად ცხოვრობს“, ეხება მხოლოდ ნებისმიერ სხვა ახლო ნათესავს ან პირს, რომელიც არის მოსამართლის პარტნიორი ან დაქირავებული მუშაკი, და არ ეხება მოსამართლის მეუღლეს, შვილს, სიძეს ან რძალს.

დანართი

კულტურული და რელიგიური ტრადიციები

უძველესი ხანიდან ყველა რელიგიასა და კულტურაში მოსამართლე ითვლებოდა მაღალი მორალური თვისებების მქონე ადამიანად, რომელიც მრავალი ნიშნით გამოირჩეოდა ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, რაც ავალდებულებდა, უფრო მკაცრი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, უფრო თავშეკავებული ყოფილიყო თავის ქცევაში და საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით უფრო მკაცრი და შეზღუდული ცხოვრების წესი ჰქონოდა.

ძველი ახლო აღმოსავლეთი

შემორჩენილი წარწერების თანახმად, ძვ. წ. დაახლოებით 1500 წელს ფარაონმა თუთმოს მესამემ ასეთი ინსტრუქცია მისცა ეგვიპტის უმაღლეს ვეზირს, რეჰმირს:⁷⁴

„იზრუნე უმაღლესი მოსამართლის პალატაზე. ყურადღებით ადევნე თვალი ყველაფერს, რაც იქ ხდება. გახსოვდეს, იქ აღსრულდება მთელი სამეფოს საქმეები. ... იცოდე, მოსამართლე ქედს არ იხრის ვეზირებისა და დიდებულების წინაშე და არ იძმობს ადამიანებს.

ყური გეჭიროს, რომ ყოველივე კანონის მიხედვით გაკეთდეს, სამართლიანად აღსრულდეს და არცერთი ადამიანი არ დარჩეს სამართლის გარეშე. მოხელემ ყველაფერი კანონით უნდა აღასრულოს და ისმინოს ის, რითაც მივიდა მასთან მოხოვნელი.

ღმერთს სძულს პირმოთნეობა. ის გვასწავლის, ერთნაირად მოეპყარი ყველას: მიმართე მას, ვისაც იცნობ, ისევე, როგორც მას, ვისაც არ იცნობ; მას, ვინც ახლოსაა შენთან, ისევე, როგორც მას, ვინც შორსაა... მოხელე, რომელიც ასე იქცევა, დიდ წარმატებას მიაღწევს.

ნუ განურისხდები ადამიანს დაუმსახურებლად, და განრისხდი იმაზე, რაზეც ჯერ არს განრისხება.“

⁷⁴ J.H. Breasted, Ancient Records of Egypt, Vol II (The Eighteenth Dynasty) (University of Chicago Press, 1906), 268-270, ციტირებულია C.G Weeramantry, An Invitation to the Law (Melburne, Australia, Butterworths, 1982), 239-240.

ინდუისტური სამართალი

ინდუისტური სამართლის კანონების ყველაზე მნიშვნელოვანი და სრული კრებულია „მანუს კანონები“. თავის კომენტარებში ნარადა – ცნობილი ინდუისტი სწავლული იურისტი (დაახლოებით 400 წ. ძვ. წ.) – „მანუს კანონებზე“ დაყრდნობით ასე აღწერს სასამართლოს:⁷⁵

1. სამეფო სასამართლოს წევრებმა უნდა იცოდნენ სჯულის კანონი და კეთილგონიერების წესებით იხელმძღვანელონ; ისინი დიდსულოვანი უნდა იყვნენ, ჭეშმარიტებას ემსახურონ და მიკერძოების გარეშე მიუდგნენ მტერსა თუ მოყვარეს;
2. მართლმსაჯულება მათზეა დამოკიდებული, მართლმსაჯულების აღსრულება კი მეფეს ეკუთვნის;
3. მაგრამ, სადაც დჰარმა (კანონი), ადჰარმით (უკანონობით) დაზიანებული, სასამართლოში აღწევს, და მოსამართლეები დანაშაულს არ აღკვეთენ, იქ თავად მოსამართლეები ხდებიან უკანონობით დალდასმულნი. იქ, სადაც მოსამართლის თვალწინ კანონს უკანონობა ანადგურებს, სიმართლეს კი სიცრუე, თავად მოსამართლე ნადგურდება;
4. ან არ უნდა მიხვიდე სასამართლოში, ან უნდა თქვა სიმართლე, ადამიანი, რომელიც არ ლაპარაკობს სიმართლეს, ან ჭეშმარიტების წინააღმდეგ ლაპარაკობს, სცოდავს;
5. ის მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოში რომ შევლენ, მუნჯებით დასხდებიან და მხოლოდ მდუმარედ ჭვრეტენ, როცა ხმის ამოღებაა საჭირო, ჭეშმარიტად ცრუნი არიან;
6. ჩადენილი ურჯულოების გამო ბრალის მეოთხედი ჩამდენზეა, მეოთხედი – მონმეზე, მეოთხედი – ყველა მსაჯულზე, მეოთხედი – მეფეზე.

როცა სჯულიერი ქცევის აუცილებლობას ამტკიცებდა, მანუ ითხოვდა, რომ მოსამართლე ვნებას აყოლილი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სამართლიანი მსჯავრის გამოტანა არ შეუძლია სიამოვნებათა მორევში ჩაფლულ ადამიანს.⁷⁶

⁷⁵ Sacred Books of the East, Max Muller (ed), (Motil Banarsidass, 1965), Vol XXXIII, (The Minor Law Books), 2-3, 5, 16, 37-40, ციტირებულია: C.G Weeramantry, An Invitation to the Law, 244-245.

⁷⁶ „მანუს კანონები“, Sacred Books of the East, 50 vols., F. Max Muller, (Motil Banarsidass, Delhi) 3rd reprint (1970), ტომი XXV, VII. 26.30, ციტირებულია: Amerasinghe, Judicial Conduct, 50.

კაუტილია (დაახლოებით ძვ. წ. 326-291), „არტჰაშასტრას“ – სჯულდებისა და მმართველობის პრინციპების შესახებ ყველაზე ცნობილი ინდუისტური ტრაქტატის – შემდგენელი, ასე წერს სასამართლოების შესახებ⁷⁷:

„მოსამართლე, რომელიც დავის რომელიმე მონაწილეს ემუქრება, ამინებს, გარეთ აგდებს ან უსამართლოდ აჩუმებს, ფულადი ჯარიმით უნდა დაისაჯოს. თუ ის რომელიმე მონაწილეს ლანძღავს და შეურაცხყოფას აყენებს, ჯარიმა უნდა გაორმაგდეს. თუ ის ისეთ კითხვას სვამს, რომელიც არ უნდა დასვას, ან არ სვამს იმ კითხვას, რომელიც უნდა დასვას, არ აქცევს ყურადღებას იმას, რაც თავად იკითხა, ან განმეორებით იძლევა რჩევას, მითითებას, ან ადრე ნათქვამს ახსენებს ვინმეს, ის სამშუალო ოდენობის ჯარიმით უნდა დაისაჯოს.

თუ მოსამართლე არ იკვლევს გარემოებებს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია, და არკვევს იმ გარემოებებს, რომელთა ცოდნაც ზედმეტია, საჭიროების გარეშე ახანგრძლივებს თავისი მოვალეობების შესრულებას, განზრახ აგვიანებს საქმეს, აიძულებს მომჩივანს და მოპასუხეს, დატოვონ სასამართლო, გაჭიანურებით ღლის მათ, გვერდს უვლის იმ საკითხებს, რომლებიც დავის გადანყვეტას შეუწყობდა ხელს, ეხმარება მონმეებს, გარკვეულ გეზს აძლევს მათ მსჯელობას, ან განაახლებს უკვე გადანყვეტილ საქმეებს, მას მაქსიმალური ჯარიმა უნდა დაეკისროს.“

ბუდისტური ფილოსოფია

ბუდას სწავლების თანახმად (დაახლოებით 500 წ. ძვ. წ.), ადამიანის ქცევა ყოველმხრივ სწორი უნდა იყოს და ამის მისაღწევად ბუდიზმის „კეთილშობილ რვა მარგ“ უნდა მივდიოთ. რვა მარგა გულისხმობს: სწორ აზროვნებას, სწორ მეტყველებას, სწორ მოქმედებას, სწორ შემეცნებას, სწორ ცხოვრების წესს, სწორ შრომას, სწორ მეხსიერებასა და სწორ კონცენტრაციას. ამ წესების ერთობლიობა შეადგენს ქცევის კოდექსს, რომელიც ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. სამართლიანობა, ბუდიზმის მიხედვით, არის ყველა ამ ზნეობრივი წესის შესრულება, რომელთაგანაც თითოეული ბუდისტური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში დაწვრილებითი ფილოსოფიური ანალიზის საგანი იყო.⁷⁸

⁷⁷ არტჰაშასტრა, R Shamasastri (trans.), (Mysore Printing and Publishing House, 1967), 254-255, ციტირებულია: Weeramantry, An Invitation to the Law, 145.

⁷⁸ Weeramantry, An Invitation to the Law, 23.

მეფე ან მმართველი – კანონის აღსრულებაში მთავარი პირი – პირველია თანასწორთა შორის (*primus inter pares*) და ამიტომ კანონზე მაღლა არ დგას. ზნეობრივი წესების კოდექსი, რომელსაც მმართველმა უნდა მისდიოს, რათა ბედნიერი მმართველობა უზრუნველყოს, შემდეგ პრინციპებს მოიცავს:⁷⁹

1. მმართველი არ უნდა იყოს ხარბი, სიმდიდრესა და ქონებაზე მიჯაჭვული, მან უნდა გასცეს ის ხალხის საკეთილდღეოდ.
2. ის შიშისა და მიკერძოებისაგან თავისუფალი ანუ პირუთენელი უნდა იყოს თავისი მოვალეობების შესრულებისას, გულწრფელი უნდა იყოს თავის განზრახვებში და არ ატყუებდეს საზოგადოებას.
3. ის გულკეთილი უნდა იყოს.
4. ის უბრალოდ უნდა ცხოვრობდეს და არა ფუფუნებაში. მან თავი უნდა „მოიზღუდოს“.
5. მას არავის ჯიბრი არ უნდა ჰქონდეს, თავისუფალი უნდა იყოს სიძულვილის, შულისა და მტრობისაგან.
6. მას უნდა შეეძლოს განსაცდელის, სიძნელებისა და შეურაცხყოფის გაბოროტების გარეშე დათმენა.

დავის შემთხვევაში მეფემ (ან სხვა მსაჯულმა) ყველა მხარეს თანაბარი ყურადღება უნდა დაუთმოს, ყველა მხარის მოსაზრება მოისმინოს და ისე გადაწყვიტოს დავა, როგორც ჭეშმარიტება მოითხოვს. გამოკვლევისას მსაჯულმა ყველანაირად უნდა აარიდოს თავი ოთხ მიმართულებას, რომელთაც უსამართლობისაკენ მივყავართ, ესენია: მიკერძოება, სიძულვილი, შიში და არცოდნა.⁸⁰

ბუნებით სამართლიანობაზე დამყარებული მართლმსაჯულების მნიშვნელობა ნათლად იკვეთება ბუდას საუბრიდან მის მონაფესთან *ღირსეულ უპაღლისთან*:⁸¹

„კითხვა: სამართლიანია, განათლებულო, დამნაშავე ბერის არყოფნისას ვბრძანოთ იმის გაკეთება, რაც მისი თანდასწრებით უნდა გაკეთდეს? მართლზომიერია ასეთი ბრძანება?“

პასუხი: ნებისმიერი სამართლიანი ბრძანება, თუ ის ნამდვილად სამართლიანია, გულისხმობს მოქმედების დამნაშავე ბერის თანდასწრებით შესრულებას. მისი არყოფნისას კი ბრძანება არამართლზომიერია როგორც კანონ-

⁷⁹ ვალპოლა დაჰუდა, „რას გვასწავლიდა ბუდა“ (Bedford, The Gordon Fraser Gallery Ltd., 1959), 1967 edition, 85.

⁸⁰ Sri Lanka Foundation, Human Rights in Sri Lanka (Colombo, 1988), 67.

⁸¹ I.B Horner (trans.), The Book of the Discipline (Vinaya-Pitaka), Vol. IV: Mahavagga or the Great Division IX, (London, Luzac & Co Ltd, 1962), 466-468, ციტირებულია: Jayawickrama, The Judicial Application of Human Rights Law, 7-8.

ნის, ისე დისციპლინის თვალსაზრისით, და ასეთი ბრძანება გონივრულისა და მისაღების ფარგლებს სცდება.

კითხვა: სამართლიანია, განათლებულო, დამნაშავე ბერის არყოფნისას ვბრძანოთ იმის გაკეთება, რისთვისაც მისი გამოკითხვაა საჭირო? მართლ-ზომიერია ასეთი ბრძანება?

პასუხი: ნებისმიერი სამართლიანი ბრძანება, თუ ის ნამდვილად სამართლიანია, გულისხმობს მოქმედების დამნაშავე ბერის გამოკითხვის შემდეგ შესრულებას. მისი გამოკითხვის გარეშე კი ბრძანება არამართლზომიერია როგორც კანონის, ისე დისციპლინის თვალსაზრისით, და ასეთი ბრძანება გონივრულის და მისაღების ფარგლებს სცდება.

იგივე პრინციპები ვრცელდება საერო პირებზე:

„ღვთისმოსავი ის არაა, ვინც ჩქარობს მიზნის მიღწევას. ბრძენი ანონ-დანონის ერთსაც და მეორესაც, სწორსაც და არასწორსაც. ბრძენკაცს, ვინც სხვებს წინ მიუძღვის ძალადობის გარეშე, სჯულიერი და სამართლიანი გადაწყვეტილებით, კანონის ჭეშმარიტ მცველს უწოდებენ“.⁸²

ბუდიზმის პრინციპების საფუძველზე იაპონიის პრინციპმა, რეგენტმა შოტოკუ ტაიშიმ (ახ. წ. 604) ჩვიდმეტი გადაწყვეტილება ჩამოაყალიბა, რომელთა შორის არის შემდეგი:

„დავის განხილვისას პირუთენელი იყავი. შენ დღეში ათასი ადამიანი გაკითხავს საჩივრით. დღეში რომ ამდენია, რამდენიმე წელიწადში რამდენი იქნება? თუ ადამიანი, რომელმაც დავა უნდა გადაწყვიტოს, მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობს და დავას მხოლოდ იმიტომ განიხილავს, რომ ქრთამი აილოს, მაშინ საჩივარი, რომლითაც მდიდარი მოვა, წყალში ჩაგდებულ ქვას დაემსგავსება, ღარიბისა კი – ქვაზე დაღვრილ წყალს, რომელიც ჩამოედინება და გაქრება. და ღარიბს აღარ ეცოდინება, სად წავიდეს. განა შეიძლება, ასე მივუდგეთ ჩვენს მოვალეობებს?“⁸³

⁸² დჰამაპადა, 256-ე, 257-ე სტოტოფები.

⁸³ W.G. Aston (trans.), *Chronicles of Japan from the Earliest Times to A.D. 697* (Kegan Raul, Trench, Trubner & Co., 1896), ციტირებულია: Weeramantry, *An Invitation to the Law*, 249-250.

რომის სამართალი

„თორმეტი ტაბულის“ (ძვ.წ. 450 წ.) კანონებში შემდეგი ნორმაა მოცემული:⁸⁴
მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება მზის ჩასვლამდე უნდა გამოიტანოს.

ჩინური სამართალი

სიუნ ციუ, ცნობილი ჩინელი ბერი და პატივდებული მოსამართლე (ძვ.წ. დაახლოებით 312 წ.), წერს:⁸⁵

„მიუკერძოებლობა – აი, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ წინადადებათა შეფასებისას, სამართლიანობა, აი, რით უნდა გავზომოთ ისინი. სადაც კანონი არსებობს, შეასრულე ის, სადაც არა – იმოქმედე, როგორც პრეცედენტი ან ანალოგია გკარნახობს – აი ასე უნდა მოისმინო შეგონებები. ნუ აპყვები მიკერძოებას ან ნათესაობას, ეს ყველაზე უარესია, რაც შეიძლება გააკეთო. შეიძლება კარგი კანონები გქონდეს, მაგრამ სახელმწიფოში უნესრიგობა სუფევდეს.“

მისგან განსხვავებით, სამეფო გვარის ჩამომავალი პრინცი ჰან ფაი ციუ (დაახლოებით 280 წ. ძვ.წ.) კანონის უფრო ზედმიწევნით შესრულების მომხრე იყო:⁸⁶

„მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი დურგლისათვის სულ ადვილია, თვალთ განსაზღვროს, სწორია ხაზი თუ მრუდე, ის მაინც ყოველთვის სახაზავს გამოიყენებს; მიუხედავად იმისა, რომ ბრძენს შეუძლია საქმეების გადაწყვეტა მხოლოდ თავისი გონების იმედად, ის ყოველთვის დაეკითხება რჩევას იმ მეფეთა კანონებს, რომლებიც მანამდე იყვნენ. გაჭიმე შვეული და შეძლებ დაგრეხილის გასწორებას, გამოიყენე თარაზო და შეძლებ ჩაღრმავებებისა და ამოზურცულობების გამოსწორებას, დააბალანსე სასწორის პინები და მძიმე და მსუბუქი განონასწორდება. სწორედ ასევე უნდა მიუდგე კანონს – საკითხები მხოლოდ ისე უნდა გადაწყვიტო, როგორც კანონშია ნათქვამი.“

⁸⁴ The Civil Law, S.P. Scott (trans.) (Cincinnati, Central Trust Co., 1932), Vol 1, 57-59, ციტირებულია: Weeramantry, An Invitation to the Law, 265-266.

⁸⁵ Basic Writings of Mo Tzu, and Han Fei Tzu, Burton Watson (trwsans.) (Columbia University Press, 1967), 35, ციტირებულია: Weeramantry, An Invitation to the Law, 253.

⁸⁶ იქვე, 253-254.

კანონი ისევე გამორიცხავს მაღალი მდგომარეობის მქონეთათვის გამონაკლისებს, როგორც თარაზო უსწორობებს. იმას, რასაც კანონი ბრძანებს, ვერ შეედავება ვერც ბრძენი, ვერც გამბედავი. დაე, დაისაჯოს დამნაშავე, თუნდაც ის მინისტრი იყოს. კარგის ჩამდენი, დაე, დაჯილდოვდეს, თუნდაც ის ულატაკესი იყოს გლებთა შორის. მაშასადამე, ზემდგომთა ხარვეზების გამოსასწორებლად, ქვემდგომთა შეცდომების დასასჯელად, წესრიგის აღსადგენად, უნესრიგობის გამოსავლენად, ავის აღმოსაფხვრელად და ყველასათვის საერთო სტანდარტების დასადგენად კანონს არაფერი შეედრება.“

აფრიკული სამართალი

ლიტერატურიდან ცნობილია⁸⁷, რომ აფრიკაში მრავალი სხვადასხვა ცივილიზაცია და სამართლის სისტემა არსებობდა, ამასთან, ზოგი მათგანის გაფურჩქვნის ხანა ძველი საბერძნეთისას თუ ძველი რომისას ემთხვევა, სხვებისა კი ევროპის შუა საუკუნეებს. სამართლებრივი კონცეფციების სიმრავლეში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონცეფცია, რომელიც კეთილგონიერ ქცევას ეხება.

„ბარცეს ტომის ხალხთან ჭკვიანი, სალად მოაზროვნე ადამიანის ქცევა ასე ხარისხდება: ზოგადად კეთილგონიერი და კეთილგონიერი კონკრეტულ თანამდებობაზე. თუ, მაგალითად, ვილაც ამტკიცებს, რომ ადამიანი, რომელსაც თემის საბჭოს წევრის თანამდებობა უჭირავს, ისე არ იქცევა, როგორც შეეფერება მისი თანამდებობის ავტორიტეტს, მოსამართლე შემდეგ კითხვას უსვამს თავის თავს – იქცეოდა თუ არა ეს ადამიანი ამ მდგომარეობაში ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო თემის საბჭოს კეთილგონიერი წევრი. თემს თავისი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ასეთი ადამიანი – ის მასთან საჩივრით მისულებს ღირსებით, მოთმინებითა და თავაზიანად ხვდება. საბჭოს წევრი, რომელიც, მასთან მისულს, დაჯდომას არ შესთავაზებს და არ მოისმენს მის ჩივილს, არ არის კეთილგონიერი. ასე რომ, მოსამართლეები გადანყვეტილების გამოტანისას იმ სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, რომლებიც თემში არსებობს. ეს მიდგომის მოქნილობას უზრუნველყოფს, ვინაიდან შესაძლებელია ძველი სტანდარტების თანამედროვე ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე გადახედვა. გონიერი, სალად მოაზროვნე ადამიანის კონცეპტი, რომელიც შედარებით მოგვიანებით დამკვიდრდა საერთო სამართალში, მას იმ მოქნილობას სძენს, რომელიც დიდი ხანია,

⁸⁷ Weeramantry, An Invitation to the Law, 35-36.

ახასიათებს აფრიკულ სამართალს. თუმცაღა გონივრულობის კონცეფცია ჯერ კიდევ სრულად არ დამკვიდრებულა საერთო სამართალში.

ებრაული სამართალი

ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი მოსე მაიმონიდის – გამოჩენილი ებრაელი სწავლულის (1135-1205 წ. ახ. წ.) – „მიშნე თორიდან“ (თორის განმარტება)⁸⁸:

1. უფალი სუფევს ნებისმიერ კომპეტენტურ იუდეურ სასამართლოში. ამიტომ მოსამართლეს სასამართლო სხდომისას ფოჩბიანი მანტია უნდა ემოსოს და შიშითა და კდემით, უკიდურესი სერიოზულობით იყოს გამსჭვალული. მას ეკრძალება ქარაფშუტობა, ხუმრობა და უქმი მეტყველება. მან მთელი გულისყური თორისა და სიბრძნის საკითხებს უნდა მიაპყროს.
2. სანქედრინი თუ მეფე, რომელიც მსაჯულად უღირს ადამიანს ნიშნავს (მორალური თვალსაზრისით,) ან იმას, ვინც არ იცის თორა ისე, როგორც მოსამართლეს მოეთხოვება, თუმცა სხვამხრივ შეიძლება, სასიამოვნო და აღფრთოვანების ღირსი თვისებებით შემკული ადამიანი იყოს, მცნებას არღვევს, რომელშიც ნათქვამია: შენს გადაწყვეტილებაში პატივისცემით არ უნდა იხელმძღვანელო. ტრადიცია გვასწავლის, რომ ეს მიმართვა ეკუთვნის მას, ვისაც მოსამართლის დანიშვნის უფლება აქვს.
თქვა რაბიმ: ნუ იტყვი, მავანი პირმშვენიერია, მას დავნიშნავ მოსამართლედ; მავანი მამაცია, მას დავნიშნავ მოსამართლედ; მავანი ჩემი მოკეთეა, მას დავნიშნავ მოსამართლედ; მავანმა ენები იცის, მას დავნიშნავ მოსამართლედ. თუ ასე მოიქცევი, ის დამნაშავეს გაამართლებს და უდანაშაულოს დასჯის, არა იმიტომ, რომ ბოროტია, არამედ იმიტომ, რომ ცოდნა არ აქვს.
3. აკრძალულია იმ მოსამართლის წინაშე ფეხზე წამოდგომა, რომელსაც საფასურის სანაცვლოდ აქვს თანამდებობა მიღებული. რაბი გვეუბნება: დაძრახე ის, რადგან მისი მანტია ვირის საპალნეს არაფრით აღემატება.“

ქრისტიანობა

ბიბლიაში, გამოსვლათა წიგნი (1.14), საუბარია იმაზე, თუ როგორ თითოთ საჩვენებელია გზააბნეული მოსამართლე:

„ვინ დაგაყენა ჩვენს მსაჯულად?“

⁸⁸ J. Twersky (ed.), A. Maimonides Reader (Berham House Inc., 1972), 193-194, ციტირებულია: Weeramanthy, An Invitation to the Law, 257-258.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (2.1) ნათქვამია:

„ამისთვის ვერ სიტყვის მიმგებელ ხარ, ჰოი კაცო, ყოველი, რომელიცა ჰსჯი, რამეთუ რომლითა ჰსჯი მოყვასსა, თავსა თვისსა დაისჯი, რამეთუ მასვე იქმ, რომელსაცა ჰსჯი.“

მთაზე ქადაგებაში ქრისტე ამბობს (მათეს სახარება, 7.12):

„ყოველი, რომელი გინდეს თქვენ, რაჟთა გიყონ თქუნ კაცთა, ეგრევე თქვენცა ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინასწარმეტყველნი.“

ლევიტელთა წიგნში (19.15), რომელშიც მოკლედაა გადმოცემული ძველი აღთქმის სწავლება სამართლიანი სამსჯავროს შესახებ, ნათქვამია:

„არა ჰქმნეთ ცრუ სარჩელსა შინა, არცა თუალ-ახუნე გლახაკსა, არცა თუალ-ახუნე პირსა ძლიერისასა სიმართლით განსაჯო მოყუასი შენი.“

მეორე სჯულის წიგნში (1.16) ნათქვამია:

„და ვამცენ მსაჯულთა თქუნთა მას ჟამსა და ისმინეთ შორის ძმათა და საჯეთ სიმართლით შორის კაცისა და ძმისა მიმართ თვისისა.“

ისლამური სამართალი

მუსლიმი იურისტები რამდენიმე დამახასიათებელ კრიტერიუმს გამოყოფენ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლე, რათა სწორად შეასრულოს თავისი პროფესიული მოვალეობები:⁸⁹

სრულწლოვანება: ადამიანი, რომელსაც სრულწლოვანებისთვის არ მიუღწევია, მოსამართლედ ვერ დაინიშნება. ადამიანს, რომელიც საკუთარ თავსა და მოქმედებებზე არ აგებს პასუხს, სხვათა ბედის გადაწყვეტას ვერ ანდობ. მოსამართლე არა მხოლოდ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი უნდა იყოს, არამედ ბრძენი. ამისთვის აუცილებელი არაა ხანდაზმულობა, თუმცა საპატიო ასაკი მათებს მას ღირსებასა და ავტორიტეტს.

სალი გონება: ადამიანი, რომლის გონებაც ავადმყოფობით ან მოხუცებულობითაა დაზიანებული, მოსამართლის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. მოსამართლის მოვალეობების შესასრულებლად ადამიანი სრულიად საღ გონებაზე უნდა იყოს, რათა იურიდიული პასუხისმგებლობა იტვირთოს თავისი მოქმედებებისათ-

⁸⁹ სასამართლო სისტემა ისლამში, პროექტი „აღმოაჩინე ისლამი“, <http://www.islamtoday.com/>

ვის. მას მაღალი ინტელექტი უნდა ჰქონდეს, და იცოდეს, რა არის საჭირო, რომ განასხვავოს ერთი მეორისაგან. ის ვერ მისცემს თავს უფლებას, იყოს დაბნეული, დაუდევარი და უგერგილო.

თავის უფლება: მოსამართლე სრულებით თავისუფალი უნდა იყოს.

პატიოსნება: მოსამართლე პირდაპირი და პატიოსანი უნდა იყოს, არ იყოს მიდრეკილი ცოდვის, გარყვნილებისა და აღვირახსნილობისაკენ, არ წავიდეს საექვო საქმეებზე, დაიცავს სოციალური ნორმები და კარგი, სწორი ქცევის მაგალითს იძლეოდეს, როგორც თეოლოგიის, ისე საერო საქმეებში.

დამოუკიდებელი იურიდიული აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის უნარი: მოსამართლეს უნდა შეეძლოს, მიმართოს კანონის პირველწყაროს და ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას სწორედ მას დაეყრდნოს, ასევე უნდა შეეძლოს იურიდიული ანალოგიების გავლება.

გრძნობის ორგანოთა სრული ფლობა: მოსამართლე ნორმალურად უნდა ხედავდეს, ესმოდეს და მეტყველებდეს, რადგან ყრუს არ ესმის სხვათა სიტყვები; ბრმა მოსამართლე მომჩივანს მოპასუხისაგან ვერ განასხვავებს, ვერც ერთი თუ მეორე მხარის დამცველებს, ვერც მოწმეებს; ხოლო მოსამართლე, რომელსაც მეტყველების უნარი არ აქვს, განაჩენს ვერ წაიკითხავს, რადგან მისი შესტების ენა გარშემომყოფთა უმრავლესობისათვის გაუგებარია.

იმისათვის, რომ მოსამართლის საქციელი მისაღები იყოს საზოგადოებისათვის და ეჭვი არ გაჩნდეს მისი პატიოსნებისა და მიუკერძოებლობის თაობაზე, მუსლიმმა იურისტებმა დაადგინეს, რომ:⁹⁰

1. მოსამართლეს ეკრძალება ბიზნესის წარმოება. თუ ამის უფლება მიეცემა, არ არის გამორიცხული, რომ მას არ გაუნევენ მომსახურებას და არ მისცემენ შეღავათებით სარგებლობის საშუალებას ისინი, ვინც, თავის მხრივ, მოსთხოვენ განსაკუთრებულ შეღავათებს – ახლა უკვე სასამართლო დარბაზში.
2. მოსამართლეს ეკრძალება საჩუქრების მიღება. ყველა სახისა და ფორმის გასაცემელი, ძღვენი, რომლებიც მოსამართლეს შეიძლება შესთავაზოს ნებისმიერმა მის დაქვემდებარებაში მყოფმა პირმა, განიხილება როგორც საჩუქარი.
3. მოსამართლეს ეკრძალება მონაწილეობა ნებისმიერ საზოგადოებისაგან საძრახის საქმიანობაში. მან თავი უნდა შეიკავოს ზედმეტად აქტიური კავშირებისაგან სხვა პირებთან, რაც დაიცავს მათი ზეგავლენისაგან და არ მის-

⁹⁰ იქვე.

ცემს ამ პირებს საშუალებას, ჩრდილი მიაყენონ მის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას. და პირიქით, მან თავი არ უნდა აარიდოს იმ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობას, რომლებსაც მისი დასწრება წონასა და სოლიდურობას შემატებს. მან არ უნდა იხუმროს საჯაროდ, არ უნდა აცინოს გარშემო მყოფნი და, როცა სიტყვით გამოდის, ნათლად, მოზომილად, გამართულად, უშეცდომოდ და შეუფერხებლად უნდა იმეტყველოს. ამასთან, ქედმაღალი და დამცინავი არ უნდა იყოს.

4. სასამართლო სხდომების დარბაზი ის ადგილია, სადაც სერიოზულობის, გონივრულობის, თავშეკავებისა და პატივისცემის ატმოსფერო სუფევს. აქ ზედმეტი ფუჭი, განგებ განელილი საუბარი და ცუდი მანერები, რაც თანაბრად ეხება მოდავე მხარეებს, მოწმეებსა და სასამართლო სხდომაზე დამსწრე სხვა პირებს. მოსამართლეს, როდესაც ის სასამართლო დარბაზში შედის და თავის ადგილს იკავებს, სოლიდური იერი უნდა ჰქონდეს, ის მზად უნდა იყოს, მოისმინოს ყველა მისთვის წარმოდგენილი საქმე, განიხილოს ყველა მონაცემი, სამხილი და მათთან დაკავშირებული მოწმეთა ჩვენებები. მოსამართლე არ უნდა იყოს აღელვებული, არც განრისხებული და არც მეტისმეტად გახარებული. მას არ უნდა აწუხებდეს არც წყურვილის, არც ძლიერი დაღლილობის გრძნობა, არც ტუალეტში გასვლის საჭიროება, რადგან ყველაფერ ამას შეუძლია, ყურადღება გაუფანტოს და ხელი შეუშალოს მოდავეთა ჩვენებების სათანადოდ განხილვაში.
5. მოსამართლემ ყურადღება არ უნდა მოაღუნოს და სხვა საგანზე არ უნდა გადაიტანოს. მან რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკოს, შემოიფარგლოს მხოლოდ კითხვა-პასუხით, რომლებიც საქმეს შეეხება და ხმა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიმადლოს, როცა დამსწრეთა არაჯეროვანი ქცევის აღკვეთაა საჭირო. სახეზე მას მუდმივად სერიოზული, განონასწორებული, მაგრამ არა პირქუში, გამომეტყველება უნდა ჰქონდეს. ის უნდა იჯდეს საზეიმო და მშვიდი იერით, არ იხუმროს და არ ისაუბროს საგნებზე, რომლებიც საქმესთან არაა დაკავშირებული.
6. მოსამართლე ისე უნდა წარდგეს დამსწრეთა წინაშე, რომ პატივისცემის გრძნობა გამოიწვიოს და მის სამოსსა და სისუფთავესაც არცთუ უმნიშვნელო როლი აქვს.
7. მოსამართლე თანაბრად პირუთენელი უნდა იყოს ყველა მოდავის მიმართ, იქნება ეს მამა შვილის წინააღმდეგ, თვით ხალიფა თავისი ქვეშევრდომის წინააღმდეგ, თუ მართლმორწმუნე მუსლიმი ურწმუნოს წინააღმდეგ. ეს უნდა გამოიხატებოდეს თანაბარ მოპყრობაში, სახელდობრ: ის არ უნდა უღიმოდეს ერთ მხარეს და არ უბღვერდეს მეორეს, არ უსმენდეს უფრო ყურადღებით ერთს და ნაკლები ყურადღებით მეორეს. თუ მოსამართლემ მოდავე ორივე მხარის ენა იცის, მან არ უნდა მიმართოს ერთ მხარეს მეორე მხარისათვის გაუგებარ ენაზე.

8. მოსამართლე მხოლოდ იმ ჩვენებებს ეყრდნობა, რომლებიც სასამართლოს მიერ იურიდიულად ასეთებადაა აღიარებული, და არ აქვს უფლება, გადაწყვეტილება საკუთარი ცოდნიდან გამომდინარე გამოიტანოს.
9. მოსამართლემ გაჭიანურების გარეშე უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილებები, რადგან მისი მისია, პირველ რიგში, დავის გადაჭრა და კონფლიქტის მოგვარებაა, ვინაიდან, რაც უფრო სწრაფად იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება, მით უფრო მალე მიიღებენ ადამიანები იმას, რაც წესით ეკუთვნით.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის იმიჯის შესანარჩუნებლად ისლამური კანონი უკრძალავს პოლიტიკურ ხელისუფლებას სამართლიანი მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენებას, თუ ამას საზოგადოების ინტერესები არ მოითხოვს. მოსამართლის გადაყენების მიზეზი შეიძლება იყოს მისით უკმაყოფილო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნა ან ამ თანამდებობისათვის შესაფერისი გაცილებით უფრო მაღალკვალიფიციური მოსამართლის არსებობა. ამ მიზეზების გარეშე მოსამართლის გადაყენება აკრძალულია.⁹¹

მოსამართლე მთლიანად თავისი მოვალეობების შესრულებით უნდა იყოს დაკავებული. მას ეკრძალება კომერციული საქმიანობა და ევალება ადამიანებთან ურთიერთობისას ეტიკეტისა და წესიერების უმკაცრეს მოთხოვნათა ზედმინევნით შესრულება. ამიტომ მას ხაზინიდან ისეთი ფულადი ანაზღაურება უნდა ეძლეოდეს, რომელიც საჭიროა მისი მდგომარეობის შესაბამისი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად, რათა იძულებული არ გახდეს, შემოსავლის გასაზრდელად მისი მაღალი თანამდებობისათვის შეუფერებელი ხერხები ეძებოს.⁹²

სასამართლო მოსმენები ღია უნდა იყოს. მაგრამ, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ მხარეთა ინტერესების დასაცავად აუცილებელია, დაატოვებინოს დარბაზი საზოგადოებას, მას შეუძლია, გასცეს შესაბამისი განკარგულება და დარბაზში მხოლოდ ოფიციალური პირები და მოდავე მხარეები დატოვოს. ეს დასაშვებია იმ საქმეების განხილვისას, რომლებიც ეთიკური მიზეზებით უმჯობესია, საიდუმლოდ დარჩეს, მაგალითად, როცა საქმე ეხება ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობებს და ერთ-ერთის უღირს ქცევას; მოსამართლეს შეუძლია, ხალხს დაატოვებინოს დარბაზი ასევე იმ შემთხვევაში, თუ განხილვისას შექმნილმა უხერხულმა სიტუაციამ შეიძლება დარბაზში სიცილი გამოიწვიოს.⁹³

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

ყურანის კანონებით, მართლმსაჯულება არ განასხვავებს ადამიანებს რასის, დაკავებული თანამდებობისა და მდგომარეობის, კანის ფერის, ეროვნებისა თუ აღმსარებლობის მოხედვით. ყველა ადამიანი ღვთის მონაა და თანაბარ მოპყრობას იმსახურებს სასამართლოში, ვინაიდან ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის მოქმედებებზე.⁹⁴ გამოჩენილი იურისტის, აბუ ბაქარ ახმად იბნ ალ შეიბან ალ-ჰასაფის წიგნი („მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა“) მოსამართლეებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა მართლმსაჯულების იმ კანონის საფუძველზე აღსასრულებლად, რომელიც წინასწარმეტყველ მუჰამედისაგან მოდის. სხვებთან ერთად ამ სახელმძღვანელოში მოცემულია შემდეგი დებულებები:⁹⁵

უფლების მიმცემი წესები

1. მოსამართლე ძლიერი პიროვნება უნდა იყოს, ჰქონდეს ცოდნა და იჩენდეს მოთმინებას სასამართლო დარბაზში.
2. მან უნდა უზრუნველყოს ყოველი ადამიანისათვის სასამართლოს შეუფერხებლად ხელმისაწვდომობა.
3. ის ვალდებულია, გააუქმოს სასამართლოს წინა გადანყვეტილება, თუ მისთვის აშკარა გახდება ამ გადანყვეტილების სიმცდარე.
4. ის ვალდებულია, იცოდეს იმ ხალხის ადათ-წესები და ტრადიციები, რომლის მოსამართლედაც არის დანიშნული.
5. ის ვალდებულია, ყურადღებით ადევნოს თვალი სასამართლოს მოხელეთა ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფას.
6. ის ვალდებულია, ჰქონდეს ნაცნობობა და ურთიერთობა ქალაქში მცხოვრებ სხვა მოსამართლეებსა და ღვთისმომშიმ, სანდო ადამიანებთან.
7. მას შეუძლია, დაესწროს დაკრძალვებს და მოინახულოს ავადმყოფები იმ პირობით, რომ არ ისაუბრებს იქ მოდავე მხარეებსა და მათ საქმეებზე.
8. მას შეუძლია, დაესწროს ჩვეულებრივ სადღესასწაულო წვეულებებსა და მიღებებს. აღშარახსის თანახმად, „თუ საზეიმო სუფრა ან ოფიციალური მიღება მოსამართლის მიწვევას არ გულისხმობს, ის ჩვეულებრივად ითვლება. მაგრამ თუ მოსამართლის მასზე დასწრება აუცილებელი და გარდაუვალია, ის გადადის განსაკუთრებით საზეიმო წვეულებების კატეგორიაში, რომლებიც საგანგებოდ მოსამართლეებისათვის ეწყობა“.

⁹⁴ Muhammad Ibrahim H.I. Surty, “The Ethical Code And Organized Procedure of Early Islamis Law Courts, with Reference to al-Khassafs Adab al-Qadi”, in Muhmmad Abdel Halem, Adel Omar Sherif and Kate Daniels (eds), Criminal Justice in Islam (London and New York, LB. Tauris & Co Ltd., 2003), 149-166 და 151-153.

⁹⁵ იქვე, გვ.163.

ამკრძალავი წესები

1. მოსამართლემ არ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება მრისხანების ან ძლიერი ემოციური დაძაბულობის ზემოქმედებით, რადგან ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს სალი აზროვნებისა და ანონ-დანონილი გადაწყვეტილების გამოტანის უნარზე.
2. მან არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მთვლემარემ, ან გადაღლილმა დადებითი თუ უარყოფითი განცდებით.
3. მან არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როცა მშვიდია, ან მეტისმეტად მაძლარია.
4. მან არ უნდა აიღოს არანაირი ქრთამი.
5. მან არ უნდა დასცინოს მოდავეებს, არც აბუჩად აიგდოს ისინი.
6. გადაწყვეტილების გამოტანის დროს თავი არ უნდა დაისუსტოს არასავალდებულო მარხვებით.
7. მან არ უნდა უკარნახოს დაზარალებულს, არ უნდა შესთავაზოს პასუხები, არ უნდა მიუთითოს რომელიმე მხარეზე.
8. მან არ უნდა მისცეს მოდავეებს უფლება, სახლში მიაკითხონ, თუმცა მათ, ვინც საქმის განხილვასთან არ არის დაკავშირებული, შეუძლიათ, ინახულონ ის პატივისცემის ნიშნად ან სხვა მიზეზით.
9. მან არ უნდა მიიღოს თავის სახლში მოდავე მხარეები ცალ-ცალკე, მაგრამ ერთად შეუძლია.
10. ის არ უნდა ჯიუტობდეს, თუ საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია და უნდა მიმართოს დახმარებისთვის მას, ვისაც საჭირო ცოდნა აქვს.
11. ის არ უნდა ისწრაფოდეს სიმდიდრისაკენ და არ უნდა იყოს ვნებებს აყოლილი.
12. მას არავის შიში არ უნდა ჰქონდეს.
13. მას თანამდებობიდან გათავისუფლების არ უნდა ეშინოდეს და არ უნდა აქებდეს და არ აძაგებდეს ვინმეს ამის გამო.
14. მან არ უნდა მიიღოს საჩუქრები არავისგან, გარდა თავისი ნათესავებისა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ისინი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგინდნ. მას ასევე შეუძლია, განაგრძოს საჩუქრების მიღება მათგან, ვისგანაც იღებდა მოსამართლედ დანიშვნამდე, მაგრამ თუ მას შემდეგ, რაც ის მოსამართლედ დაინიშნა, საჩუქრები უფრო ძვირადღირებული გახდა, მან უნდა შეწყვიტოს მათი მიღება.
15. მან არ უნდა გადაუხვიოს ჭეშმარიტებას ვისიმე განრისხების შიშით და არ უნდა იაროს ქუჩებში მარტომ, თანმხლების გარეშე. ასე ის თავის ღირსებას იცავს და არ აძლევს მხარეებს საშუალებას, მიუახლოვდნენ მას.
16. მან ყურადღება არ უნდა მიაქციოს მოდავეთა ემოციებს.

რჩეული ბიბლიოგრაფია

წიგნები და მონოგრაფიები

Amerasinghe, A.R.B., Judicial Conduct Ethics and Responsibilities, Colombo, Sri Lanka, 2002.

Shaman, Jeffrey, Lubet, Steven and Alfini, James, Judicial Conduct and Ethics, 3rd ed., Virginia, U.S.A. 2000.

Thomas, J.B., Judicial Ethics in Australia, 1988.

Wood, David, Judicial Ethics: A discussion Paper, Victoria, Australia, 1996.

სტანდარტები და ანგარიშები

American Bar Association, Model Code of Judicial Conduct, preliminary draft, 2005.

Arab Centre for the Independence of the Judiciary and the Legal Profession, Beirut Declaration for Justice, 1999.

Australian Bar Association, Charter of Judicial Independence, 2004.

Australian Institute of Judicial Administration Incorporated, Guide to Judicial Conduct, 2002.

Canadian Judicial Council, Commentaries on Judicial Conduct, Quebec, 1991.

Canadian Judicial Council, Ethical Principles for Judges, 1998.

Canadian Judicial Council, Model Policy on Equality within the Court, 1998.

Consultative Council of European Judges:

Opinion No.9 PROV (2006): The Role of National Judges in Ensuring an Effective Application of International and European Law;

Opinion No.7 (2005): Justice and Society; Opinion No.6 (2004): Fair Trial within a Reasonable Time;

Opinion No.4 (2003): Appropriate Initial and In-Service Training for Judges at National and European Levels;

Opinion No.3 (2002): Principles and Rules governing Judges' Professional Conduct, in particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality;

Opinion No.2 (2001): Funding and Management of Courts with reference to the Efficiency of the Judiciary and to Article 6 of the European Convention on Human Rights;

Opinion No.1 (2001): Standards concerning the Independence of the Judiciary and the Irremovability of Judges.

Hong Kong Special Administrative Region of China, Guide to Judicial Conduct, 2004.

IFES, Global Best Practices: Judicial Integrity Standards and Consensus Principles, 2004.

International Association of Judges, The Universal Charter of the Judge, 1999.

International Centre for Ethics, Justice and Public Life, Toward the Development of Ethics Guidelines for International Courts, Report of a Workshop held at the Brandeis Institute for International Judges Salzburg, Austria, 2003.

International Commission of Justices, International Principles on the Independence and Accountability of Judges, Lawyers and Prosecutors, Geneva, 2004.

Judicial Ethics in South Africa, issued by the Chief Justice, President of the Constitutional Court, Presidents of the High Courts and the Labour Appeal Court, and the president of the Land Claims Court, 2000.

Madrid Principles on the Relationship between the Media and Judicial Independence, 1994.

Suva Statement of Principles on Judicial Independence and Access to Justice, 2004.

სასამართლო ეთიკის საკითხებში საკონსულტაციო კომიტეტების დასკვნები

The United States Judicial Conference

Alabama Judicial Iniquity Commission

Alaska Commission on Judicial Conduct

Arizona Judicial Ethics Advisory Committee

Arkansas Judicial

Colorado Judicial Ethics Board

Delaware

Florida Judicial Ethics Advisory

Georgia Judicial Qualifications Commission

Illinois Committee

Indiana Commission on Judicial Qualifications

Kansas Ethics Advisory Committee

Ethics Committee of the Kentucky Judiciary

Maryland Judicial Ethics Committee

Massachusetts Supreme Judicial Court

Nebraska Ethics Advisory Committee

Nevada Standing Committee of Judicial Ethics

New Hampshire Advisory Committee on Judicial Ethics
New Mexico Advisory Committee on the Code of Judicial jnduct
New York Advisory Committee on Judicial Ethics
Oklahoma Judicial Ethics Advisory Panels
Pennsylvania Conference of State Trial Judges Judicial Ethics Committee
South Carolina Advisory Committee on Standards of judicial Conduct
Tennessee Judicial Ethics Committee
Texas Committee of Judicial Ethics
Utah Judicial Ethics Advisory Committee
Vermont Judicial Ethics Committee
Virginia Judicial Ethics Advisory Committee
Washington Ethics Advisory Committee
West Virginia Judicial Investigation Comission
Wisconsin Supreme Court Judicial Conduct Advisory Committee

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანად ამოქმედების ზომები

(პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებები)

მიღებულია სასამართლოს პატიოსნებისა განმტკიცების საკითხებზე

მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ

ქ. ლუსაკა, ზამბია

2010 წლის 21-22 იანვარი

შინაარსი

შესავალი	219
ნაწილი I. სასამართლოს ვალდებულებები	223
1. მოსამართლეთა ქცევის პრინციპების შესახებ განცხადების შემუშავება	223
2. „მოსამართლეთა ქცევის პრინციპების“ გამოყენება და დაცვის უზრუნველყოფა.	223
3. საქმეთა განაწილება.	225
4. სასამართლოების მართვა	225
5. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა	226
6. გამჭვირვალობა სასამართლო ფუნქციების აღსრულებისას	227
7. მოსამართლეთა პროფესიული მომზადება	229
8. საკონსულტაციო დასკვნები	230
9. მოსამართლის იმუნიტეტი.	230
ნაწილი II. სახელმწიფოს ვალდებულებები	232
10. სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიები	232
11. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია	233
12. მოსამართლეების დანიშვნა	233
13. მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადა	235
14. ფულადი ანაზღაურება მოსამართლეებისათვის	236
15. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა.	236
16. მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება.	237
17. სასამართლოს ბიუჯეტი.	238
ტერმინები	239

შესავალი

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებში“ განსაზღვრულია ექვსი ძირითადი ღირებულება, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სასამართლო ორგანოებმა, ესენია: დამოუკიდებლობა; ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; პატიოსნება; ეთიკური ნორმების დაცვა; თანასწორობა; კომპეტენტურობა და გულმოდგინება. მათ ხელი უნდა შეუწყონ მოსამართლეებისათვის პროფესიული ეთიკის სტანდარტების შექმნას. ბანგალორის პრინციპები შემუშავებულია როგორც სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის მათი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას და გარკვეული ფარგლები სასამართლოსათვის მოსამართლეების ქცევის რეგულირებისათვის. გარდა ამისა, ისინი მოწოდებულია, დეხმაროს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს, ისევე როგორც ადვოკატებსა და ფართო საზოგადოებას, უკეთ გაიგონ სასამართლო სისტემის როლი, და შესთავაზონ საზოგადოებას სტანდარტი, რომლითაც უნდა განისაზღვროს და შეფასდეს სასამართლოს საქმიანობა. „ბანგალორის პრინციპების“ კომენტარებმა ხელი უნდა შეუწყოს ამ პრინციპების უფრო ზუსტ და ღრმა გაგებას.

„ბანგალორის პრინციპების“ „ამოქმედების“ ნაწილში ნათქვამია:

„სამოსამართლო თანამდებობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოსათვის აუცილებელია ეფექტიანი ზომების მიღება აღნიშნული პრინციპების ამოქმედების მექანიზმების შესაქმნელად, თუ ასეთი მექანიზმები ჯერ არ არსებობს ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში.“

ზოგიერთი იურისდიქციის ფარგლებში შესაბამისი მექანიზმები და პროცედურები უკვე არსებობს; ისინი კანონმდებლობის დებულებების ან სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით იქნა შემოღებული მოსამართლეთა ქცევის ეთიკის სტანდარტების დასადგენად. სხვა ქვეყნებში ასეთი მექანიზმები ჯერ არ არის შექმნილი. შესაბამისად, წინამდებარე ღონისძიებების კომპლექსი სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია როგორც სახელმძღვანელო მითითებები და ორიენტირები „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ეფექტიანი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ეს დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში აღწერილია ღონისძიებები, რომლებიც სასამართლო ორგანოებმა უნდა გაატარონ; მეორე ნაწილში განხილულია ინსტიტუციური ნორმები, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ემსახურება და მხოლოდ სახელმწიფოს

კომპეტენციას განეკუთვნება. თუმცა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მოსამართლეთა პროფესიული მრწამსითა და ღირებულებითი ორიენტირების სისტემით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციური წესრიგი, მოწყობა, რომელიც მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა მუშაკებს მათი ღირებულებითი შეხედულებების მიხედვით მოქმედების საშუალებას მისცემს. მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის პოლიტიკური გავლენისა თუ ჩარევისაგან მხოლოდ მოსამართლეების ძალებით დაცვა შეუძლებელია. მოსამართლეს ეკრძალება არასათანადო კავშირი აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მაგრამ სწორედ სახელმწიფოა ვალდებული, ინსტიტუციურად უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების სისტემის დამოუკიდებლობა ხელისუფლების ორი დანარჩენი შტოსაგან.⁹⁶

ამ განცხადების მომზადებისას „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ ამოქმედების ღონისძიებების თაობაზე გათვალისწინებულ იქნა მრავალი ეროვნული კონსტიტუციის დებულებები, ასევე შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ინიციატივები, რამაც უნდა ასახოს ეროვნული და საერთაშორისო კონსენსუსი განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. გამოყენებულ მასალათა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების პროექტი („სირაკუზის პრინციპები“), მომზადებული ექსპერტთა წარმომადგენლობითი კომიტეტის მიერ 1981 წელს;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მინიმალური სტანდარტები, მიღებული იურისტების საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1982 წელს;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე, მიღებული 1985 წელს;

⁹⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის ზოგად კომენტარებში, №32 (2007), აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის შესახებ მოთხოვნა, რომელიც მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 (1) მუხლში, ეხება, კერძოდ, მოსამართლეების დანიშვნის პროცედურასა და საამისოდ აუცილებელ კვალიფიკაციას, ასევე მოსამართლეების დადგენილ საპენსიო ასაკამდე ან ფიქსირებული ვადის ამონურვამდე (სადაც ეს გათვალისწინებულია) თანამდებობაზე ყოფნის გარანტიებს, მათი დანიშნულების, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, უფლებამოსილებების შეჩერების ან შეწყვეტის პირობებს, ასევე ხელისუფლების აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო შტოების მხრიდან პოლიტიკური ჩარევისაგან რეალურ დამოუკიდებლობას. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაიცავს მოსამართლეებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პოლიტიკური გავლენის ნებისმიერი ფორმებისაგან კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე, ან ისეთი კანონების მიღებით, რომლებშიც მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, ფულადი ჯილდოების გადაცემის, თანამდებობაზე ყოფნის ვადის, დანიშნულების, უფლებამოსილების შეჩერების ან გადაყენების, ასევე მათ მიმართ დისციპლინური სანქციების გამოყენების ზუსტი პროცედურები და ობიექტური კრიტერიუმები იქნება განსაზღვრული.

- მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საყოველთაო დეკლარაციის პროექტი („სინგხვის დეკლარაცია“);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NR (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანი მუშაობისა და მათი როლის შესახებ, მიღებული 1994 წელს;
- პეკინის განცხადება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპების შესახებ, მიღებული აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების მთავარი მოსამართლეების კონფერენციის მიერ 1995 წელს;
- მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია, მიღებული 1998 წელს;
- მოსამართლეთა შესახებ საყოველთაო ქარტია, მიღებული მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1999 წელს;
- ერთა თანამეგობრობის სახელმძღვანელო პრინციპები პარლამენტის უზენაესობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, დამტკიცებული ლეიტიმერ-ჰაუსში 2001 წელს;
- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები:
 - o დასკვნა №1 (2001): სასამართლოს დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის შესახებ;
 - o დასკვნა №2 (2001): მოსამართლეთა დაფინანსებისა და მართვის შესახებ სასამართლოს ეფექტიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესრულების უზრუნველსაყოფად;
 - o დასკვნა №3 (2002): მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკური ნორმების, თანამდებობასთან შეუთავსებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ;
 - o დასკვნა №10 (2010): სასამართლოს საბჭოს შესახებ;
- ბლანტირის კომუნიკე სამართლის უზენაესობის, ხელისუფლების დაყოფის შესახებ, გამოცემული ხელისუფლების სამი შტოს წარმომადგენლების მიერ სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოების (SADC) მიერ 2003 წელს;
- კაიროს დეკლარაცია, მიღებული სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ მართლმსაჯულების საკითხებში მეორე არაბული კონფერენციის მონაწილეთა მიერ 2003 წელს;
- სუეის განცხადება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ, მიღებული მოსამართლეთა კოლოკვიუმის მიერ 2004 წელს;

- „მართლმსაჯულებას დიდი მნიშვნელობა აქვს“ – ირლანდიის სამოქალაქო თავისუფლებათა საბჭოს მოხსენება ირლანდიაში მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის შესახებ, 2007 წელი;
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი, 32 (2007), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მნიშვნელობის თაობაზე;
- ვენეციის კომისიის მოხსენება მოსამართლეთა დანიშვნის საკითხზე, 2007 წელი;
- გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს გზამკვლევის პროექტი მოსამართლეთა პატიოსნების განმტკიცების საკითხებში, 2009 წლის ოქტომბერი.

ნაწილი I

სასამართლოს ვალდებულებები

1. მოსამართლეთა ქცევის პრინციპების შესახებ განცხადების შემუშავება

- 1.1 სასამართლო ორგანოებმა „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების“ გათვალისწინებით, უნდა შეიმუშაონ მოსამართლეთა ქცევის პრინციპებისა და ნორმების შესახებ განცხადება.
- 1.2 სასამართლო ორგანოებმა მოსამართლეთა შორის და საზოგადოებაში უნდა გაავრცელონ მოსამართლეთა ქცევის პრინციპების შესახებ ეს განცხადება.
- 1.3 სასამართლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოსამართლეთა ქცევის ეთიკა, რომელიც ითვალისწინებს ამ განცხადებაში წარმოდგენილ მოსამართლეთა ქცევის პრინციპებს, აუცილებელი ელემენტის სახით იქნეს ჩართული მოსამართლეთა საწყისი მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში.

2. „მოსამართლეთა ქცევის პრინციპების“ გამოყენება და დაცვის უზრუნველყოფა

- 2.1 სასამართლო ორგანოებმა უნდა განიხილონ მოსამართლეთა ქცევის ეთიკის საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესაძლებლობა მოქმედი და/ან გადამდგარი მოსამართლეების შემადგენლობით, რომელიც კონსულტაციებს გაუწევს მოსამართლეებს სავარაუდო ან სამომავლოდ შემოთავაზებული მოქმედებების ხასიათისა და ქცევის მართლზომიერებასთან დაკავშირებით⁹⁷.

⁹⁷ ბევრი იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ასეთი კომიტეტებია შექმნილი, მოსამართლეს შეუძლია, თავისი ქცევის მართლზომიერების თაობაზე საკონსულტაციო დასკვნა მოითხოვოს. კომიტეტს შეუძლია, ასევე თავისი ინიციატივით მიიღოს დასკვნები იმ საკითხებზე, რომლებიც სასამართლოს ინტერესს იწვევს. დასკვნებში განიხილება მოსამართლის სავარაუდო ან მისთვის შეთავაზებული ქცევა მომავალში და არა მისი წარსული ან ამჟამინდელი მოქმედებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ქცევა სამომავლო ქმედებებს უკავშირდება, ან ხანგრძლივი ხასიათისაა. ოფიციალურ დასკვნებში სახელდება ფაქტები, რომლებზეც არის დამყარებული დასკვნა, ასევე რეკომენდაციები, რომლებიც მხოლოდ ამ ფაქტებს ეხება. საკონსულტაციო დასკვნებში მოცემულია წესები, კონკრეტული საქმეები, ასევე ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომლებსაც შეხება აქვთ ამ დასკვნასთან და მითითებულია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მოქმედების წესი. საკონსულტაციო დასკვნის დედანი ეგზავნება იმ პირს, რომელმაც მოითხოვა ეს დასკვნა, ხოლო შემოკლებული ვარიანტი, რომელშიც გამოტოვებულია სახელები, სასამართლოს სახელწოდება, მისამართი და სხვა ინფორმაცია, რომლითაც იმ პირის ვინაობის დადგენა შეიძლება, რომელმაც საკონსულტაციო დასკვნა მოითხოვა, იგზავნება სასამართლო ორგანოებში, იურისტთა ასოციაციებსა და იურიდიული სკოლებისა თუ ფაკულტეტების ბიბლიოთეკებში. ყველა დასკვნა საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და არ არის იურიდიულად სავალდებულო, თუმცა საკონსულტაციო დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების დაცვა შეიძლება განიხილებოდეს როგორც მოსამართლის თავისი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დასტური.

2.2 სასამართლო ორგანოებმა უნდა განიხილონ ნდობით აღჭურვილი მოსამართლეთა ქცევის ეთიკის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის შესაძლებლობა, რომელიც მიიღებს, შეისწავლის, განიხილავს და გადაწყვეტილებებს მიიღებს მოსამართლეთა პროფესიული ეთიკისათვის შეუფერებელ ქცევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე, იქ, სადაც ამგვარი საჩივრით სასამართლოსათვის მიმართვა კანონით არ არის გათვალისწინებული. კომისიის შემადგენლობის უმეტეს ნაწილს შეიძლება მოსამართლეები წარმოადგენდნენ, მაგრამ სასურველია მასში სამუშაოდ საზოგადოების იმ წევრების საკმარის რიცხვის მოზიდვაც, რომლებსაც მოსამართლის პროფესიასთან შეხება არ აქვთ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიისადმი საზოგადოების ნდობა. კომისიის მოვალეობა იქნება მოსარჩელებისა და მონმეების უფლებათა კანონის შესაბამისად დაცვა, ასევე ის, რომ განხორციელდეს სათანადო სამართლებრივი პროცედურა იმ მოსამართლის მიმართ, რომლის ქცევაც გახდა საჩივრის შეტანის საფუძველი; ამასთან, წინასწარი გამოკვლევის სტადიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცედურის კონფიდენციალურობა, თუ ამას მოსამართლე ითხოვს. იმისათვის, რომ ანალოგიური პრივილეგია ჰქონდეთ მონმეებსა და სხვა პირებსაც, შეიძლება საჭირო გახდეს კომისიის მიერ განსახორციელებელ წარმოებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო დონეზე აბსოლუტური ან ე.წ. კვალიფიციური პრივილეგიის გათვალისწინება. კომისიას უნდა შეეძლოს, განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები გადასცეს მოსამართლეთა საქმიანობის დისციპლინური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.⁹⁸

⁹⁸ ბევრი იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ასეთი კომიტეტებია შექმნილი, სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებული საჩივრები არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჩივარი ეხება საქმის განხილვის გაუმართლებელ დაყოვნებას. საჩივარი წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი და ხელმოწერილი. მასში დასახელებული უნდა იყოს მოსამართლე, მის მიერ თითქოსდა ჩადენილი ის ქმედება, რომელიც არ შეესაბამება პროფესიული ეთიკის ნორმებს და მონმეთა სახელები, ასევე საჩივრის წარმდგენი პირის სახელი და ტელეფონის ნომერი. მოსამართლეს საჩივრის შესახებ არ ეცნობება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომიტეტი ჩათვლის, რომ დარღვევა შეიძლება მართლაც იყო. საჩივრის წარმდგენის პიროვნების შესახებ მოსამართლეს არ ეცნობება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჩივრის წარმდგენი პირი თანახმაა. მაგრამ შეიძლება წარმოიშვას იმის აუცილებლობა, რომ საჩივრის წარმდგენმა მონმის სახით მისცეს ჩვენებები, თუ საჩივარი სასამართლო წესით იქნება განხილული. ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც კომიტეტი განიხილავს, კონფიდენციალურია. თუ კომიტეტი დაასკვნის, რომ ეთიკის ნორმები შესაძლოა დაირღვა, ის, როგორც წესი, არაფორმალურად განიხილავს ამ საკითხს მოსამართლესთან. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტს მოსამართლის მიმართ ოფიციალური ბრალდება გამოაქვს, მას შეუძლია, ჩაატაროს მოსმენა და თუ კომიტეტი დაასკვნის, რომ ბრალდება საფუძვლიანია, მას შეუძლია, პირადი საყვედური გამოუცხადოს მოსამართლეს ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასზე ზედამხედველობა დაანსოს, ამ უკანასკნელის მიერ გარკვეული პირობების დაცვით. ბრალდებები, რომლებიც, კომისიის აზრით, საკმაოდ სერიოზულია და მოითხოვს, რომ მოსამართლე

3. საქმეთა განაწილება

- 3.1 მოსამართლის დანიშვნა საქმის განმხილველად სასამართლო ხელისუფლების განხორციელების პროცედურის განუყოფელი ნაწილია.
- 3.2 სასამართლოში მოსამართლეთა შორის სამუშაოს, ასევე საქმეთა განაწილება წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით უნდა განხორციელდეს, რომელიც კანონითაა დადგენილი ან შეთანხმებულია ამ სასამართლოს ყველა მოსამართლესთან. ასეთი წესი შეიძლება შეიცვალოს მკაცრად განსაზღვრულ ვითარებაში, როცა, მაგალითად, არსებობს კონკრეტული მოსამართლის ამა თუ იმ საკითხში განსაკუთრებული გამოცდილების ან ცოდნის გათვალისწინების აუცილებლობა. განაწილება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, ავტომატურად, ანბანის ან ქრონოლოგიის მიხედვით დაჯგუფების გზით, ან თავისუფალი შერჩევის რაიმე სხვა პროცედურის გამოყენებით.
- 3.3 არ შეიძლება მოსამართლისაგან საქმის ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გამოთხოვა. გამოთხოვის საფუძვლები და პროცედურები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით ან სასამართლოს რეგლამენტით.

4. სასამართლოების მართვა

- 4.1 სასამართლოს მართვაზე, მათ შორის სასამართლოს მუშაკების დანიშვნაზე, ზედამხედველობასა და დისციპლინურ კონტროლზე პასუხისმგებელი თავად მოსამართლეთა საზოგადოება ან მის დაქვემდებარებაში და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანო უნდა იყოს.
- 4.2 სასამართლო ორგანოებმა სასამართლოს პატიოსნების განმტკიცების საკითხებზე მომუშავე მოსამართლეთა ჯგუფის მიერ მიღებული „სასამართლოთა თანამშრომლების ქცევის პრინციპების“ გათვალისწინებით უნდა მიიღონ სასამართლოს თანამშრომელთა ქცევის პრინციპები და უზრუნველყონ მათი დაცვა.
- 4.3 სასამართლო ორგანოები უნდა ესწრაფოდნენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მართლმსაჯულების აღსრულებისას გამჭვირვალობის, პატიოსნებისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- 4.4 მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული ფუნქციის შესრულებისას სასამართლო ორგანოები სასამართლო საქმეების შემომტანების, სასამართლოთა მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის, მათთან საერთო მსჯელობების გზით და სხვა საშუალებებით უნდა აანალიზებდნენ, რამდენად აკმაყოფილებს საზოგადოებას

პენსიაზე გავიდეს, საზოგადოების მიერ იქნეს გაკიცხული ან თანამდებობიდან გადაყენებული, გადაეცემა ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური კონტროლის განხორციელებაზე.

მართლმსაჯულების აღსრულების დონე და გამოავლენდნენ სამართალწარმოების პროცესში სისტემურ დარღვევებს მათ გამოსასწორებლად.

- 4.5 სასამართლო ორგანოებმა მუდმივი რეაგირება უნდა მოახდინონ სასამართლოს მომხმარებელთა საჩივრებზე და გამოაქვეყნონ ყოველთვიური ანგარიშები საკუთარი საქმიანობის შესახებ, რომლებშიც, გარდა სხვა ინფორმაციისა, წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია წამოჭრილი პრობლემებისა და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზეა მიმართული.

5. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

- 5.1 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სამართლის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. სასამართლო ორგანოებმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის პროცედურები.
- 5.2 თუ არ არსებობს საკმარისი შესაძლებლობები უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად, სასამართლო ორგანოებმა, ვინაიდან კერძო ადვოკატების მომსახურება ძვირადღირებულია, უნდა განიხილონ იქ, სადაც მიზანშეწონილი და სასურველია, ისეთი ინიციატივების განხორციელება, როგორებიცაა: მხარეთა ინტერესების უფასოდ წარმოდგენის (*pro bono*) ხელშეწყობა, ე.წ. „სასამართლოს მეგობრის“ (*amicus curiae*) დანიშვნა, სასამართლო დავების ალტერნატიული გადაწყვეტა და სასამართლო პროცედურის ჩატარება საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით იმ პირების ინტერესთა დასაცავად, რომლებსაც სხვაგვარად არ ეყოლებათ წარმომადგენლები სასამართლო პროცედურისას; ასევე იურისტების კვალიფიკაციის არმქონე პირებისათვის (მათ შორის იურიდიული მუშაკებისთვის, რომლებსაც იურისტის დიპლომი არ აქვთ) სასამართლოს წინაშე მხარეთა წარმომადგენლების უფლების მინიჭება.
- 5.3 სასამართლო ორგანოებმა უნდა დანერგონ სასამართლო საქმეთა მართვის თანამედროვე მეთოდები, რათა უზრუნველყონ სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცედურების სამართლიანად, სწორად და სწრაფად ჩატარება და დასრულება.⁹⁹

⁹⁹ ტრადიციულად სასამართლო დავის მხარეები აკონტროლებენ საქმის მსვლელობას, მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები კი ხელს უწყობენ ამაში. ამჟამად მრავალი იურისდიქციის ფარგლებში აღიარებულია, რომ სასამართლო ორგანოებმა აქტიურად უნდა მართონ სასამართლო განხილვის მსვლელობა განსაკუთრებით პირველი ინსტანციის სასამართლოში – სარჩელის აღძვრის მომენტიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომი ყველა ეტაპის ჩათვლით. სასამართლო საქმის აქტიური მართვა, რომელსაც სასამართლო ახორციელებს, ხელს უნდა უწყობდეს სასამართლო

6. გამჭვირვალობა სასამართლო ფუნქციების აღსრულებისას

- 6.1 სასამართლო პროცედურა, ჩვეულებრივ, უნდა წარმართოს საჯაროდ. მოსმენის საჯარო ხასიათი უზრუნველყოფს სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობას. სასამართლო ორგანოებმა უნდა მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია სასამართლო მოსმენის ადგილისა და დროის შესახებ, აგრეთვე გონივრულ ფარგლებში უზრუნველყონ სასამართლო პროცესზე საზოგადოების დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობა საქმისადმი პოტენციური ინტერესის, ასევე სასამართლო განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.¹⁰⁰
- 6.2 სასამართლო ორგანოებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი მართლმსაჯულების აღსრულების გამჭვირვალობას და უზრუნველყონ, რომ საზოგადოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სასამართლოს მომხმარებლებისათვის მთელი არსებული ინფორმაცია იმ საქმეთა წარმოების შესახებ, რომლებიც განხილვის პროცესშია ან უკვე დასრულებულია, მიწვევად იყოს სასამართლოს ვებგვერდის მეშვეობით ან სასამართლო

დავების სამართლიან, ორგანიზებულ და სწრაფ გადაწყვეტას. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს, კერძოდ, რომ საქმისწარმოების ყველა ეტაპზე კონკრეტული საქმე ერთსა და იმავე მოსამართლეს მიჰყავს, ანუ დგინდება სასამართლო განხილვის პრაქტიკულად უცვლელი ვადები; მოსამართლე თავად ადგენს მოსმენათა გრაფიკს და იძლევა შესაბამის მითითებებს სასამართლო განხილვამდე პერიოდში; იგივე მოსამართლე განიხილავს საქმეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე სასამართლო განხილვას ექვემდებარება. მოსამართლის აქტიური მონაწილეობა შესაძლებლობას აძლევს მას, დაძლიოს რთული სიტუაციები საქმისწარმოების პროცესში, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, შეჯიბრებითობის არასათანადოდ შედგენილ დოკუმენტებთან, დოკუმენტების ზედმეტად დიდ რაოდენობასა და სხვა ხერხებთან, რომლებიც ხშირად გამოიყენება სასამართლო გარჩევის გასაჭიანურებლად. ამან ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საქმის თანამიმდევრულ და უწყვეტ განხილვას, ნაცვლად მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოსმენებისა, რომლებიც შეიძლება, რამდენიმე კვირას ან რამდენიმე თვეს გაიწილოს.

¹⁰⁰ საჯარო გარჩევის მოთხოვნა არ ეხება აუცილებლად ყველა სააპელაციო წარმოებას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს საქმეზე წერილობითი წარდგინებით ან იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სასამართლომდელ სტადიაზე გამოიტანება. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 (1) პუნქტში აღიარებულია მოსამართლის უფლებამოსილება, არ დაუშვას ხალხი სასამართლო გარჩევაზე ან მის ნაწილზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, ან, როდესაც ამას მოითხოვს მხარეთა პირადი ცხოვრების ინტერესები, ან იმ ფარგლებში, რომლებსაც სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად – განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, თუკი საჯაროობა მართლმსაჯულების ინტერესებს შელახავს. ამგვარი განსაკუთრებული გარემოებების გარდა, გარჩევა საზოგადოებისათვის ღია უნდა ჩატარდეს, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, და არ უნდა შემოიფარგლოს, მაგალითად, რომელიმე კონკრეტული კატეგორიის პირების დასწრებით. იმ შემთხვევებშიც კი, როცა ხალხი არ დაიშვება სასამართლო გარჩევაზე, სასამართლო გადაწყვეტილება, მათ შორის მოსამართლის ზოგადი დასკვნები, მტკიცებულებები და დასაბუთება საჯარო უნდა იყოს, გარდა შემთხვევებისა, როცა არასრულწლოვანთა ინტერესი სხვას მოითხოვს, ან როცა საქმე მატრიმონიულ დავებს ან ბავშვებზე მეურვეობას ეხება.

საქმეთა შესაბამისი მასალების სახით. ასეთი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოტივირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, მხარეთა განცხადებებს, შუამდგომლობებს და მონმეთა ჩვენებებს, მაგრამ აფიდევიტები (ფიცით განმტკიცებული წერილობითი ჩვენებები) ან სხვა ამგვარი მტკიცებულებითი დოკუმენტები, რომლებიც სასამართლოს მიერ ჯერ არ არის მიღებული მტკიცებულებებად, საჯაროდ მისაწვდომი ინფორმაციის კატეგორიას არ განეკუთვნება.

- 6.3 სასამართლო სისტემის ხელმისაწვდომობისათვის სასამართლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს პოტენციური მომხმარებლებისათვის სტანდარტული, ადვილად გამოსაყენებელი ფორმებისა და ინსტრუქციების, ასევე იმ საკითხებზე ზუსტი და გასაგები ინფორმაციის არსებობა, როგორებიცაა: სასამართლო ბაჟი, სასამართლო საქმეთა წარმოების წესი, სასამართლო სხდომათა გრაფიკი და ა.შ.
- 6.4 სასამართლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მოწმეების, სასამართლოს მომსახურების სხვა მომხმარებლებისა და საზოგადოების დაინტერესებული წევრებისათვის სასამართლოს დარბაზში საორიენტაციოდ ადვილად გასარჩევი ნიშნებისა და გზამკვლევების არსებობა. აუცილებელია ასევე, რომ სასამართლოს საზოგადოებრივი ინფორმაციის სამსახურში სასამართლოს მუშაკთა საკმარისი რაოდენობა იყოს დაკავებული. ასეთი სამსახურები სასამართლოს შენობის შესასვლელთან ახლოს უნდა იყოს. კლიენტებთან მუშაობის სამსახურები და სერვისცენტრები ასევე მოქალაქეთათვის მისაწვდომ ადგილზე უნდა იყოს განთავსებული. სასამართლოს მომხმარებლებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური მისაღები ოთახებით აღჭურვილი უსაფრთხო, მოხერხებული და სუფთა სათავსები, მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი საერთო მოხმარების ადგილები, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის, მაგალითად: ბავშვების, დაზარალებულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის, საგანგებოდ გათვალისწინებული მოწყობილობები.
- 6.5 სასამართლო ორგანოებმა უნდა განიხილონ სოციალურად ორიენტირებული პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა მოსახლეობის ინფორმირების გასაუმჯობესებლად საზოგადოების ცხოვრებაში მართლმსაჯულების სისტემის როლის შესახებ და სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვევლობისა და საკმაოდ ფართოდ გავრცელებული არასწორი წარმოდგენების დასაძლევად.¹⁰¹

¹⁰¹ იმ ტრადიციული მოსაზრების საპირისპიროდ, რომ მოსამართლემ საზოგადოებისაგან იზოლირებულობა უნდა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფად, საზოგადოებასთან მუშაობის სასამართლო პროგრამები გვთავაზობს მოსამართლეთა

6.6 სასამართლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობა და აღმოუჩინონ მათ აუცილებელი დახმარება თავიანთი ლეგიტიმური ფუნქციის შესრულებაში, რაც გამოიხატება სასამართლო პროცესების, მათ შორის, კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებით.

7. მოსამართლეთა პროფესიული მომზადება

7.1 სასამართლო ორგანოები თავიანთ ხელთ არსებული შესაძლებლობების სრული გამოყენებით თავად უნდა უზრუნველყოფდნენ მოსამართლეთა პროფესიული მომზადების ორგანიზებას, ჩატარებასა და კონტროლს.

7.2 იურისდიქციებში, სადაც არ არის მოსამართლეთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო პირობები, სასამართლო ორგანოები უნდა ისწრაფოდნენ, შესაბამისი არხებით მიიღონ შესაბამისი დახმარება ეროვნული და საერთაშორისო სტრუქტურებისა და სასწავლო დაწესებულებებისაგან, რათა მათთვის მისაწვდომი გახდეს ეს შესაძლებლობა, ან შეიქმნას ადგილობრივი საექსპერტო პოტენციალი.

7.3 ყველა პირს, ვინც მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნება, უნდა ჰქონდეს სათანადო დონის ცოდნა მატერიალური შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის შესაბამისი განხრების, ასევე საპროცესო ნორმების შესახებ, ან მათ უნდა შეიძინონ ეს ცოდნა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნამდე. სათანადო წესით დანიშნულმა მოსამართლეებმა ასევე უნდა გაიარონ შესავალი კურსი სხვა საკითხებში, რომლებიც სასამართლო საქმიანობას უკავშირდება, როგორებიცაა: სასამართლო საქმეთა მართვა და სასამართლოს მართვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, სამართლის ისტორია და ფილოსოფია, ასევე დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები.

7.4 სასამართლოს მუშაკთა პროფესიული მომზადება უნდა ეფუძნებოდეს მსოფლმხედველობათა პლურალიზმის პრინციპს, რათა უზრუნველყოს მო-

აქტიურობას, მათ პირდაპირ კავშირს თემებთან, რომლებშიც ისინი მუშაობენ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების გაცნობიერებულობა სამართლისა და სამართალწარმოების საკითხებში ხელს უწყობს არა მარტო სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის ამაღლებას, არამედ განამტკიცებს საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი. ბოლო დროს ჩამოყალიბებული მიდგომები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შენობაში შეხვედრებს, ტელე- და რადიოპროგრამების მომზადებას, ისეთი მასალების გავრცელებას საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად, როგორიცაა ბროშურის სახით გამოცემული სასამართლოს მომხმარებლებისათვის განკუთვნილი ცნობარი, რომელშიც მოცემულია ძირითადი ცნობები დაკავების, დაპატიმრების, გირაოთი გათავისუფლების, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წარმოების შესახებ, ასევე სასარგებლო კონკრეტული ინფორმაცია დანაშაულში დაზარალებულებისათვის, მოწმეებისათვის და ა.შ.

სამართლებების შეხედულებათა ფართო თვალსაწიერი და ობიექტურობა და სასამართლო ორგანოების მიუკერძოებლობა.

- 7.5 პროფესიული მომზადების პროგრამები მუდმივ საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, ამასთან, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები მოსამართლეთა საზოგადოების წევრების ნებაყოფლობით მონაწილეობაზე უნდა იყოს დამყარებული.
- 7.6 იმ შემთხვევებში, როცა ენა, რომელიც სასამართლო მასალებშია გამოყენებული (მაგალითად: სასამართლო გადაწყვეტილებების დებულებებში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში), განსხვავდება იმ ენისაგან, რომელზეც იურიდიული განათლება ხორციელდება, აუცილებელია ამ ენის სწავლების უზრუნველყოფა როგორც მოსამართლეების, ისე ადვოკატებისათვის.
- 7.7 პროფესიული მომზადების პროგრამები უნდა ხორციელდებოდეს ატმოსფეროში, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლო სისტემის სხვადასხვა ქვედანაყოფისა და დონის წარმომადგენლებს, შეხვდნენ ერთმანეთს, აწარმოონ გამოცდილების გაცვლა და დიალოგის გზით საერთო აზრი გამოიმუშაონ.

8. საკონსულტაციო დასკვნები

- 8.1 მოსამართლემ ან სასამართლომ არ უნდა მიანოდოს საკონსულტაციო დასკვნები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ გათვალისწინებულია საკონსტიტუციო ნორმით ან კანონით.

9. მოსამართლის იმუნიტეტი

- 9.1 მოსამართლეს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ზოგადი გამოყენების სამართლებრივი ნორმების შესაბამისად იმ ქმედებების ჩადენისათვის, რომლებიც ნებისმიერ ვითარებაში განიხილება როგორც დანაშაული, და ის ვერ მიმართავს თავის იმუნიტეტს ჩვეულებრივი სისხლის სამართლის წარმოების დროს.
- 9.2 მოსამართლე უნდა სარგებლობდეს პირადი იმუნიტეტით სამოქალაქო სარჩელთა შემთხვევაში, რომლებიც თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას მის მოქმედებას ეხება.
- 9.3 სასამართლო შეცდომები იურისდიქციის, მატერიალური სამართლის ან სასამართლო პროცედურების სფეროში უნდა გამოსწორდეს სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ან სასამართლო ზედამხედველობის შესაბამისი სისტემის ფარგლებში.

- 9.4 სასამართლო საქმის მხარისათვის მოსამართლის დაუდევრობით ან მის მიერ მოსამართლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მიყენებული ზიანი უნდა გულისხმობდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას სახელმწიფოს მხრიდან, მოსამართლის მიმართ რეგრესის უფლების გარეშე.
- 9.5 ვინაიდან სასამართლოს დამოუკიდებლობა არ ათავისუფლებს მოსამართლეს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისაგან და საზოგადოების მხრიდან მოსამართლის ქმედებათა ლეგიტიმური კრიტიკა არის პასუხისმგებლობის კანონის შესაბამისად უზრუნველყოფის საშუალება, მოსამართლემ შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდოს სისხლის სამართლის ნორმებისა და პროცედურების გამოყენებას, რომლებიც სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამომხატველი ქცევისათვის არის გათვალისწინებული, რათა შეამციროს სასამართლოს მისამართით კრიტიკა.

ნანილი II

სახელმწიფოს ვალდებულებები

10. სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიები

10.1 სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ კონსტიტუციის საფუძველზე ან სხვა საშუალებებით უზრუნველყოს შემდეგი:

- ა) სასამართლოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. ვერავითარი უფლებამოსილება ვერ იქნება გამოყენებული სამართალწარმოებაში ჩარევისათვის;
- ბ) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე საკმარისად სწრაფად და დაუსაბუთებელი დაგვიანების გარეშე განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა ჩვეულებრივმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ან სასამართლო წესით გადასინჯვის უფლების უზრუნველყოფით;
- გ) ჩვეულებრივი იურისდიქციის სასამართლოების ნაცვლად არ შეიქმნება სპეციალური ან საგანგებო ტრიბუნალები;
- დ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი და მოქმედებდეს ყოველგვარი შეზღუდვის, გარეშე ზეგავლენის, ზემოქმედების, მუქარის ან ირიბი თუ პირდაპირი ჩარევის გარეშე, ვისი მხრიდან და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, მას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღების შეუზღუდავი უფლება, ხელმძღვანელობდეს საკუთარი სინდისით, ფაქტების საკუთარი განმარტებითა და სამართლის მოქმედი ნორმებით;
- ე) სასამართლო ორგანოებს უშუალოდ ან სასამართლო კონტროლის მეშვეობით უნდა ჰქონდეთ იურისდიქცია სასამართლო ხასიათის ყველა საკითხთან მიმართებით და არცერთ სხვა ორგანოს, გარდა თავად სასამართლოებისა, არ შეუძლია მათი იურისდიქციის ან კომპეტენციის განსაზღვრა, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით;
- ვ) აღმასრულებელი ორგანოები თავს იკავებენ ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისაგან, რომლებიც დავის სასამართლო გადაწყვეტას წინ უსწრებს ან აფერხებს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სათანადო აღსრულებას;
- ზ) აღმასრულებელი ან საკანონმდებლო უფლებამოსილებით აღჭურვილი არცერთი პირი არ უნდა ახდენდეს, ან არ უნდა ცდილობდეს მოახდინოს რაიმე ზეწოლა მოსამართლეზე აშკარად თუ შეფარვით;

- თ) საკანონმდებლო ან აღმასრულებელი უფლებამოსილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსამართლის თანამდებობაზე, მის ფულად ანაზღაურებაზე, მის სამუშაო პირობებსა თუ რესურსებზე, არ უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული მოსამართლის ან მოსამართლეების მისამართით მუქარისა თუ მათზე ზეწოლისათვის;
- ი) სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლეთა საზოგადოების წევრებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოებას და ფიზიკურ დაცვას, განსაკუთრებით მათი მისამართით მუქარის შემთხვევაში.
- კ) ამა თუ იმ მოსამართლის არასათანადო ქცევის შესახებ განცხადებები არ განიხილება საკანონმდებლო ორგანოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებითი ხასიათის წინადადებაზეა საუბარი, რომელიც ეხება მოსამართლის გადაყენებას თანამდებობიდან ან მის მიმართ სანქციებს, რაზეც ის წინასწარ იყო გაფრთხილებული.

11. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია

- 11.1 მოსამართლის თანამდებობისათვის შერჩეულ პირებს შესაბამისი მონაცემები, მორალური თვისებები, შრომის უნარი, ასევე აუცილებელი პროფესიული მომზადება და კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ.
- 11.2 მოსამართლის კანდიდატურის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო სამართლის დარგში მისი ცოდნა და ზოგადი პროფესიული უნარები, არამედ ასევე მისი გაცნობიერებულობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებში, პირადი თვისებები (მათ შორის: ეთიკა, მოთმინება, თავაზიანობა, პატიოსნება, სალი აზროვნება, თავმდაბლობა, პუნქტუალურობა) და ურთიერთობის ჩვევები. კანდიდატის პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა შეხედულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ხელს უშლის მოსამართლის მიერ მისი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებას, მხედველობაში არ მიიღება.
- 11.3 მოსამართლეების შერჩევისას არ უნდა გამოვლინდეს რაიმენაირი დისკრიმინაცია იმ საფუძვლებზე, რომლებიც საქმესთან არ არის დაკავშირებული. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ამ ქვეყნის მოქალაქე უნდა იყოს, არ უნდა განიხილებოდეს როგორც დისკრიმინაცია იმ საფუძვლებზე, რომლებიც საქმესთან არ არის დაკავშირებული. აუცილებელია, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს იმას, რომ მოსამართლეთა შემადგენლობის დაკომპლექტება სამართლიანად ასახავდეს საზოგადოებას ყველა ასპექტში.

12. მოსამართლეების დანიშვნა

- 12.1 მოსამართლეთა დანიშვნის წესები კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

- 12.2 სასამართლო სისტემის წარმომადგენლები და საზოგადოების წარმომადგენლები შესაბამის როლს უნდა ასრულებდნენ მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევაში.
- 12.3 მოსამართლეების დანიშვნის პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის კრიტერიუმები, მათ შორის ისინი, რომლებიც იმ თვისებებს ეხება, რომლებიც უნდა ჰქონდეს მოსამართლის მაღალი თანამდებობის კანდიდატს, ცნობილი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. მოსამართლის თანამდებობის ყველა ვაკანსია ისე უნდა გამოცხადდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა შესაფერისი კანდიდატისაგან პირადად ან მათ შესახებ წინადადებების წარდგენა.
- 12.4 მექანიზმი, რომელიც განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობს იმ ქვეყნებში, რომლებიც ახალ კონსტიტუციურ დებულებებს შეიმუშავენ, გულისხმობს უმაღლესი სასამართლო საბჭოს შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან მოსამართლეები, ასევე პირები, რომლებსაც არ აქვთ კავშირი სასამართლო სისტემასთან, და რომელთა წევრობაც არ იქნება განპირობებული პოლიტიკური მოსაზრებებით.
- 12.5 იმ ქვეყნებში, სადაც მოსამართლეების დანიშვნის პასუხისმგებლობა ეკისრება დამოუკიდებელ საბჭოს ან კომისიას, ასეთი დამოუკიდებელი ორგანოს წევრები უნდა შეირჩნენ მათი კომპეტენტურობის, გამოცდილების, სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკის გაგების, შესაბამისი საკითხების განხილვის უნარისა და დამოუკიდებლობის კულტურის მნიშვნელობის ცოდნის გათვალისწინებით. ამ დამოუკიდებელი ორგანოს ის წევრები, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, შეიძლება შეირჩნენ ცნობილი იურისტების ან მოქალაქეების რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში.
- 12.6 ყველა გადანყვეტილება, რომლებიც მოსამართლის დანიშნულებას ეხება, თუ ისინი არ ემყარება ისეთ კრიტერიუმს, როგორცაა სტაჟი, უნდა მიიღოს მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელმა დამოუკიდებელმა ორგანომ, კონკრეტული მოსამართლის მუშაობის ობიექტური შეფასების საფუძველზე, კვალიფიკაციის, უნარების, პირადი თვისებებისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის.
- 12.7 ზოგიერთ ქვეყანაში არსებული პრაქტიკა უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლის ან თავმჯდომარის მონაცვლეობით შერჩევისა ამავე სასამართლოს შემადგენლობიდან არ ეწინააღმდეგება მოსამართლეთა დამო-

უკიდებლობის პრინციპს და შეიძლება განიხილებოდეს როგორც შესაძლო მოდელი სხვა ქვეყნებში დასანერგავად.

13. მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადა

13.1 სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მოსამართლეთა განსაზღვრული რიცხოვნობა სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

13.2 მოსამართლეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებამოსილების ვადა უნდა ჰქონდეს პენსიამდე ან თანამდებობაზე ყოფნის ფიქსირებული ვადის ამონაწევამდე.¹⁰² თანამდებობაზე ყოფნის ფიქსირებული ვადა განახლებადი არ უნდა იყოს, თუ არ არსებობს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ, რომ განმეორებით დანიშვნის გადაწყვეტილება ობიექტური კრიტერიუმებით და დამსახურების გათვალისწინებით იყოს მიღებული.

13.3 დროებითი მოსამართლეების ან მოსამართლეთა მოადგილეების მოწვევა, რომლებიც არასრული სამუშაო დღე მუშაობენ, არ უნდა განიხილებოდეს როგორც მუდმივი მოსამართლეების მუდმივი კონტინგენტის შემცველი. ასეთი დროებითი მოსამართლეები ან მოსამართლეების მოადგილეები იქ, სადაც მათი არსებობა ადგილობრივი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, უნდა ინიშნებოდნენ ისეთი პირობებით და თანამდებობაზე ყოფნის ან მათი მოსამართლედ შემდგომი მუშაობის საკითხის განხილვის ისეთი გარანტიები ჰქონდეთ, რომლებიც გამორიცხავენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ მოსამართლეების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ რისკებს.

13.4 ვინაიდან მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას ბოროტად გამოყენების შემთხვევაში შეუძლია შეარყიოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, განსაზღვრული უფლებამოსილების ვადით დანიშვნის გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს მხოლოდ მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

¹⁰² ეროვნული პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა ეძლევა უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებისათვის პენსიაზე გასვლის დადგენილ ასაკს. ეს ასაკი ქვეყნების მიხედვით ასე მერყეობს: ბელიზი, ბოტსვანა და ჰაიანა – 62 წელი, საბერძნეთი, მალაიზია, ნამიბია – 65 წელი (70 წლამდე გაგრძელების შესაძლებლობით), სინგაპური, შრი-ლანკა, თურქეთი, კვიპროსი – 68 წელი, ავსტრალია, ბრაზილია, ჰანა, პერუ, სამხრეთ აფრიკა – 70 წელი, კანადა და ჩილე – 75 წელი. თუმცა ამ იურისდიქციათაგან ზოგიერთში (მაგალითად ბელიზსა და ბოტსვანაში) არსებობს დებულება, რომლის თანახმად, საპენსიო ასაკს მიღწეულ მოსამართლეს შეუძლია, იმდენ ხანს დარჩეს თანამდებობაზე, რამდენსაც მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანა ან ნებისმიერი სხვა მოქმედება სასამართლო გარჩევასთან დაკავშირებით, რომელიც მისი მოსამართლეობით დაიწყო იქამდე, ვიდრე მას საპენსიო ასაკი შეუსრულდებოდა.

13.5 იმ შემთხვევების გარდა, როცა მოსამართლეების რეგულარული როტაციის სისტემა კანონით არის გათვალისწინებული, ან მისი ჩატარება დადგენილია მას შემდეგ, რაც საკითხს სასამართლო ხელისუფლების სისტემა განიხილავს, და გამოიყენება მხოლოდ თავად სასამართლოს ან დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, მოსამართლის ერთი იურისდიქციიდან, სასამართლოს ერთი თანამდებობიდან სხვა იურისდიქციასა და სასამართლოში სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ხორციელდება მხოლოდ მისი თანხმობით.¹⁰³

14. ფულადი ანაზღაურება მოსამართლეებისათვის

14.1 მოსამართლეთა ხელფასი, მუშაობის პირობები და პენსია ადეკვატური უნდა იყოს და შეესაბამებოდეს მათ სტატუსს, პროფესიულ ღირსებას და პასუხისმგებლობის ტვირთს, და ექვემდებარებოდეს რეგულარულ გადახედვას ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

14.2 მოსამართლეთა ხელფასი, მუშაობის პირობები და პენსია კანონით გარანტირებული უნდა იყოს და მოსამართლის საზიანოდ არ უნდა იცვლებოდეს მისი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ.

15. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

15.1 მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა აღიძრას მხოლოდ სერიოზული თანამდებობრივი გადაცდომის შემთხვევაში.¹⁰⁴ სამართლის ნორმები, რომლებიც მოსამართლეთა მიმართ გამოიყენება, მაქსიმალურად კონკრეტულად უნდა განსაზღვრავდეს მოსამართლეთა ქცევას, რომელმაც შეიძლება დისციპლინური სანქციები გამოიწვიოს, ასევე პროცედურებს, რომლებიც ამ შემთხვევაში გამოიყენება.

15.2 პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ დაზარალდნენ მოსამართლის სერიოზული გადაცდომის შედეგად, უნდა ჰქონდეთ უფლება, საჩივრით მიმართონ იმ პირს ან ორგანოს, რომელიც პასუხს აგებს დისციპლინური წარმოების აღძვრისათვის.

¹⁰³ მოსამართლეთა გადაყვანის საკითხი განიხილება ზოგიერთ საერთაშორისო სასამართლებრივ აქტში, ვინაიდან მოსამართლის გადაყვანა შეიძლება გამოიყენებოდეს იმისთვის, რომ დაისაჯონ დამოუკიდებელი და გაბედული მოსამართლები, რათა სხვებმაც არ მიბაძონ მათ.

¹⁰⁴ ქცევა და გადაცდომები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური სანქციები, უნდა განვასხვავოთ პროფესიული სტანდარტების დარღვევისაგან. პროფესიული სტანდარტები ყველაზე მოწინავე პრაქტიკაა, რომლის განვითარებასაც უნდა ცდილობდნენ მოსამართლეები და რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა ისწრაფოდეს. პროფესიული სტანდარტების შეუსრულებლობა არ უნდა გავაიგივოთ გადაცდომებთან, რომლებიც დისციპლინურ წარმოებას იწვევს. თუმცა პროფესიული სტანდარტების დარღვევა ისეთი სერიოზული შეიძლება იყოს, რომ შეადგინოს ქცევა, რომლისთვისაც გამართლებულია და აუცილებელი დისციპლინური სანქციები.

- 15.3 აუცილებელია, კანონის საფუძველზე დადგინდეს სპეციალური ორგანო და დაინიშნოს სპეციალური პირი, რომელიც საჩივრების, ამ საჩივრებზე მოსამართლეთა შესაგებლებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი იმის შესახებ, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების ინიცირებისათვის, და თუ არსებობს, გადასცემს წარმოების დისციპლინურ ორგანოში.¹⁰⁵
- 15.4 მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების ინიცირებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებით შეიძლება იყოს აღჭურვილი ორგანო ან სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელი შტოებისაგან, და რომლის შემადგენლობაშიც შედიან მოქმედი ან გადამდგარი მოსამართლეები, ასევე შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, თუ ეს პირები არ შედიან საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში.
- 15.5 ნებისმიერი დისციპლინური წარმოება უნდა განისაზღვროს მოსამართლეთა ქცევის სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე იმ პროცედურების საფუძველზე, რომლებიც სრული მოცულობით უზრუნველყოფს დაცვის უფლებას.
- 15.6 უნდა არსებობდეს დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.
- 15.7 საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც ნებისმიერი დისციპლინური წარმოების მსვლელობისას მიიღება და გულისხმობს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სანქციების განხორციელებას, უნდა გამოცხადდეს, იმის მიუხედავად, დახურული იყო ეს წარმოება თუ საჯარო.
- 15.8 ყოველი იურისდიქციის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მაქსიმალურად კონკრეტული ფორმულირებები დისციპლინური წარმოების ფარგლებში გამოყენებული სანქციებისა და უზრუნველყოფილ იქნეს ამგვარი სანქციების გამოყენება ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმის პროპორციულად.

16. მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება

- 16.1 მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ სერიოზული ავადმყოფობის, მძიმე დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის, აშკარა არაკომპეტენტურობის ან ისეთი ქცევის გამო, რომელიც აშკარად არ შეესაბამება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და პატიოსნების პრინციპებს.

¹⁰⁵ ასეთი ფილტრის არარსებობისას მოსამართლეები შეიძლება იქცნენ იმ დისციპლინური წარმოების ობიექტად, რომელსაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეები აღძრავენ.

- 16.2 იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების საკანონმდებლო შტო მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, ასეთი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ დამოუკიდებელი ორგანოს შესაბამისი რეკომენდაციის შემდეგ, რომელსაც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების აღძვრის უფლებამოსილება აქვს.
- 16.3 იმ სასამართლოს გაუქმება, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსამართლე, არ უნდა იყოს მისი მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი ან საბაზი. სასამართლოს გაუქმების ან რეორგანიზაციის შემთხვევაში ამ სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ყველა მოქმედი მოსამართლე ხელახლა უნდა დაინიშნოს იმ სასამართლოში, რომელიც გაუქმებულის ნაცვლად შეიქმნა, ან სხვა სასამართლო თანამდებობაზე ეკვივალენტური სტატუსითა და უფლებამოსილების ვადით. ეკვივალენტური სტატუსისა და უფლებამოსილების ვადის სასამართლო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში მოსამართლემ სრული მოცულობით უნდა მიიღოს თანამდებობის დაკარგვისათვის გათვალისწინებული კომპენსაცია.

17. სასამართლოს ბიუჯეტი

- 17.1 სასამართლოს ბიუჯეტი მათთან ურთიერთქმედებით უნდა განისაზღვროს, ამასთან, არც აღმასრულებელ, არც საკანონმდებლო ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რაიმე სახის ზეწოლა მოახდინონ სასამართლო ორგანოებზე მათი ბიუჯეტის ფორმირებისას.
- 17.2 სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების სისტემისათვის საკმარისი ფინანსური სახსრებისა და რესურსების არსებობა, რათა ყოველ სასამართლოს შეეძლოს ეფექტიანად და სამუშაოს ზედმეტად დიდი მოცულობის გარეშე მუშაობა.
- 17.3 სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების ფინანსური და სხვა რესურსები, რომლებიც აუცილებელია მოსამართლეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაციისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის.
- 17.4 სასამართლოსათვის გამოყოფილ ბიუჯეტს უნდა მართავდნენ თავად სასამართლო ორგანოები ან ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისაგან დამოუკიდებელი სხვა ორგანო, რომელიც სასამართლო ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე მოქმედებს. ფინანსური სახსრები, რომლებიც სასამართლო ორგანოებს გამოეყოფა, დაცული უნდა იყოს გასხვისებისა და არასათანადო გამოყენებისაგან.

ტერმინები

ამოქმედების ღონისძიებების შესახებ ამ განცხადებაში ქვემოთ მოყვანილ სიტყვებს შემდეგი მნიშვნელობები აქვთ:

ტერმინში – „საფუძვლები, რომლებიც საქმესთან არ არის დაკავშირებული“ – იგულისხმება რასობრივი კუთვნილება, კანის ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული კუთვნილება, კასტა, შრომისუნარობა, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა მსგავსი მიზეზები.

ტერმინში – „მოსამართლე“ – იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელიც მოსამართლის უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, მიუხედავად მისი დანიშვნის წესისა, მათ შორის მაგისტრატი და დამოუკიდებელი სასამართლოს წევრი.

ISBN: 978-9941-9422-3-5



9 789941 942235

უფასო ეგზემპლარი